დისკუსია

საზოგადოებრივ-სამეცნიერო ჟურნალი

N 4-5
2020 წელი

ნომერზე მუშაობდნენ:

პაატა ლაგვილავა



მთავარი რედაქტორი:
მარინე დამენია

ლევან ჯიქია

ნონა ძობალია

გოგიტა ჩიტაია

ლელა კვირტია

იგორ კეკელია

კოტე ჯილაია

ზაალ ჯაკაძონია

სვეტა მიქავა

ლაშა ჯიქია



ნანა აბულაძე

ვახტანგ გაბედავა

ვალერი ძაძამია

სვეტლანა ხოფერია

როლანდ მაქაცარია

დასკვნა

დისკუსია

ქრონიკა

პაატა ლაგვილავა
„უხილავი მტერი“, რომელმაც ყველაფერი შეცვალა ------ 5

უახლესი ისტორია

კოტე ჭილაია
13 დღე, რომელმაც შეძრა ზუგდიდი ---------- 8

ისტორია

იგორ კეკელია
ბანძის რკინიგზა ---------- 13

ლევან ჯიქია
წალენჯიხა 1924 წლის აჯანყების დროს ------ -------- 17

რელიგია

ლევან ჯიქია
მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოებების
შექმნა ზუგდიდის რაიონში ---------- 29

გოგიტა ჩიტაია
ხობის მონასტერი XIX საუკუნის II ნახევრისა და XX
საუკუნის დამდეგის პერიოდულ გამოცემებში --------- 36

ღვთისმშობლის სამოსლის ისტორიიდან

სვეტა მიქავა
ღმრთისმშობლის სამოსლის დაფარული
ისტორიის ნაკვალევზე ---------- 42

მედიაისტორია

მარინე დამენია
გაზეთი „ამხანაგი“ ---------- 46

თამაზ ფიფია ---------- 52

**„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“
და „საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ ხელმომწერი**

ნოე ჟორდანია ---------- 57

ვალტერ შურღაია ---------- 73





აბაშა

ცნობილები აბაშიდან... - 77

საქართველოს მუზეუმები

ვალერი ძაძამია
ლეო ქიაჩელის მემორიალური სახლ-მუზეუმი - - - - - 86

არქეოლოგია

ლაშა ჯიქია
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ანაკლიაში- - - - - - - 93

ლიტერატურა

ლელა კვირტია
ისტორიული ფაქტის ავტორისეული ინტერპრეტაცია (ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმის გამყიდველი“ და ლაშა ბუღაძის „საუკუნის მკვლელობა“) - - - - - - - - - - 96

ზაალ ჯალაღონია
„დო ვუჯინექ კირიბიშ შურიშ გოკურცხინაფას“ - - - - - 102

ეთნოგრაფია

ნონა ქობალია
გუმოჭყუდურის სევდა და ოდაბადეს ნათელი — გვარს მოწყვეტილი ქალიშვილი შინ ბრუნდება - - - - - 105

ფოლკლორი

ნანა აბულაძე
‚გოჭკომური“ მეფეთა ძველი ჩვეულება და მეგრული პოეტური ფოლკლორი - 107

კრიმინალისტიკა

ვახტანგ გაბედავა
მოძღვრება დანაშაულის შესახებ - - - - - - - - - - - - - - - 112

სპორტი

როლანდ მაქაცარია
ზუგდიდის ფეხბურთი 101 წლისაა - - - - - - - - - - - - - - 115

„უხილავი მტერი“, რომელმაც ყველაფერი შეცვალა

პაატა ლაგვილავა

ცენტრალური ჩინეთის ხუპეის პროვინციის ქალაქ ვუხანში 2019 წლის მიწურულს დაფიქსირებულმა ახალმა ვირუსმა მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა. ჩინეთი ახალ კორონავირუსზე ინფორმაციას თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მალავდა და ახშობდა, თუმცა პრობლემა იმდენად დიდი იყო, რომ მალე მთელმა მსოფლიომ გაიგო „უხილავი მტრის“ შესახებ.

მოგვიანებით, 30 იანვარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადების ჩინეთს გარეთ გავრცელების გამო კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. დაავადება მალე ყველა კონტინენტზე გავრცელდა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კი COVID-19 მსოფლიო პანდემიად გამოაცხადა.

საქართველოს მთავრობამ მსოფლიოში ,,უხილავი მტრის“ სახელით ცნობილი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, ვიდრე პირველი კოვიდინფიცირებული ეყოლებოდა. გატარებული სამუშაოების გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობასა და პრემიერს მადლობა გადაუხადა.

საქართველოში პირველი ინფიცირებული 26 თებერვალს დაფიქსირდა. დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ სასწავლო დაწესებულებები, აიკრძალა მოქალაქეთა თავშეყრა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დაწესდა დისტანცია მაღაზიებსა და აფთიაქებში. საჰაერო, საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლაზე დაწესდა შეზღუდვები (გარდა სატვირთო გადაზიდვებისა). აიკრძალა ქელეხები, ქორწილები და ხალხმრავალი ღონისძიებები. 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაწესდა საკომენდანტო საათი, პანდემიამ შეცვალა ქცევები და დამკვიდრებული ნორმები, არსებული ტრადიციები, ინფექციის გავრცელების საპრევენციო სამუშაოების ფარგლებში მთავრობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია ხელმძღვანელობას, შტაბის შემადგენლობაში ძალოვანი უწყებები და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები შედიან.

შტაბის დავალებით რეგიონში გატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, სპეციალური ხსნარით დამუშავდა საკოლმეურნეო ბაზრები, საჯარო და კერძო დაწესებულებები, ხალხმრავალი გზები და ტროტუარები. შეიქმნა ცენტრალური და ადგილობრივი ცხელი ხაზები, რათა შემოსულ ინფორმაციებზე დროული რეაგირება მოხდეს.

ანაკლიასა და განმუხურში მდებარე სასტუმროებში შეიქმნა საკარანტინო სივრცეები, სადაც მოქალაქეები 14 დღიან საკარანტინო პერიოდს გადიან. სასტუმროებში მსგავსი სივრცეების განთავსებამ ხელი შეუწყო ტურიზმის სექტორს, რადგან ამ რთულ პერიოდში არსებული სასტუმროები რჩებოდნენ შემოსავლის გარეშე, ეს კი დასაქმებული მოქალაქეების უმუშევრად დარჩენას ნიშნავდა. სულ ქვეყნის მასშტაბით მოეწყო 83 საკარანტინო სივრცე. დასაქმებულია 2483 თანამშრომელი. ყველა მუნიციპალიტეტი აღიჭურვა ცხელების ცენტრებით. რომელთა მიზანია, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების უკეთ მართვა.

კორონავირუსის პრევენციის მიზნით დაიხურა საკოლმეურნეო ბაზრები. სავაჭრო ობიექტები მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნა, რაც მოწესრიგდა ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები, სავალდებულო გახდა სადეზინფექციო საშუალებების, პირბადის გამოყენება და დისტანციის დაცვა.

კორონავირუსთან დაკავშირებით, მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში დროებით შეჩერდა კომისიებისა და საბჭოს სხდომები, რომელთაც მოქალაქეები ესწრებიან. არ შეჩერებულა მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის კუთხით მომსახურების გაწევა; მუნიციპალური სერვისი – უფასო სასადილოები გადავიდნენ გატანის სერვისზე.

სახელმწიფო რწმუნებული მუნიციპალიტეტებში ექიმებთან, პოლიციასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ყველა პრობლემურ საკითხს ადგილზე წყვეტდა.

რუხის საავადმყოფომ – რეგიონის მასშტაბით უპრეცედენტო პროექტმა – ფუნქციონირება დაიწყო. კლინიკა იღებს როგორც ცხელებით, ასევე, COVID-19-ით ინფიცირებულ მოქალაქეებს. სამედიცინო დაწესებულებას ამ დროისთვის 78 პაციენტის მიღება შეუძლია, თუმცა მიმდინარეობს დამატებით აღჭურვის პროცესი და კლინიკა საბოლოოდ 220 პაციენტის მიღებას შეძლებს. რუხის კლინიკა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძესა და სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად მოინახულა და ადგილზე გაეცნო კლინიკის შესაძლებლობებს.

,,ჩვენ საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს დავეხმარებით. ვისაც დასჭირდება სამედიცინო დახმარება, ის ამ დახმარებას მიიღებს. ყველას ვისაც სჭირდება საკარანტინო ზონა, საკარანტინო ზონას მიიღებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია და ეს არის ამ მძლავრი სამედიცინო ცენტრის ამოქმედების ძირითადი ფუნქცია და მისია“, – განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ რუხის კლინიკის დათვალიერების შემდეგ.

დამატებითი ბლოკები შეიქმნა ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში. საავადმყოფოში შესაძლებელია პსრ – ტესტირების ჩატარება.

30 მარტს მთავრობამ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო. 31 მარტს ზუგდიდისა და ფოთის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები განთავსდა. ასევე, 31 მარტიდან სოფელ რუხში სამედიცინო დანიშნულების კარავი განთავსდა, სადაც ოკუპირებული აფხაზეთიდან შემოსული მოქალაქეები თერმოსკრინინგს გადიან. იქ მომუშავე ექიმები შემოწმების შემდეგ განსაზღვრავენ – მოქალაქეებს საკარანტინო ზონაში გადაიყვანენ თუ სამედიცინო დაწესებულებაში.

პუნქტებში აქტიურად ხორციელდებოდა ავ-

ტომობილებში მოქალაქეების სოციალური დისტანციის დაცვა, საავტომობილო საშუალებების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით. გამშვები პუნქტები 12 მაისს აიღეს.

მთავრობამ მოახდინა პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტზე ფასების სუბსიდირება. რეგიონის მასშტაბით სოციალურად დაუცველი სხვადასხვა ჯგუფის მოქალაქეებს სასურსათო პროდუქტი დაურიგდათ. საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის გაჩერების შემდეგ აღსაზრდელების კვებისთვის გამოყოფილი თანხით მათთვის არამალფუჭებადი პროდუქტი იყიდეს და მშობლებს დაურიგეს.

თენგიზ ცერცვაძე

სასურსათო პროდუქტის დარიგების, დაფასოების, რიგების მოწესრიგების საკითხებში აქტიურად ჩაერთვნენ მოხალისეები. მათი ორგანიზება მუნიციპალიტეტებმა ითავეს, მოხალისეთა გადამზადებაზე კი წითელმა ჯვარმა იზრუნა.

პაატა იმნაძე

მკაცრ საკომენდანტო პერიოდში, როდესაც მანქანებით გადაადგილება შეიზღუდა, სამხარეო შტაბის კოორდინირებით მუნიციპალიტეტები ახდენდნენ მოქალაქეთა შემოსულ ზარებზე რეაგირებას. ზარები ძირითადად მედიკამენტებსა და სასურსათო პროდუქტის მიწოდებას ეხებოდა.

ქვეყანაში არ შეფერხებულა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ინფრასტრუქტურული სამუშაოები კი შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად განახლდა.

ამირან გამყრელიძე

საქართველოს მთავრობამ კოორდინირებული მუშაობით და მწყობრი ნაბიჯებით მოახერხა ვირუსის ფართომასშტაბიანი გავრცელების არიდება. ხელისუფლების ბრძოლა და ვირუსის გავრცელების პრევენციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მსოფლიოში წარმატებულ მაგალითად განიხილება. ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, ის რომ დღეს, მთელ მსოფლიოში არსებულ ასეთ რთულ ვითარებაში, საქართველოს აქვს პარტნიორების უპრეცედენტო მხარდაჭერა. ეპიდემიასთან ბრძოლის პარალელურად, ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკა. ამიტომ ეს ბრძოლა მიმდინარეობს 2 მიმართულებით – მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლის და საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად. მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, შეზღუდვების მოხსნის ეტაპები. გეგმა მიზნად ისახავს მოქალაქეებზე ზრუნვას და კერძო სექტორის მხარდაჭერას, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილება და ეკონომიკა სწრაფად აღორძინედეს.

30 აპრილის მონაცემებით, საქართველოში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა – 539-ია, დაიღუპა 3, ხოლო განკურნებულთა ჯამური რაოდენობა 184-ია.

კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ქართველმა ექიმებმა: თენგიზ ცერცვაძემ, პაატა იმნაძემ და ამირან გამყრელიძემ. გაწეული ღვაწლის დაფასების ნიშნად საქართველომ მათ მადლიერების ტაში დაუკრა.

1 ნოემბერის მონაცემებით საქართველოში დადასტურებული შემთხვევები 40 727-ია, ხოლო ვირუსისგან განკურნებულთა საერთო რაოდენობა 25 104 გახდა. ქვეყანაში ვირუსით ინფიცირებული გარდაცვლილი პაციენტები რაოდენობა 335 გახდა.

13 დღე, რომელმაც შეძრა ზუგდიდი

1993 წლის 6 ნოემბერი, 18 საათი...

ქალაქში უჩვეულო სიჩუმეა...

იარაღიანი მოქალაქეები არ ჩანან. პრეფექტურის წინ კაცი არ ჭაჭანებს, შესასვლელ კარებთან მაგიდაზე საქაღალდეებს ქარი აფრიალებს, ხოლო გვარდიის შტაბის წინ დამტვრეული ბენზინ მზიდი დგას.

ბაზრის წინ, ხიდის მიმართულებით, უნომრო წითელი – ვაზ-09, თეთრი – ვაზ-06 და უაზ-ვილისი, ე.წ. „კოლხოზნიკი“, შემომხვდა, რომლებიც უცნაურად მოძრაობდნენ, თითქოს ვიღაცას ეძებენო. ზუგდიდელები მათში ვერ შევიცანი, ყველას ავტომატი უჭირავს, ხოლო უაზის საბარგულში ტყვიამფრქვევ მომარჯვებული, გაწოლილი, ჯინსებიანი 25-27 წლის ახალგაზრდა გამომწვევად ათვალიერებს გამვლელებს. ვიღაცამ მგონი იცნო, ეს ხომ ჭ-აო მეზობელი რაიონიდან და მანვე დასძინა, რომ რამდენიმე წუთის წინათ მათ საკონსერვოსთან ერთ-ერთ მოქალაქეს მანქანა წაართვეს.

ღამე საშინელ ფიქრებში გავატარე.

ძილი თვალს არ ეკარება, ან რა დაგაძინებს, ისეთი სროლებია. ისვრიან მსხვილყალიბიანი იარაღიდანაც, უფრო მეტად ქალაქისა და ბაზრის სიახლოვეს.

7 ნოემბერი

7:30 სთ. – 20 სთ.

თითქოს ბუნებასაც მოუწყენია. ეს მოწყენილობა და შიში თითოეული ჩვენგანის თვალებშია. დაღვრემილნი, დამცირებულნი და იმედგადაწურულნი ვართ.

მეზობლებმა მითხრეს, რომ ანზორ N-ს სახლში მიუცვივდნენ და დააყაჩაღეს, ხოლო ბორის N-ს სახლში მეზობლებს უყოჩაღიათ და მომხდურნი გაუქცევიათ.

მეზობლების სახლში უცნაური ფაციფუცია: ახვევენ, კრავენ და საიმედო ადგილზე გადასამალავად ამზადებენ წლობით ნაჯაფ და ნაგროვებ ქონებას. ყველანი ქუჩაში ვართ გამოსული და შიშით შევცქერით ყველა მიმავალ თუ გაჩერებულ მანქანას, რადგან მეზობლებს მანქანები საკუთარი სახლში უყენიათ და, თუ ვინმე მოძრაობს, ან მხედრიონელია, ან მათთან გათანაბრებული თანაქალაქელი.

9 საათისათვის სახლში წასვლა დავაპირე, უმისამართო სროლები ისმოდა, ვიფიქრე: ჩემთან ვის რა ხელი აქვს-მეთქი.

ბაზრის უკან ს. კედიას ქუჩის აღმართზე არ ვიყავი ასული, რომ 6-7 შეიარაღებული თეთრნიღბიანი მოქალაქე დავინახე. მათ ჩემ წინ მიმავალი შუახნის მამაკაცს ბანდიტი უწოდეს და უკან გამოაქციეს. სირბილით მომავალმა მითხრა: არ წახვიდე, გესვრიანო. მეც დავუჯერე და თავქვე დავეშვი. ცოტა ხანში მეზობლებმა მითხრეს, რომ იმ ქუჩაზე გ. N-ს სახლიდან მანქანა გაუყვანიათ. იქვე მდგარი ლტოლვილისთვის ჟაკეტი გაუხდიათ და იძახდნენ: ოქრო და ძვირფასეულობა გაქვთ და გამოიტანეთო. ბიჭებმა თქვეს, „თეთრი არწივის“ ჯგუფი იქნებოდაო.

დემიკომ დამირეკა და მიამბო: პისტოლეტი მომაბჯინეს და, ჯიბეში რაც ფული მქონდა, 13 000 წამართვესო.

ბაქოს ქუჩა წითელი ვაზ-05-ითა და თეთრი ვაზ-06-ით შემოსულებს დაუთვალიერებიათ.

ის წუთებია, როცა ტელევიზიით ე. შევარდნაძე გამოდის. არადა, მაინტერესებს რა ხდება ქალაქში. ამ დროს მეზობლის 7 წლის გოგო, მეტსახელად „ფუხა“, შემორბის და მეუბნება: ქუჩის ბოლოს ერეკლეს სახლს ძარცვავენო. გავიქეცით მისაშველებლად, მაგრამ სახლის წინ მდგარი „ნივიდან“ შავნიღბიანი გადმოვიდა, მძღოლმა შუქფარი აანთო და გაგვაფრთხილა, ახლოს არ მივსულიყავით...

რა ძალა გვქონდა, შევჩერდით, ისიც კი ვიფიქრე, ვაითუ, ჩვენ გამო უბედურება მოხდესმეთქი.

ცოტა ხანში კიდეც წავიდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ფული წაუღიათ და იაპონური ტელევიზორიც თან გაუყოლებიათ.

ქალაქის გამგებლად ედიშერ ჩარგაზია, მილიციის უფროსად კუკური ადამია, კომენდატად ზაზა პაიჭაძე დანიშნეს.

8 ნოემბერი

მთელი დღე გადაუღებლად წვიმს...

სამსახურში ძველი გვარდიის რამდენიმე თანამშრომელი დამხვდა. მოსწავლეს ვინ გამოუშვებს?! შენობა დავათვალიერე, საშიში ვერაფერი შევნიშნე. თანამშრომლები დავამშვიდე და ვთხოვე, მეორე დღეს მოსულიყვნენ. უკან გამოვბრუნდი და შინ მიმავალმა რკინიგზის სადგურთან ე.წ. „ბაქოსთან“ 3 ტანკი დავითვალე. განათლების განყოფილებაში დირექტორებს გავესაუბრე და ერთმა ასე მითხრა: ჩემთან მოვიდნენ და, რომ გაიგეს მასწავლებელი ვიყავი, ერთი შეიკურთხეს: ოჰ, ეს მასწავლებლები რამდენი ყოფილანო.

პრეფექტურის შენობაში შევიარე. გამგებლის მისაღებში უამრავი ხალხი ირევა, არის აზრთა გაზიარება, საშინელი ხმაური და ამ დროს გამოდის კაბინეტიდან რ. N და გვაუწყებს გამგებლის ბრძანებას: წადით და იმუშავეთო!

ატყდა უკმაყოფილო ჩოჩქოლი და იქვე მდგარმა მოქალაქემ დაიჩივლა: „ბენზინი არ იშოვება, ტელეფონები არ მუშაობს, სახლში დატოვებულ ცოლ-შვილს, არ ვიცით, რა მოუვა, არ ვიცით, ვინ დაგვაყაჩაღებს, როგორ ვიმუშაოთ! ხომ არ სჯობდა, ჯერ წესრიგი დაგვემყარებინა?“ მავანმა კვერი დაუკრა.

რუსთაველის ქუჩაზე, ციხესთან, საშინელი სროლებია. ვხედავ, უცნობი მოქალაქეები მანქანიდან გადმოდიან. ისმის უწმაწური სიტყვები.

თბილისის ქუჩაზე „მხედრიონელები“ მიუცვივდნენ „ომონელებს“, რომლებიც უიარაღოდ მორიგეობდნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს.

– აქ რას დგახართო?!

თემურისა და გურამის ძმის მანქანები „06“ და „მოსკვიჩი“ წაიყვანეს. მოგვიანებით გურამის ძმამ კახეთში მიაგნო თავის „მოსკვიჩს“ და წამოიყვანა. წამყვანის დედა კი მეგრელი აღმოჩნდა.

შინ სასწრაფოდ დავბრუნდი და მეზობლებს ბეტონის ძელებით ქუჩის გადაკეტვაში მივეშველე... თან ვფიქრობ, უშველის კი ეს საქმეს?...

9 ნოემბერი

თითქოს ნაკლებად მესმის სროლები, დაძაბულობა და შიში კი არ კლებულობს. სამსახურში მიმავალმა რუსთაველის ქუჩაზე შეჯგუფებული ადამიანები შევნიშნე, რომლებიც დაზაფრულნი შეჰყურებენ კიროვის ქუჩისკენ მიმავალი მანქანების კოლონას, რომელსაც უკან თეთრი ფერის „ლინკოლნის“ მარკის მანქანა მიჰყვება, საჭეს 50 წელს მიტანებული, თეთრსახიანი, შემატებული ადამიანი მართავს. ცნობისმოყვარეობამ მძლია და მეც მივყევი. საკონსერვო ქარხანასთან გზა გადაკეტილი დამხვდა. საწინააღმდეგო მიმართულებით ტანკი მოგრუხუნებს, ზედ მხედრიონელები სხედან გამარჯვებული იერით, დამცინავად გადმოგვყურებენ.

ცნობისმოყვარე მოქალაქეებს შორის სკოლის დირექტორი „რ. შ.“ შეცბუნებული და გაოგნებული დგას და შველას ითხოვს. თურმე თავისი სახლის გვერდით მხედრიონელი მოუკლავთ და ახლა შურისმაძიებლები თავს ესხმიან იქვე მცხოვრებ მეზობლებს, რომლებიც სახლს იცავენ თავდასხმელების შემოტევისაგან და გზაც იმიტომ არის გადაკეტილი, რომ ხელი არავინ შეუშალოს „სადამსჯელო ოპერაციას“.

შორიდან ვხედავთ, როგორ იწვის სახლები, ირგვლივ წივილ-კივილი ისმის. „რ“ ძალიან წუხს. სახლში შვილი, მეუღლე და დედამთილი ეგულება.

აქვე ვგებულობ, რომ მოუკლავთ რუხის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ზაურ თოდუა (როგორც შემდეგ გაირკვა, გულმა უმტყუნა).

ჩვენ გვერდით დგანან პოლიციის ოფიცრები, რომლებიც ვერც ვერაფერს აკეთებენ და ერთმანეთში ჩუმად საუბრობენ. მათაც არ მოსწონთ ეს მდგომარეობა.

ამ დროს მათ მიუახლოვდა უცნობი, ჩვენებური იერის მამაკაცი და სთხოვა დახმარება. თურმე მე-9 სართულზე მოქალაქისათვის ბრმა ტყვიას ფეხი დაუზიანებია და სისხლისგან იცლებოდა. მოსული დაჭრილის სასწრაფოში წასაყვანად მანქანას ითხოვდა. პოლიციელებმა მისი თხოვნა კი მოისმინეს, მაგრამ ვერაფრით დაეხმარნენ. სასწრაფოს დავურეკეთ, მაგრამ არ პასუხობს, ჩვენ კი პოსტს ვერ მივატოვებთო.

დამაინტერესა მათმა ვინაობამ და გავესაუბრე: ტყიბულიდან ჩამოგვიყვანეს და გვითხრეს ბანდიტებია დასაჭერიო და...

დაახლოებით 1,5 საათის შემდეგ ტანკები, „ბმპ“ და მანქანები უკან გამობრუნდნენ. გზა გახსნილია, ყველას აინტერესებს, რა მოხდა.

გავემართეთ კიროვის ქუჩისკენ. ქუთაისკიროვის ქუჩის შესაყარზე მხედრიონელები ირევიან და არავის უშვებენ. ჩვენ გვაინტერესებს, ვისი სახლი იწვის. აღმოჩნდა, ის კარგი სახლი რ.შ-ს მეზობლისაა. ყველაზე მეტად წესრიგის „ვაი დამცველებს“ შორის სუსტი ტანის ქერა, საშუალო აღნაგობის ახალგაზრდა გაჰყვირის:

– გზები გახსენით, გაიტანეთ ბეტონის ძელები, თორემ წინ და უკან მდგარ სახლებს დავწვავთ.

– რატომ-მეთქი, – შევეპასუხე.

ავტომატი მომიღერა.

– ახლა არ დამიწყო... ასეა ეს!

ერთმა მოქალაქემ შეჰკადრა: – ხომ ვართ ჩვენც ქართველები და ...

– არ ვიცი მე მაგი. – იყო პასუხი.

იქიდან 18-19 წლის ხორბლისფერკანიანი ბიჭი ჩაგვერთო.

– მე აქ სამი ძმა მომიკლეს!...

ძლივს გამომიშვეს... მეგობარი სახლში

მივაცილე. უკან მობრუნებული იმ ახალგაზრდამ მიცნო და მკითხა:

– შენ ახლა იქით არ მიდიოდი?

– ჰო-მეთქი.

– ახლა სად მიდიხარ?!

– ახლა სამსახურში, – ვუპასუხე.

სამსახურში მისულს დარაჯმა ახალი ამბავი მაუწყა: უცნობები იყვნენ, მაგრამ არაფერი დაუშავებიათო.

მეზობლის მამის გასვენებას დავესწარი ნონეშვილის ქუჩაზე. „მხედრონელებს“ ფუთები, ჩანთები მოაქვთ. გულმა რეჩხი მიყო, ნაცნობი სახლის წინ ხდება ყველაფერი. დავინტერესდი სადაურები არიან. ვესაუბრები უცნობებს, რუსთაველები აღმოჩდნენ. პატრონი თვალით მანიშნებს, – წადი, მე მივხედავ ჩემს საქმესო.

ქუჩაში მორიგეობა დავაწესეთ. მეზობლებმა „მხედრიონელებში“ ბევრი ნაცნობი და მეზობელი რაიონის ბიჭები შეიცნეს.

10 ნოემბერი

11 საათზე ქალაქში გავედი, იქნებ ვინმე ნაცნობი მენახა, რომ ავტოსადგურის მხარეს სამძიმარზე წავსულვიყავით, მაგრამ ვერავინ ვიპოვე და 12 საათზე გზას გავუყევი. ყოფილ სამხედრო შტაბთან შინაგანი ჯარის თანამშრომლები გამვლელ-გამომვლელებს აჩერებდნენ და საბუთებს უსინჯავდნენ. ერთმა წვერგაუპარსავმა, ასე, 20 წლის წრიპა ბიჭმა პასპორტი მომთხოვა. აბა, ზუგდიდში პასპორტი როდის მიტარებია. არა მაქვს-მეთქი. მაშინ მან მეორე გვერდში მდგომს თვალით ანიშნა რაღაც. ვდგავარ და ველოდები, როდის გამიშვებენ, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. სხვა გამვლელებს უმოწმებენ საბუთებს და ხმამაღლა საუბრობენ. სადაური ხარო, – ეკითხებიან ერთ ახალგაზრდას, ის უწვდის პასპორტს და ეუბნება – გალელიო. მერე ამ „ბოზების“ ქალაქში რა გინდაო, – ეკითხება წრიპა. რას ჰქვია-მეთქი და ავფეთქდი. ახლავე ხმა ჩაიკმინდე, თორემ... და „წრიპამ“ ავტომატი მომიღერა. თავი ვერ დავიმორჩილე და გავიწიე. მერე აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი, მაგრამ, იქვე მდგარმა ბიჭებმა ქუჩის მეორე მხარეს რომ გადამიყვანეს, ეს კი მახსოვს. თურმე ჩემი მშველელი ჩემი ახლობელი როზა ჯიქია იყო.

იმ საღამოს გავიგე, რომ საკონსერვო ქარხანასთან „ომონელების“ „ვოლგა“ დაუყაჩაღებიათ. დამყაჩაღებლიდან ერთი გადარჩენილა და დაჭრილი, ცოცხალ-მკვდარი, ჩემს ნაცნობს სასწრაფომდე ზურგით უტარებია.

„ბიძია თომას ქოხში“ ციხის წინ მხედრიონელების სასადილოა, თუმცა ამ სასადილოში ბევრ ადგილობრივსაც ნახავ....

ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები ტელევიზიით აცხადებენ, იარაღი ჩაგვაბარეთო!

11 ნოემბერი

სროლების ინტესივობამ იკლო, ამ ბოლოს ღამე კარგად გვძინავს.

დილით მეზობელმა საშინელი ამბავი გვიამბო: ვიღაც N-ის სახლში შესულან, მანქანა მოუთხოვიათ, პატრონს უარი უთქვამს. ორმხრივი სროლა აუტეხავთ. მომხდურებს ხელყუმბარა აუფეთქებიათ და სახლი დაუწვავთ. სახლის პატრონისთვის ტყვია პირში დაუხლიათ.

დღეს ხობიდან მხედრიონელების მიერ წამებით მოკლული „კიროკი“ და „მედვედი“ ჩამოასვენეს.

ქალაქში კუნაპეტი ღამე დგას, სიმყუდროვეს მხოლოდ ტრასირებული ტყვიები არღვევენ.. რა იქნება ხვალ?

12 ნოემბერი

გადაუღებლად წვიმს. სიცივე ძვალ-რბილში ატანს.

საკოლმეურნეო ბაზარი გაიხსნა. სიგარეტის მწველები ბაზარს მიაწყდნენ. ფასმაც 20 000 კუპონს მიაღწია. თუმცა სიგარეტი არასაკმარისია და გამწარებული მწველები რიგს არ დაგიდევენ, მაგიდებსა და დახლებზე დარბიან და იტაცებენ...

ქალაქში ხმა გავრცელდა: შინაგანი ჯარის ნაწილებს შეტაკების არ ეშინიათ და უნდა გავიდნენო.

ვაანალიზებ ერთი კვირის ამბებს და ვფიქრობ: რა ხდება, რა დავაშავეთ, რა მოგველის, რას აკეთებს ხელისუფლება?!

არა მგონია, თუ კიდევ დარჩა შეძლებულთა სახლი ზუგდიდში, სადაც არ მივიდნენ, განურჩევლად პარტიულობისა თუ სხვა რამ განმასხვავებელი ნიშნისა, არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. არავინ არაფერს ამბობს, ისე ჩაილაპარაკებენ: „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო“.

ქუთაისის ქუჩაზე ცნობილი ინჟინრის, სახლთან მხედრიონელებს სატვირთო მანქანა მიუყენებიათ და სახლიდან გამოაქვთ, რაც მოეწონებათ. მძარცველებს შორის საუბრის კილოთი ხვდები, რომელი რაიონის მკვიდრია.

საზარელი ამბავი შევიტყვე სამსახურში: 7

ნოემბერს, ჩაის სუბტროპიკული ფილიალის უკანა ქუჩაზე, როცა მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა მიმდინარეობდა, თურმე შს მინისტრი კვირაია და ე. შევარდნაძე თანმხლებ პირებთან ერთად სადილად შესულან ნათესავის სახლში. იცოდა რა მოსახლეობამ მათი სტუმრობა, ყაჩაღების თავგასულობით შეწუხებულები მიუცვივდნენ სტუმრად მყოფთ და დაუწყეს ლანძღვა-გინება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ იძულებით გადაადგილებული ქალები. ერთმა კიდეც გაიწიაო შევარდნაძის საცემად. თურმე ქუჩის მთელი მოსახლეობა გარეთ იყო გამოსული. ქალებს უთქვამთ: თქვენი ხალხი გვძარცვავს, დაიჭირეთო! ე.წ. სტუმრებს უუარიათ, – ჩვენები არ არიანო! მაშინ დაიჭირეთო. ასეც მოხდა. ყველა დაუჭერიათ. ექვსი ახალგაზრდა აღმოჩნდა, სხვადასხვა რაიონის მოქალაქე...

იქვე თავდაღმა დაუწვენიათ და დაუცხრილავთ.

გაუგონარ, მსგავს სისასტიკეს მხოლოდ ფილმებში თუ ნახავდით.

ვის კისერზეა ეს ცოდვა?

შემდგომ ზემოთ აღნიშნული ფაქტი ტელევიზიამ რამდენიმეჯერ აჩვენა, გაზეთებში არაერთგზის დაფიქსირდა.

13 ნოემბერი

ამინდი კვლავ ჭირვეულობს, ცივა. სახლში უსაქმოდ ყოფნას ქალაქში გასვლა ვარჩიე.

რედაქციის წინ გაზეთის თანამშრომელი „ჯ“ ვნახე, რომელმაც მითხრა, რომ რესპუბლიკის პროკურატურა გაზეთ „აღდგომის“ რედკოლეგიის წევრებსა და გამომცემლებს ეძებსო.

ფოსტის შენობაში სამხედროები მოკალათდნენ, ალბათ, მათი დამსახურებაა, რომ გაზეთები ჩამოიტანეს.

ჩვენს ქუჩაზე „მხედრიონელები“ შემოსულან, მაგრამ ბიჭებს „შეპირებით“ გაუბრუნებიათ.

ტელევიზიით აცხადებენ, რომ სამთავრობო ჯარის ნაწილები ჯვარში არიან და მოსახლეობას იარაღის ჩაბარებას სთხოვენო.

ყველა ბუზღუნებს, მობეზრდა ხალხს ამდენი გაუთავებელი აყალმაყალი, იარაღის უმისამართო ჟღარუნი, რასაც ბოლო არ უჩანს და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს „ავღანურ სინდრომად იქცეს.

მეზობლის ქალი დაუჯერებელ ამბავს ჰყვება: მაცხოვრის კარის მახლობელ ქუჩაზე გასვენებაში მყოფი ხალხი დაურბევიათ, შემდეგ გარდაცვლილის (ყოფილი პედაგოგის) კუბო გამოუტანიათ, ჩვენი მკვდრის ჩასასვენებლად გვინდაო. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ქალი ამტკიცებს, სწორედ ასე იყოო!

14 ნოემბერი

თითქოს გამოიდარა, თუმცა მზეს ძალა მაინც არა აქვს.

ქუჩაში შეჯგუფებული მეზობლები გასული ღამის მოვლენებს იხსენებენ, აზრს უზიარებენ ერთმანეთს.

შუადღისას ქუჩა მხედრიონელებს დაუთვალიერებიათ. მოუკითხავთ ზოგიერთი მეზობელი და წასულან. ბიჭებმა ვიზიტორებზე ათასი ვერსია გამოთქვეს.

15 ნოემბერი

მშობლებს აინტერესებთ, სწავლა როდის დაიწყება. სკოლაში მშობლები და მოსწავლეები კანტიკუნტად მოდიან.

განათლების განყოფილებაში უთქვამთ, რომ სწავლა 22 ნოემბერს დაიწყება.

ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ მუხურში, ჯვარსა და წალენჯიხაში შეტაკების დროს ბევრი დაიჭრა.

სამსახურში თანამშრომლები შეგროვდნენ, მაგრამ რა გინდა, შეუტიეს ერთმანეთს: შენ „ამისელი“ ხარ, შენ კი „ამისელიო“.

საზღვარი ენგურზე დაუცველია. აფხაზები ენგურს გამოღმა სოფელ რიყეში მოსახლეობას საქონელსა და სიმინდს ართმევენ. ვინაა გამკითხავი?!

ყველაზე დიდი დანაკლისი სოფელ დარჩელის მოსახლეობამ განიცადა. თურმე საღამოს „მარადიორი“ „მხედრიონელებისთვის“, რომლებმაც ორულუს მოსახლეობა გაძარცვეს, დაზარებულებს დარჩელში მიუსწრიათ, სროლის დროს ორი მხედრიონელი მოუკლავთ, 4 დაუჭრიათ, ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი შესცოდებიათ და გაუშვიათ. სწორედ მან ჩამოიყვანა „ალიხანოვის“ რაზმი: 26 ავტომანქანა, 2 ტანკი, მთელი ღამის განმავლობაში არბევდნენ და აწიოკებდნენ უდანაშაულო მოსახლეობას.

გადაწვეს 26 ოჯახი. დაბმული საქონელი არავის მოახსნევინეს და ცოცხლად დაწვეს.

კამეჩის ზმუილი და ძროხის ბღავილი რამდენიმე კილომეტრზე ისმოდაო.

ისიც ითქვა, რომ განსაკუთრებით აქტიურობდაო ერთი ქალი (პატივცემულ მკითხველს ალბათ ახსოვს ეს „უხსენებელი“ დიაცი –

დოდო გუგეშაშვილი ტელევიზორში, როცა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა).

ტელევიზიით ითქვა: „ზვიადისტები“, რომლებიც ქართულად საუბრობდნენ, თავს დაესხნენ იარაღის ამოსაღებად ჩასულ მხედრიონელებსო.

ვაი, სირცხვილო!

16 ნოემბერი

ამინდის გამოდარებას საშველი არ დაადგა. ახალი ხელისუფლება ხსნის ძველს, ინიშნებიან „ძველი ახლები“. სამმართველოში მოსალოდნელია ცვლილებები.

ქალაქში მხოლოდ მხედრიონელების მანქანები მოძრაობენ.

17-18 ნოემბერი

ორი დღეა გადაუღებლად წვიმს.

ყველას მხედრიონელების წასვლა-არწასვლა აინტერესებს. ითქვა, რომ გია გულუას და გენერალ ჩიქოვანის 300 კაციანი ნაწილია ჩამოყვანილი (ეს ფაქტი შემდგომ არ დადასტურდა).

ზაურ თოდუას გასვენებაზე წავედით, ფეხით 7 კილომეტრი ვიარეთ.

დღეს თურმე ჯაბას შოუს დადგმა მოუნდომებიათ. უნდოდათ, საქართველოს მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, რომ ჯაბას წასვლა არ უნდოდათ ზუგდიდელებს. მაგრამ მას არავინ შეხვდა, ცენტრალური მოედნიდან შაუმიანის ქუჩაზე გადასულა. იქიდანაც ქალებს წივილ-კივილით გაუგდიათ. ის კი თურმე იხტიბარს არ იტეხდა და უთქვამს: „შევარდნაძისა და გამსახურდიას გულისთვის რაზე ვხოცოთ ერთმანეთიო“.

ფოსტის წინ რადიო მაღალ ხმაზე კლასიკური მუსიკის ჰანგებით გვატკბობს. მეორე მსოფლიო ომის შესახებ გადაღებული ფილმებიდან მახსოვს ასეთი რადიო-რეპროდუქტორი.

19 ნოემბერი

„მხედრიონელები“ 18 ნოემბერს, ღამით, „უმუსიკოდ“ გაუყვანიათ.

ქალაქი თითქოს დაწყნარდა, თუმცა სროლები მაინც ისმის.

12 საათზე პრეფექტურის წინ „იკარუსებში“ უხმაუროდ სხდებიან დარჩენილი „დაუპატიჟებელი სტუმრები“. „პარადს“ შს მინისტრის მოადგილე უძღვება.

დღეს, 19 ნოემბერს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ (N249) გამოქვეყნდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ალ. ჩიკვაიძესთან ინტერვიუ: დსთ-ში („სნგ“) შესვლას ხელი მოაწერეს.

ქალაქის მოსახლეობა ახალი საშიშროების წინაშეა. ტელევიზიით გაიჟღერა, რომ ზუგდიდი საზღვრისპირა რაიონია და შეიძლება დაიბომბოსო. ყველა გაიძახის, ბავშვები გასაყვანიაო.

სახლში პასპორტი და ინსტიტუტის დიპლომი მოვიძიე, თან იმაზე ვფიქრობდი, ვინ იცის, რაში დამჭირდება... ან სხვა რა ექსცესებს უნდა ველოდო-მეთქი.

კონსტანტინე (კოტე) ჭილაია,
პედაგოგი, ისტორიკოსი,
ჟურნალისტი

სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორიიდან

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

რუსეთის საიმპერატორო კარს გააზრებული ჰქონდა, რომ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში სარკინიგზო მშენებლობით მოხდებოდა ამ მხარის გარდაქმნა ყველა მიმართულებით. იგი განსაკუთრებით მომგებიანი იქნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა, კერძოდ, კომერციული თვალსაზრისით, თვით რუსეთისთვისაც, საიდანაც შემოდიოდა საქონელი. საქართველო იმპერიისთვის წარმოადგენდა საქონლის გასაღების ბაზარსა და ნედლეულის წყაროს. ამასთანავე, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, შავი ზღვისაკენ მიმავალ გზას რუსეთისთვის ეკონომიკურთან ერთად განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან თურქეთის პირველი შემოტევა სწორედ ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი აღნიშნავდა, რომ ,,ყოველი გზის მნიშვნელობა და განსაკუთრებით რკინიგზისა, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთზე დაშორებულ მცხოვრებლებს გაუადვილოს მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, განაღვიძოს ვაჭრობა და ერთი სიტყვით შეუმსუბუქოს მათ ყოველგვარი კავშირი“ (გაზ. „დროება“, N40, 1872).

ცნობილია, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა (საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85). ის იყო მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, რამაც ბიძგი მისცა საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანას, ხიდების მშენებლობას, ახალი სამრეწველო-სავაჭრო პუნქტებისა და ქალაქების (სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნას და მათ ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას (საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92). ახლად წარმოქმნილ პუნქტებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის მეტად გავრცელებას (საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106).

ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანა ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნასთან ერთად ძველ და უკვე არსებულ ქალაქებზეც ახდენდა გავლენას. მ. ნიკოლეიშვილის შეფასებით, ,,იწყება ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი იწყებენ გარდაქმნას ბურჟუაზიულ ქალაქებად, მაგრამ ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა ქალაქისათვის. ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ხსენებული რკინიგზის ხაზის გარეთ დარჩა, დაქვეითებას იწყებს და თანდათან ჰქრებიან ასპარეზიდან. ისინი ადგილს უთმობენ ახლად წარმოქმნილ ქალაქებს, მაგრამ ამ პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. იწყება მათ შორის მეტოქეობა-დაპირისპირება“ (მ. ნიკოლეიშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, გვ. 39-40).

სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ისტორია XIX ს-ის რეფორმის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ეს საკითხი დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიის ჭრილში საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიხეილ ნიკოლეიშვილს თავის სადოქტორო დისერტაციაში (1994 წ.), რასაც არსებითად ეფუძნება ჩვენი ნაშრომი.

ბანძა, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-



ნიკო ნიკოლაძე
1843-1928 წწ

სერგეი მესხი
1845-1883 წწ

ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის შემდგომ გარდაქმნასა და ზრდა-განვითარებაზე. დაქვეითდა სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება, რამაც ღრმა დაღი დაასვა მის სოციალურ-ეკონომიკურ დაწინაურებას. როგორც ირკვევა, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ცნობილ მწიგნობარსა და უანგარო ეროვნულ მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძეს (1854-1931 წწ.), რომელიც 1904 წელს გამოცემულ წიგნში („ქართველი ებრაელები საქართველოში“) აღნიშნავდა: „ბანძაში ებრაელნი არიან ნიჭით ისეთნივე, როგორც თვით ბანძელი ქრისტიანები. როცა ბანძას რკინისგზა ასცდა, მას შემდეგ ბანძის საქმეც ცუდათ წავიდა, იგი დავარდა თითქმის და დაკლება იწყო“ (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში (მეორე გამოცემა), გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ვახტანგ ჩიქოვანმა, თბ., 1990, გვ. 66).

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ბანძაში გაყვანას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქ ქუთაისში სარკინიგზო მშენებლობის დაწყების საკითხის დასმას და მის განხორციელებაზე ზრუნვას. დიდი მცდელობის მიუხედავად, – აღნიშნავს მ. ნიკოლეიშვილი, – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ქუთაისი მაინც დარჩა რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რასაც, ალბათ, ის გარემოება განაპირობებდა, რომ პირვანდელი პროექტი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სწორედ ქუთაისში გაყვანას ითვალისწინებდა (მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41). სხვადასხვა მიზეზის გამო ამ პროექტის შეცვლით ქუთაისს ასცდა რკინიგზის მთავარი ხაზი, რაც ქალაქს ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებით ემუქრებოდა. ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწე – ნიკო ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული ის სავალალო შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა ურკინიგზოდ საქართველოს მეორე ქალაქის დატოვებას. 1869 წელს „პეტერბურგის უწყებებში“ იგი აქვეყნებს სპეციალურ წერილს და მოითხოვს, რომ სარკინიგზო მაგისტრალს გაევლო მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში: ფოთიდან ძველი სენაკის, ბანძის, ხონის, ქუთაისის, გოდოგან-სიმონეთის გავლით – ყვირილამდე (ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 31/17-24; გაზ. „იმერეთი“, N150, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 42-43).

ნიკო ნიკოლაძის აღნიშნული წერილი არის პირველი ჩვენთვის ცნობილ პუბლიკაციებს შორის, სადაც საუბარია რკინიგზის ხაზის სოფელ ბანძაში გაყვანის აუცილებლობაზე; თუმცა ეს მოთხოვნა მაშინ არ დაკმაყოფილდა. ნაკლებად დასახლებულ და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე დასახლებულ პუნქტებში რკინიგზის ხაზის გაყვანამ უარყოფითად იმოქმედა სწორედ ძველ სენაკზე, ბანძაზე, ხონსა და ქუთაისზე.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე

ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, – ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მაღაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აქციონერების ირგვლივ...“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 559). ქუთაისის ეკონომიკური მნიშნელობის დაქვეითების ნიკოლაძისეული დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი-თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. როდესაც აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება, ეს პუნქტები ბანძის სერიოზული კონკურენტები შეიქნა. ძველი სენაკის ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტკალეს (ყულევს) – ფოთი და ა. შ.

რეფორმის შემდგომი პერიოდის დასავლეთ საქართველოში ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის დაწყებული მეტოქეობის, ახლად წარმოქმნილ და „ძველ“ ქალაქებს შორის შექმნილი დამოკიდებულების საერთო სურათი ნათლად არის ნაჩვენები 1888 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, სადაც ვკითხულობთ: „დაუწყნარებელი ბრძოლა დაიწყო მას აქეთ, რაც ფოთი-თბილისის რკინიგზა გაიყვანეს... ამ გზაზე რკინიგზის მმართველობამ განზრახ შეცდომით, თუ სხვა მიზეზით გვერდი აუქცია რიონის ხეობაზე გამწკრივებულ დაბა-ქალაქებს: რვა ვერსზე მიატოვა ქუთაისი, ოთხ ამდენ მანძილზე ხონი, სამს ვერსზე სუჯუნა და აგრეთვე ძველი სენაკი. გზის ასეთმა მიმართულებამ კინაღამ სული ამოართვა ქუთაისს. ხონს მოაკლო ის, რასაც შესძენდა, შიგ რომ გაევლო რკინიგზას. დაეცა ძველი სენაკი და ორპირი, რის შედეგად გაიზარდა სამტრედია, აბაშა, ახალი სენაკი, ფოთი“ (გაზ. „ივერია“, N159, 1888). წერილის ავტორი გულისტკივილით დასძენს, რომ ამ ქალაქებს, რომელთა კეთილდღეობაც დამოკიდებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობაზე, მოაკლდათ ის, რაც ახლებს მიემატათ, რადგან გზას მგზავრი უნდა მოჰყოლოდა, მგზავრს ვაჭრობა, ვაჭრობას ხალხი, მერე სკოლა, სასამართლოები, აფთიაქები და ამ დაწესებულებათა მოსამსახურენი. ძველი სენაკის, მარტვილისა და სუჯუნის მესვეურები მაინც იმედოვნებდნენ წარსული დიდების დაბრუნებას (იქვე). რკინიგზის მაგისტრალის ქუთაისიდან პირდაპირ ხონში და აქედან ძველ სენაკში გავლით ხონი ერთიორად გაიზრდებოდა, რომელსაც ლეჩხუმისა და ცხენისწყლისპირას მდებარე იმერეთ-სამეგრელოს მოსახლეობა მოაწყდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი მლოცველი და მნახველი მოუვიდოდა მარტვილს, აუარებელ მგზავრს მიიღებდა ნაქალაქევის მადნეული წყლები, რომელიც ქვემო იმერეთის ესენდუკი გახდებოდა. სენაკის მაზრის სიმინდი სულ ძველ სენაკს მოაწყდებოდა, მაგრამ, რადგან ეს ასე არ მოხდა, ხსენებული დაბა-ქალაქები ერთიმეორეს გადაემტერა (გაზ. „ივერია“; იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120-121).

ამიერკავკასიის რკინიგზის ახალი მიმართულებით გაყვანის საკითხი დღის წესრიგში მოგვიანებითაც დადგა. კერძოდ, 1911 წლის 19 თებერვალს ქუთაისის ქალაქის თავი ი. ჩიქოვანი გზათა მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში ითხოვდა შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდიდან ქუთაისის მიმართულებით გაყვანას. მოხსენებით ბარათში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ქუთაისის თვითმმართველობის აზრი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების შესახებ. აგვისტოს მეორე ნახევარში ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქის თავმა მეფისნაცვლის მოადგილეს, სენატორ ვაცეტს გადასცა ვრცელი მოხსენებითი ბარათი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების პროექტის ესკიზთან ერთად. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა შავი ზღვის რკინიგზის ახალი ხაზის გაყვანას სადგურ რიონიდან, რიონის ხიდისა და მდინარის მარჯვენა ნაპირის გავლით, 7 ვერსის შემდეგ გზა შედიოდა ქუთაისში, ხოლო აქედან გზა მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მე-11 ვერსზე გზა კვეთდა მდ. წყალტუბოს, გაივლიდა სოფ. წყალტუბოში, შემდეგ გზა კვეთდა მდინარეებს – გუბისწყალს და ზემო კუხს. გაივლიდა სოფლებს – კუხს, ივანდიდს, ქარჩხაბს, ხონს, საწულუკიძეოს, ნახახულევს, მათხოჯსა და კონტუათს. 31-ე ვერსზე გზას უნდა გადაეკვეთა მდ. ცხენისწყალი, შემდეგ მდ. ნოღელა, გაევლო სოფლები — ლეციცხვაიე, ნაგვაზაო, მარტვილი, ლეხაინდრაო, ნოჯიხევი, ურიაკარი (ასე ერქვა ბანძის ცენტრალურ უბანს, სადაც ებრაელები სახლობდნენ — ი. კ.) და სხვ. მე-

40 ვერსზე გზა გადიოდა მთაგორიან ადგილებზე (ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 4025, ფურც. 5-7; გაზ. „კოლხიდა“, 27 აგვისტო, N122, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70). ქუთაისის ქალაქის თავის მოხსენებითი ბარათის პასუხად გზა-თა მინისტრი იტყობინებოდა, რომ ი. ჩიქოვანის შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდებოდა რამდე-ნიმე გარემოების გამო. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისზე გაყვანით განსახორციელებელი ფართო მასშტაბის სამუშაოები დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, გზათა სამინისტროს კი ამ მიზნით თანხების გამოყოფა ეძნელებოდა. ამასთანავე, მართალია, ახალი მიმართულებით რკინიგზის სიგრძე 19 ვერსით მცირდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, 46 ვერსით მატულობდა ახლად გასაყვანი გზის სიგრძე. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ამ გზას მთაგორიან ადგილებზე უნდა გაევლო, რაც გვირაბების გათხრას საჭიროებდა (მ. ნიკოლეიშვილი, გვ. 72).

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ჩემ მიერ ჩაწერილი გადმოცემაც: ბანძა-ში რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის პროექტს სოფლის საზოგადოების არისტოკრატიულმა ნაწილმა – თავადმა ფაღავებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან რკინიგზის ხაზს მათ მამულებ-ზე უნდა გაევლო. ცხადია, ფაღავების ასეთი პოზიცია ხელს უშლიდა დასახელებული პროექტის განხორციელებას. ფაღავები ფიქრობდნენ, რომ რკინიგზის ხაზის გაყვანით ისინი მიწის გარკვე-ულ ნაწილს დაკარგავდნენ. ამასთანავე, მათი აზრით, რკინიგზა ხელს შეუწყობდა ბანძასა და მომიჯნავე სოფლებში საქონლის ქურდების მომრავლებას, რომლის ნაკლებობასაც სოფელი არც მანამდე უჩიოდა (მთხრობელი ხუტა დავითის ძე კოკაია. ჩემი მასალებიდან, საველე დღიური N2. გადმოცემა ჩაწერილია 1999 წელს სოფ. ბანძაში).

ასე ჩავარდა შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების გაყვანის პროექტი XX ს-ის ათიან წლებში. პროექტის განხორციელებას არც შემდგომ ეწერა ბედი, რადგან სულ მალე, 1914 წელს, იფეთქა მსოფლიო ომმა, ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვია და რკინიგზის ხაზის გაყვანაზე ფიქრისთვის არავის ეცალა.

წალენჯიხა 1924 წლის აჯანყების დროს

ლევან ჯიქია,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ქართველმა ხალხმა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული 117 წლიანი ბრძოლა წარმატებით დააგვირგვინა და 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ახლადშობილი სახელმწიფო თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ჩრდილოელ მეზობელთან, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას მიიჩნევდა. ამ მიზნით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები არ მოერიდნენ გარკვეული მსხვერპლის გაღებას რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის „დე იურე“ და „დე ფაქტო“ აღიარების სანაცვლოდ (საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და მისი „საიდუმლო დამატება“). მაგრამ მალე დადასტურდა, რომ ეს რუსეთის მხრიდან მხოლოდ დროებითი მანევრი იყო. სამოქალაქო ომის დასრულებისა და უცხოელ ინტერვენტთა მოგერიების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა გეზი საქართველოს დაპყრობაზე აიღო. ცხადია, ძალები აშკარად უთანაბრო იყო. 1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ კრემლში ლენინსა და სტალინს უდეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო, მაგრამ კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია. ე.ი. ბრძოლა გრძელდებოდა...

საქართველოს მთავრობად გამოცხადებულმა რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა) თავისი ნამდვილი სახე მალევე გამოაჩინა. რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დადგენილების საფუძველზე შექმნილი „საგანგებო-საგამომძიებლო კომისიით“ ფაქტობრივად დაიწყო ეროვნული ძალებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა[2].

სტარტი აიღო მასობრივი დაპატიმრებების სერიამ... პატიმრების „გატეხვა“ არაადამიანური მეთოდებით ხდებოდა.

ბოლშევიკების მთავარი სამიზნე ასევე გახდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესია-მონასტრების დახურვა-გადაკეთებაში ცალკეული სოფლებისა თუ თემების ბოლშევიკი ხელმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. შედეგად დაუხურავი საკულტო ნაგებობა აღარ დარჩენილა საქართველოში (ზუგდიდის მაზრაში 75 ეკლესია-მონასტერი დაიკეტა).[3] ამ პროცესს თან ახლდა სასულიერო პირთა შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება.

ეკლესია-მონასტრების უმეტესობა „გადააკეთეს კლუბებად, სკოლებად, თეატრებად, ფერმებად, თავლებად, აბანოებად, საწყობებად...

ანტირელიგიური კამპანია ბოლშევიკებმა სასულიერო წოდებისთვის ხმის უფლების ჩამორთმევით დააგვირგვინეს (ხმის უფლება ასევე ჩამოერთვათ ვაჭრებს, ყოფილ პოლიციელებს და სხვ.)“.[4] მძიმე მდგომარეობაში მოექცნენ ე.წ. თავადაზნაურობის წარმომადგენლები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება უნდობლად უყურებდა. კერძო საკუთრების გაუქმება პირდაპირ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, რის შემდეგაც მათ მიწებისა თუ ტყის უზარმაზარი მასივები ჩამოართვეს (მიწების ჩამორთმევა ასევე შეეხო გლეხებს).

უკეთეს მდგომარეობაში არც გლეხობა იმყოფებოდა, რომელიც წელში იყო გატეხილი უშველებელი გადასახადებით. გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლის შემდეგ[5]. მიუხედავად ყველა გატარებული

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 17.
2. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 19.
3. გივი როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, გვ. 29.
4. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 93.
5. გაზ. „მიწის მუშა“, 1924, №339, გვ. 1.

გოგიტა ფაღავა
1985-1924 წწ

კონსტანტინე
ანდრონიკაშვილი
1876-1937 წწ.

გიორგი
წინამძღვრიშვილი
1985-1924 წწ.

სპირიდონ ჭავჭანიძე
1985-1924 წწ.

ვალიკო ჯუღელი
1887-1924 წწ.

ღონისძიებისა, დამპყრობლებმა ქართველი ხალხის საბრძოლო სულისკვეთება ვერ ჩაკლეს. თებერვალ-მარტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა (სვანეთში, ხევსურეთში და სხვაგან). პარალელურად ემიგრანტული მთავრობა კანონიერების აღდგენას საერთაშორისო არენაზე ცდილობდა, თუმცა აჯანყების იდეას არ უარყოფდა. ამის დადასტურებას წარმოადგენდა 1921 წლის 3 ნოემბერს პარიზში სამხედრო კომისიის შექმნა, რომელსაც ევალებოდა აჯანყებისათვის პრაქტიკული მუშაობა.

საქართველოსა და კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელობამ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ჯერ კიდევ 1921 წლის 10 ივნისს პარიზში ხელი მოაწერა შეთანხმებას კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, ეს მაშინვე აცნობეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბრიანს. ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში საუბარი იყო კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებსა და იმ სარგებლობაზე, რომელიც ექნებოდა საფრანგეთს კავკასიაში აქ ნაციონალური მთავრობის აღდგენის შემდეგ[6].

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა ნავთობკომპანიასთან და ცდილობდა მათი მხარდაჭერის მოპოვებას. განსაკუთრებული დაინტერესება გამოთქვა დიდი ბრიტანეთის სანავთობე ფირმა „შელიმ“, რომელიც მზად იყო „დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსაკენ“[7].

ემიგრანტული მთავრობის მიერ აჯანყების იდეის პროპაგანდა შემდეგი გარემოებითაც იყო შეპირობებული: 1922 წელს რაპალოში რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიას ეხსნებოდა რუსეთის ბაზარი. ამას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების გაღიზიანება. მართლაც, 1924 წლის 1 თებერვალს საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ინგლისის მთავრობის ოფიციალური ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი დე იურე ცნობდა საბჭოთა კავშირის მთავრობას „ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც ცნობენ მის ხელისუფლებას“. ე.ი. საჭირო იყო მოსკოვის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება, რაც ემიგრანტულ მთავრობას გაუადვილებდა დიპლომატიურ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად[8].

აჯანყებისათვის გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოშიც. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში აჯანყებისათვის საჭირო არმია დიდი ხანია არსებობდა. ყველა სოციალური ფენა თუ კლასი უკმაყოფილო იყო არსებული რეჟიმით.

იმავდროულად თანდათანობით იკვეთებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაახლოების ტენდენცია. 1922 წლის აპრილ-მაისში დაედო სათავე ინტერპარტიულ (ზეპარტიულ) ორგანოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ (დამკომი), იგივე „პარიტეტულ კომიტეტს“. დამკომში პარიტეტულ საწყისებზე გაერთიანდა საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები და „სხიველები“ (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). დამკომის პირველი თავმჯდომარე იყო ჯერ გოგიტა ფაღავა, შემდეგ – ნიკოლოზ

6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 190.
7. კობა წენგუაშვილი, ლ. ტროცკი ქართველი მენშევიკების შესახებ, ჟ. „ანალები“, №2, 2000 წ., გვ. 93..
8. ქართული დიპლომატიის ისტორია, როინ მეტრეველის რედაქტორობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წ., გვ. 606-607.

ქარცივაძე, ბოლოს – კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.

დამკომმა შექმნა საფინანსო, სარედაქციო, წითელი ჯვრისა და სხვა კომისიები. დამკომს დაემორჩილა უფრო ადრე ფორმირებული სამხედრო ცენტრი, რომელსაც აჯანყების უშუალო მომზადება დაევალა.

აჯანყების თარიღის განსაზღვრა მთავარსარდლის კომპეტენციას შეადგენდა. მთავარსარდლად დაინიშნა სპირიდონ ჭავჭავაძე. დამკომმა მთელი საქართველო დაყო სამოქმედო ზონებად, განახორციელა საოლქო, სამაზრო პარიტეტული კომიტეტების შექმნა, რომლის სათავეში ხალხში პოპულარული და ენერგიული პირები ჩააყენა.

აჯანყების თარიღმა რამდენიმეჯერ გადაიწია (1924 წლის თებერვალი, 1924 წლის 17 აგვისტო), რაც განპირობებული იყო ჩეკას მიერ აჯანყების ხელმძღვანელი პირების (გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი, ნაპოლეონ კახიანი, ვალიკო ჯუღელი და სხვ.) დაპატიმრებით.

ბოლოს დამკომმა აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს ღამის 2 საათისთვის დანიშნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამეგრელოში აჯანყებისთვის პრაქტიკული მუშაობა 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი რეგიონული (სამეგრელოს) სამხედრო შტაბის შექმნა იყო. სამხედრო შტაბში დამკომმა შემდეგი პირები შეიყვანა: „გენერალი თოფურია – მთავარ ხელმძღვანელად, პოლკოვნიკი კოდუა შტაბის უფროსად, გენერალი ჯიჯიხია – ზურგის უფროსად, დავით მხეიძე – სამხედრო კავალერიის უფროსად“[9]. სამხედრო შტაბს, თავის მხრივ, უნდა მოეხდინა სამაზრო შტაბების ფორმირება სენაკში, ზუგდიდში, სამურზაყანოსა და ფოთში. „სამაზრო შტაბების შექმნა უნდა მომხდარიყო ყველა ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების თანხმობით და მონაწილეობით“[10], მაგრამ რეგიონული სამხედრო შტაბი და შესაბამისად სამაზრო შტაბები არ ფუნქციონირებდნენ. ამიტომაც დამკომმა სამხედრო შტაბის უკეთ ორგანიზებისა და რეგიონალური პარიტეტული კომიტეტის შესაქმნელად მალევე მიავლინა სამეგრელოში ეროვნულ-დემოკრატი აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი (ზოგიერთ დოკუმენტში ის კალანდარაშვილად მოიხსენიება — ლ.ჯ.). კალანდარიშვილმა თავის უფროს ძმა შალვასთან ერთად (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული სამეგრელოში), მიზანშეწონილად ცნო მენშევიკური პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ვანო ესვანჯიასთან დაკავშირება (სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ პარტიად რჩებოდა მენშევიკური პარტია, რომელსაც სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში ჰქონდა თავისი კომიტეტი).

ძმებმა კალანდარიშვილებმა და ვანო ესვანჯიამ, უწინარეს ყოვლისა, მიზნად დაისახეს რეგიონული სამხედრო შტაბის შეკრება, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მათ ვერ იპოვეს გენერალი თოფურია. პოლკოვნიკ კოდუასთან დაკავშირება შესაძლებელი გახდა ოფიცერ სპირიდონ სულუხიას მეშვეობით. კოდუას აჯანყებაში მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილად მიაჩნდა, ოღონდ რეალური საგარეო ძალების დახმარების პირობებში. ყველა სხვა შემთხვევაში, მისი აზრით, აჯანყება თავიდანვე განწირული იყო. რაც შეეხება გენერალ ჯიჯიხიას, ის „ჩეკა-მ“ დააპატიმრა და, გამომდინარე აქედან, ვერც მისი ნახვა მოხერხდა.

ერთადერთი პიროვნება, რომელიც მზად იყო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, იყო ოფიცერი დავით მხეიძე. ამიტომაც კალანდარიშვილებმა და ესვანჯიამ ის რეგიონალურ სამხედრო შტაბს ჩაუყენეს

ხარიტონ ლაშხია



ლავრენტი (ვანო) ესვანჯია



იოსებ კვარაცხელია



შალვა თვალთვაძე

დანიელ ფიფია
1896-1924 წწ

9. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი (შემდეგში სსუსა), სისხლის სამართლის საქმე №24235-61, ფ. 28-34.
10. იქვე, ფ. 28-34.

დიმიტრი თოფურია
1861-1934 წწ.



პავლე აკობია

არტემ ჯიჯიხია
1874-1938 წწ.

დათიკო მხეიძე
(მარცხ. დგას)
24 წელს სამეგრელოს
აჯანყების მეთაური
(ჩამუხლულია)
დურუბია მხეიძე

სათავეში. შტაბში ასევე შეყვანილი იქნენ: ხარიტონ ლაშხია, აქვსენტი შალამბერიძე და სპირიდონ სულუხია[11].

ამის შემდეგ ზემოდასახელებული პირების მთავარი საზრუნავი რეგიონული პარიტეტული კომიტეტის ფორმირება იყო. პარიტეტი შემდეგი შემადგენლობით შედგა: მენშევიკური პარტიიდან მასში შევიდნენ ვანო ესვანჯია და თედო ესართია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – შალვა კალანდარიშვილი და შალვა თვალთვაძე. სამეგრელოს პარიტეტული კომიტეტი იმავე დროს იყო სენაკის მაზრის პარიტეტული კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობდა ზუგდიდის მაზრის პარიტეტულ კომიტეტს[12].

სენაკის მაზრის პარიტეტულმა კომიტეტმა აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველსაყოფად რაიონებში (მაზრის მასშტაბით) მიავლინა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები.

სამეგრელოს სოფლებს მოედვნენ აგიტატორები, რომლებიც ცდილობდნენ მოძრაობაში მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩაბმას.

მათი მთავარი თემა იყო დამოუკიდებლობის საკითხი და რელიგიის დაბეჩავებული მდგომარეობა ქვეყანაში.

ზუგდიდის მაზრაში პარიტეტული კომიტეტის შესაქმნელად და ასევე შემდგომში მასზე მუდმივი მეთვალყურეობისთვის სენაკის მაზრის პარიტეტულმა კომიტეტმა ზუგდიდში მიავლინა ეროვნულ-დემოკრატი შალვა თვალთვაძე (ის ადრე ბათუმში მუშაობდა არალეგალურად, მაგრამ ბათუმის ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ სამეგრელოში გადასვლა არჩია)[13].

შალვა თვალთვაძემ ზუგდიდში ჩასვლისთანავე, დაუკავშირდა რა არალეგალურად მომუშავე პირებს, წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და განახორციელა პარიტეტი.

წალენჯიხის რაიონში მენშევიკური პარტიის რაიონული კომიტეტის (რაიკომიტეტი) წევრები იყვნენ იოსებ კვარაცხელია, აკაკი კვარაცხელია (იოსების ძმა) და იოსებ მიქაია. რაიონში სამხედრო ხელმძღვანელის ფუნქციას რაიკომიტეტის წევრი იოსებ კვარაცხელია ასრულებდა[14].

ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ გაზეთს „ერთობა ჩვენი“, პროკლამაციებსა და სათანადო დირექტივებს კი ძმები კვარაცხელიები უშუალოდ კანდია ხუბულავასგან ღებულობდნენ[15].

წალენჯიხის ერთ-ერთი უჯრედის ხელმძღვანელი იყო დანიელ ფიფია. მასთან გაწევრიანებული იყო 15 კაცი: თეოდორე ფიფია, პეტრე კაკაჩია, ანტონ კაკაჩია, დავით კაკაჩია, ანტონ კონჯარია, ძიკი გიგიბერია, ფარნა კაკაჩია, ძიკი კონჯარია და სხვ.

ფიფიას დაპატიმრების შემდეგ უჯრედს სათავეში ჩაუდგა თეოდორე ფიფია. მისი ხელმძღვანელობისას უჯრედში მოვიდნენ ახალი წევრები: მიხეილ ფიფია, რაჟდენ შენგელია, ისაკ ფიფია, ლევან მესხია, პეტია ჭონჭია და იასონ სონგულია[16].

ლიის რაიონში (ამჟამად სოფელი წალენჯიხის რაიონში) აჯანყების სათავეში იდგნენ ალექსანდრე ბერიშვილი (მასწავლებელი, მცხოვრები ს. ლიაში), ტარას ბერიშვილი, ტრიფონ ბერიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), სოლომონ გეთია (ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი მღვდელი), შალვა დადიანი (ეროვნულ-დემოკრატი, მცხოვრები ს. ჯვარში), კოწო დადიანი (ეროვნულ-დემოკრატი), ყარამან ხუბუტია (ეროვნულ-დემოკრატი) და

11. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №24235-61, ფ.28-34.

12. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №24235-61, ფ. 28-34.
13. იქვე, საქმე №24235-61, ფ. 22.
14. იქვე, საქმე №ფ. 11-12.
15. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №24235-61, ფ. 11-12.
16. იქვე, ფ. 11-12.

პლატონ შამუგია (ყოფილი სოფლის მწერალი, ამკრეფი)[17].

25 თებერვალს დამყარებული ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა. მეტ-ნაკლები ინტესივობით იგი მუდამ გრძელდებოდა.

26 მაისთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა საპროტესტო აქციები (ხშირ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლების თვალის ასახვევად 26 მაისის აღნიშვნა 24 მაისს ან სხვა რომელიმე დღეს ხდებოდა). ამ აქციებზე გამუდმებით გაისმოდა შემდეგი სახის ლოზუნგები: **„მოვითხოვთ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას, რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან; პოლიტიკური ტუსაღების განთავისუფლებას; სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. გაუმარჯოს სოციალიზმს“![18]**

კონსტანტინე (კოწო) დადიანი



ალექსანდრე ბერიშვილი



შალვა კალანდარიშვილი

ირაკლი სიჭინავა

სამეგრელოს სახალხო გვარდიის წევრები

საბჭოთა ხელისუფლება პატრიოტიზმის ნებისმიერ გამოვლინებას რეპრესიებით უპასუხებდა. ციხეები გაივსო პოლიტიკური პატიმრებით, სადაც მათ არაადამიანური მეთოდებით „ამუშავებდნენ“.

პატრიოტული სულისკვეთების ადამიანებს თვალყურს ადევნებდნენ ცალკეული პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკები. „საეჭვოს“ აღმოჩენისთანავე ისინი ვალდებული იყვნენ ეცნობებინათ სათანადო ორგანოებისთვის.

„საეჭვო“ კი მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდათ. ამიტომაც ინფორმაციების მიწოდებამაც სისტემატური ხასიათი მიიღო.

ხშირ შემთხვევაში თვითონ არალეგალურად მომუშავე მენშევიკები უკავშირდებოდნენ პასუხისმგებელ კომუნისტებს და ცდილობდნენ მათგან მიეღოთ საჭირო ცნობებს ხელისუფლებაზე, მაგრამ უნებლიეთ თავიანთ რიგებში აგენტების შემოღწევას „უწყობდნენ“ ხელს. სწორედ ასე შეძლო კომუნისტმა ვასილ ლეჟავამ მენშევიკური პარტიის ახალსენაკის სამივე უჯრედის წევრების დაზუსტება (1921 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით)[19].

მოგვიანებით პატრიოტებსა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე თვალყურის დევნება უფრო გაძლიერდა. „ჩეკაში“ სპეციალურად შეიქმნა მე-3 და მე-4 ქვეგანყოფილებები, რომლებიც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებზე მუშაობდნენ. მე-4 ქვეგანყოფილება ძირითადად მენშევიკურ პარტიაზე მუშაობდა, ხოლო მე-3 ქვეგანყოფილე-ბას დამატებით ევალებოდა მართლმადიდებელ ეკლესიასა და სასულიერო პირებზე კონტროლის დაწესება[20]. მაზრებში ამ საქმეს ძირითადად პოლიტბიუროები ასრულებდნენ (ზუგდიდის მაზრის პოლიტბიუროს ბაზა-ზე შემდგომში ჩამოყალიბდა საინფორმაციო პუნქტი). „ჩეკა“ ინფორმატორთა დაფინანსებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ეს დაფინანსება ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდური იყო.

ზუგდიდის მაზრის საინფორმაციო პუნქტის რწმუნებულს ვ. ზაქარაიას ინფორმაციების დროული მიღებისათვის თავის განკარგულებაში ჰყავდა ინფორმატორები: „სალია“, „ალიოღლი“, „თოდუა“, „ლორჟუ“, „კალანდია“, „ტემნიძე“, „გაიდაშკინი“, „ჯალაღანია“ და სხვ. (სახელებს თვითონ ისინი პირობითად ირქმევდნენ)[21].

ჩეკას „დამსახურება“ იყო, უწინარეს ყოვლისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფლობდა უტყუარ ინფორმაციას დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნისა თუ აჯანყების თარიღის შესახებ. ამან საოკუპაციო მთავრობას ძალზე გაუადვილა ეროვნული ძალების წინააღმდეგ ბრძოლა და, საერთოდ, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების მოსამზადებელი

17. იქვე, ფ. 11-12.
18. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №22939-61, ფ. 4.
19. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №22608-61, ფ. 25.
20. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №22608-61, ფ. 25.
21. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №22608-61, ფ. 25.

სამუშაოები 1924 წლის აგვისტოს ბოლოსთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დასრულებულად ჩათვალა. ემიგრანტული მთავრობის წევრების მტკიცებით კი საერთაშორისო ვითარება აჯანყების დაწყებისთვის ხელსაყრელი იყო. მიუხედავად ამისა, ისინი აჯანყების დაწყებას მხოლოდ საქართველოში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ კავკასიელი ხალხის ჩართვა აჯანყებაში ვერ მოხერხდა (მიუხედავად იმისა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს მთიელებსა და განსაკუთრებით ჩეჩნების ლიდერ ნაჯბუდინ გაცინკისთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა). უფრო მეტიც, აჯანყების მიმართ გულგრილი აღმოჩნდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა (ოსები, აფხაზები და სხვ.).

ამ სირთულეების მიუხედავად, დამკომმა მიზანშეწონილად მიიჩნია გამოსვლის დაწყება 29 აგვისტოს ღამის ორი საათისთვის მთელ საქართველოში (ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ემიგრანტული მთავრობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა). აჯანყების დაწყების თარიღი დამკომმა შესაბამის სამაზრო ორგანოებს აცნობა და მათ აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდა.

აჯანყების ზუსტი თარიღი სამი დღით ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა შეატყობინა თედო ესართიას (სენაკის მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრი). მას, თავის მხრივ, ამ სამი დღის განმავლობაში უნდა მოესწრო სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრების პარიტეტული კომიტეტების წევრების გაფრთხილება, რაც შესრულდა კიდეც 26 და 27 აგვისტოს.[22] აჯანყებულებმა ამ ოპერაციების პარალელურად მოსახლეობის ფართო ფენების მხარდასაჭერად შემდეგი შინაარსის პროკლამაციები გაავრცელეს:

„მოწოდება.

მოქალაქენო! დიდი თავგანწირულ ბრძოლით და მრავალის მსხვერპლის გაღებით ქართველმა ერმა თავი დააღწია რუსეთის ას ოცი წლის მონობას და 1918 წლის მაისის 26 ქვეყანას აუწყა, რომ ის არის თავისუფალი სუვერენული ერი, აქვს თავის ისტორიული მიწა-წყალი და ითხოვა ამ მიწა-წყალზე ეცნოთ მისი სახელმწიფოებრიობა. ყველა სახელმწიფოებმა ეს მოთხოვნილება სამართლიანად დაინახა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა იურიდიულად იცნო. საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა იცნო რუსეთმაც. მაგრამ რუსეთი როდის ინდობდა საქართველოს, რომ ახლა დაენდო და საქართველოს მოღალატე – ქართველ ბოლშევიკების დახმარებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს თავისი ჯარი შემოუსია, დაიპყრო და ხელი მიჰყო მის აკლება გაპარტახებას. დღიდან საქართველოს დაპყრობისა რუსეთის მიერ მოვლინებულ საოკუპაციო მთავრობამ მოსპო ყოველგვარი თავისუფლება, კანონის გარეშე გამოაცხადა ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა ქართველ ერის ნაძირალების, ე. წ. კომუნისტური პარტიისა, რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა, დაარსდა საგანგებო კომისია „ჩეკა“ რომელსაც მიენდო საქართველოს სრულიად მოკვლა. ამ მიზნის მისაღწევად „ჩეკამ“ გაავსო ქალაქები, დაბები და სოფლები თავისი ჯაშუშებით. იწყო საქართველოს მებრძოლთა ჭერა-დაპატიმრება, (მოიგონეთ სხვათა შორის 15 ოფიცრების დახვრეტა) დახვრეტა, გახურებულ შანთებით წამება, ჩეკის ნესტიან ჯურღმულებში ცემა, დაცინვა, ადამიანის ღირსების დამცირება, ხელის მოწერით უარეყოთ თავიანთი აზრები წამების, დახვრეტის და გადასახლების შიშით, გადასახლება საზღვარგარეთ, გადასახლება რუსეთში და საქართველოს მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრთა და აგრეთვე თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა მძევლად დაჭერა რუსეთის ციხეებში. ის ამაზედ არ დაჯერდა, მან დახურა და გაძარცვა საქართველოში ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მათგანი სრულიად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა და ზოგიც სხვა რამედ, რადაც დასჭირდებოდა. მან სამასხაროთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გაკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს მღვდელ-მოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გაკრიჭეს. ამავე დროს, ყველა ეს სისაძაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობებზე – ეკლესიები ხალხმა დახურაო, თარეში განაგრძეს სწავლა განათლების საქმეშიც და ეს დარგი სრულიად გაათახსირეს. გაყარეს სკოლიდან პატიოსანი და ნიჭიერი მასწავლებლები და მათ მაგიერად სასწავლებელში შეიყვანეს

22. თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წწ.) დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2004 წ. გვ.107.

უმეტეს ნაწილი ახალგაზრდა კომკავშირის წრიდან ნაკლები ღირსების მასწავლებლები და დაავალეს მათ რუსეთის მონების აღზრდა საქართველოში. ამ ბოლო დროს მისწვდნენ ქართულ უნივერსიტეტს წასახრჩობად. არც ამას დასჯერდა საოკუპაციო მთავრობა და სულიერად აკლებასთან ერთად შეუდგა ნივთიერ გაპარტახებასაც, რომ გაპარტახებულ რუსეთის დაბალ-ღირსების ნაწარმოებისთვის ბაზა მოეპოვა (მოაქცია რა საქართველო რუსეთის სახელმწიფო ფარგლებში და სავაჭრო რკალში), ჯერ არ გაგონილი სიდიდის საბაჟო გადასახადები დააწესეს უცხო სახელმწიფოთათვის შემოსატან საქონელზე, იწყო თავისი გამვირებულ საქონლის გასაღება აქ და აქედანვე გაზიდვა ყოველივე იმ ნედლი მასალისა, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება და, ამავე დროს, რუსეთს ესაჭიროება. რუსეთი აწესებს ფასებს ჩვენს საქონელზედ (მატყლი, ბამბა, პარკი და სხვ.) და ამ მიზეზით ხალხი გაშიშვლდა. ამრიგად, ჩვენს ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს.

იღუპება საქართველო – სარგებლობს რუსეთი, ასეთია დაპყრობის შედეგი.

მოქალაქენო! თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ნაციონალურ მთავრობას რუსეთის ურდოებმა საქართველო დაატოვებინეს და საზღვარგარეთ გააქციეს. ამის შემდეგ დაარსდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელშიც შედიან საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა კომუნისტური პარტიისა. დღიდან თავისი არსებობისა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობს საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის მონობისაგან. ის აწარმოებს შეუწყვეტელ ბრძოლას შინ და გარეთ, საქართველოში და ევროპაში; და აი დადგა კიდეც დრო გადამჭრელი ბრძოლისა, დრო, ქართველი ერის აღდგომისა.

მოქალაქენო! განვლო სამნახევარმა წელმა, წლებმა ტანჯვისამ, წამებისამ, რჩეულ პატრიოტთა სიკვდილით დასჯისამ, გადასახლებისამ, დამცირებისამ და შეურაცხყოფისამ, ერის ნაოფლარის გაფლანგვისამ, მითვისებისამ. ამ პირობებში საქართველოს დარჩენა ნიშნავს – საქართველოს დაღუპვას, ხოლო განთავისუფლება – აღორძინებას. ამიტომ ქართველმა ერმა მთიულეთთან და აზერბაიჯანთან ერთად დაიწყო თავის განთავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დილით 29 აგვისტოს.

მოქალაქენო! ვისაც გინდათ ეროვნული თავისუფლება, ვისაც გინდათ პოლიტიკური თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლება, ვისაც გინდათ თქვენი ნაოფლარის პატრონი იყოთ – იარაღს მოკიდეთ ხელი. ყველამ მიიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, ყველამ, ვისაც რითი შეგეძლებათ.

ამ ბრძოლაში ჩვენთანაა ევროპა და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ძირს საოკუპაციო მთავრობა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

საქ. დამ. სამეგრელოს კომიტეტი.“[23]

პროკლამაციას მოსახლეობის ყველა ფენა გამოეხმაურა. ისინი აჯანყებულებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ.

ზუგდიდის მაზრის პარიტეტულმა კომიტეტმა თედო ესართიასგან (სენაკის მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრი) მიიღო ინფორმაცია (მითითება) გამოსვლის 29 აგვისტოს დილის საათებში დაწყების შესახებ. თავის მხრივ, მაზრის (ზუგდიდის) პარიტეტმა გააფრთხილა სამხედრო შტაბისა თუ ცალკეული რაზმების მეთაურები. აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები, მაზრის პარიტეტული კომიტეტის მტკიცებით, დამაკმაყოფილებელი იყო.

აჯანყებულთა პარალელურად ემზადებოდნენ მაზრის ინფორმპუნქტის თანამშრომლები. 28 აგვისტოს, საღამოს, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსმა მიიღო ცნობა მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ (ინფორმპუნქტის რწმუნებულის თანაშემწისგან). ამ დროისთვის, მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე როგავა სამი მილიციელის თანხლებით მივლინებული იყო ს. ობუჯში (წალენჯიხის რაიონი), ზუგდიდის რაიმილიციის უფროსი თოლორაია კი – ს. კახათში (ამჟამად ზუგდიდის რაიონი).

წალენჯიხელი აჯანყებულებიდან იოსებ მიქაიამ შეიტყო პირველად გამოსვლის ზუსტი თარიღი 28 აგვისტოს საღამოს 5 საათზე. მიქაიამ, თავის მხრივ, გააფრთხილა თეოდორე ფიფია და სხვა ხელმძღვანელები. 29 აგვისტოს დილის საათებში აჯანყებულებმა შეძლეს წალენჯიხის უომრად აღება. კომუნისტები მათ წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდნენ. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე, აჯანყებულებმა რაიონული პარიტეტული კომიტეტი შექმნეს ისიდორე კვარაცხელიას (მენშევიკი) და

23. რევაზ ლომინაძე, 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი, ჟ. „პოლიტიკა“, №8 1991, გვ. 63-65.

გუდუ კვარაცხელიას (ეროვნულ-დემოკრატი) შემადგენლობით.

პარიტეტმა ძალაუფლება შემდეგნაირად გაანაწილა: შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა მიხეილ ბელქანია (ის იყო ასევე წალენჯიხის რაიონის კომენდანტი), მილიციის უფროსად – იოსებ მიქაია, მის თანაშემწედ – ცხონდია, მწერლად – თეოდორე ფიფია, მდივნად – მიხეილ თვალთვაძე. მოსახლეობა მასობრივად ცხადდებოდა აჯანყებულებთან და მათ თანადგომას უცხადებდა (აჯანყებულებს რაიმე განსაკუთრებული სახის აგიტაცია არ ჩაუტარებიათ მოსახლეობაში). ამის შემდეგ აჯანყებულთა რიცხვმა 300 მიაღწია[24].

ს. ობუჯში (წალენჯიხის რაიონი) გამოსვლა აჯანყებულებმა მითითებისამებრ 29 აგვისტოს, გამთენიისას, დაიწყეს. ამ დროს სოფელში იმყოფებოდნენ ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ვ. როგავა (ბანდიტების – ანდრო წულუკიძისა და ერასო შულაიას შესაპყრობად იყო ჩასული) და წალენჯიხის რაიმილიციის უფროსი მანია (ს. ობუჯში მისული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად). ორივე მათგანის განკარგულებაში იყო ოთხი მილიციელი (სამი ახლდა როგავას, ერთი – მანიას). აჯანყებულები თავს დაესხნენ როგავას. ორმხრივი სროლისას როგავამ მოახერხა სოფლის სამმართველომდე მისვლა, სადაც იყო ტელეფონი. მალე მან შეიტყო აჯანყებულების მიერ ქ. ზუგდიდის დაკავების შესახებ, რის გამოც გადაწყვეტა ობუჯის დატოვება[25].

აჯანყებულებმა ადვილად შეძლეს სოფლის კომუნისტების განიარაღება და დაპატიმრება. მოგვიანებით მათ შეუერთდა წალენჯიხიდან 10 კაციანი რაზმით მოსული მეტო გიგიბერია. „გიგიბერიამ შეკრებილ ხალხს ამცნო აჯანყებულების მიერ საქართველოს ყველა ქალაქის დაკავებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ამბავი“[26]. გიგიბერიამ ასევე განაცხადა, რომ ინგლისური ფლოტი და დესანტი უკვე გამოჩნდა ანაკლიასთან, რომ საჭირო იყო ანაკლიაში ურმების გაგზავნა და იქიდან საბრძოლო იარაღის მოტანა[27].

ვითარების შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ აჯანყებულებმა აირჩიეს ს. ობუჯის თავდაცვითი კომიტეტი ლევან მესხიას (თავმჯდომარე), მიხეილ ფიფიასა და სხვათა შემადგენლობით. გიგიბერია ობუჯიდან წალენჯიხაში 20 კაციანი რაზმით დაბრუნდა[28].

ს. ჯგალი აჯანყებულებმა ადვილად აიღეს კონსტანტინე კვარაცხელიას მეთაურობით. ამის შემდეგ ისინი წალენჯიხაში გამოცხადნენ დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ პარიტეტმა ისინი უკან გააბრუნა იარაღის მოსატანად. ჯგალში მისვლისთანავე აჯანყებულებმა აღმასკომის წევრ ბაგრატ კვარაცხელიას წაართვეს ორი ვინტოვკა, ფოსტის უფროსს – რევოლვერი „სმიტ-ვერონა“, ასევე სხვა კომუნისტებსაც და ჩაუტანეს პარიტეტს წალენჯიხაში[29].

წალენჯიხის პარიტეტმა ს. კორცხელის მიმართულებით გაგზავნა რაზმი, რომელსაც მოუხდა ბრძოლა ობუჯიდან გაქცეულ როგავასთან (ზუგდიდის მაზრის მილიციის თანაშემწე), რომელმაც ჯიხაშკარში, კორცხელში და სხვაგან შეკრიბა 71 კაცი. შეტაკებისას დაიღუპა ერთი, ხოლო ტყვედ ჩავარდა 18 აჯანყებული[30]. აჯანყებულებზე უარყოფითად იმოქმედა ხმამ, რომ მათკენ მოემართებოდა „რუსის ჯარი“[31].

წალენჯიხელმა აჯანყებულებმა ძალაუფლება 3-4 დღის განმავლობაში შეინარჩუნეს, ბოლოს კი ისინი გატყდნენ. აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში „თავდადებულობა და დიდი ბრძოლის ენერგია გამოიჩინეს შემდეგმა ამხანაგებმა: წალენჯიხის რაიმილიციის უფროსმა ვასილ მანიამ, უმცროსმა მილიციელმა ჭიჭიკო მხეიძემ, ლაუ ფიფიამ, კოსტა ესართიამ, ერმინე კვარაცხელიამ“ და სხვ. (ამ ადამიანებმა დიდი „წვლილი“ შეიტანეს კორცხელის სიმაგრეში მყოფი აჯანყებულების დამარცხებაში)[32].

გამოსვლა ს. ლიაში (ამჟამად შედის წალენჯიხის რაიონში, 1924 წელს წარმოადგენდა ცალკე რაიონს) 29 აგვისტოს დილის 10 საათისთვის დაიწყო. 40 აჯანყებული (აქედან მხოლოდ 20 იყო შეიარაღებული) ტარასი ბერიშვილის მეთაურობით შეიჭრა კანცელარიის შენობაში და დაიკავა ის. მათ პასუხიმგებელი კომუნისტების განაიარაღეს და დააპატიმრეს[33].

ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა აირჩიეს რაიონული თავდაცვის კომიტეტი ალექსი ბერიშვილის (თავმჯდომარე), ალექსანდრე ბერიშვილის, მელიტონ სამუშიას, ესტატე სამუშიას, ივლიანე ბერიშვილის, კაი ბერიშვილის შემადგენლობით. სამხედრო

24. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №23402-60, ფ. 11-12.
25. იქვე, ფ. 27-28.
26. იქვე ფ. 27-28.
27. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №23402-60, ფ. 27-28.
28. იქვე, ფ. 27-28.
29. იქვე, ფ. 27-28.
30. სუისცა, ფონდ. 285, აღწერა 1, საქმე 1069, ფ. 30.
31. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №23402-60, ფ. 27-28.
32. სუისცა, ფონდ. 285, აღწერა 1, საქმე 1069, ფ. 30.
33. სსუსა, სისხლის სამართლის საქმე №23402-60, ფ. 27.

ხელმძღვანელის ფუნქციას ტარასი ბერიშვილი ასრულებდა.

ყველა ბრძანებასა და განკარგულებას ალექსი ბერიშვილი იძლეოდა[34]. ლიელების დასახმარებლად ს. ჭკადუაშიდან მოვიდა 40 შეიარაღებული ჭანტურიას მეთაურობით (ყოფილი მილიციის უფროსი ზუგდიდში) და ს. კორცხელიდან 10 შეიარაღებული ანდრეი წულუკიძის მეთაურობით. ლიაში მათ ორი დღე დაჰყვეს[35].

ლიის თავდაცვის კომიტეტმა ნესტორ დადიანს მისცა დავალება – მდ. ენგურის გადმოსასვლელის დაცვა, ასევე, სოხუმი-ჯვარის გზის პატრულირება, რათა საშუალება არ მიეცათ სამურზაყანოს კომუნისტებისთვის აქეთ გადმოსვლისა, მაგრამ დადიანმა ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო იარაღისა და ტყვია-წამლის სიმცირის გამო[36].

კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლისთანავე ლიელმა აჯანყებულებმა დატოვეს თავიანთი პოზიციები და გაიქცნენ ჯვარის მიმართულებით, რომ სვანეთის ტყისთვის შეეფარებინათ თავი[37].

ამდენად, აჯანყება წალენჯიხაშიც ისევე დამარცხდა, როგორც მთელ საქართველოში. უფრო მეტიც, ჭიათურაში აჯანყება ერთი დღით ადრე დაიწყო (28 აგვისტოს ღამის ორ საათზე), რამაც ჩეკას საშუალება მისცა აჯანყებულებთან სისხლიანი ანგარიშსწორება სწორედ ამ დროიდან დაეწყო, ხოლო შემდეგ „მიეხედა“ სხვა აჯანყებულებისთვის. 3 სექტემბრს შიო მღვიმის მონასტერთან მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა (მეთაური ვ. არჯევანიძე) დააკავა პარიტეტული კომიტეტის (საქართველოს) თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი და მდივანი (ი. ჯავახიშვილი).

მალევე დააპატიმრეს მემარჯვენე ესერი მ. ბოჭორიშვილი, ეროვნულ-დემოკრატი მ. იშხნელი, მენშევიკების პარტიის ცკის წევრი ჟ. ჯინორია და სხვ. **„5 სექტემბერს ანდრონიკაშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, მ. ბოჭორიშვილმა, ჟ. ჯინორიამ და მ. იშხნელმა მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განცხადებას პარიტეტული კომიტეტის დაშლის შესახებ“**[38]. ამის შემდეგ ტყეში გახიზნულმა აჯანყებულებმა ფარ-ხმალი საბოლოოდ დაყარეს, „ჩეკა“ კი ბობოქრობდა...

1924 წლის 6 სექტემბერს ზუგდიდში შედგა „ხუთეულის“ (ტ.ლაგვილავა, ჯ.ჩიჩუა, მ.შელია, ვ. ზაქარაია, ვ. ბასილაია) და პასუხისმგებელი პირების (ი. ჯანაშია, ვ. ქიტია, ე. უბირია, პ. კობახიძე, ა. ხუხუნია, ვ. სიჭინავა, ა. ქირია, ბ. სიჭინავა, ი. ცხაკაია, ლ. როგავა, მ. ხვიჩია, თ. ლუკავა, ბ. ჯანაშია, შ. ბახტაძე) ერთობლივი სხდომა, რომელმაც მოისმინა „ზუგდიდში შეიარაღებულ ბანდიტურ გამოსვლებში აქტიურ მონაწილე კონტრრევოლუციონერთა საქმე და დაადგინა 40 კაცის დახვრეტა“[39]. მათ შორის იყო წალენჯიხელი თვალთვაძე ძიკი ფილიპეს ძე (46 წლის, მემარჯვენე ესერი 1918 წლიდან). ის სხვა თანამებრძოლებთან ერთად ზუგდიდის დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიასთან დახვრიტეს (პატიმრები თოკებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულები). დახვრეტილები სხვების ჭკუის „სასწავლებლად“ რამდენიმე დღის განმავლობაში ეყარნენ მცხუნვარე მზეზე.

გარდა ამ ორმოცი აჯანყებულისა, ზუგდიდის მაზრიდან რვა აჯანყებული დასახვრეტად გადაიგზავნა ფოთის პოლიტბიუროში (ერთ დოკუმენტში შვიდი დახვრეტილია ჩამოთვლილი), სადაც მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მათ შორის იყო ორი წალენჯიხელი: 1. ჭანტურია ვლადიმერ კონსტანტინეს ძე (36 წლის, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, ს. ლიის მკვიდრი); 2. თვალთვაძე ვლადიმერ გიორგის ძე (19 წლის, ყოფ. აზნაური, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, ს. წალენჯიხის მკვიდრი).

აჯანყების აქტიური წევრების ძებნა-დაპატიმრებები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც ძებნილები თვითონ „ნებაყოფლობით“ ბარდებოდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებს, რადგან ვერ უძლებდნენ იმ ზეწოლას, რომელიც ხორციელდებოდა მათი ოჯახის წევრებზე.

მსგავსი ზეწოლისა თუ პირდაპირი დაპატიმრების გზით ზუგდიდის მაზრის ციხეებში აღმოჩნდნენ შემდეგი წალენჯიხელები:

1. **კვარაცხელია კონსტანტინე შამშის ძე** (28 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, მენშევიკი 1917 წლიდან, ს. ჯვარის მკვიდრი);

34. იქვე, ფ. 27.
35. იქვე, ფ. 27.
36. იქვე, ფ. 27.
37. სსაზფ, ფონდ. 2, აღწ. 1, საქ. 43, ფურც. 11.
38. თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2004 წ. გვ.30.
39. თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921_25 წ.წ.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004, გვ. 30.

2. **ფიფია თეოდორე გიორგის ძე** (36 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, მენშევიკი 1922 წლიდან, ს. ობუჯის მკვიდრი);

3. **ბელქანია მიხეილ ბერუკოს ძე** (28 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მენშევიკი 1917 წლიდან, ს. წალენჯიხის მკვიდრი);

4. **მესხია ლევან გუჯუს ძე** (37 წლის, გლეხი, დაოჯახებული, მენშევიკი 1917 წლიდან, ს. ობუჯის მკვიდრი);

5. **ხუბუტია ილარიონ პავლეს ძე** (35 წლის, ყოფ. აზნაური, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, მენშევიკი 1918 წლიდან, ს. ჯვარის მკვიდრი);

6. **კვარაცხელია ვლადიმერ ანტონის ძე** (27 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, მენშევიკი 1919 წლიდან, ს. წალენჯიხის მკვიდრი)[40].

დაპატიმრებულებს ზუგდიდის მაზრის აღმასკომის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ ბ. შოგირაძე, ი. ჯანაშია, ვ. ჩხეიძე, ა. ქირია, ბ. სორდია, მ. შელია, ვ. შოგირაძე (ასევე ესწრებოდნენ ყველა რაიაღმასკომის თავმჯდომარეები და განყოფილებების გამგეები) კონფისკაციის სახით ქონება ჩამოართვა.

მაზრის ხელმძღვანელობამ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ქონება ჩამოართვა არა მხოლოდ ვაჭრებსა და ყოფილ თავადაზნაურობას, არამედ, ასევე, გლეხობას. თუმცა, მოგვიანებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით გლეხებს და იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი სოციალური წარმომავლობით დაკავშირებული იყვნენ მშრომელთა ფენასთან, დაუბრუნდათ ჩამორთმეული ქონება. „ცენტრიდან ცირკულიარის მიღების შემდეგ იქმნა შექმნილი სპეციალური ავტორიტეტული კომისია კონფისკაცია ქონების პატრონთა სიის კვლავ გასაცხრილავად“[41].

ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო „ბრძნული“ გადაწყვეტილება და ნოემბრის ამნისტიით მთელი საქართველოს მასშტაბით განთავისუფლებული იქნა 1302 მსჯავრდებული, საბჭოთა კავშირის ცკ-ის მესამე სესიის შემდეგ კი – 227. 1925 წლის 17 აპრილის მდგომარეობით ჩეკას ჯურღმულებში ისევ რჩებოდნენ პატრიოტები[42].

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ ქართველი ხალხი აიძულა ყველაზე ღირებულ ფასეულობაზე – ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე – დროებით ხელი აეღო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ფაქტობრივად ჩაკვდა (საერთო სურათს ვერ ცვლიდა სასწაულებრივ გადარჩენილი მცირე რაზმების მხრიდან რევანშზე ფიქრი). ამდენად დიდი ოცნებები დაიმსხვრა...

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა აგვისტოს აჯანყება, რაც მათ „გამამართლებელ“ საბუთს მისცემდა პატრიოტების წინააღმდეგ ანგარიშსწორებისათვის.

ამიტომაც იყო, რომ ჩეკისტები მასობრივ დაჭერებს მაინც თავს „არიდებდნენ“ და მხოლოდ ცალკეული ხელმძღვანელი პირების დაპატიმრებით კმაყოფილდებოდნენ, რითიც აჯანყებისათვის მზადების პროცესს სასურველ კალაპოტში აქცევდნენ (გამონაკლისია ის 3-4 დღე, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერის წყალობით აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღება მოახერხეს).

ეს გარემოება აჯანყების დამარცხების ერთ-ერთ ფაქტორად იქცა. თუმცა აჯანყების დამარცხებას ჰქონდა სხვა მნიშვნელოვანი მიზეზები:

– ამ დროისათვის არ არსებობდა ხელსაყრელი საგარეო ვითარება და გამომდინარე აქედან ფუჭი იყო მოსაზრება, რომ დიდი სახელმწიფოები ჩაერეოდნენ საბჭოთა კავშირის „საშინაო“ საქმეებში აქ აჯანყების დაწყებისას.

– აჯანყებას მხარი არ დაუჭირეს კავკასიის ხალხებმა.

– აჯანყების მიმართ გულგრილი აღმოჩნდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობა (აფხაზები, ოსები და ა.შ).

– ჩეკას „წყალობით“, გამოსვლის თარიღის რამდენიმეჯერ იძულებით გადაწევამ მნიშვნელოვნად დაასუსტა აჯანყება.

– აჯანყებულებს არ გააჩნდათ იარაღისა და ტყვია-წამლის საჭირო მარაგი.

მიუხედავად დამარცხებისა, პატრიოტების თავგანწირვას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული გახდნენ „1924 წლის დამლევისათვის გაეხსნათ 1007 ეკლესია. 1925-1926 წლებისათვის სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 13 ეპარქიისა და 870-მდე მოქმედი ეკლესიისაგან შედგებოდა“[43].

40. სსუსა დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ. ტ. I, ფურც. 174.

41. სსაზფ, ფონდ. 2, ანაწ. 1, საქ. 41, ფურც. 283.

42. სსუსა დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ. ტ. I, ფურც. 306.

43. გივი როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1994, გვ. 47.

გარკვეული „დათმობები“ სხვა მიმართულებითაც შეინიშნებოდა.

აგვისტოს აჯანყებამ გარკვეული დისკომფორტი საბჭოთა ხელისუფლებას საერთაშორისო არენაზეც შეუქმნა: „11 სექტემბერს ერთა ლიგამ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის პოლ ბონკურის წინადადებით მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც აჯანყება მიჩნეული იყო როგორც „ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის”. ეს ნიშნავდა იმას, რომ ინსურგენტი (აჯანყებული, ა.მ.) გამოაცხადეს მეომარ მხარედ და ის ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამ რეზოლუციით ევროპის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას“[44].

თუმცა მალევე დადასტურდა, რომ ევროპა, ამ მოსაზრების (რეზოლუციის) მიუხედავად, პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას არ აპირებდა, რადგან დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება პატარა საქართველოს გამო ნამდვილად არ ღირდა...

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ა) საარქივო წყაროები

1. საქართველოს სახელმწიფო არქივის ზუგდიდის ფილიალი. ფონდი 2. აღწერა 1. საქმე 41. ფურცელი 1-298.

2. იქვე. ფონდი 2. აღწერა 1. საქმე 43. ფურცელი 11.

3. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1. ფურცელი 152-154; 173-181; 187-188; 235-238; 306.

4. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №22608-61. ფურცელი 4-5; 25; 28.

5. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №22939-61. ფურცელი 4.

6. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №23402-60. ფურცელი 2-12; 25-28; 31-33, 35_50.

7. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №24073-61. ფურცელი 13-16; 20; 44; 57.

8. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №24101-61. ფურცელი 8-9; 23.

9. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №24235-61. ფურცელი 19-22; 24; 28-34.

10. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. სისხლის სამართლის საქმე №24319-61. ფურცელი 1; 5-10; 16; 18; 150; 157.

11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი 285. აღწერა 1. საქმე 476. ფურცელი 17.

12. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი 285. აღწერა 1. საქმე 1069. ფურცელი 29-32; 35.

ბ) პერიოდიკა

1. ჟურნალი „ანალები“, №2, 2000.
2. ჟურნალი „არტანუჯი“, №2-4, 1994.
3. ჟურნალი „ახალი დროება“, №4, 1999.
4. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №3 (2782), 1991.
5. გაზეთი „მთავარი გაზეთი“, №202 (292), 2003.
6. ჟურნალი „მხედარი“, №2, 1991.
7. გაზეთი „მიწის მუშა“, №339, 1924.
8. გაზეთი „მიწის მუშა“, №436, 1924.
9. გაზეთი „მიწის მუშა“, №438, 1924.
10. ჟურნალი „პოლიტიკა“, №8, 1991.
11. ჟურნალი „საისტორიო შტუდიები“, №4, 2003.
12. გაზეთი „სპარტაკი“, №116, 1924.
13. გაზეთი „სპარტაკი“, №117, 1924.
14. გაზეთი „სპარტაკი“, №120, 1924.
15. გაზეთი „სპარტაკი“, №122, 1924.
16. გაზეთი „სპარტაკი“, №125, 1924.
17. გაზეთი „სპარტაკი“, №127, 1924.
18. გაზეთი „სპარტაკი“, №137, 1924.
19. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, №6, 1996.
20. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, №1 (14), 1997.
21. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, №2 (15), 1997.
22. გაზეთი „კომუნისტი“, №119, 1922.
23. გაზეთი „კომუნისტი“, №167 (1022), 1924.
24. გაზეთი „კომუნისტი“, №170 (1025), 1924.
25. გაზეთი „კომუნისტი“, №198 (1053), 1924.
26. გაზეთი „კომუნისტი“, №200 (1055), 1924.
27. გაზეთი „კომუნისტი“, №201 (1056), 1924.
28. გაზეთი „კომუნისტი“, №202 (1057), 1924.
29. გაზეთი „კომუნისტი“, №204 (105), 1924.
30. გაზეთი „კომუნისტი“, №206 (1061), 1924.
31. გაზეთი „კომუნისტი“, №207 (1062), 1924.
32. გაზეთი „კომუნისტი“, №208 (1063), 1924.

44. ქართული დიპლომატიის ისტორია (როინ მეტრეველის რედაქტორობით), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 607.

33. გაზეთი „კომუნისტი“, №211 (1066), 1924.
34. გაზეთი „კომუნისტი“, №213 (1068), 1924.
35. გაზეთი „კომუნისტი“, №216 (1071), 1924.

გ) ლიტერატურა

1. ანტონ არნანია. ვალიკო შონია. დარჩელი (ნარკვევები სოფლის ისტორიიდან). გამომცემლობა „ზანი“. თბილისი. 1999 წ.

2. ვალერიან ახალაია. ჩხოროწყუ, წარსული და დღევანდელობა. თბილისი. 2002 წ.

3. ნიკოლოზ ბენდელიანი. ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. გამომცემლობა „სარანგი“. ქუთაისი, 1993 წ.

4. ვალერი ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. გამომცემლობა „სამშობლო“. თბილისი, 1991 წ.

5. რემონ დიუგე. მოსკოვი და წამებული საქართველო. გამომცემლობა „ჯისიაი“. თბილისი, 1994 წ.

6. თენგიზ ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წ.წ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,თბილისი, 2004 წ.

7. თენგიზ ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წ.წ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004 წ.

8. თენგიზ ენდელაძე. ტრაგიკული 1924 წ. თბილისი. 2004 წ.

9. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1983 წ.

10. სოლომონ ზალდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი”. თბილისი, 1989 წ.

11. ლევან თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. გამომცემლობა „ივერთა მხარე“, თბილისი, 1991 წ.

12. ა. ნ. ინაური (რედ.). ფარი-საიმედო, მახვილი-ბასრი, გამომცელობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987 წ.

13. გიორგი კალანდია, გაძარცული საგანძური. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2006 წ.

14. ნესტან კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი?! გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 1998 წ.

15. ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გამომცემლობა „სტამბა“, ქუთაისი, 1996 წ.

16. ნესტან კირთაძე, რა მოხდა?! გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1997 წ.

17. ნესტან კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია (XX ს-ის 20-იანი წლების პირველი ნახევარი), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1998 წ.

18. გივი როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, გამომცემლობა „მერანი-3“, თბილისი, 2000 წ.

19. კალისტრატე სამუშია, კოლხთა ნაფუძარზე. გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი, 2001წ.

20. საქართველოს ისტორია XX საუკუნე (ვახტანგ გურულის რედაქტორობით), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2003 წ.

21. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976 წ.

22. ანზორ სიჭინავა, გოგიტა ჩიტაია, ხობის მონასტერი, გამომცემლობა „ანი-XXI“, ხობი-თბილისი, 2000 წ.

23. ქართული დიპლომატიის ისტორია (როინ მეტრეველის რედაქტორობით), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წ.

24. გიორგი ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბილისი, 2004 წ.

25. გოგიტა ჩიტაია, ფოთს ღვთისმშობელი იცავს, გამომცემლობა „ფოთის ეპარქია”, 2002 წ.

26. გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1996 წ.

მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოებების შექმნა ზუგდიდის რაიონში

1924 წლის აჯანყების მასშტაბურობამ და მასში გლეხებისა და მუშების აქტიურად მონაწილეობამ საბჭოთა საქართველოს „მუშურ-გლეხური“ ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით, 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესწავლა დაიწყო. მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკლესია-მონასტრების დანგრევა-გადაკეთება და რელიგიური ღვთისმსახურების აკრძალვა იყო. ამიტომაც 1924 წლის 21 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო დადგენილება, რომლითაც მოსახლეობას მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოებების დაარსების ნებართვა ეძლეოდა.

1925 წლის 5 თებერვალს ქ. ზუგდიდის „წმიდა სამების“ რელიგიურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის შემდეგი სახის ხელშეკრულება დაიდო:

„1. მთელი ჩვენი „წმიდა სამების“ რელიგიური საზოგადოება მოვალეა გაუფრთხილდეს გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად. ამასთანავე, საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის. აგრეთვე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა სხვა მოვალეობის შესრულებას;

2. საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს ტაძრებითა და იქ შენახულ ღვთის მსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

3. საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ღონისძიება იმისათვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ისეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ელ და მე-2 მუხლს;

კერძო საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთისმსახურების სადგომში:

ა/ საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა.

ბ/ საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენელის წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლებისა და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა.

გ/ საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენელის წინააღმდეგ მიმართული ქადაგების ან სიტყვების წარმოთქმა.

დ/ მცხოვრებთა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრების მიზნით ზარის რეკვით განგაშის ატეხა და ხალხის მოგროვება.

4. საზოგადოება მოვალეა თავისი სახსრით გაწიოს „წმიდა სამების“ ტაძრის და ამ ტაძარში დაცული საგნების შენახვისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ: რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირებისა და სხვ.

5. საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნეს რელიგიური კულტის ყოველი ახლად შესული /შეწირულებით სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით/ საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო ქონებას არ შეადგენს.

6. საზოგადოება მოვალეა: როცა ღვთის მსახურება არა წარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დროგამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7. მიღებული ქონების დაკარგვის, ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8. საზოგადოება მოვალეა, უკეთუ საჭიროა მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბა-

როს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9. უკეთუ საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთანავე, ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისთვის, საზოგადოება მოვალეა აგრეთვე, ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10. საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი იმ ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობასა და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი სათანადო განცხადებას შეიტანდა.

11. უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით“.

ხელშეკრულებას, ერთი მხრივ, ხელს კირილე მიქაია აწერდა, მეორე მხრივ კი – რელიგიური საზოგადოება „წმიდა სამების“ დამფუძნებლები: ანდრი ჩაგუნავა, ერასტო დგებუაძე, ივანე ნაჭყებია, ელიზბარ კუხალაშვილი, პეტრე წულაია, ანდრი ხურცილავა, კორსანტელი ყოლანდარია. ხელშეკრულების ძალით „წმიდა სამების“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ქ. ზუგდიდში მდებარე „წმიდა სამების სახელობის“ ხის ეკლესია და ამ ეკლესიის ქონება: 7 შანდალი, 21 მანეთად შეფასებული, პატარა კარადა, 15 მან., 19 დიდი და პატარა ხატი, 285 მან., 10 წიგნი, 41 მან., გრძელი ჯაჭვი, 10 მან., საცეცხლური, 2 მან., მდუღარების ჭურჭელი, 1 მან., ჯვარი, 1 მან., 2 პატარა შანდალი, 1 მან., მაგიდა, 5 მან., პატარა მაგიდა, 3 მან., პატარა კოლოფი, 50 კაპ., სანთლის ფანარი 1 მან., 33 ცალი მღვდლის შესამოსელი, 200 მან., ზარი, 140 მან. სულ 726 მანეთისა და 50 კაპიკის ქონება (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 15-17).

1925 წლის 4 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება **კორცხელის თემის რელიგიურ საზოგადოება „ქრისტეს სჯულსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის (ხელშეკრულება სტანდარტული იყო ყველა რელიგიური საზოგადოებისათვის – ლ.ჯ.). ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ტუტული ბერაძე, დიმი ლაგვილავა, ბეგი ხვიჩია, ბარდღუ რაფავა, პეპუ რაფავა, ანტონ თორდია, ილია თოლორაია, ჩ. თორდია.** ხელშეკრულების ძალით „ქრისტეს სჯულის“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა

კორცხელის თემში მდებარე ეკლესიის ქვის შენობა, ბარძიმ-ფეშხუმი თავისი კოვზით, 20 მანეთად შეფასებული, კარადა. 5 მან., სანთლის შესანახი კარადა. 3 მან., უბრალო სასანთლე, 1 მან., 3 ზარი, 100 მან. (იქვე, ფურცელი 22-23).

1925 წლის 21 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება **ცაიშის თემის „მარიამ ღვთისმშობლის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ჯამუ შამუგია, ისაია ხობულიანი, სანდრო შამუგია და სხვ.** ხელშეკრულების თანახმად, ცაიშის თემის რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ცაიშის თემში მდებარე „მარიამ ღვთისმშობლის სახელობის“ ქვის ეკლესია და მისი ქონება: ვერცხლის პატარა სანაწილე, 2 მანეთად შეფასებული, უბრალო საცეცხლური, 10 მან., ბარძიმ-ფეშხუმი, 60 მან., ვერცხლის კოვზი, 10 მან., ვერცხლის ვარსკვლავი, 10 მან., ჯვარსაწერი ბეჭედი, 5 მან., პატარა განსაზავებელი, 10 მან., პატარა უბრალო ჯაჭვი, 1 მან და 50 კაპიკი, სამდუღარო ტაბუტი, 5 მან., უბრალო ლახვარი, 1 მან., 1 ქართული და 1 რუსული საეკლესიო ბეჭედი, 5 მან., 17 დიდი და პატარა ხატი, 100 მან., ბრინჯაოს ჯვარი, 15 მან., 2 უბრალო ტრაპეზის სასანთლე, 10 მან., 2 უბრალო ჩამოსაკიდებელი ხომლი, 10 მან., ხატის წინ დასადგამი 6 შანდალი, 100 მან., უბრალო საიაზმე, 15 მან., 1 მაღალი და 1 დაბალი ემბაზი, 60 მან., 2 ზარი 300 მან., პურის საკურთხებელი, 3 მან., უბრალო სააღდგომო ფანარი, 50 კაპიკ., 2 უბრალო ბაირაღი, 5 მან., შვიდთავიანი ტრაპეზის სასანთლე, 30 მან., 1 დიდი და 1 პატარა ფრაჟის ლანგარი, 5 მან., 2 გვირგვინი, 2 მან., სახარება ქართულ ენაზე, 5 მან., სპილენძის თუნგი, 15 მან., სპილენძის ტაფა, 15 მან., ფანარი, 3 მან., 4 ანალოღია, 10 მან., 44 წიგნი, 30 მან., 4 ტრაპეზის ფარდა, 5 მან., 13 სამკლავი, 13 მან., ოლარი, 1 მან., ნაბედრენიკი, 1 მან., 8 სარტყელი, 16 მან., 2 გინგელა, 4 მან., 5 დაფარნა, 10 მან., ხატის დასადგამი მაგიდა, 1 მან., დიდი ბოქლომი (იქვე, ფურცელი 28-30).

1925 წლის 6 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება **ქ. ზუგდიდის რელიგიურ საზოგადოება „მაცხოვრის კარსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ვასილ ექონია, კაზა ყუფუნია, კოსტა მითაგვარია, არტემ კუცია, რაჟდენ მესხია.** ხელშეკრულების ძალით, ამ საზოგადოებას გადაეცა „მაცხოვრის სახელობის“ ქვის ეკლესია და მისი ქონება: 12 საეკლესიო წიგნი, 50 მანეთად შეფასებული, ბარძიმ-ფეშხუმი და მისი სამკლაურები, 100 მან., სასანთლე „ლიუსტრა“, 60 მან., 15 ხატი, 50 მან., 9 სასანთლე კანკელი, 18 მან., მოხატული კანკელი, 300 მან., 4 ზარი, 300 მან., სასანთლე, 2 მან., 2 დროშა, 25 მან., მღვდლის შესამოსელი, 30 მან., 13 დაფარნა, 26 მან., ტრაპეზის გადასაფარებელი, 10 მან., სამკედლოს გადასაფარებელი, 1 მან., ჯვარი, 1 მან., 3 შანდალი, 3 მან., ფარდა, 4 მან., 2 გვირგვინი, 2 მან., კარადა, 5 მან., 4 ანალოღია, 4 მან., ემბაზი, 5 მან., საიაზმე, 5 მან., სანთლის ჩასაწყობი, 2 მან., კიდობანი, 3 მან., ნოხი, 2 მან. (იქვე, ფურცელი 36).

1925 წლის 12 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება **ჯოღეჯიანის თემის რელიგიურ საზოგადოება „მართლმადიდებელსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომს შორის, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ესტატე ჭეჟია, სვიმონ ქობალია, თედო ფაცაცია, ეგნატე ფულარია.** ხელშეკრულების თანახმად, ჯოღეჯიანის თემის რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ამ თემში მდებარე ხის შენობის ეკლესია და მისი ქონება: 4 ვენოკი, 20 მანეთად შეფასებული, ზარი 240 მან., 2 სასანთლე 8 მან., ანალოღია, 3 მან., სანთლის შესანახი კარადა, 5 მან., 4 ფარანი, 12 მან., საცეცხლური, 2 მან., მდუღარების ჭურჭელი, 1 მან., 2 ლანგარი, 2 მან., 20 ხატი, 200 მან., სიწმინდის კოლოფი, 20 მან., ბარძიმ-ფეშხუმი და ვარსკვლავი, 25 მან., 3 შანდალი, 9 მან., კოვზი, 2 მან., ლანგარი, 1 მან., ემბაზი, 8 მან., ზეთის ლამპარი, 2 მან., 2 დიდი შანდალი, 20 მან., დაფარნა, 3 მან., სახარება, 20 მან., კიდობანი, 8 მან., რაშკა, 2 მან., 2 გვირგვინი, 20 მან., ჟამნის წიგნი, 3 მან., დავითნის წიგნი, 1 მან., კონდაკი, 3 მან., ქადაგების წიგნი, 3 მან., სამოციქულო წიგნი, 5 მან., 5 წიგნი, 20 მან., ფარჩა, 2 მან. (იქვე, ფურცელი 42).

1925 წლის 20 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება **რიყის თემის რელიგიურ საზოგადოება „წმიდა გიორგისა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომს შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ზოსიმე ჩხეიძე, ნესტორ ლიპარტია, სამსონ ვეკუა, გიორგი ლიპარტია, იულონ ოდიშარია, ივანე ჯოჯუა, ავქსენტი ვეკუა, იასონ გაბუნია, ანდრია ჭიჭინაძე.** „წმიდა გიორგის“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა რიყის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესიის

ხის შენობა, ყავრით გადახურული, 500 მანეთად შეფასებული, და ამ ეკლესიის ქონება: ვერცხლის მოჭედილი ხატი, 30 მანეთად შეფასებული, ღვთისმშობლის, 10 ხატი 20 მან., მაცხოვრის 8 ხატი, 8 მან., წმიდა ნიკოლოზის, 3 ხატი, 4 მან., წმიდა დავითის და კონსტანტინეს 1 ხატი, 5 მან., წმიდა პანტელეიმონის 1 ხატი, 6 მან., წმიდა გიორგის 3 ხატი, 9 მან., ნათლისღების ხატი, 4 მან., მოწამეთა ხატი, 3 მან., აიაზმის ჭურჭელი, 2 მან., კანკელის, 3 შანდალი, 9 მან., ბარძიმი, 5 მან., ფეშხუმი, 6 მან., 1 ვარსკვლავი, 5 მან., 1 კოვზი, 1 მან., 1 ლახვარი, 50 კაპიკ., საცეცხლური, 1 მან., ტრაპეზის 2 შანდალი, 6 მან., 2 სახარება 1 ქართული და 1 რუსული, 10 მან., ჯვარი, 2 მან., გარდამოხსნა, 5 მან., ტრაპეზის გადასაფარებელი, 2 მან., მღვდლის შესამოსელი, 5 მან., თეთრი მატერიის დაფარნა, 2 მან., ერთი წყვილი გვირგვინი, 10 მან., კანკელის 3 შანდალი, 8 მან., კანკელის 22 მხატვრობა, 15 მან., 7 წიგნი, 21 მან., წიგნის მაგიდა, 50 კაპ., სანთლის მაგიდა, 50 კაპ., სანთლის ყუთი, 50 კაპ., აიაზმა, 5 მან., რკინის ჯვარი, 2 მან., დიდი ფარი, 60 მან., პატარა ფარი, 5 მან., კიდევ ერთი ფარი, 20 მან., სულ 798 მანეთის ქონება (იქვე, ფურცელი 48-49).

1925 წლის 3 მარტს დაიდო ხელშეკრულება **ტყაია-ბეჟაშღალის თემის „მართლმადიდებელ ქრისტიანეთა“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქირიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **იოსე მიქავა, გრიგოლ შეროზია, დავით ქუხილავა, ფარნა მიქავა, მაქსიმე ჩქვანავა, ვლადიმერ ქუხილავა, ესტატე მორგოშია.** ხელშეკრულების ძალით, რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ტყაია-ბეჟაშღალის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ცინკით გადახურული აგურის შენობა. 1500 მანეთად შეფასებული და მისი ქონება: ღვთისმშობლის 3 ხატი უბრალო ემალებით, 3 მანეთად შეფასებული, იესო ქრისტეს 3 ხატი, 1 მან., 2 ჯვარი, 1 მან., 2 დიდი ფრაჟის სასანთლე, 6 მან., 2 პატარა თითბერის შანდალი, 1 მან., 9 წიგნი (სახარება, სამოციქულო, დავითნი), 25 მან., მღვდლის 8 შესამოსელი და ტრაპეზის გადასაფარებელი, 25 მან., ფრაჟის ჩამოსაკიდი სასანთლე, 10 მან., 2 ზარი (რომელიც ინახება ლიის რაიაღმასკომში), 75 მან., პატარა ზარი 5 მან. (იქვე, ფურცელი, 55).

1925 წლის 5 მარტს დაიდო ხელშეკრულება **ჯუმის თემის რელიგიურ საზოგადოება „მთავარანგელოზსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ლუკა ქადარია, ერასტო ჯაბუა, კაპიტონ მოსია, სტეფანე ჯიქია, კოსტა დარასელია, ალექსანდრე ფონია.** ხელშეკრულების ძალით ამ საზოგადოებას გადაეცა ჯუმის თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია და მისი ქონება: 1 წყვილი გვირგვინი, 2 მანეთად შეფასებული, სამოციქულო, 2 მან., 2 ჟამნი, 3 მან., 2 ზადიკი, 3 მან., პარაკლიტონი, 3 მან., მარხვანი, 3 მან., კურთხევანი, 1 მან., დავითნი, 1 მან., 2 კონდაკი, 2 მან., ლოცვანი, 1 მან., შალის ფიდონი სტიხარი, 3 მან., 2 ოლარი, 2 სარტყელი, 2 წყვილი სამკლავი და 1 ძველი სტიხარი, 10 მან., 1 პატარა ქეჩა, 1 მან., 6 ფარანი, 1 მან., 5 დიდი ფარანი, 10 მან., ეკლესიის ქონების აღმნიშვნელი წიგნაკი, 20 კაპ., 2 ხის პატარა სასანთლე, 1 მან., 2 კრუჟაკი, 1 მან., 13 გვირგვინი, 26 მან., ფარდა, 15 მან., თითბერის 2 შანდალი, 1 მან., ბოქლომი თავისი კლიტით, 2 მან., გრიგოლ ეპისკოპოზის ქადაგება, 1 მან. (იქვე, ფურცელი 62-63).

1925 წლის 14 მაისს დაიდო ხელშეკრულება **ლედგებიეს თემის რელიგიურ საზოგადოება „მთავარანგელოზსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საზოგადოების დამფუძნებლები: **გვადია ქობალია, ძვაძვა სართანია, შარვანი ფიფია, ომარ ბულია, ესავა ქოჩუა, გაიოზ ფარცვანია, მელიტონ ბერდეხელია.** ამ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ლედგებიეს თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესიის შენობა, 300 მანეთად შეფასებული და ამ ეკლესიის კუთვნილი ქონება: სამრეკლო 10 მანეთად შეფასებული, 3 ზარი 30 მან., წიგნის კარადა, 50 კაპ., ბოქლომი 50 კაპ., მღვდლის 2 ფილონი (დახეული), 60 კაპ., ტრაპეზის ოდიკი, 40 კაპ., ნოხი (დახეული), 40 კაპ., ბაირაღის ჯოხი, 5 კაპ., ემბაზი, 3 მან., 3 დიდი სასანთლე, 3 მან., ჩამოსაკიდი სასანთლე, 1 მან., 3 ჩამოსაკიდი სასანთლე, 50 კაპ., საცეცხლური, 20 კაპ., აიაზმა, 50 კაპ., სანთლის კოლოფი, 20 კაპ., წიგნის 2 მაგიდა, 25 კაპ., 6 ვენოკი, 1 მან., 4 სამკლავე, 50 კაპ., 2 ბაირაღი, 10 კაპ., ოლარი (დახეული), 10 კაპ., 8 კოლოფის საფენი, 25 კაპ., ზანდუკი, 1 მან., 3 ტრაპეზის საფენი, 1 მან., მღვდლის სარტყელი, 10 კაპ., პედრენიკი, 20 კაპ., ჯვრის კოლოფი, 20 კაპ., 6

ზეთის სასანთლე, 1 მან., 9 სალოცავი წიგნი, 5 მან., დიდი დასადგამი სასანთლე, 3 მან., ზეთის საკურთხავი, 1 მან., სიწმიდის კოლოფი, 2 მან., 2 ბარძიმ-ფეშხუმი, 1 მან., 2 ხელის ჯვარი, 2 მან., სახარება, 2 მან., 2 სასანთლე, 2 მან., 2 ფრაჟის გვირგვინი, 1 მან., თანაარსი, 1 მან., 31 ხატი, 31 მან. და 30 კაპ., 34 საეკლესიო სურათი, 34 მან. და 10 კაპ. სულ 416 მან. და 5 კაპ. (იქვე, ფურცელი 67-68).

1925 წლის 5 მარტს დაიდო ხელშეკრულება **ჭითაწყარის თემის რელიგიურ საზოგადოება „მთავარანგელოზსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **სა-ჩინო გეგეჭკორი, ბეგო ჯიქია, ზოსიმე ჩარგაზია, იოსებ ქვარცხია, სანდრო დიდიშვილი, მიხეილ ვეკუტია, გოგია დარჩია.** ხელშეკრულების ძალით „მთავარანგელოზის“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა ჭითაწყარის თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია, ყავრით გადახურული, 4000 მანეთად შეფასებული და მისი ინვენტარი: 9 ხატი, 45 მან., 2 გვირგვინი, 8 მან., ფრაჟის ჯვარი, 4 მან., ბარძიმი, 23 მან., 2 ლანგარი, 1 მან., 2 დაფარნა, 3 მან., სამკლავი, 1 მან., განსაზავებელი, 1 მან., საცეცხლური, 5 მან., 2 წყვილი საზეთე, 2 მან., ფეშხუმი, 2 მან., ფრაჟის დიდი სასანთლე, 10 მან., ჩამოსაკიდი სასანთლე, 10 მან., 2 პატარა შანდალი, 2 მან., ჟილონი, 10 მან., წყვილი ბაირაღი, 30 მან., ტრაპეზის გადასაფარებელი, 4 მან., 5 ოლარი, 10 მან., 3 სარტყელი, 3 მან., ვარსკვლავი, 50 კაპ., ტრაპეზის გადასაფარებელი, 5 მან., გარდამოხსნა, 2 მან., დიდი დაფარნა, 5 მან., საიაზმო, 1 მან., სამკითხველო, 3 მან., ემბაზი, 10 მან., ზანდუკი, 1 მან., პატარა მაგიდა, 3 მან., ზარი, 80 მან., წიგნის ზადიკი, 5 მან., დავითნი, 1 მან. და 50 კაპ. (იქვე, ფურც, 82-84).

1925 წლის 1 აპრილს დაიდო ხელშეკრულება **კახათის თემის რელიგიურ საზოგადოება „სამებასა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ისაკ კაკულია, კოსტა კაკულია, ჩაგუ გუგუჩია, კირილე შედანია, სოლომონ შედანია, ივაკა ნარმანია, მიხა ჩახაია,** (ფურც, 96-98). ამ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა კახათის თემში მდებარე „სამების სახელობის“ ეკლესია და მისი კუთვნილი ქონება: სახარება 10 მანეთად შეფასებული, წიგნები, 3 მან., დავითნი, 1 მან., კონდაკი, 1 მან., სადღესწაულო, 5 მან., მარხვანი, 3 მან., პარაკლიტონი, 3 მან., კოლოფიანი, 4 ხატი, 12 მან., 5 ხატი, 2 მან. და 50 კაპ., საიაზმო, 5 მან., 2 ფრაჟის სასანთლე, 10 მან., ხის სასანთლე, 1 მან., ლანგარი, 20 კაპ., გვირგვინი, 40 კაპ., პატარა სანაწილე, 50 კაპ., საცეცხლური, 1 მან. და 50 კაპ., სპილენძის ემბაზი, 5 მან. ხის სკამი, 3 მან., კარადა, 5 მან., დარღვეული ეკლესიის შენობის ხის მასალა საძირკვლებითა და ფიცრებით, ფანჯრებით, ყავრით, ლურსმნით, კარებით და სხვა (გარდა დარღვევის დროს დამტვრეული უვარგისი მასალისა, რომელიც აწყვია დაჭედილად კახათის შვიდწლედის სკოლის ეზოში) (იქვე, ფურცელი 96-98).

1925 წლის 15 აპრილს დაიდო ხელშეკრულება **კოკის თემის „ღვთისმშობლის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **პახვალა გუძას ძე გულაია, პეტრე ქუთუს ძე აბსანძე, ამბაკო მარკოზის ძე თორია, ჭუნჭუ ბესელია, იონა ხუხუა, ვარლამ გელენავა.** ამ საზოგადოებას გადაეცა კოკის თემში მდებარე „ღვთისმშობლის სახელობის“ ცინკით გადახურული ეკლესია, 3000 მანეთად შეფასებული (იქვე, ფურცელი 102-103).

1925 წლის 10 მარტს დაიდო ხელშეკრულება **დიდინეძის თემის დიხა გუძუბის „წმიდა გიორგის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ჩაი ჭუჭუს ძე მაქაცარია, ბასა უჩას ძე წურწუმია, პეხუ იზორია, მიხა კუკავა, გუდუ მაქაცარია, ბადუ აკობია, ხუხუ ხარჩილავა.** ხელშეკრულების ძალით „წმიდა გიორგის“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა სოფ. დიდინეძის დიხაგუძუბაში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია და ამ ეკლესიის კუთვნილი ქონება: უჯრიანი კარადა, 10 მან., ბარძიმი თავისი კოვზით, 7 მან., ფეშხუმი, 2 მან., განსაზავებელი და ლანგარი, 2 მან., ზეთი და მირონის კოლოფი შუშებით, 1 მან. და 50 კაპ., საიაზმე, 1 მან., ლახვარი, 50 კაპ., შანდალი, 20 კაპ., სანთლები, 10 კაპ., დიდი ზარი, 50 მან., საშუალო ზომის გატეხილი ზარი, 30 მან., სანათლავი ტაშტი, 50 კაპ., ბაირაღის ჯოხი, 50 კაპ., სამრეკლოს ჯვარი, 1 მან., რკინის სასანთლე, 50 კაპ., სულ 106 მან. და 80 კაპ. ქონება (იქვე, ფურცელი 109).

1925 წლის 14 აპრილს დაიდო ხელშეკრულება **ჯოღეჯიანის თემის რელიგიურ საზოგადოება „ოირემესა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **მაქსიმე გვიტია, სამსონ გულია, იოსე ნადარაია, ბიქტორ აბხაზავა, სამსონ კვარაცხელია.** ხელშეკრულების ძალით, „ოირემეს“ რელიგიურ საზოგადოებას გადაეცა, ჯოღეჯიანის თემში მდებარე „მაცხოვრის ამაღლების სახელობის“ ეკლესიის შენობა, 1530 მანეთად შეფასებული, ფეშხუმი, 75 მან., ჯვარი, 3 მან., ლახვარი, ვარსკვლავი, განსაზავებელი, 2 მან., 2 შანდალი, 2 მან., მაცხოვრის ხატი, 1 მან., ღვთისმშობლის ხატი, 50 მან., მაცხოვრის ხატი, 1 მან., მაცხოვრის ხატი, 1 მან. და 50 კაპ., ღვთისმშობლის ხატი, 1 მან., წმიდა ნიკოლოზის ხატი, 10 შაურად შეფასებული, წმიდა სამების ხატი, 10 შაურიანი, მაცხოვრის პატარა ხატი, 10 შაური, მაცხოვრის ამაღლების ხატი, 10 შაური, ღვთისმშობლის ხატი, 30 კაპ., წმიდა სვიმონის ხატი და ხის ჯვარი, 30 კაპ., ერთი ხელი უვარგისი შესამოსელი, სუზანა, 50 მან, 1 ჟამნი, 2 მან. (იქვე, ფურცელი 114-115).

1925 წლის 6 აპრილს დაიდო ხელშეკრულება **დარჩელის თემის რელიგიურ საზოგადოება „ახალ სოფელსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის, ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ საზოგადოების დამფუძნებლები: **დოროთე ჯიქია, ტარასხან სიჭინავა, ესტატე კაკავა, ჩაისმენ სიჭინავა, ნარიქ აბსანძე, ყარამან აბსანძე და გურა კორკელია.** საზოგადოებას გადაეცა დარჩელის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესიის შენობა, 2 განყოფილებიანი, ყავრით გადახურული, ფანჯრები ჩამტვრეული, 600 მანეთად შეფასებული და ამ ეკლესიის კუთვნილი ქონება: დიდი ზარი, 90 მან., პატარა ზარი, 25 მან., აიაზმა, 20 მან., დიაკონის მაგიდა, 3 მან., ხის მაგიდა, 3 მან. (იქვე, ფურცელი 138-139).

1925 წლის 17 აპრილს დაიდო ხელშეკრულება **კოკის თემის რელიგიურ საზოგადოება „ვარსკვლავსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა კოკის თემის სოფ. მანუჩარის კახათში მდებარე „ღვთისმშობლის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ძუკუ ქებურია, რაჟდენ კვარაცხელია, გრიგოლ ცაგურია, ხუტუ შელია, დიმიტრი ჩემონავა** (იქვე, ფურცელი 194).

1925 წლის 13 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება **კახათის თემის რელიგიურ საზოგადოება „სალოგუო კახათსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ აკაკი ქავთარაძეს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **კონსტანტინე კუპრავა, მიხეილ ლოგუა, იასონ ლოგუა, ლუკა მარკოზია** და სხვ. „სალოგუო კახათის“ საზოგადოებას გადაეცა: კახათის თემში მდებარე „მაცხოვრის სახელობის“ ეკლესიის შენობა, 300 მანეთად შეფასებული, 2 გვირგვინი, 3 მან., ჯვარი, ბარძიმ-ფეშხუმი და კოვზი, 10 მან., 2 ზარი, 150 მან., 2 სურათი, 5 მან., პარაკლიტონი, 3 მან., ჟამნი, 3 მან., სახარება, 10 მან. (იქვე, ფურცელი 177-178).

1925 წლის 29 მაისს დაიდო ხელშეკრულება **აბასთუმნის თემის „წმიდა ნიკოლოზის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის, რითაც ამ საზოგადოებას გადაეცა სოფ. აბასთუმანში მდებარე „წმიდა ნიკოლოზის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **ვასილ ბერიშვილი, კოსტა ბასილაია, გიორგი ბერიშვილი, დათა ლატარია, მურზა ლატარია, ექვთიმე სარჩიმელია, ტატაში ფარჯიკია, გუდუ ჭითანავა, ანტონ ქირია, მიხეილ მირცხულავა, ტაგუია ჯახია, ივანე ქაქუთია, ზაქარია ჩაკაბერია.** „წმიდა ნიკოლოზის“ საზოგადოებას გადაეცა 2 განყოფილებიანი ცინკით გადახურული ეკლესიის შენობა, 2000 მანეთად შეფასებული, 2 ზარი (დიდი და პატარა), 120 მან., უჯრიანი კარადა, 5 მან., სპილენძის ბავშვის ჩასანათლი, 10 მან., სკამი, 50 კაპ., სულ 2135 მან. და 50 კაპიკის ქონება (იქვე, ფურცელი 198-199).

1925 წლის 27 მაისს დაიდო ხელშეკრულება **ლედგებიეს თემის „მეორე ალავერდის კარის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ ბესარიონ შოგირაძეს შორის. ხელშეკრულების თანახმად, ამ საზოგადოებას გადაეცა სოფ. ლედგებიეში მდებარე „მეორე ალავერდის წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. გარიგებას ხელს აწერდნენ: **ივაკა ჭურღულია, იორდანე ჭურღულია, ბეჟა ჭურღულია, ლევან ჭურღულია, იონა ჭურღულია**. ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოებას გადაეცა: ეკლესიის შენობა, 600 მანეთად შეფასებული, სამრეკლო, 20 მან., 3 ზარი, 100 მან., ხის კიდობანი, 40 კაპ., საცეცხლური, 40 კაპ., 5 ჩამოსაკიდი სასანთლე, 2 მან., შანდალი, 20 კაპ., ვენოკი, 40 კაპ., ბოქლომი,

50 კაპ., ჯვარი, 1 მან., სასენაკო, 10 მან., ხის ყუთი, 1 მან., 2 დიდი ჩამოსაკიდი ჯაჭვიანი სასანთლე, 8 მან., მღვდლის ტანსაცმელი, 2 მან., 4 ხის მაგიდა, 5 მან., 3 დაფარნა, 1 მან., 6 ხატი, 8 მან., 2 გვირგვინი, 1 მან. და სხვ. (იქვე, ფურცელი 225-226).

1925 წლის 11 ივნისს დაიდო ხელშეკრულება **ნიკოსიის თემის რელიგიურ საზოგადოება „ჯვარამ ჭყონსა“** და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის, რომლითაც ამ საზოგადოებას გადაეცა ნიკოსიის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას რელიგიური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **პახვალა ჩიქოვანი, მაცი ჯიჭონაია, ყარა ჭკადუა, ქაქალა ჭკადუა, ალექსი ჩაგუნავა, ნესტორ ბულია, ელიზბარ გულორდავა.** „ჯვარამ ჭყონის“ საზოგადოებას გადაეცა: ვარსკვლავი, 2 მანეთად შეფასებული, თითბერის კოვზი, 1 მან., ფრაჟის შანდალი, 2 მან., 3 საინი, 1 მან., თითბერის ტაფა, 1 მან. და 30 კაპ., ცინკას აიაზმა, 2 მან., წმიდა ნიკოლოზის ხატი, 5 მან., წმიდა გიორგის ხატი, 5 მან., ღვთისმშობლის ხატი, 10 მან., ღვთისმშობლის ხატი, 2 მან., ღვთისმშობლის ხატი, 2 მან., ღვთისმშობლის ხატი, 2 მან., მაცხოვრის პატარა ხატი, 40 კაპ., ღვთისმშობლის პატარა ხატი, 50 კაპ., მაცხოვრის ხატი, 1 მან., ღვთისმშობლის ხატი, 20 კაპ., 2 პატარა შანდალი, 8 მან., შანდალი, 10 მან., ფეშხუმი, 2 მან., 2 ლარნაკი, 1 მან., ვენოკი, 2 მან. და სხვ. (იქვე, ფურცელი 231-232).

1925 წლის 31 ივლისს დაიდო ხელშეკრულება **სოფ. ჭკადუაშის „ახალდაბის მთავარანგელოზის“ რელიგიურ საზოგადოებასა** და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ აკაკი ქავთარაძეს შორის, რომლითაც ამ საზოგადოებას გადაეცა ჭკადუაშის თემში მდებარე „ახალდაბის მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **ყარამან მანია, ბესო ანთია, კვაჯი გაბისონია, ძაკუ ჭოჭუა** და სხვ. (იქვე, ფურცელი 274).

1925 წლის 18 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება **კოკის თემის რელიგიურ საზოგადოება „წმიდა გიორგის კარსა“** და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულს შორის, რომლითაც ამ საზოგადოებას გადაეცა კოკის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ბაგრატ ნარმანია, ეგნატე დანელია** და სხვ. (იქვე, ფურცელი 289).

ამდენად, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა მოსახლეობის ნებას დაჰყოლოდა, რაც მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოებების შექმნით გამოიხატა. ზუგდიდის რაიონის თითქმის ყველა თემში მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოებები შეიქმნა. მათ ამავე თემში მდებარე ეკლესია და მისი კუთვნილი ქონება გადაეცა. გახსნილ ეკლესია-მონასტრებში კვლავ აღდგა ღვთისმსახურება.

ლევან ჯიქია,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ხობის მონასტერი XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის პერიოდულ გამოცემებში

გოგიტა ჩიტაია

ხობის მონასტერი არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც მდებარეობს მდინარე ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში. ის შედგება ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის, სამრეკლოს, სასახლის, გალავნისა და სხვა ნაგებობების ნაშთებისაგან. გადმოცემით: იქ, სადაც ხობის მონასტერი მდგარა, 554 წელს ბიზანტიელებს ღალატით მოუკლავთ გუბაზ მეფე, შემდეგ იქ მისი სულის მოსახსენებლად აუგიათ ეკლესია.

თქმულებები ტაძრის აგებას დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, ცოტნე დადიანს მიაწერს. ლეგენდის მიხედვით, ცოტნე დადიანი ხობისწყლის პირებზე ნადირობდა, იქ, სადაც ხობის ტაძარი დგას, დანგრეული ეკლესია უნახავს. ეს ადგილი მოსწონებია და შემდგომ იქ ტაძარი აღუდგენია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ხობის მონასტერსა და ცოტნე დადიანს მიუძღვნა პოემა „ნათელა“.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მონასტრის ეზოში აღმოჩნდა ჩვენს ერამდე VIII-VII საუკუნეების ძველკოლხური ნამოსახლარები, ადრექრისტიანული ხანის ნაგებობანი, ტაძრის შიგნით გამოვლინდა ძველ დადიანთა – (ცოტნე დადიანის (XIII ს.) საოჯახო საძვალე, ხოლო თვით ეკლესია მდგარა გაცილებით უფრო დიდ ნატაძრალზე, რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება. ტაძარი ბევრჯერ გადაუკეთებიათ. მას საბოლოო არქიტექტურული სახე XIII-XIV საუკუნეებში მიუღია.

ხობის მონასტრის არქეოლოგიური კვლევების ხელმძღვანელი რევაზ პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ „ხობის ცნობილი მონასტერი არ აშენებულა ცარიელ ნიადაგზე, აქ ამ ტაძრის აგებამდე მინიმუმ 1500 წლით ადრე ცხოვრება დუღდა, თუ იმ ნივთებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება (ისინი ნაწილობრივ ავსებენ 1500 წლიან მონაკვეთს), მაშინ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იმ მთაზე, რომელზედაც ხობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, ცხოვრება იწყება თითქმის 30 საუკუნის წინათ და გრძელდება დღემდე...“ მეცნიერებისათვის ცნობილია და ეს თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილმაც შენიშნა, რომ ქრისტიანული ეკლესიები ძირითადად წინაქრისტიანული ხანის ნატაძრალებზე აშენდა. ცხადია, იმ ტაძრის ადგილას, სადაც ღვთისმშობლის კვართი იყო დასვენებული, სადაც დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ჯვრები იყო დასვენებული, რომელიც ძველ დადიანთა და მათ შორის ცოტნე დადიანის საძვალეცაა, წინარე ქრისტიანულ ხანაშიც დიდი მნიშვნელობის სალოცავი უნდა მდგარიყო. ხობის მონასტრის ისტორიის დადგენის მიზნით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი.

პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალები ხშირ შემთხვევებში წარმოადგენს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს, ხელს უწყობს ისტორიული ფაქტების ობიექტურად შესწავლასა და დაზუსტებას. 1998 წელს მკვლევარ ანზორ სიჭინავასთან ერთად დავიწყეთ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალების მოძიება ხობის მუნიციპალიტეტის წარსულზე, მათ შორის ხობის მონასტერზე. 2015 წელს შეკრებილი მასალა წიგნად გამოვეცით სახელწოდებით: „ხობი. წარსულის ფურცლები“. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიიდან ბევრი რამ უცნობი ყოფილა ჩვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ასე, მაგალითად: 1885 წლის (N 175) გაზეთ „დროებისა“ და 1891 წლის (N 9-10) ჟურნალ „მწყემსის“ მიხედვით, იქ, სადაც დღეს თეკლათის დედათა მონასტერია, წმ. გიორგის სახელობის პატარა ეკლესია და სახლები მდგარა ხობის მონასტრის წინამძღვრისა და იმ კრებულისათვის, რომელიც 1857 წელს მოშლილა. 1894 წლის N 12-ში ძალიან საინტერესო ცნობაა ურთის მთის

შესახებ: „აი ამ მთებიდან თურმე იგზავნებოდა მცხეთას და საქართველოს ყველა სხვა ქალაქებში მარხვისათვის ზეთისხილი“. 1894 წლის N 166-ის გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული წერილის ავტორი ცნობილი მეცნიერი თედო ჟორდანია აღწერს, თუ როგორ უვლიდნენ ხობის მონასტრის სიწმინდეებს ხობელი ბერები: „…**არქიმანდრიტი ხობისა მამა იობი შეიმოსა საღმრთო შესამოსლით და ისე მიჩვენა ხობის სიწმიდენი, ყველა ბერ-მონაზონნი მუხლ-მოდრეკით ემთხვეოდნენ სიწმიდეთა, მაგ. ხელით შეხებას არავინ ჰკადრე-ბდა, გარდა შემოსილის არქიმანდრიტისა**“. 1921 წლის გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის'' (N17) მიხედვით ირკვევა, რომ 1921 წლის თებერვალში წითელ არმიასთან ბრძოლაში ქართული ჯარის ოფიცერი ივანე ლავრენტის ძე იოსავა დაღუპულა, რომელიც სამხედრო ტაძრის ეზოში დაუმარხავთ, მისი მამა სოფელ ბიის მკვიდრი, ნოჯიხევის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიის მღვდელი ლავრენტი იყო. 1923 წლის N 157-ის გაზეთ „მიწის მუშის“ მიხედვით აღმოჩნდა, რომ ხობის მონასტერში ყოფილა აქამდე უცნობი სიწმინდე – „სასწაულთმოქმედი ქვა“, რომელიც 1923 წელს ბოლშევიკებს საჯაროდ დაუმტვრევიათ და გაუნადგურებიათ.



ხობის მონასტერი და ცოტნე დადიანი მოხსენიებულია 54 სტატიაში, ორ ჟურნალში – „მწყემსი“ და „კავკაზსკაია სტარინა“; 15 გაზეთში: „კავკაზი“, „შრომა“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, „შინაური საქმეები“, „სახალხო გაზეთი“, „კოლხიდა“, „სახალხო ფურცელი“, „სამშობლო“, „ჩვენი ქვეყანა“, „სახალხო საქმე“, „მიწის მუშა“, „კომუნისტი“. წარმოდგენილი სია, რა თქმა უნდა, არასრულია.

გაზეთ „კავკაზში“ (1853 წელი N 44) რუსი მწერალი და ჟურნალისტი დუნკელ-ველინგი ერთ-ერთ წერილში ხობის მონასტრის შესახებ ამბობს: „აქ ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს“.

მრავლისმთქმელი ცნობებია გამოქვეყნებული ბიბიკოვის წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კავკაზში“ (1854 წ. N70). ბიბიკოვი დაესწრო მარიამობის, ხობის „მარაშინობის“ დღესასწაულს. ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ავტორი ამბობს: „საინტერესო იყო ეს ცოცხალი, მეტყველი სახეები ლამაზი კავკასიური ტომისა, რომლის ყოველი წევრის სახე, მხატ-ვრის ფუნჯს ითხოვს... განსაკუთრებით ლამაზები არიან აქაური ქერა ქალები მშვენიერი თმებით, რომლებსაც არაერთი ჩვენი პოეტი უმღერებდა. აქაური ქალები მშვენიერ თმებს ექვს ან რვა ნაწნავად წნავენ, რომელთა ბოლოები მიწას

თამარ მეფის ჯვარი

წვდებოდა და არაერთ ჩვენს ლამაზმანს შეშურდებოდა მათი“. ძალიან შთამბეჭდავია ბიბიკოვისეული აღწერა ხობის მონასტერში გამართული ადგილობრივი ცეკვისა: „ბოლოს ქალებიც გახდნენ ყურადღების საგანი. დაიწყო ცეკვა. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ეროვნული ცეკვა არ მინახავს არც იმერეთში, არც გურიაში, სადაც ჩვენ მუდამ ლეკურის ცეკვით გვხვდებოდნენ, რომელიც ბოლოს საკმაოდ მოსაწყენი ხდებოდა. აქაური ცეკვა კი ჩვენთვის იყო სიახლე და საინტერესო. პირველი – მასში მონაწილეობს არა ერთი და ორი, არამედ მონაცვლეობით მრავალი კაცი და ქალი, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი, მხარდამხარ ცეკვავენ. ამ უზარმაზარი, 50-ზე მეტი წყვილისგან შემდგარი, ფერხულიდან ერთი იწყებს სიმღერას. მოკლე კუპლეტის შემდეგ ყველანი აიტაცებენ მის უკანასკნელსიტყვებს...დაგვაგონებენსაერთოამიერკავკასიურეროვნულ სიმღერას“. თავის წერილს ბიბიკოვი ასე ამთავრებს: „მადლობელი ვარ ბედისა, რომელმაც მარგუნა უდიდესი და უმრავალფეროვანესი სახით მენახა ეროვნული დღესასწაული სამეგრელოში“.

დავით აღმაშენებელი მოხსენიებულია ჟურნალ „მწყემსში“ (1886 წ. N6) და გაზეთ „ივერიაში“ (1887 წ. N208), პირველში მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ჩიჩუა წერს: „...აქაური მხატვრობა და ბერძნულ-ქართული წარწერა გვარწმუნებენ, რომ ხობის მონასტერი (მეგრელიაში) და ვარძია უნდა იყოს ერთ საუკუნეში ერთი არხიტეკტურის მხატვრობა. ხობი დასავლეთ საქართველოში, სხვათა შორის, ხომ მეფე დავით აღმაშენებლის საზამთრო სამყოფი იყო“... მეორეში კი მასწავლებელი მ. ლიფონავა გვამცნობს: „ნოჯიხევსა და ხობს ჩრდილო-აღმოსავლეთით უძევს მშვენიერი აღმართი ადგილი, რომელზედაც აშენებულია ხობის მონასტერი. ეს მონასტერი ძველთაგანვეა დაშთენილი. ხალხი ამბობს, რომ ვითომც ეს მონასტერი დავით აღმაშენებლის დროისა იყოს“.

ხობის მონასტრის შესახებ ფასდაუდებელი ცნობები აქვს გამოქვეყნებული რაფიელ ერისთავს ჟურნალ „კავკაზსკაია სტარინაში“ (1873წ. N3). აქ არის შემდეგი ფრაზები: „აქ XVII საუკუნემდე იყო საკათალიკოსო კათედრა“. „ხოპის მონასტერი იყო სამეგრელოს მმართველების პირველი დინასტიის განსასვენებელი“. „მონასტერს ბატონყმობის გაუქმებამდე ეკუთვნოდა 470 კომლი გლეხი“. ,,ყოველ წელს 15 აგვისტოს აქ ტარდება სატაძრო დღესასწაული, სადაც თავს იყრიან მლოცველები როგორც შორეული ადგილებიდან, ასევე მიმდებარე სოფლებიდან“. ,,ხობის მონასტერში დაცულია შემდეგი შესანიშნავი სიწმინდეები: 1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი, მოოქრვილი და ძვირფასი თვლებით შემკული, კუბოში ჩასვენებული; 2. მარჯვენა ხელი მტევნითურთ ანტიოქიელი წამებულ მარინესი, რომელიც იყო ედესელი წარმართი ქურუმის პისაიდის ასული და ქრისტეს რწმენისათვის წამებით მოკლული მთავარ ლომბროსიოსის მიერ; 3. წმ. მოწამე ივლიტას ხელი მტევნითურთ; 4. სამი წლის ყრმის ხელი; 5. ძელიცხოვლის ნაწილი, ჩასვენებული ოქროს ბუდეში და სხვები.“

ძალიან ღირებული მასალაა გამოქვეყნებული 1889 წლის ჟურნალ „მწყემსში“ (N20): „...18 ივლისს ქუთაისში მოვიდნენ ათონის მთიდგან ორი მოხუცებული ბერი, ერთს ერქვა აბესალომი და მეორეს – ისავი. მათ ინახულეს ნიკიფორე და ალექსი ...ამავე ბერებმა უამბეს ნიკიფორეს და ალექსის შემდეგი: 1649 წელს ვიყავით სადადიანოში, ხოპის მონასტერში. ამ მონასტერში არის ეკლესია ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ეკლესია არის ქვისა, რომელიც აღუშენებია ბერძნების მეფეს ირაკლის. ეკლესია უმეტესად ნაშენებია მარმარილოს ქვისაგან. ამ მონასტერში ინახება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის კვართი (პერანგი), რომელიც მოუტანიათ ამ მონასტერში იმ დროს, როცა სდევნიდნენ წმიდა ხატებს მეფის თეოფილეს დროს. კვართი არის შაქრისფერი და შენახულია ვერცხლის კიდობანში, რომელივ ინახება ამ ეკლესიის საკურთხეველში. ეს კიდობანი დაბეჭდილია თავად დადიანის და კათალიკოსის ბეჭდით.

ალექსი ამ კვართის შესახებ დაეკითხა მიტროპოლიტ ზაქარიას. მიტროპოლიტმა მოახსენა, რომ მას ის კვართი უნახავს მრავალგზის და მოტანილია იგი კონსტანტინეპოლიდამ იმ დროს, როცა სდევნიდნენ წმიდა ხატებს. ამავე ეკლესიაში არის წმ. მოწამის კვირიკეს მარჯვენა მაჯა ხორც შესხმული, როგორც ცოცხალი კაცისა; ამავე ტაძარში ინახება ნაწილი ცხოველმყოფელი უფლის ხისა და სხვათა წმიდანთა ნაწილები“...

ჩვენის აზრით, ძალიან საგულისხმოა 1898 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (N 559) წერილი, რომლის სათაურია „კეთილი კვალი“, აქ საუბარია გურია-სამეგრელოს წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს ხობის მონასტერში ქადაგების შესახებ: „მიუხედავად წვიმისა, მას დაუხვდა მრავალი ხალხი. ეკლესიის წესისამებრ მიღების შემდეგ მათმა მეუფებამ კათედრიდან წარმოთქვა: „მოციქული და მახარობელი იოანე ღვთისმეტყველი მოძღვრებდა, რათა ჰყობდნენ მშვიდობას და სიყვარულს. მე აქ მშვიდობისათვის მოვედი, მე მსურს ჩვენში იყოს მშვიდობა, სიყვარული და ერთობა! თქვენ აქ გაბარიათ საქართველოს სასიქადულო სიწმინდეები, რომელიც არის: ღვთისმშობლის პერანგი, შესანიშნავი (სიდიდით) ძელი ჭეშმარიტი, წმ. ქალწულმოწამის მარინას და კვირიკეს მარჯვენა მკლავები და სხვა წმინდანთა ნაწილები, ძვირფასი ხატები და ჯვრები. ამეების სასოებით და შიშით უნდა შემოხვიდეთ დიდებულ ტაძარში; მშვიდობა და სიყვარული სადაც იქნება, ღმერთიც იქ განისვენებს, რომელიც სულით გვაცხოვნებს და ხალხისგან დაიმსახურებთ სიყვარულს და პატივისცემას. ამას ვისურვებ თქვენგან. მე დღეს ვწირავ ჩემი ჯიბიდგან ათას მანეთს, რათა ამ თანხის სარგებლისგან აქ მსვენარე სიწმინდეების წინაშე მე მსურს მუდამ იყოს გაუქრობელი ლამპარი“. როგორც ვხედავთ, წმ. ეპისკოპოსს ალექსანდრეს დაუწესებია ხობის სიწმინდეების წინაშე ანთებული ლამპარი. სამწუხაროდ, წმინდანის ანდერძი 1923 წლიდან აღარ სრულდება.

1898 წლის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ (N617) მიხედვით, პეტერბურგელ მეცნიერსა და ფოტოგრაფს, წარმოშობით სომეხ საბინ გუსს, ხობის მონასტრიდან წაუღია და უკან არ დაუბრუნებია მე-5 საუკუნის წმ. გიორგის ხატი. აქვე საუბარია ცოტნე დადიანის შესახებ.

1899 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (N907) ავტორი წერს: „სამეგრელოს ძველთა-ძველი სიამაყე ხოფის მონასტერი“.

1903 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (N2224) ერთმანეთს ადარებს რა ავტორი ძველი სენაკისა და ხობის მონასტრის „იარმუკობას“, ამბობს: „ხობის იარმუკობას უფრო სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს“.

განსახილველი პერიოდის მასალებში საინტერესოდ არის ასახული ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის სახე. მღვდელმონაზონ კალისტრატე ჩიჩუას ძალიან საინტერესო და ვრცელი სტატიაა **„ცოტნე დადიანი და მისი ვინაობა“** დაბეჭდილი 1891 წლის გაზეთ „ივერიაში“ (N248). აქ აღწერილია საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარება: ,,ცოტნე დადიანის და მისის დედ-მამის კარგად შენახული ფრიად შესანიშნავი სურათი ჩვენ ვიპოვნეთ ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე, სამხრეთში. ცოტნე დადიანი დიდად ცნობილია ჩვენს ისტორიაში. მის სახელს მემატიანენი ყოველგან დიდის პატივით იხსენებენ: „დადიანი ცოტნე, კაცი წარჩინებული და სათნოებიანი“ (ქ. ცხ. I, 357); „პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“ (ქ. ცხ. I, 364,371); „სათნოება-მაღალი და საკვირველი და ყოვლისა ქების ღირსი“ (ქ.ცხ. 375-376)... ცოტნე დადიანი შეყრილის ჯარით მივიდა დაპირებულს ადგილს ჯვარს რკინის (სამცხეშია) და მხოლოდ აქ გაიგო, რა უბედურება შემთხვეოდა ქართველთ თავ-კაცებს. მეტად შესწუხდა და „თვისად სიკვდილად შეჰრაცხა საქმე იგი“. თავისი ლაშქარი დაითხოვა და უკანვე გაგზავნა, ყველა თავთავის სახლში, ხოლო თვითონ მარტო ორი კაცით გაეშურა ანისში, სადაც იტანჯებოდნენ შეთქმულები. ცოტნემ, „დამდებმა სულისა თვისისა მეგობართა თვისათვის“, გაირა სამცხე, ჯავახეთი და მივიდა ანისს და ნახა, რომ მთავარნი ხელშეკრულ-ტიტველნი ისხდნენ მოედანზე...

იხილა თუ არა ესრეთი დამდაბლება თვისთა ამხანაგთა, სიკვდილამდე მიწევნულთა, ცოტნე სწრაფად მიუახლოვდა ტანჯულთ, გადმოხტა ცხენიდან, გაიხადა ტანი და მიჰყარ-მოჰყარა თავისი მდიდრული ტანთსაცმელი. ესრედ განშიშვლებულმა, მხრები შეიკრა და მდუმარე დაჯდა დანარჩენ ამხანაგებთან მწუხარე სახითა. ეს ამბავი მონგოლებს დიდად გაუკვირდათ

და მაშინვე აცნობეს თვისს მეფეს, „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და განიძარცვა სამოსელი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“. მონგოლების დიდკაცობა ცოტნეს კარგად იცნობდა და ამის გამო მეტად გაჰკვირდნენ ყველანი. მაშინვე მოუწოდეს ნოინთან და ჰკითხეს მიზეზი ამ უცხო საქციელისა. ცოტნემ უპასუხა: „ჩვენ ყველანი აქა მჯდომარენი იმისათვის შევიკრიბენით, რომ გაგიჩინოთ ხარჯი და თქვენი ბრძანება შევასრულოთ, მაგრამ თქვენ ბოროტებად ჩამოგვართვით; მეც ამისთვის მოველ, რომ გამოიკითხოთ ეს საქმე და, თუ სიკვდილის ღირსი რამე უქმნიათ, მეც ამათთან დავისაჯო სიკვდილით, რადგან მეც მათ შორის ვიყავი, ხოლო, თუ უბრალონი აღმოჩნდნენ, გთხოვთ, მეც უბრალოდ მიცნათ და გავმართლდე თქვენ წინაშე, რადგან ჩემდა დაუკითხავად ამათ არა უქნიათ რაო“.

ეს რომ ცოტნესგან გაიგონეს ნოინებმა, დიდად გაუკვირდათ ესრეთი მისი მაღალი ზნეობა და სთქვეს: „რადგან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილნი არიან და არა ეცრუებიან ერთი-ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, დასდვას სული თვისი მოყვასთა თვისთათვის და განწირა სული თვისი სიკუდიდ, არა არს სიცრუე მათ შორის და ამის ძალით უბრალოდ ვპოვებთ: ამისთვის განვუტეოთ ყოველნი და ნუღარა ვსჯით“. მაშინ უთხრეს ცოტნეს, ჩვენ გვეგონაო, აჯანყებას გვიპირობდითო და ახლა, რაკი ვნახეთ თქვენი ნამუსიანობა, შენთვის მოგვინიჭებია ეს ქართველები და შენ გენდობითო. ტყვენი გაათავისუფლეს. თავი ქართველნი გადარჩნენ სიკვდილს და დამდაბლებას.

ზემოთხსენებულის მონასტრის კედელზე, სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, დახატულნი არიან სამნი: ერთი შუახნის კაცი, მოკლე წვერიანი, ჭრელს და მეტად უცხო ტანისამოსში, თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი, ფერადებით და თვალ-მარგალიტებით დამშვენებული. იმის მარჯვნივ დახატულია ლამაზი, ახალგაზრდა დედაკაცი, საუცხოვო ტანისამოსით, ხოლო ამ ორთაშუა ჰხატია ყმაწვილი 8-10 წლისა, მდიდრულადვე ჩაცმული, პირველს აწერია ასო მთავრულით: ,,ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი“, მეორეს: „დედოფალთ დედოფალი ნათელა“ და მესამეს: „ძე ამათი ცოტნე“.

ზემოხსენებული სურათნი მეტად საყურადღებო და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც აფასებს წარსულს და გონივრულის თვალით უყურებს აწყმოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენის ისტორიის მოღვაწეთა სურათებს და სხვათაც, რომელნიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ჩვენი საზოგადოება არ დაჰკარგავს; ეს სურათნი ჯერ კიდევ სჩანან, მაგრამ შესაძლოა, მალე გაჰქრნენ, როგორც ბევრი სხვა გაჰქრა სამუდამოდ ჩვენის დაუდევნელობით, საზოგადოდ დადიანების გვართა შტო ან დაკარგულია, ან მეტად არეული XIV საუკუნემდე.

არა ერთჯერ თქმულა და ეხლაც ვიტყვით, რომ თუმცა ბროსემ დიდი და ფრიად სახელოვანი ღვაწლი დასდო ჩვენს ისტორიას, მაგრამ ჩვენი ეკლესიები, ხატ-გუჯარ-წიგნები და სხვა საარქეოლოგიო ნივთები ჯერ სრულიად აღწერილი არ არის, დღითიდღე ბევრი რამ გვეკარგება, გვესპობა, ან რაც წასაკითხი დაგვრჩენია, ჯერჯერობით რიგიანად წაკითხული და გარკვეული არა გვაქვს. ეს პირველად თვით განსვენებულმან დიმ. ზ. ბაქრაძემ გამოაცხადა და ვგონებთ, დრო არის ამ საგანს ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და არა მხოლოდ ლიტონის სიტყვით და ოხვრა-სულთქმითა“...

1910 წელს ხობის მონასტერს სწვევია ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, (გაზ. „შინაური საქმეები“, N32). მას თავის ქადაგებაში უთქვამს: „ხოპის მონასტერის ტაძარი ერთი შესანიშნავი ტაძართაგანია როგორც ხუროთმოძღვრებით, ისე სიწმიდით. ამ ტაძარში ასვენია კვართი ყ-დ წმი-და ღვთისმშობლისა და მრავალი ნაწილები. გარდა ამ სიწმიდისა აქვე ასვენია რამდენიმე ძვირფასი ხატი და ჯვარი და მათ შორის შესანიშნავი ჯვარი საქართველოს მნათობთა მეფეთა-თამარისა და დავით აღმაშენებელისა.

დიახ, ეს ტაძარი როგორც სამლოცველოა, ისე საცავია ჩვენთა სახელოვანთა დიდებულთა წინაპართა და ვისაც კი უღვივის ქართველობა გულში, იგი უნდა შეტრფოდეს, შეხაროდეს და თაყვანს სცემდეს თავის სახელოვან წინაპართ ნაშთებსა და ცდილობდეს მათ გამშვენებასა“.

1912 წლის გაზეთ „შინაურ საქმეებში“ (N24) გამოქვეყნებულია ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) ქადაგება ხობის მონასტერში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე:

„...ჩვენი უკვდავი მგოსანი აკაკი დიდებულ ხოპის მონასტერსაც შეხებია თავის ცნობილ მოთხრობა „ნათელაში“ და სწორედ ისე მომჯადოებლად გვისურათხატებს მონასტრის მდებარეობის სიკეკლუცეს, როგორც მის ზეგარდამო მადლით ცხებულ კალამს შეჰფერის



ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე)



პატრიარქი ილია II-ე ხობში, 1989 წ.

და მოეთხოვება. გულწრფელად ვურჩევთ ყველა მკითხველს „ნათელადან“ ამ აღწერილობას და დასტკბეს პოეტური უებრო სურათით. ჩვენის მხრით, აკაკის ქმნილების შემდეგ ხოპის მდებარეობის დახასიათება კადნიერება იქნებოდა, ამიტომ ამაზე კრინტსაც არ ვძრავთ.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის მცოდნენი ხოპის დაარსებას მეათე საუკუნის წინა დროს აკუთნებენ. ხსენებულ მონასტერში ასვენია მეათე საუკუნის ქართული ხელოვნების ხატები და ისეთი ფასდაუდებელი ნაშთი, როგორიც არის დიდებული თამარ დედოფლის გულზე საკიდი ჯვარი.

ხოპის მონასტერს აბრწყინებს კვართი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, მთელი მარჯვენა მკლავი ხელიანა ქალწულმოწამე მარინესი და მაცხენა ხელი წმ. კვირიკესი.

მლოცველების სიმრავლით ხოპს ვერც ერთი ეკლესია და მონასტერი ვერ დაედრება სამეგრელოში...

პარაკლისის დაწყების წინ შემოსილმა ბერებმა დადგეს შუა ეკლესიაში თავ-ახდილი „ლარნაკი“, რომელშიც ასვენია ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართი, წმ. მარინეს მკლავი და კვირიკეს ხელი. ხალხის დასანახავად გახსნილ ნაწილების წინ მისმა მეუფებამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„სარტყელშემოხსნილ და ფოლაქებაგლეჯილ კაცს მძლავრი ქარი ტანზე სამოსელს არ შეარჩენს და ჩქარა მთლად გააშიშვლებს. ჩვენი ეროვნული სიმტკიცის სარტყელი სარწმუნოებაა, ჩვენი ცხოვრების გამამაგრებელი ფოლაქები ამ წმინდანების ნაწილთა სიყვარულია. სანამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელის დედობრივი კალთის ქვეშ ვიქნებით, იცოდეთ და გწამდეთ, მანამდის ღმერთიც თავის წმინდანებთან ერთად ჩვენ შორის იქნება. იყავნ, იყავნ! ამინ.“

1923 წლის გაზეთ „კომუნისტში“ (N106) გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ანტირელიგიური კამპანია ზუგდიდის მაზრაში“, სადაც ვკითხულობთ: „ხობის მონასტერში აღმოჩნდა „წმინდა ნაშთების“ მაგიერ ვერცხლის ყუთში და პატარა ხის კუბოში ჩალაგებული გამხმარი კაცის მკლავი და ჩვილ ბალღის ხელის მსგავსი რაღაც; ფისა, ღრუბელი, ძვლები და ქვები, მეტი არაფერი. ამ მიტინგს ოთხი ათასამდე ქალი და კაცი დაესწრო. სარწმუნოების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვეს მაზრკომის სახელით ამხ. გ. როგავამ და კომკავშირის სახელით ამხ. ა. კობახიძემ. ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მიუხედავად ბერ-მონაზვნების მიერ გავრცელებულ ათასნაირი პროვოკაციისა, ხალხი დარწმუნდა მათ გაიძვერობაში, ერთხმად გაიძახოდა: ძირს-ეკლესია-მონასტერი, ძირს მატყუარა სამღვდელოებაო. თითქმის ერთხმად გამოთქვა კრებამ სურვილი მონასტრის გაუმების და ბერების გაძევების შესახებ. მეორე დღეს ამხ. როგავამ ჩამოიტანა ქ. ზუგდიდში ხობის მონასტრის „სიწმინდენი“, პარასკეობაზე ჩამოსულ გლეხკაცობას უჩვენა და სიტყვა წარმოსთქვა რელიგიის შესახებ.“

ამის შემდეგ 1989 წლამდე ხობის მონასტერი ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დახურული იყო. ეროვნული მოძრაობის აღზევების დროს, 1989 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ხობის მონასტერში წირვა-ლოცვა აღადგინა.

ამრიგად, პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალები ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ხობის მონასტრის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

რუბრიკა ღვთისმშობლის სამოსლის ისტორიიდან

ღმრთისმშობლის სამოსლის დაფარული ისტორიის ნაკვალევზე

ქართულ ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსოფლიო ქრისტიანული სიწმინდეებისა და რელიკვიების თავმოყრა ისტორიული, პოლიტიკური და რელიგიური მოვლენების შედეგი იყო.

იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებში ქართველების მოღვაწეობის ხანა, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორია, დაახლოებით თორმეტსაუკუნოვან პერიოდს მოიცავს. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოღვაწეს პეტრე იბერსა და მის მიმდევრებს იერუსალიმსა და მის მახლობლად აუშენებიათ მონასტრები. ერთი მათაგანი ,,ქართული მონასტრის" სახელითაა მოხსენიებული. იერუსალიმის ქართული კოლონია გულისხმობს არა მხოლოდ იმ მონასტრებს, რომლებიც ქართველების აშენებული იყო და მათ ეკუთნოდათ, არამედ იმითაც, რომლებშიც საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი ქართული კრებული. ასეთი კულტურული კერებიდან ცნობილია საბაწმინდა, პალავრა, გოლგოთა, დერტავი, დერთუფა და სხვ. მე-17 საუკუნის დასასრულს სხვადასხვა მიზეზის გამო ქართველებმა დაკარგეს უფლებები თავიანთ მონასტრებზე. მე-11 საუკუნისათვის ექვთიმე ათონელის ინიციატივით და ქართველი მეფის ბაგრატ მე-4-ის მატერიალური მხარდაჭერით საბაწმინდელმა ბერმა გიორგი-პროხორემ იერუსალიმის მახლობლად განაახლა ჯვრის მონასტერი, რომელსაც შემდგომში წილად ხვდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის წარმომადგენელი ყოფილიყო იერუსალიმში. ჯვარს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი. მასზე ზრუნვა სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი გახდა.

ქართველების ყურადღება იერუსალიმში მიპყრობილი იყო არა მხოლოდ საკუთარი ეკლესია-მონასტრებისკენ, არამედ საერთო ქრისტიანული სიწმინდეებისაკენ. იერუსალიმის ქართული მონასტრების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა ყოველთვის ერთნაირი როდი იყო. ქართველები ზოგჯერ კარგავდნენ კიდევაც მონასტრებს. იცვლებოდა მონასტრებში ქართველების სტატუსი. წყაროების მიხედვით, ქართველები პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილან იერუსალიმში მე-7 საუკუნიდან მე-17 საუკუნემდე. თავისუფლები იყვნენ გადასახადებისაგან, შედიოდნენ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულები, გაშლილი დროშებით, წმინდა საფლავის ტაძარში შესვლისას სხვა ხალხებზე წინ, პატრიარქებთან ერთად. (ტიმოთე გაბაშვილი ,,მიმოსვლა", გვ. 177, სტეფნაძე „ქართველთა სტატუსი მე-7 , მე-17 საუკუნეში წმინდა მიწაზე საერთაშორისო აქტების მიხედვით"...). არსებობს მოსაზრება, რომ იერუსალიმში ქართველების სტატუსი არ იყო დამოკიდებული საერთაშორისო ასპარეზზე გაძლიერება-დასუსტებაზე და ერთიანი ძლიერი მეფეების აღიარებაზე, არამედ უფრო შორეული წარსულიდან მომდინარეობდა. მეფეები და მთავრები სწირავდნენ სხვადასხვა შესაწირავებს იერუსალიმის წმინდა ადგილებს. ჯ ვ რ ი ს მონასტრის აღაპები და ქართული საისტორიო წყაროები, სხვა საბუთები მეტყველებენ, თუ რა სისტემატიურად მისდიოდა მას მატერიალური დახმარება საქართველოდან.

ვლაქერნობის დღესასწაული ზუგდიდში

დოკუმენტური მასალების მიხედვით, საქართველოში ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება მე-16 საუკუნიდან იღებს საფუძველს. იერისალიმის ჯვრის მონასტრის აღაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში არის ერთი ჩანაწერი, რომელიც გვამცნობს: ,,გაუჩინეთ ჩუენ, ჯვარის მამამან ნეოფიტემ, გიორგი ლიპარტიელსა და თანამეცხედრესა ნესტან-დარეჯანს ჭილაძის ასულსა საუკუნო აღაპი წმინდისა გიორგისა დღესასწაულსა „...ხ ა ნ წ კ უ შემოსწირა და მისად სანუქფოდ გაუჩინეთ წირვა და აღაპი". აღაპი დათარიღებულია 1620

წლით. აღაპში მოხსენიებული გიორგი ლიპარტიანი არის ლევან მე-2 ის ძმა. ხანწკუ, ვფიქრობთ, უნდა იყოს დღევანდელი ხ ა ნ წ კ ი, სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. ეს ცნობა საინტერესოა იმითაც, რომ იგი ჯვრის მონასტრის აღაპთა შორის ერთადერთია, სადაც აღნიშნულია ჯვრის მონასტრისადმი უძრავი ქონების შეწირულობის ფაქტი.

კოცხერი (კორცხელი) ოდიშში (სამეგრელოში) ჯვრის მონასტრის მეტოქი (ფილიალი) იყო. ღმრთისმშობლის კოცხერის ეკლესია მდებარეობს ზუგდიდის მახლობლად, „რუხს ზემოთ არს ეკლესია გუმბათიანი კოცხერს, ღმრთისმშობლისა, კუალად ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან აშენებული“ (ნიკო დადიანი, ,,ქართველთ ცხოვრება“., ბურჯანაძე, თბ. 1962 წელი. წყაროების მიხედვით, კოცხერის ეკლესია 30 კომლი გლახით შეუწირავს ქრისტეს საფლავისა და ჯვრის მონასტრისათვის ლევან მე-2 დადიანს (1611-1658 წ.წ.) მეუღლესთან, ნესტან-დარეჯანსა და შვილებთან, ალექსანდრესა და მანუჩართან ერთად 1635 წელს. ამ საბუთს აქვს მინაწერები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ქრისტეს საფლავისათვის სხვადასხვა დროს ყმები შეუწირავთ ვინმე ჯუარის მტვირთველ ნიკოლოზს – ერთი კომლი; ილარიონ წალენჯიხელს – ერთი კომლი, რომელიც გამოუსყიდია თათრებისაგან იერუსალიმისკენ მგზავრობისას; როდამ შერვაშიძეს – ერთი კომლი. ილარიონ წალენჯიხელი, როგორც იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილიდან ჩანს, იერუსალიმში იყო 1666 წელს (ცაგარელი ალექსანდრე, გვ., 71).

კორცხელის ეკლესია და მისი სიძველენი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. წარწერა მაცხოვრის ხატზე მოგვითხრობს, რომ ეკლესია აუშენებია ლევან მე-2 დადიანს მეუღლე – ნესტან-დარეჯანთან ერთად. სამეგრელოს მთავარმა დაასრულა ეკლესიის შემკობა და შესწირა იგი „ჯუარსა და წმინდასა გოლგოთას“ ნესტან-დარეჯანის სიცოცხლეშივე, მათ ერთად შეუწირავთ ოცდაათი კომლი „...ხოლო სხუა ჩვენ შემოგწირეთო“, – ამატებს ლევან დადიანი. ხატი რომელზედაც ეს წარწერაა გაკეთებული, შეუწირავთ ეკლესიისათვის. ცნობილია ჯვრის მონასტრის კედელზე ლევან დადიანის წარწერა და ფრესკები: ,,შემოგწირეთ კოცხერი ასის კუამლითა კაცითა“. კორცხელის მშენებლობა დაუწყიათ მე-17 საუკუნის 30-იან წლებიდან. კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე 1631 წელს ჩამოდის სამეგრელოში და წერს: **„მთავარმა შეიტყო თუ არა ჩვენი გაჭირვება, შემოგვითვალა წავსულვიყავით კოზხერთად (კორცხელი) ერთ ადგილას, სადაც აშენებდა საყდარს“.**

კორცხელის პირველი წინამძღვარი იყო ნიკიფორე ირუბახი ჩოლოყაშვილი, შემდგომში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იღუმენი, „ჯვრის მამა“, რომელიც იერუსალიმში წასვლამდე მოღვაწეობდა დადიანის კარზე. კორცხელის აშენებისა და შეწირულობის დრო ემთხვევა იერუსალიმის პატრიარქ თეოფანე მე-4-ის (1608-1644წ.წ.) მოღვაწეობის ხანას. 1658 წელს კორცხელში გაჩერებულა იერუსალიმის პატრიარქი პაისიოსი თანმხლებ პირებთან ერთად, მათ შორის იყო მომავალი პატრიარქი დოსითეოსი, ის წერს: პატრიარქი მოათავსეს კოცხერში – იერუსალიმის ივერთა წმინდა ჯვრისადმი დაქვემდებარებულ მონასტერში. კორცხელის ეკლესია აღნიშნულია ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილ 1737 წელს შედგენილ რუკაზე (ლიხთ-იმერეთის). კორცხელი მითითებულია როგორც ქრისტეს საფლავის მეტოქი და მნიშნელოვანი უდიდესი სიწმინდის ს ა მ ო ს ლ ი ს სამყოფელი ადგილი.

ღვთისმშობლის კვართი



ბედიის ტაძარი



დრანდის ტაძარი – VII ს.



წალენჯიხის ტაძარი

იერუსალიმი

ნაზარეთი

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი



ლევან მე-2 დადიანი

უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები და რელიკვიები სამეგრელოს მთავრების უმთავრესი საგვარეულო სიწმინდე იყო და ისინი უდიდესი პასუხისმგებლობითა და სასოებით ეკიდებოდნენ მათ. ისტორიული, დოკუმენტური თუგადმოცემითი წყაროები მოგვითხრობენ: „სიწმინდეები მუდამ ინახებოდა დადიანების სასახლეში“. წერილობითი წყაროებიდან ცნობილია: ღმრთის-მშობლის სასწაულმოქმედი სამოსელი და სარტყლის ნაწილი ინახებოდა პირველად ღმრთის-მშობლის ვლაქერნის ბედიის ტაძარში, მოქვის, მარტვილის, წალენჯიხის (პატრიარქი მაკარი...) ხობის ტაძრებში. არ არის გამორიცხული – პირველ საუკუნეში აწყურში ანდრია პირველწოდებულის მიერ აგებულ ღმრთისმშობლის ტაძარში. ანტიოქიის პატრიარქს, რომელიც სტუმრობდა მართლმადიდებლურ ეკლესიას სურვილი გაუჩნდა წაესვენებინა სამოსელი სამშობლოში, მაგრამ ეგ შეუძლებელი გახდა სიწმინდისადმი უდიდესი პატივისცემისა გამო, პატრიარქი კმაყოფილი წაბრძანდა, რადგან მას ძვირფასი ქსოვილისგან შეუკერეს ზუსტად იმ სიდიდის სამოსელი, რაც შემდეგ აკურთხეს.

მოგვიანებით, საუკუნეების შემდეგ, ვლაქერნის ღმრთისმშობლის ზუგდიდის დადიანების კარის ეკლესიაში სამოსელს პირველი პარაკლისი გადაუხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. 1997 წლის იანვარში გაზომილ იქნა და პირველად გამოქვეყნდა სამოსლის ფოტო, მისი ზომები ასეთი აღმოჩნდა: 180 სანტიმეტრი სიმაღლე, სიგანე შუაწელთან 150, სამოსელს აქვს ვიწრო საყელო და მოკლე მკლავები, მარჯვენა მკლავი მორღვეულია და მასთან ერთად ინახება... იანვარი 1997 წელი.

ჩვენ შევეცადეთ, საქართველოს ეროვნული ხელნაწერთა ცენტრის საცავში, დიდებული ადამიანის, მიხეილ თამარაშვილის ფონდში დაცულ ხელნაწერებში მიგვეკვლია უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტებისთვის ესაა. მიმოწერები რომის პაპთან საქართველოს მეფე-მთავრებისა, კერძოდ, პაპი ურბანო მე-8 სწერს ,,ოდიშის ქართველ მთავრებს“ – გვერდი 44 N47, N1118 (h1539) და სხვა, რომელზედაც შემდგომში ვისაუბრებთ. გთავაზობთ რომის პაპის წერილის დედნის თარგმანს: „ეს წიგნი რამდენსამე წელიწადს შეინახეს პატრებმა და დადიანს გადასცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიწყეს თავიანთი მისია სამეგრელოში“ (გვ.45).

„თქვენო კეთილშობილებავ, მშვიდობიანი და ღვთის მადლის ნათელი, მღვდლებს, რომლებსაც ჩვენ ვაგზავნით საქართველოში, იმედი აქვსთ ჰპოვონ კავკასიის მთებზედ კარმელის მთის სიბრწყინვალე და რიონის ნაპირზედ იორდანიის მდინარე, უკეთუ თქვენმა კეთილშობილებამ მფარველობა გაუწია ყველა ნათესავთა. სამშობლო, რომელსაც ძლიერნი მეფენი პატივს სცემენ და თავიანთ სარწმუნოებრივ ვალს უხდიან, როგორც საქრისტიანოს დედაქალაქს, გპირდება თავის მხრივაც ტიბრის

პირზედ, ვატიკანში, პატივი სცეს თქვენს სახლს, უკეთუ ამ სამსახურით ანუგეშეთ ეკლესია. აწ აზიის ერთ მთავარს ვერც ევროპა სთხოვს უკეთეს ნიშას დიდსულოვანო ძისას, რომელიც უნდა გამოიჩინოს მღვდლების მიმართ, რომელთაც დაივიწყეს ყველა სიამოვნება, უკუ იგდეს შიში ყოვლის განსაცდელისაგან არჩიეს თქვენი სამეფო თავიანთ საკუთარ სამშობლოსა... ამ სულთ ცხონებაზეა დამოკიდებული რომის მღვდელთმთავრის დიდებაც“.

„ილორში დადიანს მიართვეს: უბის ღმრთისმშობლის ხატი ვერცხლით მოჭედილი, სამი სხვადასხვა დურბინდი, ბროლის კრიალოსანი და ერთი პატარა ყუთი დანა მაკრატლებით. ესერე ყველაფერი სასიამოვნოდ დაურჩა დადიანს და, შემდეგ ამისა, წარსდგნენ მის წინაშე და გადასცეს წერილი“ (სულხან-საბა ორბელიანის წერილი, 1561 გვერდი 127, N 55H1050).

თხრობას დავამთავრებთ ღმრთისმშობლის გალობით. ტექსტი დაწერილია მიხეილ თამარაშვილის ხელით, უთარიღოა, ქვყნდება პირველად:

,,გალობა მარიამისა (ჟირე ლავუარის ხმაზედ): მივალ, ვნახამ ერთ დღეს, ზენასა მის მამულსა,
მარიამსა ჩემს საყვარელს; ზენას, ზენას წავალ სანახავად,
ზენას, ზენას წავალ სანახავად. მივალ, ვნახამ ერთ დღეს, სატრფოდ საყვარელ დედას, დიაღ,
ვნახამ მარიამს, ტურფად ჩემს საყვარელს. ზენას და სხვა...
მივალ, ვნახამ ერთ დღეს, ის არის ხმა იმედისა, ის ჰკურნის ჩემსა წყლულსა,
აქვე ამ წუთს სოფელს ზენას და სხვა...
მივალ, ვნახამ ერთ დღეს , ერთობით ანგელოზთა, ვუგალობებ ქებათა,
ვეტყვი გულის ალერს. ზენას და სხვა...
მივალ, ვნახამ ერთ დღეს, დავსტოვ ამ წუთს სოფელს გულზედ მარიამისა
განისვენებენ წილ მხვდეს ზენას და სხვა...
მივალ, ვნახამ ერთ დღეს, ახლოს ტახტის მისსა, მიღებად გვირგვინისა,
ხელთ ვითქვამ წილი მხვდეს ზენას და სხვა...
მივალ, ვნახამ ერთ დღეს, დავსტოვ ამ წუთსსოფელსა,
გულზედ მარიამისა განსვენება წილმხვდეს.ზენას და სხვა...“

ლურდის ღმრთისმშობლის გალობა

„ამ ბორცვზედა მარიამი სჩნდა, ელვარეს ჰგავსა მლოცველი სთნავსა;
გაქებთ, გაქებთ, გაქებთ, მარიამ;
გაქებთ, გაქებთ, გაქებთ, მარიამ! ყრმის მოშიშ ხელსა მლოცველს ქვაბის წინ,
ეტყვის სახელსა ბერნარდინ ქველსა; გაქებთ და სხვა.
წყალი გავი სჩხერს, განმეორებით; ტკბილ ხმას გასცემს, დედობას აჩენს.
გაქებთ და სხვა.
გავი ბანს აძლევს ზვირთების ხმითა, საფრანგეთს ასმენს, ცხოველ წყალს ასმევს.
და გაქებთ...
მსწრაფლ ზე აღსდგება, გზას დაადგება;
გალობა, ქება გამოადგება. გაქებთ...
ხმა მშობლიერი იწვევს, აქ მოდით; მორწმუნე ერი ეტყვის, ვართ ერი. გაქებთ...
გვისმინე შენთან მომართველთ; აგვხვენ ჩვენ ჩვენი ტანჯვა, ცოდვა და დასჯა.
დედა ხარ ღვთისა, დედა მარიამ; მოწყალებასა. გაქებთ... “.

სვეტა მიქავა

**ისტორიკოსი, სიძველეთა მკვლევარი,
დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული
მუზეუმის თანამშრომელი**

„ა მ ხ ა ნ ა გ ი“
(1917-1919 წლები)



საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის ყოველკვირეული ბეჭდვითი ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთ „ამხანაგის“ პირველი ნომერი გამოიცა 1917 წლის 6 აგვისტოს.

გაზეთის ფორმატია A3; გვერდი – 4; ფასი – 10 კაპიკი, ტირაჟი მითითებული არ არის. გაზეთის ტექნიკურად გაფორმებისთვის გამოყენებულია: კლიშირებული სათაური; კოლონტიტული – კოლონსათაური; კოლონციფრი; ტექსტი ერთიანი ანაწყობია 4 სვეტად. დაკაბადონება – სიმეტრიული. გამოყენებულია სატექსტო, სატიტულო, ანუ სასათაურო (დეკორაციული), და სააქციდენციო შრიფტები. ბრჭყალები – ჩვეულებრივი „თათები“. აფშიკა, ალამი, აბრესკი, თავსამკაული, ვინეტი, ბორდიური (არშია). ფოტოჟანრები: – პორტრეტი, ამბების

ამსახველი რეპროდუქცია. ჟურნალისტიკის ჟანრები: – კორესპონდენცია, პრესის მიმოხილვა, ინტერვიუ, სტატია, ანგარიში, ნარკვევი, ფელეტონი, რეპორტაჟი, ქრონიკა, დიფმაცია, კანცელარიზმი, კომუნიკე, დაიჯესტი. ხშირია აბრევიატურა, არქაიზმი, ბარბარიზმი, გაზეთი არ არის ოფიციოზი.

გაზეთს რედაქტორობდა:

ემელიანე ნოდია (1919 წ.) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1913-1918; 1919 წ.); აღმშენებელთა კავშირისა და გაზეთ „ტრიბუნის“ რედაქციის წევრი.) და ნიკოლოზ (ნიკო) ქამუშაძე – ფსევდონიმი „ნარქანი“. (1917წ.). (ორი ნოკოლოზ ქამუშაძეა და რომელი მათგანია, გაურკვეველია: 1) ნიკოლოზ ქამუშაძე დაიბადა 1890 წელს, საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში. მუშაობდა გურიასა და აჭარაში. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხიდისთავის განყოფილების წევრი (1915) (წყარო: http:/www.nplg.gov.ge/ill/00003212/); გარდაიცვალა ძალიან ახალგაზრდა, დაახლოებით 30 წლისა და დაკრძალულია მშობლიურ სოფელში. 2) ნიკოლოზ ქამუშაძე დაიბადა ქ. ხაშურში 1914 წლის 5 აპრილს. 1935 წელს დაამთავრა შორაპნის რკინიგზის მოზრდილთა საღამოს ათწლედი. 1936-1937 წლებში მუშაობდა მსახიობად და მხატვარ-შემსრულებლად ჩხარის საკოლმეურნეო თეატრში. სხვადასხვა წლებში იყო ზუგდიდის (1937-1939), ტყიბულის (1938-1939), ახალციხის (1939-1942), გორის (1942-1943), ცხაკაიას (ახლანდელი სენაკი, 1943-1944) თეატრებში. 1944 წლიდან იყო აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. გარდაცვალების თარიღი უცნობია. (წყარო: საიუბილეო თარიღები: თეატრი, მუსიკა, კინო. — თბ., 1989. – გვ.31) http:/www.nplg.gov.ge//ka/00010344/).

გაზეთისუახლოესითანამშრომლებიიყვნენ:მიხეილესაკია;ქართველიფილოლოგიდაპედაგოგი გრიგოლ (გრიშა) მალაქიას ძე ჯაფარიძე და მისი ტყუპისცალი ძმა ვლადიმერი (ლადო). დაიბადნენ 1887 წლის 14 (27) მაისს ზემო რაჭის სოფ. ღარის მკვიდრის, სახალხო მასწავლებლის, მალაქია ჯაფარიძის ოჯახში. ძმებმა სწავლა ონში დაიწყეს და შემდგომ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გააგრძელეს, რომელიც ორიენტირებული იყო ცხოვრებისეული პრაქტიკული დისციპლინების სწავლებაზე. ამან განაპირობა ხატვის სწავლების მაღალი დონე. ძმებს, როგორც ჩანს, ჰქონდათ შინაგანი მიდრეკილება მხატვრობისადმი, რაც სასწავლებელში კიდევ უფრო გაძლიერდა და მათ სიცოცხლის ბოლომდე შერჩათ მხატვრობისადმი განუზომელი სიყვარული. 1906 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძეს სწავლა, გრიგოლმა ისტორიულ-ფილოლოგიურ, ხოლო ვლადიმერმა იურიდიულ ფაკულტეტებზე. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა

მოსკოვის სათვისტომოს საქმიანობაში. აქტიური ურთიერთობა დაამყარეს მოსკოვში მოღვაწე უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან, გამოჩენილ მსახიობ სუბათაშვილ-იუჟინთან, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან. ხახანაშვილის რჩევით, ძმებმა რუსულად თარგმნეს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ალ. ყაზბეგის მოთხრობები. ეს იყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე დაბეჭდვის ერთ–ერთი პირველი შემთხვევა. ამით ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები გააცნეს მრავალრიცხოვან რუსულენოვან მკითხველებს. ამავე წლებში ძმებმა იმავე ხანანაშვილის რჩევით შექმნეს შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავისი ინტერპრეტაციით დიდად განსხვავდებოდა პოეტის იმ დროს დაკანონებული გამოსახულებისგან. ამ პორტრეტის რეპროდუქცია 1912 წელს პირველად გრ. დიასამიძის მიერ გამოცემულ გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა და თავისი არატრადიციულობის გამო საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. 1912 წელს ასევე დაიბეჭდა პაოლო იაშვილის მიერ გამოცემული ჟურნალ „ოქროს ვერძის“ პირველ ნომერში; 1924 წელს იოსებ იმედაშვილმა დიდი ტირაჟით დაბეჭდა და საჩუქრად დაურიგა მის მიერ გამოცემული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ხელის მომწერებს. 1940 წელს გამომცემლობა „სახელგამმა“ პორტრეტის რეპროდუქცია ღია ბარათის სახით ასევე დიდი ტირაჟით გამოუშვა.

1910 წელს ძმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლევ ტოლსტოის დაკრძალვაში, რაც იმდროინდელ ფოტოებსა და კინოქრონიკაშია ასახული.

1912 წელს აკაკი წერეთლის რაჭაში მოგზაურობის დროს ჯაფარიძის მთელი ოჯახი აქტიურად მონაწილეობდა მგოსნის დახვედრაში და ძმებმა მისი ყურადღებაც დაიმსახურეს. აკაკისთან შეხვედრით მიღებული უდიდესი შთაბეჭდილებით ძმებმა 1912 წელსვე შექმნეს პასტელით შესრულებული აკაკის პორტრეტი, რამაც დასაბამი მისცა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების გალერეას.

მნიშვნელოვანია ძმების მონაწილეობა „ცისფერი ყანწების“ მომზადებასა და გამოცემაში. „ცისფერი ყანწების“ ყდა პაოლო იაშვილის შეთავაზებით ლადომ შეასრულა. გრიგოლი (გრიშა) სტუდენტობის პერიოდშივე აქტიურად ბეჭდავდა თავისი წერილებს იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში (მაგ. ინფორმაცია ტოლსტოის დაკრძალვის შესახებ). მისი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ ორივე ნომერში, ასევე ვალ. გაფრინდაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალ „მეცნებე ნიამორების“ ორივე ნომერში. გრიგოლმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო ქ. სალიანში (ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგად მუშაობს, სადაც გიმნაზიის მოსწავლეთაგან დრამატული წრეს აყალიბებს. სხვადასხვა დროს იყო: ქ. ოჩამჩირის ქართული გიმნაზიის დირექტორი; რაჭის მაზრის განათლების განყოფილების გამგე; თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის (შემდგომში ი. ჭავჭავაძის სახ. 23 საშუალო სკოლა) სასწავლო ნაწილის გამგე; ოჩამჩირის ქართული 9-წლედის, სოხუმის ქართული 9-წლედის, პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი; „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის“ დირექტორის (გოგლა ლეონიძე) მოადგილე; თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის წევრი; შემდეგ – გარდაცვალებამდე – რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე მუშაობდა. პარალელურად რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა გორის, ბათუმის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ამავე პერიოდში გრიგოლმა რუსულ ენაზე თარგმნა შიო არაგვისპირელის მოთხრობები. იგი გარდაიცვალა 1953 წელს 66 წლის ასაკში).

სევერიან მუსერიძე – დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში. თავდაპირველად ფოთში, ხოლო შემდეგ თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკისა და ფოთის განყოფილებათა წევრი. საკუთარი ლექსები, პუბლიკაციები, თარგმანები გამოქვეყნებული აქვს ჟურნალებში: „ლახტი“ (1914-1925წწ.) და „თანამედროვე აზრი“. ფოთში გამოცემულ გაზეთში – „ახალი კოლხეთი“ (1972 წლის საიუბილეო ნომერში) წერია, რომ ამ გაზეთის (რომელსაც თავდაპირველად „მუშის ხმა“ ეწოდებოდა) პირველი რედაქტორი 1921 წლიდან სევერიან მუსერიძე იყო. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; იგი არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი და ფოთში განათლების სისტემის ხელმძღვანელი იყო. წერდა ფსევდონიმებით: –

სევერიან-ხიმშელი, ხიმშელი, სევერიან (წყარო: გრიშაშვილი ი. ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 125). ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი სევერიან მუსერიძე 1937 წლის დასაწყისში თბილისში გარდაიცვალა ავადმყოფობით. (წყარო: (წყარო: http:/www.nplg.gov.ge//ilia/ka/00007392/ – ნინო მუსერიძე).

ავტორებად გვევლინებიან: ალ. მილორავა; ე. მუსერიძე; პრაპორ (პროპოლ) ჟვანია; ჭიჭიკო მილორავა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1918); ბესარიონ ტუღუში (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი); გრიგოლ ანტონის ძე ნადარეიშვილი. ვინც წერდა გ. ონტოფელის ფსევდონიმით (წყარო: შუღლიაშვილი, დ. ქართული ფსევ-დონიმები/ ხელნაწერი, გვ. 152; (წყარო: „ახკომი“, 1926, N100 და სხვ. http:/www.nplg.gov.ge//gwdict/index.php?a=term&d=2&t=29176)).

ისაკი აბსავა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1909-), საზოგადოების ფოთის განყოფილების დამფუძნებელი წევრი (1910-));

გ. ჯაკობია ((დაიბადა 1894 წ.), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი (1917), შემდგომში – ქართველი ლიტერატურათმცოდნე. თავისი ნამუშევრებით საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების პუბლიკაციისა და ქართულ-სპარსული ლიტერატურის ურთიერთობათა შესწავლას. გარდაიცვალა 21 თებერვალს, 1944 წ-ს, თბილისში).

„ციმბირელის“ ფსევდონიმით წერდა ვარლამ ძიძიგური ((წარო: გზები და ადამიანები, თბ., 1965, გვ. 7.) დაიბადა 1889 წლის 3 მაისს ხონის რაიონი სოფელ მათხოჯში. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ავტორია ქართული ენის სასკოლო მეთოდური სახელმძღვანელოებისა. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები, კორესპონდენციები, რეცენზიები, ლექსები. (წყარო: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 11, თბ., 1987, გვ. 278; :/http dspace.nplg.gov.ge//handle/1234/73165).

ამავე ფსევდონიმით წერდა დათიკო თოფურია, (წყარო; ჭოხონელიძე, გ. ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 2016, გვ. 141).

„სიმონ წეველი“ (= სიმონ გიორგის ძე გაჩეჩილაძე – ქართველი მეცნიერი, მწერალი, ფილოლოგი, დაიბადა 1898 წლის 26 მაისს წევაში, ახლანდელი ზესტაფონის რაიონი. 1914 წლიდან ქართულ პრესაში აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებსა და ფელეტონებს; 1929-1945 წწ. თანამშრომლობდა ჟურნალ „ტარტაროზსა“ და „ნიანგში“. წერდა ფსევდონიმებით «სიმონ წეველი», „მედუზა“ და სხვ. 1948 წელს ცალკე წიგნად გამოსცა საბავშვო პოემა „რწყილი და ჭიანჭველა“. ავტორია ნაშრომებისა: „ქართული ენა და მხატვრული მეტყველება“ (1931), „სამუშაო წიგნი ლიტერატურაში“ (1932), „ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები“ (1942), „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ (1955), „სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია“ (1962) და სხვა. დოქტორი (1962), პროფესორი (1962). გარდაიცვალა 1980 წელს (81 წლის ასაკში). წყარო: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ.3, თბ., 1977. გვ.: 23).

„ხეველის“, ფსევდომინით წერდა გაბო იაგორის ძე ბზიაშვილი (წყარო: იმედაშვილი, ი. ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი, ხელნაწერი);

შევხდებით ასევე შემდეგ ფსევდონიმებს: „ს-ანი“; „ნარ-ელი“; „ჩვ. მეგობარი“; „დილა“; „მეომარი“;„მან-ხან“, „იქაური“, „ალმ-ა“, „ჩაჩანი“, „ჰაიტ“, „დონ-ფაზისი“, „კათაკმეველი“, „მოსული“.

რედაქციის მისამართი: ფოთის კანტორის შენობა. იბეჭდება ფოთში ა. ვადაჭკორიას სტამბაში. ინახება: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ (საჯარო) ბიბლიოთეკაში ინახება N 2-12. აგვისტო-ნოემბერის გამოცემა. შენახვის შრიფტი: F-259-1

გაზეთი თავისი შინაარსით უფრო სოციალისტურია, ვიდრე დემოკრატიული. იგი პარტიის ინტერესების გამომხატველია და ამას არც მალავს. გაზეთის მიზნებსა და დანიშნულებაზე ინფორმაციას გვაწვდის ამავე გაზეთის პირველი ნომერი, სადაც ვკითხულობთ:

„ამხანაგი“ ჩვენი გაზეთია. იგი ორგანოა საქართველოს სოციალისტურ ფედერაციათა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტისა. მისი შინააარსი მჭიდროდ იქნება შეფარდებული იმ მიზანთან, რაც დასახული აქვს ჩვენს პარტიას. ჩვენი გაზეთი გამომხატველი იქნება პარტიის გულის, მისი ლტოლვისა და სულისკვეთების. ჩვენს გაზეთში ფართო ადგილი დაეთმობა ამა თუ იმ მოვლენის პარტიის შეხედულებათა მიხედვით გარკვევას, გაშუქებას. „ამხანაგი“ პარტიული გაზეთია. იგი სარკეა პარტიის რევოლუციური არსისა. მისი

სევერიან მუსერიძე

იაკობ ფანცხავა



ვლადიმერ და ლადო ჯაფარიძეები

სტრიქონები იმეტყველებენ დემოკრატიულ-სოციალისტურად. იგი არ იქნება ბურჟუაზიის სულისკვეთების გამომხატველი. მშრომელი ხალხი და მისი ინტერესების დაცვა – ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით, სოციალიზმის შეგნება და სოციალისტური აზროვნების განმტკიცება მშრომელ მასაში – აი, ის მთავარი ხაზი, რომელზედაც ჰქმნის თავის შინაარსს ჩვენი ორგანო.

„ამხანაგის“ მიზანი მარტო ამით არ ამოიწურება. მისი ფურცლები ილაპარაკებენ ტანჯულ-დევნილთა საკეთილდღეოთ. მისი მებრძოლი სტრიქონები გულის გამგმირავი იქნება როგორც მშრომელთა ზურგზე მოჯირითეთათვის, ისე საქართველოს ვნებული სხეულის მჯიჯგნელებისათვის“. გაზეთი „ამხანაგი“ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ფოთის კომიტეტის პირველ გამოცემაა. ამიტომ მას როგორც მატერიალურად, ისე იდეოლოგიურადაც უჭირს და იგი ფართო მასებს მიმართავს მხარდაჭერისთვის:

„ამხანაგი“ წინამძღოლობას გაუწევს მშრომელ ხალხს და ამიტომ იგი მუშათა და გლეხთა გაზეთია: „ამხანაგი“ ქართული გაზეთია. მას სწამს მშრომელი საქართველო და მისი ინტერესები მშრომელი საქართველოს ინტერესები იქნება.

ამხანაგო მუშებო და გლეხებო! მხარი დაუჭირეთ თქვენს გაზეთს. დაგვეხმარეთ მატერიალურად და ზნეობრივად, მიეცით მას საშუალება, რომ იარსებოს. მისი ხანგრძლივობა თქვენზეა დამოკიდებული. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენში „ამხანაგი“ ხმას ჰპოვებს იმ ძლიერ ძალას, რომლის მოკრებაც ძირს დაანარცხებს ბურჟუაზიას და მის ნაშთებზე თვალის წარმტაც შრომის სამეფოს, ძვირადაც რომ დაუჯდეს, მაინც ააგებს, და ამ იმედით გაკაჟებული, მედგრად ვიძახით: გაუმარჯოს სოციალიზმს! მშრომელო ხალხო! წინ, წინ, ძმობა ერთობის და თანასწორობის სამყაროსაკენ!“

ამონარიდი წერილიდან: „ჩვენი გზა“: „დღეს პირველად გვეძლევა საშუალება გამოვეხმაუროთ ფართო საზოგადოებას. დღეიდან იწყებს გამოსვლას ჩვენი პატარა გაზეთი, პატარა სარკე იმ დიდ მისწრაფებათა, რომელნიც მრავალი წლის განმავლობაში ასულდგმულებდნენ კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს და ეხლაც, როგორც „ხმა ნაღარისა“, არაერთ გმირს აღანთებენ ბრძოლისათვის. ჩვენი გაზეთი მტკიცედ დაადგება იმ გზას, თუმცა ეკლით სავსეს, მაგრამ შეურყვნელს, რომელიც მიიყვანს მშრომელთა კავშირს იმ სრულს საზოგადოებრივ წყობილებამდე, სადაც დამკვიდრებული იქნება სოციალისტური სიმართლე და სადაც გახალისებული ცხოვრება ყველას ერთნაირის ღიმილით მიწევს სამხიარულო სიცოცხლის ზეიმისაკენ...“ – ვლ. ჯაფარიძე, N1, 1919 წლის 6 აგვისტო.

გაზეთის გამოსვლას მიესალმებიან სხვადასხვა რაიონისა და რეგიონის წარმომადგენლები, პარტიის აქტივისტები. საყურადღებოდ მივიჩნიე ერთ-ერთი მოწაფის, ჭიჭიკო მილორავას წერილი, რომელიც გვამცნობს, რომ ისინი არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი ზდანოვიჩის მიერ დასახულ იმ გზას მიჰყვებიან, რომელიც საქართველოს განთავისუფლებასა და სოციალიზმს ქადაგებს: „სოციალ-ფედერალისტური სსრ პარტიის მოწაფეთა ფოთის კავშირი უსაზღვრო სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებება ადგილობრივი კომიტეტის პარტიულ ორგანოს „ამხანაგს“. ვუსურვებთ ჩვენს გაზეთს სრულ გამარჯვებას და დაუშრეტელ ენერგიას დემოკრატიის საკეთილდღეოთ. იმედი გვაქვს, რომ ტანჯულ და დაჩაგრულ საქართველოს აღმოუჩნდება ასეთი დამცველი არა მარტო ფოთში, არამედ სხვა პროვინციებშიც. საქართველოს ბედნიერება მშრომელი ხალხის ბედნიერებაა. ჩვენ, მოწაფეები, არ დავიშურებთ არავითარ ძალას იმ იდეალის განსახორციელებლად, რომელიც დაგვისახეს ჩვენმა ბელადებმა არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი ზდანოვიჩმა – ეს არის სოციალიზმი და საქართველოს განთავისუფლება. შევიწროება ჩვენი პარტიისა დღევანდელი პირობებით ჩვენ ვერ გვაღონებს. ეს ხომ გარდამავალია. ჩვენი პარტია დღითიდღე იზრდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენს გარშემო შემოიკრიბება მთელი შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა. ამხანაგო მოწაფეებო! შემოვკრბედ „ამხანაგის“ გარშემო და ვსწიოთ ჭაპანნი ჩვენს უფროს ამხანაგებთან, გულმკერდში ჩავიკრათ ჩვენი წმინდათაწმინდა და გავსწიოთ წინ“.

ს. ფ. ს. პ. ფოთის მოწაფეთა კავშირის მონდობილობით – ჭიჭიკო მილორავა (N3, 20 აგვისტო 1917 წელი).

გაზეთის გამოსვლას ეხმიანებიან ჯარისკაცები წერილით „ხმა სანგრიდან“: „დიდად მოხარული ვართ გაზეთ „ამხანაგის“ გამოსვლით. გვჯერა, „ამხანაგი“ დაიცავს როგორც ქალაქის, ისე საყოველთაო მუშათა კლასის ინტერესებს, მასთან ერთად საქართველოს წინსვლას და რუსეთის ფედერაციულად მოწყობის პრინციპებს. გაუმარჯოს „ამხანაგს“, გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიას. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქართველ მხედართა ერთი ჯგუფის მონდობილობით – პრაპორ ჟვანია. 3 სექტემბერი 1917 წელი.

საგაზეთო მასალები დაყოფილია თემატურად: განცხადებები; რეკლამა; ცალკე გვერდი ეთმობა ლიტერატურას. წერილები ვრცელია, ბევრია შეცდომა როგორც კორექტურული, ისე შინაარსობრივი. გარკვეული ადგილი უკავია განათლებას, რაზეც მიგვითითებს წერილების სათაურები: „მასწავლებელთა ყრილობა“, „სამრევლო სკოლის შესახებ“, „სკოლის გაეროვნება“, „ეროვნული სკოლა“. წერილების სათაურებს თუ გავითვალიაწინებთ, უმთავრესი ყურადღება ეთმობა განათლების ეროვნულ იდეალებზე წარმართვას. ასევე დიდი ადგილი უკავია პოლიტიკას: „გლეხი და სოციალ-დემოკრატები“, „დღევანდელი ვითარება“, „მთავარი დადგენილებანი“, „რევოლუცია და სახალხო განათლება“, „მიწა-მიწის მუშებს“, „ქალაქის თვითმმართველობის დღიურიდან“, „მოკლე პასუხები დიდ საკითხებზე“, „ფოთის ვითარება“, „ედელვეისი (ჩანახატი მ. გორკიდან)“, „მომენტის გამო“, „ფოთის ელევატორი“, „ჩვენი მხარე“, „არჩევნები და გიმნაზია“...

აღმშენებელთა კავშირისა და „ტრიბუნის“ რედაქციის სახელით ამხ. ემელიანე ნოდია მეტად ლამაზი სიტყვებით აღნიშნავს 1 მაისის დღესასწაულს.

გაზეთი ასევე დიდ ადგილს უთმობს ადგილობრივ არჩევნებს. ერთ-ერთი წერილი ნათლად გვიხატავს, თუ როგორ მიმდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები:

„არჩევნების ციებ-ცხელებაა. ყველა მართავს კრებებს, ფენს პლაკატებსა და განცხადებებს, მესამე ნომერი ჩვენი პარტიისა დიდს შევიწროებასაც განიცდის ხულიგნებისაგან. უკეთეს მდგომარეობაში არც ბოლშევიკების მეხუთე ნომერია – მეოთხე ნომერი (სოც.რევ.) მკრთალად მოსჩანს. პირველი და მეორე, მენშევიკების და „ერ. დემოკრატების“ უფრო მაგრად არიან. ხულიგანები გრძნობენ, რომ ეს სიები ერთი მეორეს დამატებას წარმოადგენენ პოლიტიკური ღირებულების მხრით“.

1917 წლის 13 აგვისტოს N2-ში გამოქვეყნებულია ფოთის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიდან. იქვეა კომენტარი: „ვისაც გინდა მიწა და თავისუფლება, რვა საათის სამუშაო დღე, საქართველოს ავტონომია, თავისუფლების განმტკიცება და იმპერიალისტი ბურჟუაზიის ალაგმვა, მიეცით ხმა სიას N3“ (პ. ს. ამ სიის გამოქვეყნებით ხელს შევუწყობთ ამ მიმართულებით მომუშავე ისტორიკოსებს, მკლევარებს... მ. დ.).

აი, ეგ სიაც:

1. ფანცხავა იკობი – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ყოფილი ქალაქის თავის მოადგილე (კრიტიკოსი, მწერალი. დაიბადა 1867 წლის 14 მაისს წყალტუბოს რაიონ სოფელ ხომულიში. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მსახურობდა: ფოთის ქალაქის მმართველობაში; ქუთაისის სათავადაზნაურო – საადგილმამულო ბანკში; სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველად; ქუთაისის მაზრის საბჭოს წევრად; ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრად; ფინანსთა სახლის კომისრის მოადგილედ... ლიტერატურულ და საბუნებისმეტყველო წერილებს ბეჭდავდა გაზეთ „კვალში“, „მოამბეში“, „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“. თარგმნა მედიცინის სახელმძღვანელოები. სხვადასხვა დროს იყო რევკომის პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი (1924); სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი (1903-1918); გარდაიცვალა 1955 წლის 20 სექტემბერს 88 წლის ასაკში).

2. ჯაფარიძე ვლადიმერ – იურისტი, საურთიერთობო ბანკის თავმჯდომარე, ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი (ფოტოზე ვლადიმერ ჯაფარიძე ძმა ლადოსთან ერთად).

3. ესაკია მიხეილ – წევრი ფოთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსა, წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა და ყოფილი ხმოსანი.

4. კვიკინაძე ნიკოლოზ – მათემატიკოსი, გიმნაზიის მასწავლებელი.

5. ლორთქიფანიძე მეგი დიდიას ასული — ისტორიკოსი, ფილოლოგი.

6. ხოფერია ალექსანდრე – რკინისგზის

მოსამსახურე. ყოფილი ხმოსანი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრი (1914-).

7. ნოდია ემელიანე — ტეხნოლოგი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1913-1918)).

8. დობორჯგინიძე გაბრიელ – მათემატიკოსი, გიმნაზიის მასწავლებელი.

9. ქამუშაძე ნიკოლოზ – სახალხო მასწავლებელი, წევრი მასწავლებელთა სასამართლოს კავშირისა, ნიკოლოზ ქამუშაძე დაიბადა 1890 წელს საჩხერის რაიონის სოფელი ქორეთში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხიდისთავის განყოფილების წევრი (1915), გარდაიცვალა ძალიან ახალგაზრდა, დაახლოებით 30 წლისა და დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ქორეთში.

10. მდივანი ალექსანდრე – პროფესორი (დ. 1892, სოფ. ძეგვი – გ. 3 აპრილი, 1938) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის იმპერიისა და საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის არმიის ოფიცერი, კაპიტანი. იყო ქალაქ თბილისი საბჭოს წევრი და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. ხელი მოაწერა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ მსახურობდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შტაბის უფროსად. გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისა და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

11. მუსერიძე სევერიანე – ?? მოხელე, ყოფილი სოფლის მასწავლებელი, ყოფილი წევრი სენაკის აღმასრულებელ კომიტეტის, მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის წევრი.

12. ჩხენკელი ნიკოლოზ – მასწავლებელი, მუშათა და ჯარისკაცთა კომიტეტის წევრი. წევრი ფოთის აღმასრულებელი კომიტეტისა.

13. კახიძე ელენე – მასწავლებელი. წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა.

14. მამალაძე ბეგლარ – აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

15. ხოშტარია ვლადიმერ – აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ეპარქიული კანცელარიის მდივნის თანაშემწე (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1913-1914), საზოგადოების ფოთის განყოფილების გამგეობის წევრი 1917-).

16. სამსონია მოსე – ჯარისკაცი, მასწავლებელი.

17. ჩიჩუა სარდიონ – ნავსადგურის მუშა.

18. გოგოლაშვილი პავლე – პროვიზორის თანაშემწე.

19. ხოშტარია ალექსანდრე – მრეწველი, ყოფილი ხმოსანი.

20. მაღნარაძე კაცია – მრეწველი, ყოფილი ხმოსანი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1905); ფოთის განყოფილების დამფუძნებელი წევრი (1910-1920).

21. ქორქია ნიკოლოზ – სანაოსნო საზოგადოების მოსამსახურე.

22. ლომაია უშანგი – სანაოსნო საზოგადოების მოსამსახურე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

23. ჟვანია ნოე – წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობის წევრი. ხაზინაში მოსამსახურე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1908-1918).

24. ყრუაშვილი დიმიტრი – ხაზინის მოსამსახურე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1916).

25. წულეისკირი ანდრია – ხაზინის მოსამსახურე.

26. აბსავა ისაკი – ნავსადგურის მუშა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების დამფუძნებელი წევრი (1910); საზოგადოების ნამდვილი წევრი (1909).

27. პაპანდოპულო გიორგი – ხელოსანი.

ფოთის კომიტეტის საქ. ს-ფ: სარ. პარტიისა.“

წერილს ხელს აწერენ: ხვედელი, ჭიჭიკო მილორავა.

გაზეთს ყურადღების მიღმა არ რჩება პრესის მიმოხილვა. წერილში „პრესის მაგიერ“ გაკრიტიკებულია გაზეთი „დემოკრატიული თვითმმართველობა“.

(პ.ს გაზეთ „ამხანაგის“ მიმოხილვა არასრულყოფილია რადგან, იგი მხოლოდ ორი ნომრის საფუძველზე დაიწერა.)

თამაზ შოთას ძე ფიფია



ყოველი პიროვნება თავისი შემოქმედებით, ცხოვრების წესით, თავისსავე ბიოგრაფიას წერს, მით უმეტეს, შემოქმედი, მწერალი და პოეტი. ამის თვალსაჩინო მაგალითად გვესახება თამაზ ფიფია, რომელმაც დაიმკვიდრა ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის სახელი.

„კონკისტადორები და ავანტიურისტები დაეპატრონენ საქართველოს, ხოლო ზვიადისა და მერაბის იდეის ხორცშესხმას ფრთები ცეცხლით შეატრუსეს და შეაჭრეს. ამ მოღალატეთა გვერდით არაერთი პოეტი და მწერალი აღმოჩნდა. თითზე ჩამოითვლება იმ შემოქმედთა გვარ-სახელები, რომლებიც მშობლიურ ხალხს დაუდგა გვერდით ამ ძნელბედობის ჟამს. ამ იშვიათ შემოქმედთა შორის დგას პოეტი და პუბლიცისტი თამაზ ფიფია.

ის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების პირველივე დღეებიდანვე იქ დგას, სადაც უნდა იდგეს პატრიოტი და შემოქმედი. მისი ამაღლებული, მგზნებარე ლირიკული ლექსები, პუბლიცისტური წერილები ეპოქის მაჯისცემას ასახავს. სამშობლოა მისი აწმყო და მომავალი.

ქართველი ერის ტკივილის გაყუჩებას კი არა, ერის დამხობა-განადგურებას გეგმავდა ბოროტი ძალა. პოეტმა კარგად უწყოდა ის, რომ ქართველი ხალხის უბედურების სათავე ეროვნული ხელისუფლების დამხობაა. მისი ლექსების უმრავლესობა მხილებაა საუკუნის უდიდესი დანაშაულის ჩამდენი მოღალატეებისა, რომლებმაც საქართველოს თავს დაატეხეს არნახული ჭირ-ვარამი და საშინელება.

მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას.

ცალკე თემაა თამაზ ფიფია, როგორც სახელგანთქმული პუბლიცისტი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე.



აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე წალენჯიხის ტრაგედიის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ ინტერვიუში სამართლიანად აღნიშნავდა: „პირველი, ვინც აღიმაღლა ხმა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ, გახლდათ ირაკლი გოცირიძის გაზეთი „იბერია-სპექტრი“, შემდეგ გამოვიდა „საქართველოს სამრეკლო“, რომელიც ასევე დაუნდობლად ამხელდა ამ ბოროტებას. და მერე სწორედ ამ გაზეთებს ამოუდგა, გვერდი დაუმშვენა კიდევაც და შეიძლება მეტიც გააკეთა თავისი გამბედაობით და ფაქტობრივი მასალების გამოქვეყნებით „წალენჯიხის ზარებმა“, რომლის რედაქტორი ბრძანდება თამაზ ფიფია. ალბათ პრესის ისტორიაში დაიწერება ეს ყველაფერი და სათანადო შეფასება მიეცემა. „წალენჯიხის ტრაგედიამ“ წარმოშვა „წალენჯიხის ზარები“, და ეს ტრაგედია იყო უმძიმესი.



სწორედ გაზეთ „წალენჯიხის ზარები“ გახდა საფუძველი გამოცემულიყო წიგნი – მამხილებელი „ცოდვის კალო სამეგრელოში“.

თამაზ ფიფიას ამ წიგნიდან მოისმის სამეგრელოს ასაკლებად „მხედრიონელთა“ და სხვა სახის ბანდიტთა ტანკების გრუხუნი და ზაქით შემოჯირითების გამაყრუებელი, შემზარავი ხმა, შესაბამისად ისმის ძაძით მოსილ შვილდახოცილ, გულგამწარებულ დედათა გულსაკლავი კვნესა-ქვითინი.

სისხლითა და ცრემლით გაჯერებულ წიგნში ნათლად ჩანს ავტორის მწერლური ოსტატობა, კოლოსალური შრომა-რუდუნება, პატრიოტიზმი, სამართლიანობა და გამბედაობა“.

თამაზ შოთას ძე ფიფია დაიბადა 1942 წლის 8 ივლისს წალენჯიხაში. 1948-59 წლებში სწავლობდა წალენჯიხის საშუალო სკოლაში. მისი



დამთავრების შემდეგ მუშაობდა წალენჯიხის საჯარო ბიბლიოთეკაში სტაჟიორად; შემდეგ – წალენჯიხის ღვინის ქარხანაში მუშად.

1961-1966 წწ-ში სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1965 წლის ზაფხულში მონაწილეობდა ყაზახეთის ყამირისა და ნასვენი მიწების ათვისების სამუშაოებში.

1964-1966 წლებიდან კორესპონდენციებს, ინტერვიუებსა და ნარკვევებს ბეჭდავდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, რესპუბლიკაში გამომავალ სხვა პრესაში.

1966 წლის მაისიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გაზეთ „საბჭოთა აგრონომის“ ლიტმუშაკია. პარალელურად თანამშრომლობდა რესპუბლიკურ პრესაში, 1972 წლიდან – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში – კორესპონდენტად. 1977 წლიდან საქმიანობის პარალელურად საქსოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში ჟურნალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელია. მექანიზატორთა შრომის ამსახველ ჟურნალისტურ მასალებს აქვეყნებდა რესპუბლიკაში გამომავალ თითქმის ყველა პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში. 1981 წლიდან გადადის საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ინფორმაციის მთავარი რედაქციის („მოამბის“) რედაქტორად, შემდგომში კი – უფროს რედაქტორად. ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის დარგს. 1989 წლის იანვარში მშობლებთან ახლოს ყოფნის სურვილით სამუშაოდ გადმოდის საქტელერადიოს ზუგდიდის ზონის საკუთარ კორესპონდენტად.

1989 წლიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ცდილობდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და მუხრან მაჭავარიანის მხარდამხარ ეპოვა საკუთარი ადგილი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 9 აპრილის შემდეგ საბოლოოდ გაემიჯნა მოქმედ ხელისუფლებას და უდიდესი სიხარულით შეეგება ეროვნული ძალების გამარჯვებას.

1991 წელს, როდესაც საქართველოს ტელემაუწყებლობაში თანამშრომელთა დიდი განხეთქილება მოხდა, უყოყმანოდ დადგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარეს, რის გამოც 1992 წლის პუტჩის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გაათავისუფლა.

1992 წელს საქართველოს „მხედრიონმა“ ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით მოითარეშა სამეგრელო, განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა წალენჯიხის რაიონის მცხოვრებლებს, სისხლიანი კალო მოაწყო წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის მიდამოებში, გაძარცვა, ფიზიკურად შეურაცხყო ასეულობით მოსახლე, ათეულობით უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე კი დახვრიტა, გაიძარცვა და ყოველმხრივ შევიწროებულ იქნა თამაზ ფიფიას ოჯახიც – მშობლები განდევნილნი იყვნენ საკუთარი სახლიდან.

ბუნებრივია, რომ წალენჯიხაში წარმოიშვა საპროტესტო მოძრაობა. მას სათავეში ჩაუდგა სრულიად საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ეროვნულ მოძრაობა „ჭყონდიდელთან“ ერთად. გადაწყდა, რომ ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მხედრიონის დანაშაულებრივი საქმიანობის სამხილებლად რაიონში შექმნილიყო მკვეთრად ოპოზიციური გაზეთი. საზოგადოებამ 1993 წლის დასაწყისში გაზეთის მთავარ რედაქტორად აირჩია თამაზ ფიფია. გაზეთის სახელწოდება „წალენჯიხის ზარები“ და პერიოდულობა პირადად შეათანხმა კ. გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტ მუხრან მაჭავარიანსა და ვიცე-პრეზიდენტ სოსო სიგუასთან.

1994 წლის აპრილში დააპატიმრეს. წალენჯიხაში საგანგებო მდგომარეობის გამო შექმნილი კომენდატურის ზედამხედველობით 18 დღე გაატარა წალენჯიხის პოლიციის სამორიგეოსა და საკანში. გამოუშვეს იმ პირობით, რომ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდებოდა...

1994 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტიის ხელმძღვანელობამ შესთავაზა სათავეში ჩასდგომოდა ამავე პარტიის მკვეთრად ოპოზიციური გაზეთის „თქმა სიმართლისა“ სარედაქციო კოლეგიას. იგი აქ საქმიანობდა 1995 წლის თებერვლამდე.

1995 წელს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ დაასახელა დეპუტატობის კანდიდატად. კანდიდატურა საკუთარი სურვილით მოხსნა, რადგან საზოგადოების პრეზიდენტი მუხრან მაჭავარიანი ეწინააღმდეგებოდა არჩევნებში მონაწილეობას.

1996 წლის დასაწყისიდან ქუჯი-ფარნავაზის საზოგადოების ჟურნალ „აიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა ამ ჟურნალს. ავადმყოფობის გამო კავშირი გაწყვიტა „აიასთან“.

ჟურნალისტური მოღვაწეობის პარალელურად მწერლობდა. მისი პირველი მოთხრობა „ფეხბურთის ბილეთი“ დაიბეჭდა 1965 წელს გაზეთ „ლელოში“, 1968 და 1970 წლებში კი რამდენიმე მოთხრობა გამოქვეყნდა ჟურნალებში: „პიონერი“ და „დილა“. რესპუბლიკურ პრესაში ლექსების ბეჭდვა დაიწყო 70-იან წლებიდან. 1976-1977 წლებში მონაწილეობა მიიღო თბილისსა და სოხუმში ჩატარებულ დრამატურგთა თათბირ-სემინარებში. ისტორიული დრამა „ურდუმი“ შეტანილი იყო ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის თეატრის რეპერტუარში და მხოლოდ დირექტორ ალექსანდრე (საშა) ეგუტიას გარდაცვალებამ შეაფერხა ეს საქმე. იმ წლებში შექმნა აგრეთვე დრამა „ფარნავაზ პირველი“, კომედია „წილადობილა“. ეს პიესები გატანილი იყო განსახილველად, შემდგომში კი აფხაზეთის თემაზე შექმნა ტრაგედია „თამთა“. საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის შესახებ შეთხზა რომანი „დევნილები“. ნაწყვეტები ამ რომანიდან დაიბეჭდა პერიოდულ პრესაში.

1978 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ წიგნად გამოაქვეყნა ვრცელი ნარკვევი – „აბაშელ მექანიზატორთა გამარჯვება“. 1999 წელს ილუსტრირებული ბროშურის სახით გამოიცა ნარკვევი „თავგანწირვა“, მიძღვნილი ძმები ესებუებისადმი. 2004 წელს გამოჩნდა ლექსების კრებული „გულის მზე საქართველოა“; 2007 წელს კი – ნარკვევების კრებული „ცოდვის კალო სამეგრელოში“; 2010 წელს გამოვიდა ლირიკულ ლექსთა კრებული „მიჯნურის დღიურიდან“.

დიდია მის მიერ გაწეული ღვაწლი ტერენტი გრანელის პოეზიის წარმოჩენისა და ფართო მასებისთვის გაცნობის თვალსაზრისით. 2008 წელს გამოსცა ბიოგრაფიული პოემა ტერენტი გრანელზე „თეთრი ბაღის ანგელოზი“; 2009-2010 წლებში გამოსცა საიუბილეო გაზეთი „ტერენტი გრანელი “; თანაავტორია წიგნისა „გრანელობა“; 2014 წელს მკითხველმა იხილა „გრანელობა პოეზიის დღესასწაული“; გამოსაცემი დარჩა თავისი შემოქმედების უმთავრესი ნაწილი: „ცოდვის კალო სამეგრელოში“ (მეორე ნაწილი), ლექსების, მოთხრობების, პიესების, მინიატურების, ნარკვევების კრებულები და სხვა...

თამაზ ფიფია ერთ-ერთ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ინტერვიუში (მასალა წიგნიდან „სამეგრელო-ზემო სვანეთის მედიაისტორია და ჟურნალისტების შემოქმედებითი ცხოვრება“) ამბობს:

„მწერლობაში აღმოვჩნდი უწინარესად იმის შედეგად, რომ 1962 და განსაკუთრებით 1963 წლიდან დავიწყე დღიურების წერა და მაშინვე დამიგროვდა უამრავი როგორც ჟურნალისტური, ისევ მწერლური სიუჟეტები, თემები ნარკვევების, ჩანახატების, მოთხრობებისა და ნოველებისათვის. დროდადრო კი – რითმები მომავალი ლექსებისთვის.

სამშობლო, უფალი, სიყვარული! ეს იყო და არის ჩემი შემოქმედების უმთავრესი თემა.

ჟურნალისტიკაში აღმოვჩნდი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ყოფილი რედაქტორების ირაკლი ვეშაპიძის, ზაალ ჟვანიასა და გივი შეყილაძის ჩემდამი ძალიან გულისხმიერი დამოკიდებულებების შედეგად.

ჟურნალისტიკასა და მწერლობაში ჩემი იდეალი ილია ჭავჭავაძეა!

თანამშრომლებიდან „მოამბეში“ განსაკუთრებით დამამახსოვრდა სპარტაკ ჟვანია, ნამდვილი კოლხი ვაჟკაცი, გულითადობით გამორჩეული, რომელთანაც იმდენად ახლოს ვიყავი, რომ ჩემი საკუთარი მანქანით ვახლდი ჟვანიების გვარის შეკრებაზე ქ. ზუგდიდში და სტადიონზე შეკრებილ უამრავ ჟვანიებს შორის მხოლოდ მე ვიყავი სხვა გვარის წარმომადგენელი. სპარტაკ ჟვანიას ხსოვნას თანამშრომლებმა ილუსტრირებული წიგნი მივუძღვენით. შემდგენელ-რედაქტორი

პირადად ვიყავი.

„წალენჯიხის ზარებში“ საქმიანობისას დავუახლოვდი რინოს კვარაცხელიას, დიდებულ პოეტსა და ჟურნალისტს, რომელთანაც მისი სიკვდილის შემდეგაც ბევრი რამ მაკავშირებს. ვიყავი მისი ლექსების ბოლო ორი კრებულის რედაქტორი. ასევე ძალზე თბილად მახსენდება ამ გაზეთის თანამშრომლები ირმა აკობია, ელგუჯა ფიფია, სარედაქციო კოლეგიის წევრები: პრეფექტი ზურაბ გუჩუა, ავთანდილ კინწურაშვილი და სხვები.

ცხოვრება კურიოზების გარეშე არ არსებობს. ვერ ვიტყვი, რომ დიდად საინტერესო გახსენება იყოს, მაგრამ კურიოზული ნამდვილად არის ერთი ეპიზოდი ჩემი ბიოგრაფიისა: 60-იანი წლების ბოლოს ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში“ მივიტანე ლექსები (რესპუბლიკურ პრესაში პირველად!) და, მიუხედავად იმისა, რომ რედაქტორი ევგენი ბართაია დაბეჭდვას შემპირდა, მეორე შეხვედრისას ვუთხარი მას, რომ მსურდა ისინი უკანვე გამეტანა. ამით რედაქტორი ძალზე გავანაწყენე! მაშინ მეგონა ლექსების წერას შევეშვებოდი, მაგრამ ცოტა ხანში კვლავ დავიწყე მათი მიტანა რედაქციებში! მაშინდელ საქციელს მხოლოდ ერთ ახსნას ვუძებნი: მეეჭვებოდა: ვიყავი კი იმდენად ნიჭიერი, რომ წარმატება მომეპოვებინა? პროზაში უფრო უფლებამოსილად ვგრძნობდი თავს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საყვარელი ქართველი მწერალი, პოეტი ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით მომწონს რუსთველი, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ტატო ბარათაშვილი. თითქმის ჩვენი თანამედროვენი: გალაკტიონი, გოგლა, გრანელი.. აგრეთვე მუხრან მაჭავარიანი და შოთა ნიშნიანიძე... პროზაიკოსებიდან: კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან გოთუა...

მარადიული ნათელი – მათ ხსოვნას!

ჩემი მშობლიური ქალაქი წალენჯიხაა, ეგრისის ქედს შეფენილი ლაკადის თვალწარმტაცი მხარე, ჩემს სიჭაბუკეში დიდებული ადამიანებით შემკული. ერთმანეთისადმი ლაკადური ერთგულების კოლორიტით, სტუმარმასპინძლობის ხიბლით გამორჩეული... ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში (90-იანი წლები) დაუმორჩილებლობით სახელმოხვეჭილი.

თბილისში ბევრად უფრო მეტი დრო გავატარე და თბილისსაც მშობლიურ ქალაქად მივიჩნევ. მხიბლავს იგი თავისი განუმეორებელი მთაწმინდითა და დედაქალაქური სიკეთეებით (ბოლო პერიოდში ბევრი უარყოფითიც გამოავლინა, მაგრამ მაინც ქართული აზრის მესვეურად დარჩა).

„უდავოდ მრავალმხრივი შემოქმედია, ამასთან იგი მიეკუთვნება იმ ნიჭიერ მოღვაწეთა უმცირეს ჯგუფს, ვისთვისაც უმთავრესია მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნა და არა სახელდახელო ზრუნვა მათ წიგნად გამოცემაზე. ამაში არის ერთგვარი მოკრძალებაც და, ამავე დროს, დაუდევრობის ნიშნებიც. სხვას რას უნდა ნიშნავდეს, 60 წელს გადაცილებული შემოქმედი რომ სცემს პირველ პოეტურ კრებულს. მისთვის არ არსებობს ჟანრობრივი ბარიერი. წერს მშვენიერ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, დრამატულ ნაწარმოებებს. რომანშიც უცდია კალამი და წარმატებულადაც“, – დასძენს აწ განსვენებული პოეტი და ჟურნალისტი რინოს კვარაცხელია და ლექსსაც უძღვნის ადრესანტს:

სიტყვის ჯავარი
ჯავარიანობს შენეული
სიტყვაც, ზნეობაც, —
გაფორიაქებს და გაშფოთებს
ეშმას ზეობა.
ჭირის დღესავით გძულს გულმხდალი
და ქედდახრილი,
შენი შუბია კალამი და
შენი მახვილი...
გაზეთს თუ ჟურნალს შენი ფიქრის
კვალი აჩნია, —
შენი ღვაწლით და რუდუნებით
ფრთებს შლის „აია“.

ისევ გებრძვიან სიმართლისათვის
ადრე ნაციხარს, —
მარტო არა ხარ, მაგრამ ფიქრში
მარტოკაცი ხარ...
მოგდგამს სიმხნევე და შემართება,
ზეგარდმო ნიჭი, —
ფხაალესილი ხანჯალივით
კალამი გიჭრის...
ლექსს, თუ მოთხრობას გულმხურვალედ
სულს ისევ უდგამ, —
დაე, ამგვარად შემართული
მენახე მუდამ!

(ლიტ.გაზეთი: „ნოჯიხური“ 2012, №25)

ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის, სულმნათი შოთა ფიფიას ვაჟი განუხრელად ერთგული დარჩა მამის ანდერძისა:

სამშობლო ქვეყნის იყავ მუდამ
ისე ერთგული,
სულში ვერასდროს შეაღწიოს
ბნელმა საღამომ,
სჯობს უღიმღამო არსებობას, —
დამიწდეს გული,
უნდა შეიძლო ერის ტკივილს მიემალამო.

(ნაწყვეტი თამაზ ფიფიას ლექსიდან „მამის ნაჩუქარი კალამი“)

ამ ლექსის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ლექსი მკითხველს:

სტროფებს აქ რომ თქვენ კითხულობთ
და ეცნობით უცნობ მწერალს,
გრძნობის არის კირითხურო,
ვერ განუდგა ბედისწერას.
დრო წრფელ სიტყვას ისე სთხოვდა,
ლექსი ექცა ნანატრ ხვითოდ
და ყოველთვის, რაც ახსოვდა —
მხოლოდ საქართველო იყო!

ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე თამაზ ფიფია გარდაიცვალა 2020 წლის 20 აპრილს. აპრილის დასაწყისში მას გარდაეცვალა ძვირფასი მეუღლე, ქალბატონი მაია დარჩია და, როგორც ჩანს, ცხოვრების ღირსეული თანამგზავრის გარდაცვალებასთან ერთად მასაც გამოელია სასიცოცხლო რესურსები...

გამოყენებული ლიტერატურა:
ლიტერატურული გაზეთი „ნოჯიხური“.
მასალა წიგნიდან: „სამეგრელო-ზემო სვანეთის მედიაისტორია და ჟურნალისტების შემოქმედებითი ცხოვრება“,
ავტორი – მარინა დამენია

ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია

ნოე ჟორდანია

ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია (ფსევდონიმები: კოსტროვი, ანი, ნარი, ნარიძე და სხვ.) დაიბადა 1868 წლის 14 იანვარს ღარიბი აზნაურის ოჯახში, გურიის სოფელ ლანჩხუთში, იმ დროისთვის ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში. ნოეს დედა ქრისტინე ჩიქოვანი წარმოშობით მეგრელი იყო. თანამედროვეთა გადმოცემით, ჟორდანია განსაკუთრებით აფასებდა დედას. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ლანჩხუთში, ოზურგეთში, თბილისში, ვარშავაში, ჟენევაში, ლონდონში, პარიზში, შტუტგარდტში, ბაქოში, განჯაში, პეტერბურგში.

დაწყებითი განათლება მიიღო ლანჩხუთის სოფლის სკოლაში. 1879 წელს სწავლა გააგრძელა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებლის დასრულების შემდეგ მამამისმა ორი ქცევა მიწა გაყიდა და 1884 წელს თბილისის სასულიერო სემინარიას მიაბარა. მშობლებს იმედი ჰქონდათ, რომ ნოე მღვდელი გამოვიდოდა.

სემინარიელი ნოე ჟორდანია უკვე მესამე კლასიდან ოცნებობდა ევროპაში მოხვედრაზე. ამ მიზნის მისაღწევად ის შევიდა ლადო აღნიაშვილის ანსამბლში და მონაწილეობა მიიღო 1887 წელს თბილისის სახაზინო თეატრში გამართულ კონცერტში. მან ა. მირიანაშვილთან ფრანგული ენის შესწავლაც დაიწყო, მაგრამ ანსამბლის მეშვეობით ევროპაში მაინც ვერ მოხვდა.

სწავლის განმავლობაში ეწეოდა თვითგანვითარებას – კითხულობდა სემინარიაში აკრძალულ ლიტერატურას (ჩერნიშევსკი, გერცენი), ასევე, ხალხოსნური შინაარსის ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, სამეცნიერო ნაშრომებს, რომლითაც მას ძირითადად ზაქარია ჭიჭინაძე ამარაგებდა. რუსული ლიტერატურიდან ის ეცნობოდა რევოლუციურ აზრებს, სოციალურ და პოლიტიკურ მიმდინარეობებს, ქართული ლიტერატურიდან კი ითვისებდა ნაციონალურ და პატრიოტულ სულისკვეთებას.

ბავშვობაში იზრდებოდა როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, იცავდა მარხვას და ეზიარებოდა. პირველად ღვთის არსებობაში დაეჭვდა სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წაკითხვის შემდეგ, აღმოაჩინა რა, რომ ბუნებრივ მოვლენებს ჰქონდა მეცნიერული ახსნა. აქედან გამომდინარე, ეჭვი შეიტანა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობაში, რადგანაც მაშინ-დელი გავრცელებული წარმოდგენით მეფის ლეგიტიმურობა მის თითქოსდა ღვთიურ ხელდა-სხმას უკავშირდებოდა. ყმაწვილს უკვე სემინარიაშივე ჩამოუყალიბდა მტკიცე აზრი: „მეფე ისე-თივე გამოგონილი ავტორიტეტია, როგორც ღმერთი. ეს ორთავე ერთ დონეზე დავაყენე, ათეიზმი და რესპუბლიკანიზმი ერთიმეორის ტყუპათ დავსახე“ (წყარო: „ჩემი წარსული“, გვ. 12).

1889 წელს მონაწილეობა მიიღო სემინარიელთა ერთკვირიან გაფიცვაში. მოსწავლეები ითხოვდნენ სემინარიაში ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღებას. აქტიურად იყო ჩართული სემინარიის ხელნაწერი ჟურნალების „სინათლისა“ და „ყვავილის“ გამოცემაში, სადაც პირველი პაექრობა მოუხდა ფილიპე მახარაძესთან. სემინარიაში ჟორდანია ჩამოყალიბდა რევოლუციის მომხრე სოციალისტ-ნაროდნიკად.

თბილისის სასულიერო სემინარია 1890 წელს დაამთავრა. 1891 წელს გაემგზავრა ვარშავაში – ვეტერინარულ ინსტიტუტში ჩასარიცხად. აქ ის გაეცნო მარქსიზმის იდეებს. როგორც ჟორდანია თავად აღწერს, 1892 წელს მოხდა მისი პოლიტიკური ევოლუცია, რაც გამოიხატა რუსული სოციალიზმიდან მარქსიზმზე გადასვლით. ამის შემდეგ ჟორდანიამ დაიწყო შესაბამისი ლიტერატურის კითხვა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გ. პლეხანოვის ბროშურამ „ვაი ტიხომიროვს“. მის







მსოფლმხედველობაში მომხდარ არსებით ძვრებს ჟორდანია ვარშავიდან ატყობინებდა საქართველოში დარჩენილ მის თანამოაზრეებს – ეგნატე ნინოშვილსა და სილიბისტრო ჯიბლაძეს. ვარშავაში, გარდა მარქსიზმისა, გაეცნო პოლონეთის ეროვნულ მოძრაობას, რომელიც იბრძოდა პოლონეთის ავტონომიისთვის. ავადმყოფობის (ფილტვების ანთება) გამო 1892 წლის აგვისტოს დამდეგს იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ვარშავაში მყოფ ფილიპე მახარაძეს წრის შეკრებაზე განსახილველადნოემმისმიერდამუშავებული„ქართველინაციონალ-დემოკრატების პროგრამა“ გაუგზავნა. პროგრამის განხილვამ ნაციონალური და კლასობრივი საკითხის პრიორიტეტების გარშემო ქართველ სტუდენტებში დიდი დისკუსია გამოიწვია. დისკუსიის გაფართოებამ რუსეთისა და პოლონეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებს უბიძგა, 1892 წელსვე ჩამოეყალიბებინათ სტუდენტთა არალეგალური კავშირი „საქართველოს თავისუფლების ლიგა“, რომელმაც განაგრძო დისკუსია მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად ქუთაისსა და ვარშავაში, რაც საბოლოოდ 1893 წელს მოახერხა, თუმცა ამავე წელს ვარშავის ჟანდარმერიამ წრე აღმოაჩინა, წევრები დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა.

1892 წლის დეკემბრის ბოლოს ნოე ჟორდანია პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა. იგი აღმოჩნდა მარქსისტთა პირველ შეკრებაზე დაბა ყვირილაში. ეგნატე ნინოშვილის სახლში გახდა წევრი საინიციატივო ჯგუფისა, რომელშიც შედიოდნენ კარლო ჩხეიძე, ევგენი ვაწაძე, ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, რაჟდენ კალაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, ისიდორე კვიცარიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. მათ მოიწვიეს კონფერენცია მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისთვის ბრძოლის ტაქტიკის შესამუშავებლად. ჯგუფი საბოლოოდ ვერ შეთანხმდა და სამოქმედო პროგრამის შედგენა მიენდო ნოე ჟორდანიას, რომელმაც ჯიბლაძესა და ნინოშვილთან ერთად შეადგინა მოხსენება. მათ ძველი საზოგადოების გადატრიალების ღერძად დასახეს მუშათა კლასი, მაგრამ საქართველოს სინამდვილეში ამას ემატებოდა ნაციონალური საკითხიც. „თუკი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიკური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ჰქონდეს თავისი სახელმწიფო?“

1892 წელს ნოე ჟორდანიამ ახალგაზრდათა შორის მარქსისტული მსოფლმხედველობის დამკვიდრებისათვის დაიწყო მუშაობა. 1892 წლის 25 დეკემბერს იგი მონაწილეობდა ზესტაფონში გამართულ არალეგალურ ყრილობაზე, სადაც მისმა შეხედულებებმა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, თუმცა ეს ყრილობა იქცა სოციალ-დემოკრატიული პროგრამის წამოყენების სათავედ. ნოე ჟორდანიამ თავისი პროგრამა ჩამოაყალიბა წერილობით – „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ და წარადგინა 1893 წლის თებერვალს ტფილისში გამართულ მომდევნო კონფერენციაზე.

ამ სამოქმედო პროგრამით წარდგა ჟორდანია 1893 წლის თებერვალში ზემოთ ნახსენები ჯგუფის უმრავლესობის მონაწილეობით თბილისში საიდუმლო ბინაზე გამართულ მეორე კონფერენციაზე. მოხსენება მიღებულ იქნა და 1894 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“. პროგრამას საფუძვლად ედო შემდეგი დებულებები:

1. პიროვნების ნივთიერი კეთილდღეობა,
2. პიროვნებისა და ერის თავისუფლება,
3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა, დაფუძნებული ეკონომიკურ ნიადაგზე.

ამ ფარულ გუნდს „მესამე დასი“ ეწოდა. ეს იყო პირველი სოციალისტური პარტია საქართველოში. ფართო საზოგადოების წინაშე მისი წარდგომა და სამოქმედო პროგრამის გამომზეურება მოხდა 1894 წლის 7 მაისს, გურიის სოფელ ჩანჩეთში, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. სიტყვა წარმოთქვა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რადგან ჟორდანია ამ დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა.

„თავისუფლების ლიგის“ საქმეზე დაწყებული დაპატიმრებების გამო ნოე ჟორდანიამ დატოვა საქართველო და ჟენევაში გაემგზავრა.

1893 წლის მაისში მოსალოდნელი დაპატიმრების შიშით ჟორდანია ბათუმიდან ევროპაში გაემგზავრა. ჟორდანიამ პირადად ნახა ჟენევის მარქსისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი – გიორგი პლეხანოვი, ლევ დეიჩი, ვერა ზასულიჩი. შეუდგა მარქსისტული ლიტერატურისა და შვეიცარიელი მუშა-გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაცნობას. თავის შთაბეჭდილებებს აგზავნიდა საქართველოში და ბეჭდავდა „ივერიასა“ და „კვალში“. ისმენდა ლექციებს ჟენევის უნივერსიტეტში, დაესწრო ორიენტალისტთა X საერთაშორისო კონგრესს.

1894 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ბრალდების საქმეზე ნოე ჟორდანიაც იყო პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეთანხმებით საქმე შეწყდა და ნოე ჟორდანია პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას დაექვემდებარა.

1895 წელს პარიზში წავიდა. სამი თვის განმავლობაში მეცადინეობდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ისმენდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში; გაეცნო ფრანგ სოციალისტთა ლიდერებს – ჟიულ გედს, პოლ ლაფარგსა და სხვებს.

რამდენიმე თვის შემდეგ მარქსიზმის სამშობლოში – გერმანიაში გაემგზავრა. ჟორდანიას აზრით, განათლების შესავსებად აუცილებელი იყო იქ ცხოვრება და სწავლა. ისმენდა ლექციებს მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ზაფხულში განაგრძობდა კვლევით მუშაობას, აკვირდება პროვინციებს, სოფელსა და სოფლის ხალხს. მისი დაკვირვებანი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე იბეჭდებოდა „კვალში“.

შტუტგარტში მოაზროვნე ორი მოსაზრებით დასახლდა: 1. იქ არ იყო არც ერთი ქართველი ან რუსი, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალა გერმანული ენის სწავლაში და 2. იქ ცხოვრობდა კარლ კაუცკი. ჟორდანია კაუცკის ხშირად სტუმრობდა ოჯახში, კვირაობით სეირნობდა ტეგერლოსის ტყეში და საუბრობდნენ.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაცნობის მიზნით ჟორდანია შტუტგარტიდან მიუნხენში გადავიდა. უნივერსიტეტში განსაკუთრებული გულმოდგინებით უსმენდა პროფესორ ბრენტანოს.

1896 წლის დასაწყისში ბერლინში ორი სემესტრის განმავლობაში ესწრებოდა ვაგნერის, შმოლერისა და ზიბელის ლექციებს. გერმანიაში ყოფნისას „კვალში“ გამოაქვეყნა „ფრიდრიხ ენგელსი“ (1895), „სოფელი და სასოფლო შკოლა გერმანიაში“ (1985), „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში“ (1897), „ბისმარკი“ (1898).

1897 წლის მარტში ნოე ჟორდანია ლონდონში წავიდა. იქ ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაცნობი ფოტოგრაფის – ვილსონის ოჯახში ცხოვრობდა. სამი თვის შემდეგ ჟორდანია მასთან ჩინებულად საუბრობდა და კითხულობდა ინგლისურად. იგი განაგრძობდა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ კორესპონდენციების მომზადებას. ბრიტანეთის მუზეუმში ჟორდანია გაეცნო მდიდარ ლიტერატურას, მათ შორის საქართველოს შესახებ. ზაფხულში ცხოვრობდა რიდინგის ახლოს, რამაც საშუალება მისცა, დაკვირვებოდა ინგლისური სოფლის ცხოვრებას. ევროპაში ოთხი წლისა და ექვსი თვის ყოფნის შემდეგ – 1897 წლის ოქტომბერს – სამშობლოში დაბრუნდა.

ჟორდანიამ 1897 წლის ნოემბერში მიხა და ლადო დარჩიაშვილებთან მოაწყო შეხვედრები, რომლებსაც ესწრებოდნენ მისი ძველი მეგობრები. მათ გააცნო ევროპული სოციალიზმის ტენდენციები და თავისი მოსაზრებები საქართველოში პარტიული მუშაობის განვითარების შესახებ. შეკავშირდა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები. გადაწყვიტეს, რომ პარტიული პროპაგანდისთვის არალეგალურ მუშაობას დამატებოდა ლეგალური პრესაც და ამ მიზნით

მოლაპარაკება გამართეს „კვალის“ პატრონსა და რედაქტორ ანასტასია თუმანიშვილსა და გიორგი წერეთელთან გაზეთის შესაძენად. რედაქტორობა თავის თავზე აიღო ნოე ჟორდანიამ. ამ დროს ილია ჭავჭავაძემ ნოე ჟორდანიას „ივერიის“ სრულუფლებიანი რედაქტორობა შესთავაზა. ჟორდანიამ უარი უთხრა. ასე გახდა 1898 წლის იანვრიდან „კვალი“ ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო. ეს იყო რუსეთის იმპერიაში სოციალისტების პირველი ლეგალური ორგანო.

ამ დროიდან „კვალი“ იქცა მწყობრი სოციალისტური სარედაქციო პოლიტიკის მქონე ჟურნალად. ნოე ჟორდანია აქვე აქვეყნებდა საკუთარ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. ამ დროიდან იყენებდა ფსევდონიმებს: „Ami“, „ან“, „ან.“, „ანი“, „გ. მა-ძე“, „გ. მარმალაძე“, „დევიანი“, „კასტროვი“, „კოსტროვი“, „ნ. ჟ-ია“, „ნ. ჟ.“, „ნოე ჟ-ია“, „ნარი“, „ძველი მოკამათე“ და „წითელფერაძე“.

ნოე ჟორდანია ცნობილი იყო პარტიული ფსევდონიმებით: „ჯორჯი“, „ჟორჟი“, „Кавказец“, „Костров“, „ანი“, „ანდრეი“. ჟანდარმერიისა და მეფის საიდუმლო პოლიციის – „ოხრანკის“ – მასალებში, ასევე, ცნობილი იყო მეტსახელით „პატრიარქი“.

„კვალის“ მუშათა მასაში პოპულარობის ზრდისა და ნოე ჟორდანიას კრიტიკული სტატიების გამოქვეყნების კვალდაკვალ 1900 წელს „კვალის“ პუბლიცისტებსა და „ივერიის“ ბანაკს შორის სოციალური და პოლიტიკური საკითხების გარშემო მწვავე პოლემიკა გაჩაღდა, რამაც დროთა განმავლობაში პოლიტიკური დაპირისპირების სახე მიიღო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასა და ნაციონალისტურ ჯგუფებს შორის.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ამავდროულად არალეგალურ ასპარეზზე მუშაობდნენ და უშვებდნენ არალეგალურ ბროშურებს, პროკლამაციებს, გაზეთებს. 1899 წელს გამოუშვეს პირველი ქართულად დაბეჭდილი პროკლამაცია. იგი დაწერილი იყო ჟორდანიას მიერ, ხოლო დაბეჭდა ვლასა მგელაძემ.

1901 წელს პირველი მაისობის აღნიშნვნის დროს ტფილისში, სალდათის ბაზარში, მოხდა შეტაკება მუშებსა და ჯარს შორის. ბევრი დაატუსაღეს, გაჩხრიკეს „კვალის“ რედაქცია, ჟორდანიას სახლი ლანჩხუთში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ნოეს უნდა დაეტოვებინა საქართველო და ევროპაში წასულიყო ემიგრაციაში, თუმცა მალევე – 6 ივლისს (ძველი სტილით) დააპატიმრეს ლანჩხუთში და 27 ოქტომბერს ტფილისში გადაგზავნეს. მოთავსებული იყო მეტეხის ციხეში. ჟორდანია ციხეში კითხულობდა მხატვრული ლიტერატურას – შექსპირსა და ჰიუგოს. 1902 წლის ივნისში განაჩენის გამოტანამდე გაათავისუფლეს, ოღონდ პოლიციის საგანგებო ზედამხედველობა დაუწესეს და საცხოვრებლად ლანჩხუთი განუსაზღვრეს. ამ დროს სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით გააქტიურდა გურიის გლეხთა მოძრაობა. ნოე ჟორდანია კვლავ დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს, იქიდან ფოთში გადაიყვანეს. გათავისუფლების შემდეგ კი საცხოვრებლად ქალაქი ელიზავეტოპოლი (განჯა) გადაუწყვიტეს.

განჯიდან ხშირად ახერხებდა ტფილისში არალეგალურად ჩასვლას. 1902 წლის ზამთარში მისი ინიციატივით ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების არალეგალური კონფერენცია გაიმართა საერთო პროგრამისა და ორგანიზაციული წყობის შესამუშავებლად.

კონფერენციამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური ცენტრი – „კავკასიის საკავშირო კომიტეტი“, რომლის პროგრამის პროექტი ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა.

1903 წლის 30 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით გადაწყვეტილი იყო მისი გადასახლება ვიატკის გუბერნიაში და პოლიციის ღია მეთვალყურეობა ბრალდების საქმის დასრულებამდე, ხოლო იმავე წლის 9 ივლისის (ძველი სტილით) უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე ნოე ჟორდანია დაექვემდებარა 3 წლით გადასახლებას ვიატკის გუბერნიაში, პოლიციის ფარული ზედამხედველობის ქვეშ, თუმცა სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიის ტფილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით 1903 წლის 22 ივნისს (ძველი სტილით) ნოე ქალაქ განჯიდან მიიმალა და ბათუმიდან არალეგალურად გაემგზავრა ლონდონში. იქ ნაცნობი ვერავინ ნახა და პარიზში გადავიდა. იქიდან პლეხანოვის სანახავად ჩავიდა ჟენე-

ვაში. პლეხანოვის ცოლისგან საიდუმლოდ გაიგო, რომ ბრიუსელში ტარდებოდა რსდმპ-ის ყრილობა და სათათბირო ხმით იყო მიწვეული. ბრიუსელში ჟორდანიამ ნახა ამიერკავკასიიდან ჩასული სამი დელეგატი: დიომიდე თოფურიძე, ბ. კნუნიანცი და არ. ზურაბოვი. ბრიუსელში ადგილობრივმა პოლიციამ ყრილობა აკრძალა და 1903 წელს რსდმპ II ყრილობა ლონდონში გაიმართა. სწორედ აქ პარტიული ორგანიზაციის მოწყობისა და ტაქტიკის საკითხების განხილვისას განხეთქილების შედეგად გაიყვნენ ბოლშევიკებად (უმრავლესობად – ლენინი) და მენშევიკებად (უმცირესობად – პლეხანოვი). რსდმპ კავკასიის საკავშირო კომიტეტის დელეგატებიდან ნოე ჟორდანიამ დიომიდე თოფურიძესთან ერთად „მენშევიკების“ მხარე დაიჭირა და დაიწყო მზადება საქართველოსა და კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების „ბოლშევიკთა“ ზემოქმედებისაგან დასაცავად. ნოე ჟორდანიამ კავკასიის ორგანიზაციების პარტიული ლიტერატურის მოსამარაგებლად გავრცელების არალეგალური არხის ამოქმედება დაიწყო. ამავე ყრილობაზე ლენინმა მხარი დაუჭირა ჟორდანიას მოთხოვნას ხიზნებისთვის მიწის გადაცემის შესახებ.

ყრილობის შემდეგ ჟორდანია ჟენევაში დაბრუნდა და გაეცნო ქართველ სოციალ-ფედერალისტებს (არჩილ ჯორჯაძე და სხვები). 1904 წლის აპრილში ჟორდანია დაესწრო ქართველი რევოლუციონერების პირველ კონფერენციას, რომელიც მალე დატოვა სოციალ-ფედერალისტებისა და მათი სამოქმედო პროგრამისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

1904 წელს ჟენევაში ნოე ჟორდანიამ რამდენიმე წერილი დაბეჭდა სოციალისტ-ფედერალისტთა ახლად დაარსებულ საზღვარგარეთულ ჟურნალ „საქართველოში“, თუმცა იდეური უთანხმოების გაღრმავების შემდეგ ჟურნალთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ნოე ჟორდანია სხვა ემიგრანტი პოლიტიკური ლიდერების მსგავსად არალეგალურად დაბრუნდა რუსეთის იმპერიაში. მცირე ხნით არალეგალურად ცხოვრობდა ბაქოში, შემდეგ საიდუმლოდ დაბრუნდა ტფილისში, სადაც შეუდგა პარტიულ ორგანიზაციებში „ბოლშევიკთა“ გავლენის განეიტრალებას. არალეგალურ შეხვედრებზე იგი განუმარტავდა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს ლონდონის ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების არსს და უსაბუთებდა პარტორგანიზაციების მოწყობის „ბოლშევიკური“ მოდელის არადემოკრატიულობასა და ავტორიტარულობას. შედეგად, ორგანიზაციათა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა კავკასიის საკავშირო კომიტეტს. ნოე ჟორდანიას ორგანიზებით დაიწყო ტფილისის კომიტეტის არალეგალური ჟურნალის – „სოციალ-დემოკრატის“ – ბეჭდვა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა გააქტიურეს პოლიტიკური და საპროტესტო მოძრაობა, რაც 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა.

1905 წლის რევოლუციის დროს, 18 იანვარს, ბულგარელი იგნატოვის სახელზე გაკეთებული ყალბი პასპორტით ჟორდანია პეტერბურგში ჩავიდა, სადაც მას ელოდა ახალშერთული ცოლი, პარტიული ამხანაგი ინა კორენევა. იქიდან ჟორდანია ბაქოში ჩავიდა, სადაც ინა დატოვა, ხოლო თვითონ თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ამ დროს ილია ჭავჭავაძის ბანაკი დაშლილი იყო, „ივერიას“ ფილიპე გოგიჩაიშვილი ჩასდგომოდა სათავეში, „ცნობის ფურცელს“ სოციალისტ-ფედერალისტები დაპატრონებოდნენ, ხოლო მთავრობის მიერ დახურული „კვალის“ ნაცვლად ფილიპე

მახარაძის რედაქტორობით გამოდიოდა „მოგზაური“, რომელიც ბოლშევიკურ პლატფორმაზე იდგა. ამ დროს ბაქოში ინა კორენევა პოლიციამ დააპატიმრა. ჟორდანია ჩავიდა ბაქოში და ციხის ექიმს, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწე ივანე ელიაშვილს სთხოვა დახმარება ფეხმძიმე ცოლის გათავისუფლებაში. 1905 წლის აპრილში ინა ჩავიდა ლანჩხუთში, სადაც წყვილს პირველი ასული ასმათი შეეძინა.

ამ დროს ჟორდანიას თბილისში ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული ქართველ ბოლშევიკებთან. ჟორდანია გახდა კავკასიის მენშევიკების ლიდერი. მათ ჰქონდათ არალეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, ხოლო შემდეგ – ლეგალური „სხივი“. ორივე გამოდიოდა ჟორდანიას რედაქტორობით. ჰქონდათ, ასევე, ლეგალური გაზეთები „ელვა“ და „განთიადი“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ის თავმჯდომარედ აირჩია.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობისას ტფილისში ნოე ჟორდანია იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და საგაფიცვო და შეიარაღებული აქციების მთავარი ორგანიზატორი; ხელმძღვანელობდა პროპაგანდისტთა მოქმედებას და იყო „სამხედრო საბჭოს“ წევრი.

ამასობაში ნიკოლოზ II-მ გამოსცა ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს, დუმის, მოწვევის შესახებ. რსდმპ ორივე ფრთამ დუმას ბოიკოტი გამოუცხადა. ჟორდანია შეიარაღებული აჯანყებისა და რევოლუციური მთავრობის შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდა და ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა საპარლამენტო პოლიტიკური ბრძოლის შესაძლებლობა.

1906 წლის მაისში ის თბილისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან აირჩიეს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს წევრად. დუმაში ჟორდანია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი გახდა.

1906 წელს ტფილისის გუბერნიიდან იყო რსდმპ IV (გამაერთიანებელ) სტოკჰოლმის ყრილობის დელეგატი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. ყრილობაზე გიორგი პლეხანოვთან ერთად მხარს უჭერდა „მიწის მუნიციპალიზაციის“ პროგრამას. ყრილობამ ჟორდანია ცენტრალურ კომიტეტში აირჩია. 1906 წელს ნოე ჟორდანია რუსეთის იმპერიის პირველ სახელმწიფო სათათბიროში ტფილისის გუბერნიიდან დეპუტატად აირჩიეს.

ამავე წელს I სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, სხვა დეპუტატებთან ერთად ხელი მოაწერა „ვიბორგის მოწოდებას“. შემდგომ თვეებში არალეგალურად ცხოვრობდა და მუშაობდა პეტერბურგში, რსდმპ ცეკაში.

1907 წელს ლონდონში მოწყობილ რსდმპ V ყრილობას საქართველოდან 29 დელეგატი დაესწრო. მათ შორის იყო ნოე ჟორდანია. ყრილობაზე ჟორდანია შეხვდა ლენინს, რომელმაც ურჩია, ქართველ მენშევიკებს ხელი არ შეეშალათ რუსი ბოლშევიკებისთვის რსდმპ საქმიანობაში. ყრილობაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკთა შორის მორიგი განხეთქილების შემდეგ ჟორდანია აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად მენშევიკების მხრიდან. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა ფინეთში – ტერიოკში გამართულ რსდმპ კონფერენციაში. კონფერენციის დასრულების შემდეგ საცხოვრებლად დარჩა ტერიოკში, საიდანაც საიდუმლოდ გადადიოდა პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში პარტიის არალეგალური საორგანიზაცო საქმეების მოსაწყობად.



სურათზე: ქართველები მეორე სათათბიროში, ჟორდანია ზის მარცხნიდან მეორე

1907 წელს მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის ჟორდანია არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში. იგი აქტიურად მონაწილეობდა მესამე სახელმწიფო სათათბიროსათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიის ორგანიზებაში.

1908 წლის 11 სექტემბერს (ძველი სტილით) ნოე ჟორდანია თბილისის ქუჩაში დააპატიმრეს ყალბი პასპორტის გამო – ის გამოწერილი იყო თავად ლევან რევაზის ძე ვახვახიშვილის სახელზე. ამავე წლის 4 ოქტომბერს ჟანდარმერიამ იგი სანქტპეტერბურგის საოლქო სასამართლოს გამომძიებლის განკარგულებაში გადაგზავნა, რადგან მასზე პეტერბურგში უკვე იყო საქმე









აღძრული სისხლის სამართლის დებულების 129-ე სტატიის 1 პარაგრაფის 1 ნაწილით რუსეთის მოსახლეობას შორის „ვიბორგის მოწოდების“ გავრცელების გამო და ცირკულარით იძებნებოდა. პეტერბურგის სასამართლო პალატამ ნოე ჟორდანიას პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ წინასწარი პატიმრობის ვადა 8 თვე, რომელიც მან პეტერბურგის ციხეში გაატარა, მოხდილად ჩაუთვალა და 1909 წლის ივნისში გაათავისუფლა.

გათავისუფლებული ბაქოში ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა. მისი ცოლი იქ მეთაურობდა IV დუმაში მენშევიკების საარჩევნო კამპანიას. ნოე ბაქოში აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში.

1909 წელს ნოე ჟორდანია გაემგზავრა იტალიაში, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა დავით სარაჯიშვილისა და ლევან ზუბალაშვილის მიერ დანიშნული სტიპენდიით, რომელიც ფორმალურად მას საქართველოს ისტორიის შესახებ ნაშრომის მოსამზადებლად დაენიშნა, რეალურად კი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ირიბი დაფინანსება იყო.

1910 წელს ნოე ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და განაგრძო პარტიული ორგანიზაციების განახლება და პროპაგანდა.

1910 წლის 16 სექტემბერს (ძველი სტილით) ტფილისში ჟანდარმერიამ გაჩხრიკა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ახალი აზრის“ რედაქცია და დააპატიმრა მისი წევრები. ჩხრეკისას აღმოაჩინეს ნოე ჟორდანიას ბროშურა „ანარქიზმი“ და „გერმანიის ახალი ისტორიიდან“, რომლებიც 1907 წელს ქუთაისში კილაძისა და ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლხიდის“ (ხელმძღვანელი ისიდორე კვიცარიძე) მიერ. იმავე ნაშრომის შავი ვარიანტი – ხელნაწერები და დამატება „ანარქიზმი და სინდიკალიზმი“ იპოვეს 1909 წლის 11 დეკემბერს ბაქოს ქუჩაზე ჩხარტიშვილის ქვრივის სახლის ჩხრეკისას. ეს წიგნები გახდა საფუძველი ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ საქმის განსაახლებლად, რადგან, ბრალდების მტკიცებით, ბროშურა შეიცავდა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მოწოდებებს და მოსახლეობას აქეზებდა აჯანყებისკენ.

ნოე ჟორდანია ჟანდარმერიამ 1910 წლის 13 ნოემბერს (ძველი სტილით) დააპატიმრა ლანჩხუთში, საკუთარ სახლში. ტფილისის სასამართლო პალატამ მიუსაჯა 3 წლით ციმბირში გადასახლება. განაჩენის გამოტანამდე ნოე ჟორდანიას ციხიდან გასათავისუფლებლად ბაქოელმა მენავთობე მანსვეტაშვილმა 3 000 მანეთი გადასცა ნოე ჟორდანიას მეუღლეს – ინა კორენევას. პროცესის დასრულებამდე ნოე ჟორდანიას რომანოვების სამეფო გვარის 300 წლის იუბილის გამო გამოცხადებულმა ამნისტიამ მოუსწრო და სასჯელისგან გათავისუფლდა.

1912 წელს ბაქოში ჟორდანია ხელმძღვანელობდა მენშევიკურ გაზეთს „ჩვენი სიტყვა“. ამ დროს ქართველმა მრეწველმა დავით სარაჯიშვილმა ჟორდანიას ჯერ თავისი ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა მიანდო და ფულადი ჯილდო დაუნიშნა, ხოლო შემდეგ იტალიაში გაუშვა ცოლ-შვილით კოოპერაციული საქმის შესასწავლად.

1914 წელს დაესწრო პარიზში გამართულ რსდმპ ცკ-ს სხდომას, ხოლო ვენაში ტროცკის ჟურნალში „ბრძოლა“ გამოაქვეყნა წერილები პარტიის გაერთიანების თაობაზე.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ჟორდანია ცხოვრობდა ლანჩხუთში და განაგრძობდა არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას თბილისში, ბაქოსა და ლანჩხუთში, თანამშრომლობდა პარტიულ პრესაში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთვის ჟორდანია შვეიცარიაში, კურორტ მონტროში, იმყოფებოდა სამკურნალოდ იგი სასწრაფოდ დაბრუნდა მოსკოვში, სადაც მონაწილეობდა დისკუსიაში ომის შესახებ









პარტიის ტაქტიკის შესამუშავებლად. სამშობლოში დასაბრუნებლად გემის ბილეთის შოვნაში მას დაეხმარა მილანში იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთის „ავანტის“ რედაქტორი ბენიტო მუსოლინი.

პირველი მსოფლიო ომის დროს გიორგი პლეხანოვთან ერთად „ობორონცულ“ პოზიციებზე იდგა, ანუ მხარს უჭერდა ომს. ჟორდანია „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ შექმნის იდეას უჭერდა მხარს და მასში ხედავდა ეროვნული საკითხის გადაჭრის გზას. უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ამ მოძრაობის მეთაურების, მათ შორის ილია ჭავჭავაძის, მიმართ.

1916 წლისათვის ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის გარეუბან ჯონჯუათში გამართულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ კონფერენციას, სადაც შეიმუშავეს პარტიის სამოქმედო სტრატეგია იმ მომენტისათვის, თუ რუსეთი მსოფლიო ომში დამარცხდებოდა და რუსული არმია კავკასიას დატოვებდა. ამ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ მსგავს სიტუაციაში საქართველოს დამოუკიდებლობა შეიძლებოდა გამოცხადებულიყო.

1917 წელს ნოე ჟორდანია პეტროგრადში მონაწილეობდა ე. წ. „დემოკრატიულ თათბირში“, სადაც არჩეული იყო რუსეთის ე. წ. „პრედპარლამენტის“ წევრად. პეტროგრადში ყოფნისას იგი დარწმუნდა, რომ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები რუსეთში ვერ შეძლებდნენ ძალაუფლების მოპოვებას, პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას და დაბრუნდა საქართველოში.

ნოე ჟორდანია აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად რსდმპ მენშევიკების სიით, თუმცა დამფუძნებელი კრების გახსნაზე პეტროგრადში არ წასულა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნოე ჟორდანია ტფილისში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ ძალაუფლების მობილიზებასა და მმართველობის სადავეების ხელში აღებას ხელმძღვანელობდა. არჩეული იყო ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ; ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ; ტფილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მალე მას შეუერთდა ჯარისკაცთა საბჭოც.

1917 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად; იყო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1917 წლის დეკემბერიდან იყო საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საპატიო წევრი.

თბილისის მმართველობის არჩევნებში არჩეულ იქნა სამი მეთაური: ქართველი ჟორდანია, სომეხი ხატისოვი და რუსი პოპოვი, მაგრამ 1917 წლის ზაფხულიდან ფაქტობრივად ხელისუფლება გადავიდა ჟორდანიას მეთაურობით მოქმედი მუშათა საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში. მენშევიკური პარტიის მუშაობას სათავეში ედგა ნოე რამიშვილი, რომელიც ჟორდანიას მოადგილედ ითვლებოდა. ამ პერიოდში ჟორდანია მკვეთრად ილაშქრებდა ბოლშევისტური ტენდენციების წინააღმდეგ. 1917 წლის სექტემბერში გაემგზავრა მოსკოვში, რათა დაეცვა მენშევიკების პოზიციები რუსეთის პარლამენტში, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იმედგაცრუებული დაბრუნდა თბილისში.

ჟორდანია უარყოფითად აფასებდა ოქტომბრის რევოლუციას, დაიწყო ნაციონალიზმისკენ (ეროვნულისკენ) გადახრა. 1917 წლის 3 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე მოითხოვა საქართველოს სრული სუვერენიტეტი, ასევე, მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის

ჩამოყალიბებას. 9 დეკემბრიდან მეთაურობდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

1918 წლის თებერვალში აირჩიეს ამიერკავკასიის სეიმის წევრად.

კავკასიაზე ოსმალთა არმიის შეტევის დროს ბათუმში ამიერკავკასიის ფედერაციისა და ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებებში მონაწილეობდა.



1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. რომელიც ერთხმად მიიღეს და 1919 წლის 12 მარტს დაამტკიცეს საქართველოს დამოუკიდებლობის ორივე (1918 წლის 26 მაისისა (№16) და 1919 წლის 12 მარტის (№1) დოკუმენტი. მათზე დაფიქსირებულია ნოე ჟორდანიას ხელმოწერა.

ჟორდანია ფაქტობრივად აღმოჩნდა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი პარლამენტის თავმჯდომარე. 1918 წლის 24 ივლისიდან გახდა საქართველოს დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილის ნაცვლად.



1919 წლის თებერვალში აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად.

1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. 1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია ნოე ჟორდანია, რომელიც ამავდროულად იყო უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა.

ჟორდანიას წინადადებით მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო გერბი. ჟორდანიამ მთავრობის თავმჯდომარეობისას გაატარა აგრარული რეფორმა, მიიღო ვრცელი კანონმდებლობა, შემოიღო 8 საათიანი სამუშაო დღე, ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკურ და სეპარატისტულ ტენდენციებს. ცდილობდა, მიეღწია საქართველოს საერთაშორისო აღიარებისთვის.

საქართველოში დიდი ეკონომიკური გაჭირვება იყო. მისი მოგონებებიდან ვიგებთ, რომ თავად ჟორდანიას სანოვაგით ლანჩხუთიდან დედა ამარაგებდა: „ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა, რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს, შენ მინისტრი ხარო, რავა დავიჯერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონია“ („ჩემი წარსული“, გვ. 102)!



ჟორდანიამ მოიპოვა ანტანტის ლიდერების ნდობა ანტიბოლშევიკური შეხედულებების გამო, რაც დაადასტურა 1919 წელს ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ დენიკინთან გაფორმებული ხელშეკრულებით. რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინის დამარცხების შემდეგ 1920 წელს ჟორდანიამ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულება დადო 1920 წლის 7 მაისს. ამ ხელშეკრულებით დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე, საქართველომ მიაღწია საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებას.

რუსეთის აგრესიისგან დასაცავად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ 17 თებერვალს რადიოთი გაგზავნა დეპეშა:

„მთელი ქვეყნის ხალხებს და ყველა მთავრობებს.

ქართველი ხალხის და მისი მთავრობის შეურყეველმა მისწრაფებამ მშვიდობიანად და მეგობრულად ეცხოვრა ყველა ხალხებთან, ვერ ააღებინა ხელი ჩვენ მეზობლებს – საბჭოთა რესპუბლიკებს – ჩვენს წინააღმდეგ საზიზღარ თავდასხმაზე. საბჭოთა სომხეთმა და აზერბაიჯანმა რუსთა წითელ ჯარის საშუალებით, ომის ფორმალურად გამოუცხადებლივ, გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობლად და ქართველი ხალხის დასამონავებლად.



თქვენ უნდა იცოდეთ ყველამ, რომ ამით რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც









დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღაბის ქვეშ შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა.

მთელი ქვეყნის წინაშე გიცხადებთ ჩვენ, რომ ქართველ ხალხს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ბრძოლა უკანასკნელ სულის თქმამდე თავის უსაშინელეს მტერთან.

ამ მძიმე ისტორიულ მომენტში ქართველი ხალხი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი მისწრაფებით: დამოუკიდებლობა ან სიკვდილი! და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლაში ყველა კულტურულ ხალხთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (წყარო: „საქართველო“, 18 თებერვალი, 1921 წელი).

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. რამდენიმე დღეში საქართველოში შემოვიდა რუსეთის არმია. ჟორდანიამ სამხედრო მინისტრი ოდიშელიძე გადააყენა და მის ნაცვლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა. 1921 წლის 24 თებერვალს დაიწყო ქართული ჯარების უკანდახევა.

1921 წელს ჟორდანიამ უკანასკნელი მატარებლით დატოვა თბილისი, ქუთაისში დარჩა ორი დღით, შემდეგ დაბინავდა ბათუმში. საქართველოს დამფუძნებელი კრების 16 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, მთავრობის წევრებსა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრების ნაწილთან ერთად 17 მარტს გემით დატოვა საქართველო და ემიგრაციაში გაემგზავრა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ემუშავა.

ჟორდანია სტამბულში შეხვდა საფრანგეთისა და იტალიის ქვეყნების ელჩებს და საფრანგეთის მიპატიჟება მიიღო. მიუხედავად ამისა, 1921 წლის აპრილს საფრანგეთში ელჩ შევალიეს თანხლებით ჩასულ ჟორდანიას ოფიციალური დელეგაცია არ დახვედრია. ჟორდანია ჩავიდა ბრიუსელსა და ლონდონში და მიმართა ბელგიისა და ინგლისის მთავრობებს, თუმცა დევნილი მთავრობის მიმართ ინტერესი არც მათ გამოუხატავთ.

1921 წლიდან ნოე ჟორდანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სტატუსით თავდაპირველად ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში, ხოლო შემდეგ – ლევილში, საიდანაც მონაწილეობდა 1924 წლის ამბოხებების მომზადებაში. აჯანყების შემდეგ ჟორდანიას დედა და უფროსი ქალიშვილი ასმათი, რომლებსაც არ დაუტოვებიათ საქართველო 1921 წელს, დაიჭირეს და ბათუმის ციხეში ჩასვეს. ერთი კვირის შემდეგ მათ სერგო ქავთარაძემ ემიგრაციაში წასვლა შესთავაზა, მაგრამ ჟორდანიას დედამ უარი განაცხადა.

ნოე ჟორდანია იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე. მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პარტნიორი სოციალისტური პარტიების მიწვევით და საჯარო გამოსვლებში განუმარტავდა პუბლიკას საქართველოს მდგომარეობას საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. მონაწილეობდა სოციალისტური ინტერნაციონალის ჰამბურგის (1923 წელი) და მარსელის კონგრესებში (1925 წელი).

დასავლურ პრესაში ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და რუსულ ენებზე აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს მიმდინარე პოლიტიკური



მოვლენების შესახებ; ნაშრომებს სოციალიზმის თეორიის, საბჭოთა პოლიტიკის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა ოკუპაციის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. მუდმივად იყო ქართული გაერთიანებული ემიგრანტული პრესისა და სოციალ-დემოკრატიული გამოცემების რედაქციების წევრი. სტატიებში აღწერდა საქართველოს ოკუპაციას და აქარწყლებდა საბჭოთა რუსეთის პროპაგანდას. აქვეყნებდა წიგნებს, სადაც აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს, როგორც „იმპერიალიზმს რევოლუციის ნიღაბქვეშ“. გარდა პოლიტიკური შინაარსის წიგნებისა, ჟორდანიამ 1930 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. 1933 წლამდე ჟორდანიამ 12 წიგნი გამოსცა: „ბრძოლის საკითხები“, „ჩვენ და ისინი“, „საბჭოთა წყობილება“, „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „პოლიტიკა“, „ბოლშევიზმი“, „ჩვენი უთანხმოება“, „დემოკრატია“ და სხვ.



პარიზშივე მან დააარსა ქართული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „ბრძოლა“, შემდეგ გაზეთი „ბრძოლის ხმა“. პარიზში 1990-იან წლებამდე გამოდიოდა ჟორდანიას მიერ დაარსებული ჟურნალი „ჩვენი დროშა“, რომელსაც რედაქტორობდა ჟორდანიას სიძე ლევან ფაღავა.

1938 წლიდან ნოე ჟორდანია ფორმალურად ჩამოშორდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ხელმძღვანელობას.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, კვლავ პარიზში ცხოვრობდა. მუშაობდა ომის პირობებში სახელმძღვანელო სამოქმედო სტრატეგიული მითითებებით საქართველოს საზოგადოების საიდუმლოდ მოსამარაგებლად.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1940-იანი წლების მიწურულს, „ცივი ომის“ პირველი ნიშნების გამოკვეთის შემდეგ ნოე ჟორდანია კვლავ სათავეში ჩაუდგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების მცდელობებსა და საინფორმაციო კამპანიას, რათა საქართველოს ოკუპაციის პრობლემა სხვა ერების საკითხთან ერთად კვლავ დამდგარიყო საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში და საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს გაეთვალისწინებინათ „დაპყრობილი ერების“ დამოუკიდებლობის აღდგენის კანონიერი მოთხოვნები და საჭიროებები.



წერილში „ნოე ჟორდანია – ეროვნული გმირი თუ სამშობლოს მოღალატე“ საინტერესოდაა განხილულია ნოე ჟორდანიას ორი მხარე. გთავაზოთ ამონარიდებს ამ წერილიდან:

„...ნოე ჟორდანია საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა და მისი მოღვაწეობა ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს: 1. ნოე, როგორც მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ანტიეროვნული იდეოლოგიის გამტარებელი, ილიას ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგიური მოწინააღმდეგე და ამის პარალელურად რუს სოციალ-დემოკრატებში საკმაოდ პატივსაცემი პიროვნება. 2. ადამიანი, რომელიც თავისი მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე ქვეყნის დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდა, ბედის ირონიამ დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურად აქცია.

ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე საკუთარ მოგონებებში ამტკიცებენ, რომ მათ ევროპის სოციალისტური იდეები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ნაციონალური და ამიტომ პოლონელ და რუს სტუდენტთა მარქსისტულ წრეს შეუერთდნენ ვარშავის უნივერსიტეტში... ვარშავაში, ჟორდანიამ „თავისი ნაროდნიკული სკამი მარქსისტულზე გაცვალა“. შეხვდა „ნამდვილ“ მუშათა კლასს და, ამასთანავე, რუსულ სოციალისტურ უტოპიასთან დაკავშირებით ილუზიები დაემსხვრა. კერძოდ, მან უშუალოდ გაიგო ეროვნული საკითხის მნიშვნელობა.

ჟორდანია წერს, თუ როგორი შოკი მიიღო, როცა რუსმა ჟანდარმმა შენიშვნა მისცა მატარებლის კონდუქტორს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ მგზავრთან პოლონურ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ, ამასთანავე, ის აღწერს იმ სიძნელეებსაც, რაც რუსული ენის ბოიკოტირების დროს შეხვდა: მაღაზიაში, სადაც, თაბახსა და კალმებს ყიდულობდა, არც ერთი პოლონელი გამყიდველი მას რუსულად არ დაელაპარაკა, რადგან რუსულ ენაზე მოლაპარაკეთა წინააღმდეგ ოფიციალურად გამოცხადებული ბოიკოტის მოთხოვნებს ასრულებდნენ. ამ ქალაქმა მიახვედრა ჟორდანია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის უფლებებისათვის ბრძოლას.

მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანია სოციალ-დემოკრატი იყო და მარქსისტულ იდეებს იზიარებდა, მან შეადგინა პარტიის სამოქმედო პროგრამა, რომელსაც „რა არის გასაკეთებელი“ ჰქონდა სათაურად და ვარშავის ქართველმა სტუდენტებმა სწორედ ეროვნული საკითხის წინ წამოწევის გამო დაიწუნეს ის.

მასში განხილულია ერისა და სახელმწიფოებრიობის ბუნება, გლობალიზაციის ზემოქმედება კულტურაზე, ომის შედეგები მცირე ერებზე და ამ უკანასკნელთა ურთიერთოებები ძლიერ, იმპერიულ სახელმწიფოებსა და ევროპასთან. საქართველოს ჩამორჩენილობაზეც ბევრს საუბრობს ჟორდანია, ისევე როგორც ქვეყნის დაყოფა-დანაწილების ისტორიასა და მის დამონებაზეც ძლევამოსილი სახელმწიფოების მიერ. აქ ნოე ჟორდანიას უმთავრესი დარდი და საფიქრალია, შეძლებს თუ არა ოდესმე საქართველო, ბოლო მოუღოს თავის გასაცოდავებულ და გათიშულ-დანაწევრებულ მდგომარეობას და შექმნას „ერთადერთი და სრულად გაცნობიერებული ეროვნული „მე“. სასოწარკვეთილი ჟორდანია კითხულობს: „ნუთუ ხსნა არსად არის? ნუთუ საქართველოს შეგნებულად გაერთიანება შეუძლებელია? თუ კი მთელი ჩვენი ისტორია მიმართული იყო ქართველობის დაცალკევებისკენ, რა სასწაულით უნდა მოხდეს დღეს ეს სასურველი ერთობა? ნუთუ ისტორიული მოძრაობა არავითარ კანონს არ ექვემდებარება?“

არსებობს არაერთი ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ნოე ჟორდანია იყო „მოღალატე“, ასევე, იმისა, რომ ის იყო „ეროვნული გმირი“, მაგრამ ეს ადამიანი დღემდე რჩება გამოცანად მისივე პოლიტიკური ქმედებების გამო, ხოლო ზოგიერთი მას „ქამელეონსაც“ კი უწოდებს.

და, თუ მხოლოდ „საქართველოს მოღალატე“ იყო, მაშინ გაუგებარია, რატომაა მის საფლავზე წარწერილი ასეთი ეპიტაფია:

საქართველოში დაბრუნებას ვინც არ ელოდა,
მიწა მიჰქონდა, მიწა ტკბილი, მიწა მარადი...
შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან,
ქართულო მიწავ, და მიტომაც დაპატარავდი!...
ვარ საქართველოს ბედდამწვარი ჭირისუფალი,
ქვეყნის ნათელი მომავლისთვის მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული მე მენახოს მთელი სამყარო!..

და, თუ ეროვნული გმირი იყო, მაშინ რატომ დათმო ასე ადვილად საქართველოს დამოუკიდებლობა და რატომ გაიქცა საფრანგეთში? ვინ იცის... ვინ იცის... (წყარო: https://mpress.ge/noe-zhordania-erovnuli-gm/ ავტორი მითითებული არ არის).

თუ ერთი ავტორი ასე განიხილავს მის ცხოვრებას, მისი თანამედროვე, შეუპოვრობით გამორჩეული ერთ-ერთი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე გაზეთ „ბარიკადში“ (1920 წლის 25 ოქტომბერი, N2) ნოე ჟორდანიას ასე ახასიათებს:

„ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილშობილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ძველად ღმერთებს ალბათ ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ჟორდანიას პროფილში უცნაური სირბილე: არა მარტო გურიის ველების: არამედ მთელი იბერიის მიწის. ჟორდანია რასსიული ტიპია საქართველოსი. რუსთაველის ტარიელ რაინდის ყოვლის გადამლახველი: მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გულჩვილია მეტად. თეთრი გიორგი ტაიჭზე მჯდომარე მახვილით ჰკვეთავს ვეშაპს და, ამავე დროს, მის თვალებში ნათელი ბავშის გვერდული მზერაა. გიორგი საკაძე, რისხვით შემმართებელი, საქართველოში ბოლოს და ბოლოს გამონაკლისია. მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა ცეცხლი სიავის.

ეს ხაზი ქართული ხასიათისა უკანასკნელი დარბილებაა ჯვაროსანი ნების. სრულიად გამართლებულია აქ ქაშვეთის გახსენება. ქაშვეთი ესთეტიური ფორმულაა ქართული ყოფის ერთი მთავარი ნაკადულის. მისი მორცხვი ტანის ქალწულ ხაზებში ჟორდანიას პროფილიც არის უთუოდ ასარკული. ქაშვეთს უცხო ფრინველსავით დასტრიალებს თავს საიდუმლო ცოდნა: საქართველო ხვედრია ჯვარცმული დედის. ეს არის ლეგენდა: მაგრამ ლეგენდაში უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე გაზეთის ქრონიკაში. ლეგენდა იგი გაცხელებულია ნინოს ვაზით დამთვრალი ჯვარით და ნელად დალბობილია ქეთევანის სურნელოვანი ცრემლით. ჟორდანიას სირბილე მე ამ ხაზებში მესახება. მე მესმის ჟორდანიას წუხილი შვილის დაკარგვის გამო (ლენინს ასეთი წუხილი არ შეუძლია). ამ წუხილში მე ვხედავ სიახლოვეს მიწასთან: რომელსაც ჩვენ დედას ვუწოდებთ. მე არ ვიცი: ჟორდანია ლოცულობს თუ არა. მაგრამ მე ვიცი, რომ მრავალი ლოცულობს მისთვის (გამაგებინეთ, ვინ ლოცულობს ლენინისათვის?!) დაისებში ჩვენს დედებს არ ავიწყდებათ ჟორდანია და ჩვენი ბავშები აისებში პირველად ალბად მას იგონებენ.

სწორედ ამ ხვეულებში იქცა ჟორდანია დიდი ქართველის ფიგურად. მართალია: ისტორია ჰქმნის ისტორიულ ფიგურას: მაგრამ ჯერ პიროვნება უნდა იყო, რომ ისტორიამ აგირჩიოს. ჟორდანიას იმთავითვე ჰქონდა დიდი ნიჭი ინტუიციის. ეს ნიჭი პოლიტიკაშიც ისევეა საჭირო, როგორც პოეტურს შემოქმედებაში.

ჟორდანიამ პირველმა იგრძნო სავსებით, რომ პატარა ერის ბიოლოგიური ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით. ცხადია, იმ ცოცხალი ძალების, რომლებითაც იჭედება ერთა სოლიდარობა. ამ ძალების წარმომშობი ინტერნაციონალური დემოკრატიაა. ჟორდანიამ შემოიტანა საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ინტერნაციონალიზმს საქართველოს პოლიტიკაში. მაგრამ ხაზგასმა აკცენტუაციაა ფსიქოლოგიური და ხშირად მის ხელში ჯოხი მეორე მხარეს იხრებოდა: ინტერნაციონალიზმი ანაციონალიზმში გადადიოდა. აქ არის სათავე ჟორდანიას ნაწერების წინააღმდეგობათა. მაგრამ ეს „წინააღმდეგობანი“ ზედაპირია მარტო ოდენ. თავი და თავი მის აზროვნებაში (შესაძლოა ქვეშეცნეული) სხვაა: საქართველოს ნაციონალური იდეოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური გეზით გამართული.

არსად ისე აშკარად არ გამართლებულა ისტორიის დიალექტიკა, ჰეგელის მიერ შეცნობილი, როგორც საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიის ირაციონალობა, სხვათა შორის, იმაშია, რომ ერთში იბრძვის ორი, მაგრამ მთელისათვის ორივე საჭიროა. საქართველოს ნაციონალურ იდეოლოგიას საშინლად ებრძოდა თითქმის ანაციონალიზმში გადასული ინტერნაციონალური იდეოლოგია: მაგრამ ისტორიული გონება საქართველოსი ორივეს შეიცავდა და დღეს უკვე ნათელია, რომ საქართველოს ხსნისათვის ორივე მიმართულების ბრძოლა იყო აუცილებელი.

ამ ისტორიულ გონებას არის ზიარებული ჟორდანიას ინტელექტი. კიდევ უფრო მძაფრია მეორე ხაზი ჟორდანიას პოლიტიკური აზრის: საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშია. ჟორდანიამ დასტური დასდო საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის საშვალებით ევროპას

ვზიარებოდით. ხოლო იგივე ჟორდანია იყო პირველი მომხრე საქართველოს რუსეთისაგან გამოცალკევებისა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი აზიაში საბოლოოდ ჩატოვებას გვიპირებდა. აქაც, როგორც სხვაგან, მახვილია მისი ინტუიცია.

ჟორდანია ტრიბუნია: თუმცა მას ენა არ ემორჩილება. ამ შემთხვევაში შეიძლება იგი ძველ მოსეს ჰგავდეს, რომლის ხვედრია მშობელი ერის აღთქმულ ქვეყნისკენ წაყვანა, მაგრამ, თუ ჟორდანიას თქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მას წერა უჭრის ძალზე. ქართველი პოეტისათვის საამაყოა პირდაპირ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. თუ სტილი არა, ჟორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვს. მის ნაწერში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრაგნილი ხვეული. იქ ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ჟორდანია უფრო ლაპიდარული ფორმულებით ლაპარაკობს, ვიდრე დისკურსიული პერიოდებით.

მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმიტივის ქვებია. თავის ლაკონურ ფრაზაში ჟორდანიას ეტყობა უთუოდ, რომ იგი მესხეთის მოსაზღვრე კუთხის შვილია. მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება: მის სიტყვაში ჭვირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა. ამ მხრით იგი ფრანგებს უახლოვდება. საკვირველი არ არის, რომ ჟორდანიას პირველს შემოეღო საქართველოში ფრანგული ჟურნალიზმი.“

ევროპის უნივერსიტეტის ისტორიისა და ცივილიზაციის დეპარტამენტის დოქტორანტი გრიგოლ გეგელია წერს: „სანამ პოლონელი მარშალი პილსუდსკი ცოცხლობდა, ჟორდანიას პოლონეთის მთავრობა ეხმარებოდა. ეს იყო რეალურად მისი ერთადერთი შემოსავალი! მისი ცოლი ინა იგონებს, რომ „ეკონომიკური შესაძლებლობა მისი პრეზიდენტობის დროს იყო განსაზღვრული“ და, რომ „საფრანგეთშიც ისე ჩამოვედით, არც ერთი გროში არ გვქონდა შემონახული“. მათ საფრანგეთში რეალურად არაფერი ებადათ, გარდა პრემიერის დის გულჩინა ჟორდანიას მიერ შეკვეთილი და ლანჩხუთელი ქალების მიერ დამზადებული ბალიშებისა!

ნოე ჟორდანიას, დიდ პოლიტიკოსსა და მოაზროვნეს, ერთი პალტო ჰქონდა, რომელიც ყველგან ეცვა, „ტანისამოსის საყიდელი ფული არ გვქონდა. მაინც ძალიან ვცდილობდი, დამერწმუნებინა ნოე, რომ მისთვის საჭიროა ერთი საზაფხულო პალტო, – მრცხვენოდა უცხოელების, რომლებსაც ის თავის ძველ პალტოში ხვდებოდა. მაგრამ მან არ მიიღო ჩემი რჩევა: „მე ახლა იმ ასაკში ვარ, რომ ტანისამოსი აღარ მაინტერესებსო“.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი თავის ოთახს თვითონ ალაგებდა და ღუმელსაც თვითონ ანთებდა. როცა ცოლის სახეზე სევდას დაინახავდა, გაუღიმებდა და ეტყოდა: „კარგი აზრები სწორეთ ოთახის დაგვის დროს მომდის თავშიო“. მას აუცილებლად სჭირდებოდა განსაკუთრებულად სუფთა ჰაერი და მკურნალობა, რისი ფულიც არ გააჩნდა. პირიქით, ცოლი ავად ჰყავდა, ამიტომ თვითონ უძღვებოდა სახლის საქმეების დიდ ნაწილსაც, სანოვაგესაც ყიდულობდა, სუფრასაც აწყობდა და სახლსაც ალაგებდა. „მოჰყავდა კარტოფილი, ლობიო და სიმინდი, აკეთებდა ფქვილის ღომს და ეს იყო ჩვენი მთავარი საზრდო“.

„იმდენი საშუალება არ მოგვეპოვებოდა, ბავშვები საზაფხულოდ წაგვეყვანა სადმე დასასვენებლად. ბავშვები ხშირად ავადმყოფობდნენ ზამთრობით და ანდრეიკას (ნოეს უფროსი ვაჟი) გარდაცვალების შემდეგ მე ძალიან მეშინოდა, მათაც არაფერი დამართოდათ“, – იგონებდა ინა ჟორდანია. ნოე ჟორდანია ისე გარდაიცვალა, ახალი პალტო არ უყიდია; მისი ცოლი კი ერთი კაბით დადიოდა. „ერთხელ, როცა ჩვენ სადღაც მივდიოდით, შემომხედა და გულდაწყვეტით მითხრა: ისე ხარ ჩაცმული, რომ შენ შემხედავს მზარეული ქალი ეგონებიო. მაგრამ ტანისამოსი ხომ ციდან არ ცვივა!“


✦ ნოე ჟორდანიას ქანდაკების პროექტი. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ მოიწონა ცნობილი ქართველი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ წარმოდგენილი ნოე ჟორდანიას ქანდაკების პროექტი. ნოე ჟორდანია გამოსახულია მჯდომარე. კომისიამ დააადგინა წინადადება მისცეს ი. ნიკოლაძეს შეუდგეს ქანდაკების გასაკეთებელ მუშაობას. ქანდაკება დაიდგმება დამფუძნებელ კრების დარბაზში.

აი, ამიტომ, თანამოქალაქეებო, იმ ყველა წუთის სახელით, რაც ნოე ჟორდანიამ და მისმა გუნდმა გაატარა ამ საცოდავ ყოფაში, ჩვენ უნდა ვიძიოთ შური – ისტორიაზე! ჩვენ უნდა შევქმნათ რესპუბლიკა, რომელიც უნდა შეექმნა ჟორდანიასა და მის გუნდს! ეს იქნება ჩვენი გამარჯვება და ისტორიული სამართალიანობის აღდგენა ამ უსამართლობით აღსავსე სამყაროში“ (წყარო: http://pirvelirespublika.blogspot.com/2015/10/blog-post.html).

ნოე ჟორდანიას ოთხი შვილი ჰყავდა: ასმათი, ნინა, ანდრეიკა

ნოე ჟორდანიას ბიუსტი ავტორი იაკობ ნიკოლაძე 1919 წ.

ნოე ჟორდანიას ბიუსტი კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“

ნოე ჟორდანიას სკვერი და ბიუსტი ლანჩხუთში

და რეჯები. ასმათ ჟორდანიასა და ლევან ფაღავას შვილი ეთერ ფაღავა იყო საფრანგეთში ცნობილი ბალერინა. ნინა ჟორდანია გათხოვდა არჩილ ციციშვილზე და ჰყავდა სამი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი. ანდრეიკა გარდაიცვალა საქართველოში, ხოლო რეჯებ ჟორდანიას ჰყავს ერთი ვაჟი, ორი ქალიშვილი, ცხოვრობს ნიუ-იორკში, სადაც ლექციებს კითხულობდა ფრანგული ცივილიზაციის შესახებ.

ნოე ჟორდანია ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 1953 წლის 11 იანვარს, 85 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა. დაკრძალეს ლევილის სათემო სასაფლაოზე.

1968 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა მისი წიგნი „ჩემი წარსული (მოგონებანი)“.

ნოე ჟორდანიას სახელი ეწოდა თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის... ქუჩებს.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 10 მარტს ოჯახს შესთავაზა ჟორდანიას საქართველოში გადმოსვენება. პარიზში არსებული „ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი“ სწავლობს ჟორდანიას მემკვიდრეობასა და სოციალ-დემოკრატიის ისტორიას საქართველოში.

2015 წელს იაკობ ნიკოლაძის შვილიშვილმა გურამ ნიკოლაძემ პირველი ქართველი მოქანდაკის სარდაფში საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას ბიუსტი აღმოაჩინა. ბიუსტი იაკობ ნიკოლაძემ, სავარაუდოდ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ხელისუფლებასთან პრობლემების თავიდან ასაცილებლად შეინახა, სადაც ის თითქმის 100 წლის მერე აღმოაჩინეს, ისე, რომ მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ნოე ჟორდანიას თაბაშირის ბიუსტი იაკობ ნიკოლაძემ ცოცხალი მოდელიდან 1818 წელს შეასრულა, – 1920 წლის 20 ივლისის „ერთობა“ იუწყება, რომ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ მოიწონა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ წარდგენილი ნოე ჟორდანიას ქანდაკების პროექტი. კომისიამ დაადგინა, ნიკოლაძეს მუშაობა დაეწყო ქანდაკებაზე, რომელიც დამფუძნებელი კრების დარბაზში დაიდგმებოდა.

როგორც ცნობილია, იაკობ ნიკოლაძეს გაკეთებული აქვს ნოე ჟორდანიას მარმარილოს ქანდაკებაც, რომელიც ჯერჯერობით ნაპოვნი არაა. გასაბჭოების გამო გადამალულ ბიუსტს კი საბჭოთა პერიოდშიც მოუხდა ანონიმური როლის შესრულება: საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის წევრმა ირაკლი ხვადაგიანმა აღნიშნული ბიუსტი მოულოდნელად ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ აღმოაჩინა, რომელიც 1968 წელსაა გადაღებული. იმის შესახებ, რომ აგული ერისთავის ზურგს უკან, სასაფლაოზე, იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ნოე ჟორდანიას ბიუსტია შემოდგმული, არც შენგელაიამ იცოდა და არც გადამღებმა ჯგუფმა.

თბილისის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ლაშა ბაქრაძის აზრით, იაკობ ნიკოლაძის შესრულებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მთავრობის მეთაურის ბიუსტი ქვეყნის დედაქალაქის საზოგადოებრივ სივრცეში საპატიო ადგილს იმსახურებს.

„დღეს მუზეუმში სტუმრად გვყავდა ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაკკენზი, რომელმაც მარჯორი უორდროპის გამოფენის დათვალიერების შემდეგ იაკობ ნიკოლაძის მიერ 1920 წელს შექმნილი ნოე ჟორდანიას ბიუსტი ნახა და გაოცდა, რომ 2015 წელს აღმოჩენილი ბიუსტით აქამდე ხელისუფალნი არ დაინტერესებულან და დღემდე არც კი ყოფილა მცდელობა, ეს ერთადერთი

ნატურიდან გაკეთებული ჟორდანიას გამოსახულება სადმე დაედგათ. იქნებ შექმნიდან 100 წლის შემდეგ – 2020-ში მაინც – ამ უნიკალურ ბიუსტს რაიმე ადგილი მოვუძებნოთ“ (წყარო: https://at.ge/2019/05/26/).

ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 2019 წლის 25 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის, დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე უნიკალურ ექსპონატებთან ერთად ექსპოზიციაზე პირველად იყო წარმოდგენილი ლევილის უკანასკნელი არქივი. უნიკალურ ექსპონატებს შორისაა იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ნოე ჟორდანიას ბიუსტი (1920 წელი)... (წყარო: https://archive.gov.ge/ge/news/noe-jordanias-shtamomavlebi-erovnul-arqivshi), გამოფენა სხვებთან ერთად დაათვალიერა ნოე ჟორდანიას შვილმა რეჯებ ჟორდანიამ და შვილიშვილმა ქრისტინე ფაღავა-ბულეზმა.

წყარო:

ჟორდანია, ნოე (პარიზი, 1953) (1990). ჩემი წარსული (მოგონებანი), პირველი გამოცემა, ქართული მემუარული ლიტერატურა, თბილისი: „სარანგი“;

ჟორდანია, ნოე (1990). რჩეული ნაწერები. თბილისი: „საქართველო“. ISBN 5-529.;

ნოე ჟორდანია – საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;

საუკუნის პროტრეტები – ნოე ჟორდანია. დოკუმენტური ფილმი, გადაცემათა ციკლიდან „საუკუნის პროტრეტები“ (2009).;

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921. ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი.;

ნოე ჟორდანია. შუხუთის ფოტოგალერეა, ჟორდანიას ბიუსტი შუხუთში;

ნოე ჟორდანია – დემოკრატიის ძირითადი პრინციპები;

ზ. ჩიჩუა, „საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის მოკლე ისტორია“, გვ. 7, პარიზი, 1933;

ლ. გორგილაძე, „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, თბილისი, 1961;

ი. კაჭარავა, „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“, თბილისი, 1962;

ა. სურგულაძე, „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში“, თბილისი, 1957;

გ. ჯანგველაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბუჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისთვის 1903-1923 წწ“, თბილისი, 1974;

ა. ბენდიანიშვილი, „სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში“, თბილისი, 1971;

ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები, გვ. 57, ტფილისი, 1911;

ნ. ჟორდანია, თხზულებანი, ტ. I, გვ. 71-72, ტფილისი, 1920; გაზეთი „კვალი“ N22, 1894 წ.;

ვ.ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 7, გვ. 285, მოსკოვი, 1979; 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება.

გურამ ნიკოლაძის პირადი კოლექცია.

ექსპონატი გამოფენიდან „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, 25 მაისი - 14 ივნისი.

https://burusi.wordpress.com/2009/07/02/noe-zhordania/

http://www.for.ge/view.php?fეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონი

ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია

ვალტერ შურღაია, უზენაესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი

ვალტერ შურღაია. სკოლის მოსწავლე პირველი პატომრობა

ვალტერ შურღაია ხელით საბეჭდ მანქანასთან. სურათი შსს არქივიდან

ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია დაიბადა 1944 წლის 20 მაისს სენაკის რაიონის სოფელ ზანაში. ვალტერ შურღაია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას მაშინ იწყებს, როცა ახალი გადატანილია 1956 წლის რეპრესიები... რომელიც მრავალი ადამიანის მეხსიერებაში მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა.

დამოუკიდებლობის დაკარგვიდან – 1921 წლიდან – არაერთი დამარცხებისა და დასჯის მიუხედავად, ქართველ ერს არ შეუწყვეტია ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. საქართველოში რამდენიმე არალეგალური პოლიტიკური გაერთიანება მოქმედებდა. მათ შორის იყო ორი ერთმანეთის-გან დამოუკიდებელი ზუგდიდის ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია“ და „ამიერკავკასიის ერთა გაერთიანებისა და გათავისუფლების ორგანიზაცია – აკეგო“. 1960 წელს ზუგდიდში ჩამოყალიბებულ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის“ დამფუძნებლები იყვნენ სკოლის მოწაფეები: ანრიდ (ბუჭა) სანაია და ვალტერ შურღაია.

ორგანიზაციის დამფუძნებლებმა პროკლამაციების ხელნაწერის სახით გავრცელებაზე უარი თქვეს, რადგან რამდენიმე ათასი პროკლამაციის ხელით გადაწერა ძნელი იყო, თანაც ხელნაწერს ის შთაბეჭდილება და ზემოქმედება არ ექნებოდა, როგორც ბეჭდურს. ანრიდ სანაიამ თავის თავზე აიღო ამ საკითხის მოგვარება. პირველად რეზინისგან დაამზადა „შრიფტი“, მაგრამ ამან არ გაამართლა, ტყვიისგან დამზადებული შრიფ-ტიც ვერ გამოდგა კარგი. ანრიდ სანაიამ გადაწყვიტა, სტამბაში მოენახა სანდო პიროვნება, რომელიც ნაწილ-ნაწილ გამოუტანდა შრიფტს. ასეთ პიროვნებად აბიბო ბუაძე მიიჩნია. რამდენიმე დღეში აბიბო ბუაძემ საჭირო რაოდენობის შრიფტი მოიტანა. ანრიდ სანაიამ დაზგა გააკეთა და 28 იანვარს 2000 ცალი პროკლამაცია საქართველოს კინოთეატრებში ბოლო სეანსის ბოლო წუთებში გაავრცელეს. ქალაქები ასე გადაინაწილეს: თბილისი – სერგო სორდია, ქუთაისი – ანრიდ სანაია, ფოთი – ვალტერ შურღაია, სოხუმი – გურამ მაკალათია, ბათუმი – მუსო მორგოშია, ცხაკაია – რუსლან ქირია. ზუგდიდში, კონსპირაციის მიზნით, პროკლამაციების გავრცელებაზე უარი თქვეს.

პროკლამაციის ტექსტი ასეთია:

„ქართველნო! დამოუკიდებლობის მსურველნო! – ერთად დამო-უკიდებლობისაკენ!

პირადი და საშვილიშვილო საქმისათვის, საქართველოს დამო-უკიდებლობისათვის მოგიწოდებთ თქვენ, ქართველებო! ყოველი ქარ-თველი ვალდებულია იბრძოლოს დამოუკიდებლობისათვის.

ამხანაგებო! მეგობრულად, ერთი გრძნობით, ამ დიდი საქმისათვის მხარდაჭერით, ქართული სიმტკიცით გავერთიანდეთ, ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ დამოუკიდებლობა!“

საქართველოს გასაბჭოების ორმოცი წლისთავი ახლოვდებოდა. ამ დროს დამოუკიდებლობის მოთხოვნით პროკლამაციების გავრცელებამ საგონებელში ჩააგდო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. ცხრათვიანი ძიების შემდეგ, 27-28 ოქტომბერს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 12-13-15 იანვარს ქალაქ თბილისში დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. ბაღათურია. სახ. მსაჯულები:

თ. ქადაგიშვილი, თ. შათირიშვილი, მდივნის მ. მელიქოვის თანდასწრებით, პროკურორის ვ. გოგავასა და ადვოკატების: ა. ჯავახიასა და ა. კუტალიას მონაწილეობით დაადგინა: ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 73 მუხლით, სსკ 71 მუხლის I ნაწილით და მიესაჯოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მოსახდელად მოთავსებული იქნეს ბავშვთა შრომა-გასწორების კოლონიაში.

აი, როგორ იხსენებდა ვალტერ შურღაია ამ ფაქტს: „ამ აქციას დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით. გვსურდა დიდი რეზონანსისა და ხმაურის გამოწვევა. პროკლამაციები უნდა გავრცელებულიყო ერთსა და იმავე დროს. დღე და საათიც იყო დაგეგმილი. მართლაც ასე მოხდა... როგორც მერე შევიტყვეთ, გენერალური პროკურორი ალექსი ინაური კინაღამ გააგიჟა ამ აქციამ. ზედიზედ წამოვიდა ზარები... მართლა შეიქმნა შთაბეჭდილება დიდი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის არსებობისა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა დაგვაპატიმრეს, ალექსი ინაური არაფრით იჯერებდა, რომ ეს ჩვენი გაკეთებული იყო. „აბა, ეს საზიზღრობა ბავშვებმა როგორ მოიფიქრეს“, – ღრიალებდა იგი. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ორგანიზაციაში 18-20 კაცი ირიცხებოდა, მათგან ექვსმა – მე, ანრიდ პავლეს ძე სანაიამ, სერგო სევერიანეს ძე სორდიამ, რუსლან მიხეილის ძე ქირიამ, ჰამლეტ ვლადიმერის ძე სანაიამ და გურამ ევგენის ძე მაკალათიამ მოვიხადეთ სასჯელი. დანარჩენთა დაფარვა შევძელით. მათ რიცხვში იყო ჩემი მეგობარი და კლასელი ალვერ იზორია.

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მოქმედება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრულიად ახალი ტალღის აგორების ცდა იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ ცდა, რადგან ჩეკამ ყველაფერი გააკეთა ამ ცდის მისაჩქმალავად, რასაც ადამიანებში დასადგურებული შიში უწყობდა ხელს.“

ვახტანგ-ლოთი ქობალია, ინდიკო ქობალია, ვალტერ შურღაია, კუკური სორდია, ზვიად გამსახურდია. ქ. ზუგდიდი

ვალტერ შურღაიას დაპატიმრება 1 ტელევიზიის შენობიდან გამოჰყავთ უზენაესი საბჭოს დაპატიმრებული დეპუტატი ვალტერ შურღაია, რომელსაც ხელში ყუმბარა უჭირავს. 1992 წლის 24 ივნისი.

სასჯელის მოხდის შემდეგ შეუძლებელი გახდა სამსახურის შოვნა, სწავლის გაგრძელებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყველგან ესაჭიროებოდა დახასიათება, საბუთებს არსად იღებდნენ, ვინაიდან მას ე.წ. „მგლის ბილეთი“ ჰქონდა. მოქმედებდა საპასპორტო შეზღუდვებიც. მის გამო მძიმე სიტუაციაში იყო ოჯახიც.... ასე გაჩნდა ბატონ ვალტერის ბიოგრაფიაში მეტად საპატიო პროფესია – ტროლეიბუსის მძღოლი. მძღოლის კაბინაში ყოველთვის იდო წიგნები, რომელსაც იგი კითხულობდა შესვენებისა თუ მორიგი რეისის მოლოდინში. იყო უაღრესად განათლებული. წერდა მოთხრობებს, ნოველებს, რომლებსაც დიდად აფასებდა მწერალი ლევან გოთუა.

1977 წელს ვალტერ შურღაიამ სცადა ახალი იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნა ზაურ ქობალიას, ანრიდ სანაიასა და ინდიკო ქობალიასთან ერთად, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა....

„ორი ათეული წლის შემდეგ ვითარება შეცვლილი იყო, მაგრამ ზვიადისა და მერაბის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერის სულიერი გამოღვიძება. ამ ტანდემმა შეძლო ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით. სწორედ ესაა განსხვავება ჩვენ შორის. სწორედ ამიტომ მივედით ჩვენ ზვიადსა და მერაბთან. პატარა მდინარე დიდ მდინარეში ჩაედინება. ეს გარდაუვალია“, – ამბობს ვალტერ შურღაია. ვალტერ შურღაია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მრავალპარტიულ არჩევნებში ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის N93 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა მაჟორიტარ დეპუტატად, სადაც გაიმარჯვა კიდეც. პოლიტიკოსი იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის მდივანი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის, იურიდიული კომისიის წევრი. 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. „იყო, ალბათ, კოსმიური სამართლიანობა იმაში, რომ ზუგდიდის ორი ეროვნული ორგანიზაციიდან თითო კაცი მოხვდა უზენაეს საბჭოში. დამოუკიდებლობის აქტზე ჩვენი ხელმოწერა ეკუთვნის ამ ორი ორგანიზაციის თითოეულ წევრს. საოცარი იყო დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი, მაგრამ მე არაფერი მახსოვს, გარდა სახელმწიფო ღერბისა და დეპუტატების გრძელი რიგისა. როგორც იქნა, ჩემი ჯერიც მოვიდა. ჩემზე წინ ზაურ ქობალიამ მოაწერა ხელი, დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა. როგორც მახსოვს, ეს იყო პირველი დაჩოქება იმ პროცედურის განმავლობაში. მეც იგივე გავიმეორე, გულში კი ვყვიროდი, ბუჭა სანაიავ, ძმაო, ხედავ, რა ხდება?! ბუჭა სანაია კი, ჩემი მასწავლებელი ეროვნულ მოძრაობაში, იჯდა ტელევიზორთან და, რასაც განიცდიდა, მხოლოდ მან და მისმა ღმერთმა იციან. ჩვენ მიერ პროკლამაციის გავრცელებიდან ოცდაათი წელი გასულიყო“.

1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დაწყების დღიდან ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხელმძღვანელია. პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა საქართველოს სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ. 1993 წლის ბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების მეორედ განდევნისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ, 1994 წლის იანვარში ვალტერ შურღაია დააპატიმრეს. 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მის საბრალდებო დასკვნაში სუკ-ის არქივიდან ამოღებული 1961 წელს გავრცელებული პროკლამაციის ფოტოპირიც ჩააკერეს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი ნივთმტკიცება. 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის აპრილში მიღებული დადგენილების საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

2002-2003 წლებში ვალტერ შურღაია იყო „ეროვნული თანხმობის კავშირის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. ქართველი დისიდენტი, ეროვნული განმათავასუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ვალტერ შურღაია გარდაიცვალა 2016 წლის 28 ნოემბერს. დაკრძალულია თბილისში.

მწერალი ლაშა გვასალია ვალტერ შურღაიას ხსოვნის პატივსაცემად საინტერესო წერილს „სამშობლოს თავისუფლების სამწვერვალოზე“ აქვეყნებს.

„სხვები რომ იტყვიან, იმ კუთხით კი არა, სხვა კუთხიდან მინდა შევახედო მკითხველი ვალტერ შურღაიას გონითი კანონზომიერების შესაძლებლობებს, რომელიც შემოქმედებითი ნიჭიერებით საზღვრავს მის სიმაღლესა და ხატს. ვალტერ შურღაიას იცნობდნენ, როგორც რაინდული სულის ეროვნულ მოღვაწეს, უზენაესი საბჭოს წევრს, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლს, მაგრამ ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობდნენ, როგორც შემოქმედს, დიდებული პროზაული ქმნილებების ავტორს.

შემოქმედებისთვის ორი უმთავრესი და არსებითი მხარე ხაზგასმით იკვეთებოდა ბატონი ვალტერისპიროვნებაში–ფსიქიკურიცხოვრებისიდუმალმოძრაობათა ღრმა ცოდნა, თვისება სულის დიალექტიკის გადმოცემისა, რომელიც ასახავს ფსიქიკური ცხოვრების არა მხოლოდ შედეგს, არამედ თვით პროცესის მსვლელობას; მეორე – ზნეობრივი გრძნობის სიწმინდე. ეს ორი ნიშანი უმთავრესია ნიჭის თვისებად ქცევისა. სწორედ ამ თვისებებმა წარმოაჩინეს მისი, როგორც პიროვნული, ყოფითი სახე, ასევე შემოქმედებითი სიწრფელე. ეროვნული მოძრაობის წევრებს, მით უფრო, ბატონი ვალტერის თანამებრძოლებს ახსოვთ ის, თუ რა ხშირად ციტირებდა ბატონი ვალტერი ფრანჩესკო ასიზელს. ერთ ინტერვიუში, რომელიც მას პოეტმა ქალბატონმა ბელა შალვაშვილმა ჩამოართვა, აცხადებს, რომ ასიზელს ის მიიჩნევს მის სულიერ წინაპრად, ძალიან ბევრი რამ გააჩნიათ საერთო და საზიარო. ხუმრობანარევად იმასაც ამბობდა, რომ ის პატარაობიდანვე

ფრანცისკელთა ორდენის უღალატო წევრი იყო. სხვათა შორის, ეს ორდენი დაარსდა 1223 წელს და მისი ფუძემდებელი იყო იტალიელი მოაზროვნე და პოეტი ფრანჩესკო ასიზელი.

ფრანჩესკო ყოფილა მეტად მომხიბვლელი პიროვნება, მგზნებარე მეოცნებე, უანგარო და კეთილშობილი სულის პატრონი. იტალიური პოეზიის მშვენებად მიიჩნევა ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი ლექსი, სადაც ავტორი თავის და-ძმებად მოიხსენიებს: მზესა და მთვარეს, ქარსა და ვარსკვლავებს, სიცოცხლესა და სიკვდილს. ეტყობა, აქაც პოულობდა საერთოს ასიზელთან – კოსმოგონური მეგრული ლექსის: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“ აზრობრივი ნათესაურობით.

ასევე, ფრანჩესკო ქადაგებდა მიწიერ ცდუნებათა უარყოფას, მშვიდობას, ძმობასა და მეგობრობას. მას გულწრფელად სწამდა, რომ ადამიანის ტყავში გახვეული მგლები ყურს თუ ათხოვებდნენ ღვთის სიტყვას, უმალვე უმანკო ცხვრებად გადაიქცეოდნენ და უარყოფდნენ ავი გზებით მოხვეჭილ სიმდიდრესა და მდგომარეობას.

თვით ფრანჩესკო, შვილი მდიდარი ვაჭრისა, ცხოვრობდა საშინელ სიღატაკეში, რაც მისთვის წარმოადგენდა თავისუფლების სიმბოლოს. ფრანჩესკოს ეძახდნენ „მეორე ქრისტეს“. ეს ასახულია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“. გენიალური იტალიელი პოეტის სიტყვებით, ასიზელმა ცოლად შეირთო „ქალბატონი სიღატაკე“, რომელსაც თერთმეტი საუკუნის წინათ წაართვეს ქმარი – იესო ქრისტე. ყოველივე ეს ძალიან კარგად და ოსტატურად აღწერა დიდებულ ესეში „ჩემი თვალით“.

დღეს, როცა ჩავუღრმავდი და თვალი მივადევნე ბატონი ვალტერის ცხოვრების გზას, ერთ რამეში დავრწმუნდი: ქართული ეროვნული გენია ვერასდროს შეეგუება ეროვნული სულიერების დაკნინებას. ამიტომ ვალტერ შურღაია ჭაბუკობიდანვე შეუდგა გოლგოთის მისტერიას. ამ გზაზე იმდენი ვაება და საწუხილო შეხვედრია – „სულ მეგონა, სიკვდილი გვერდით მომყვებოდა, როგორც დაქალი და მეგობარი...“ – წერდა ბატონი ვალტერი და დონკიხოტური სიმედგრითა და სიჯიუტით მიუყვებოდა აღსავალს სამშობლოს თავისუფლების სამწვერვალოზე.

ვერც ციხემ და ჯურღმულებმა, ვერც ვერანაირმა ტანჯვა-წამებამ ვერ შეაცვლევინეს ვერც მრწამსი და ვერც მისი იდენტური სიწრფელე. სწორედ მას ესადაგებოდა ეს სტრიქონები: „მე იგივე ვარ მარად და მარად“. ის ისეთივე თავდადებულ მეთოფურ-მეთვალთვალედ დარჩა იმ ბასტიონისა, რომლის დაუმარცხებლობასაც შესწირა შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები.

ვალტერ შურღაიას ნებისმიერ მოქმედებაში ჩანდა აბსოლუტურად ინდივიდუალური ინსტინქტები, გრძნობათა და განცდათა ვიბრაციის მაღალგრძნობიერი მელოდიურობანი, რაც ადამიანებთან მის ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩანდა. ის უყვარდათ, ეიმედებოდათ, სწამდათ... მისი თამამი და სრულიად უნიკალური ღვთიური სუბსტანციები გამოარჩევდნენ მას, როგორც წარმოსახვითი და რეალისტური აღქმის ზნემაღალ მოღვაწეს. სულ მგონია, რომ ის, როგორც მორწმუნე და ეკლესიური ადამიანი, დღენიადაგ იმეორებდა გულში: „დამაყენე, უფალო, შენს გზაზე, რათა ვიარო შენი ჭეშმარიტებით, წარმართე ჩემი გული შენი სახელის მოშიშებით...“ (85 ფსალმუნი).

მან მართლაც იცხოვრა თვალდასარჩენი პატიოსნებით და აღესრულა პატიოსნად, რათა ხლებოდა უფალს, როგორც მართალი და სულუტეხი ადამიანი! წავიდა ჩვენგან კოლხი რაინდი, ზომიერი რომანტიზმითა და მაღალი ზნეობრიობით აღვსილი ქართველი, სამშობლოსთვის თავდადებულთა და ღირსეულთა ნათესავი – „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი!“

ნათელი დაგადგეს კარგო და მართალო ადამიანო, ბატონო ვალტერ!

ლაშა გვასალია. 30. 11. 2016.“

გამოყენებული ლიტერატურა:

დამენია მ, „ზუგდიდი ეროვნულ მოძრაობაში“, წიგნი I, 2018, თბ., გვ:77-80; 197-200.

მარინე დამენია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ცნობილები აბაშიდან...



კუჭუხიძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1921 წლის 26 ივნისს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. 1941წ. წარჩინებით დაამთავრა ნაესაკოვოს საშ. სკოლა და შემდეგ – თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტი, წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

1960 წელს გახდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 1971 წლიდან ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია და მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. როგორც მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, ეწოდა სათანადო კადრების აღზრდას; მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს 60-ზე მეტ ასპირანტსა და დოქტორანტს.

ა. კუჭუხიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშის, სოფ. ზანათის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლად. ამიერკავკასიის რკინიგზაზე – გაზეთ „რკინიგზელის“ სპეკკორესპონდენტად, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორად. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საფინანსო სამსახურის უფროსად, საქართველოს სამგზავრო ავტოტრანსპორტის ტრესტის მმართველის პირველ მოადგილედ, საქართველოს საგეგმო კომიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანად, იქვე კათედრის გამგედ.

ა. კუჭუხიძე ეწოდა სამწერლო მოღვაწეობას, იგი არაერთი ლექსის, მოთხრობის, ნოველის, ბრძნული შეგონებების, იუმორნარევი მოგონებების, ჩანახატის, ნარკვევის, ფელეტონის კრებულის ავტორია. მისი პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, გამოცემულია, ასევე, ბროშურების სახით,

არის 500-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მეთოდიკის, სტატიის ავტორი, 70-ზე მეტი წიგნის რედაქტორი, 30-ზე მეტი წიგნის რეცენზენტი. მისი ავტორობით და რედაქტორობით გამოცემულია 10-ზე მეტი წიგნი. იგი მთავარი ავტორ-შემდგენელი და რედაქტორია აბაშის ენციკლოპედიისა, რომელიც გამოიცა 2010 წ.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიური უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს მუდმივმოქმედი საერთაშორისო სადისკუსიო კლუბის დამაარსებელი და კოორდინატორი, გაზეთ „საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო კლუბის „დამაარსებელი და კოორდინატორი, გაზეთ „საქართველოს დედაქალაქის“ დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი ალექსანდრე კუჭუხიძე 92 წლის ასაკში 2013 წლის 16 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ლაბარტყავა ალექსანდრე მელქისედეკის ძე

დაიბადა 1937 წელს აბაშაში. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და სამუშაოდ გაიგზავნა ყაზახეთის სსრ. ქ. ჩიმკენტში სამშობიარო სახლის ექიმ-გინეკოლოგად. 1965წ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტია, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის N3 სამშობიარო სახლის ექიმ-ორდინატორად, პარალელურად – თბილისის სამედიცინო სასწავლებლის ექიმ-პედაგოგად. 1971 წელს დაინიშნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ თბილისის N5 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმია. პარალელურად აგრძელებს პედაგოგიურ მუშაობას ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის

კათედრაზე, შემდეგ – სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიოლოგია-მედიცინის ფაკულტეტზე დოცენტად. 1995 წელს მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2006 წ. არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორად მეანობა-გინეკოლოგია-რეპროდუქტოლოგიის განხრით.

არის 27 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 2 მონოგრაფიისა და ერთი გამოგონების.

ალექსანდრე ლაბარტყავა დაჯილდოებულია „მედიცინის დამსახურებული მუშაკის“ მედლით. ამჟამას გახლავთ, საქართველოს სახელოვნებო და ჰუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსი.

ლაბარტყავა გულთაზ ევგენის ძე (1938)

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფინანსები და კრედიტის“ კათედრის პროფესორი, აკადემიკოს პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და თბილისის პოლიტექნიკური აკადემიის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი, საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმისა და მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

1962-1991 წლებში „მშენბანკის“, „ბინსოცბანკის“ სისტემაში დიდი გზა გაიარა, ინსპექტორობიდან მმართველამდე. იყო იმ ბანკის მმართველი, რომელიც აფინანსებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობას. იყო საქართველოს ჰიპოთეკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მრეწველობის მინისტრი.

1973 წლიდან კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გ. ლაბარტყავა არის 80-მდე შრომის ავტორი, რომლებიც ძირითადად შეეხება საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს. მას იცნობენ როგორც უმაღლესი რანგის ეკონომისტს, ბანკირსა და ფინანსისტს. იგი საქართველოში მშენებლობის, ეკონომიკის, ინვენსტიციური და საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.

მჟავანაძე რუსუდან გივის ასული (1955)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მისი შრომითი და სამეცნიერო ბიოგრაფია გახდა მრავალფეროვანი: იყო სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი, წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, მთავარი სპეციალისტი, პროფესორი და ლექტორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, კიევის უნივერსიტეტის თბილისის ფილიალში, სამედიცინო ინსტიტუტ „დასტაქარში“, საქართველოს პროფკავშირების უნივერსიტეტში, უნივერსიტეტ „მეტეხში“ არის ფონდ „აკადემიის“ წევრი.

რუსუდან მჟავანაძემ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქ. კიევში. არის რამდენიმე სერთიფიკატის მფლობელი სხვადასხვა სპეციალობაში. ავტორია 43 სამეცნიერო ნაშრომის, ცხრა ნორმატიული დოკუმენტის, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების კრებულებში, ბუკლეტებსა და სამედიცინო საკანონმდებლო მაცნეში.

მიქაძე ირაკლი პოლიკარპეს ძე (1938)

1962 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ყაზახეთის, შემდეგ საქართველოს გეოლოგიურ სამმარ-

თველოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო ჰიდროლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის სამსახურის უფროსი. 1973 წ. მთავრობის მიერ მივლინებულ იქნა ბაიკალამურის სარკინიგზო მაგისტრალის დაბა ნიაგრუზინსკაიაში წყალმომარაგების საკითხის გადასაწყვეტად. 1976 წ. ქ. მოსკოვში დაამთავრა „ვსეგინგეოს“ ასპირანტურა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2005 წელს თბილისში – სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ი. მიქაძე არჩეული იყო საქართველოს მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტად, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აკადემიკოსად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც დაბეჭდილია საზღვარგარეთისა და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებში.

დავალების მაღალ დონეზე შესრულებისთვის, თავდადებული და უმწიკვლო მუშაობისთვის დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „წიაღისეულის დაზვერვაში დამსახურებისთვის“, „წიაღისეულის დაზვერვის ფრიადოსანი.“

ნადარეიშვილი ანატოლ ვარლამის ძე (1927-1998)

დაიბადა 1927 წელს აბაშაში. 1948 წ. სპი-ს სამთო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ტყიბულში სამთო ინჟინრად. 1973წ. მოსკოვის ნავთობის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას. თავისი შემოქმედებითი ცხოვრება და პედაგოგიური საქმიანობა მან დაუკავშირა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, აქ იგი მუშაობდა ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობაზე. 1993წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

თვალსაჩინო მეცნიერმა ანატოლ ნადარეიშვილმა აღზარდა გეოლოგთა მთელი თაობა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ჰიდრო-გეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების – მიწისქვეშა წყლების დინამიკის – შემდგომი განვითარება. კვლევებს ამ დარგში მან მიუძღვნა 72 სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია და სახელმძღვანელოები.

ანატოლ ნადარეიშვილი გარდაიცვალა 1998 წელს.

ტყეშელაშვილი თემურ თენგიზის ძე (1958-2004)

ქალაქ ჩიტაში სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. კურგანის ცენტრალურ საავადმყოფოში. 1983 წელს ბრუნდება მშობლიურ რაიონში, აბაშაში და რაიცენტრალური საავადმყოფოს ქირურგია.

1988 წ. ქ. მოსკოვში გაიარა დახელოვნების კურსები და მუშაობა გააგრძელა მოსკოვის რკინიგზის ცენტრალურ საავადმყოფოში. ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს მოსკოვის სკლიფოსოვსკის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიულ ცენტრში ქირურგად, სადაც მიიღო მეცნიერ-თანამშრომლის წოდება.

სპეციალისტი ქირურგიულ საქმიანობასთან ერთად ეწოდა სამეცნიერო მუშაობას. შედგენილი და გამოცემული აქვს მეთოდური რეკომენდაციები ქირურგიული და ტრავმატოლოგიური განყოფილებებისთვის, არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მუშაობდა სადოქტორო თემაზე, მაგრამ 2004 წელს მისი სიცოცხლე ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა.

ფაღავა დავით ანტონის ძე (1881-1962)

ფაღავა დავით ანტონის ძე დაიბადა 1886 წელს.

პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისში სამხედრო ექიმ-თერაპევტად, შემდეგ სამხედრო ექიმ-ინფექციონისტია.

დ. ფაღავას ინიციატივით წყალტუბოსა და ქობულეთში დაარსდა სანატორიუმები. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში დიდი სამუშაოები ჩატარდა მალარიის მოსასპობად: კერძოდ, შეიქმნა ამიერკავკასიის ტროპიკული სამსახური, დაიწყო აქტიური და კომპლექსური მკურნალობა, პროფილაქტიკა, ჭაობების ამოშრობა. ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის მას მიენიჭა „დამსახურებული ექიმის“ წოდება. მიღებული აქვს არაერთი სამთავრობო ჯილდო, მედალი, სიგელი, მადლობა.

დავით ფაღავა მედიცინის დარგში ათობით სამეცნიერო სტატიისა და ნაშრომის ავტორია. გარდაიცვალა 1962 წელს, 76 წლის ასაკში.

ფაღავა გურამ დავითის ძე (1930-2002)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ექიმ-ორდინატორია (1953-1955). იგი მუშაობდა აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტულ და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ-განყოფილების გამგედ.

გურამ ფაღავა 82 ნაბეჭდი და 15 რაციონალიზატორული და მეთოდური რეკომენდაციის ავტორია. მის სელექტიურ ვაგოტომიის ახალ მეთოდს 1984 წელს მიენიჭა საავტორო უფლება. საქართველოში პირველად 1985 წელს შექმნა ცხოველებისთვის საექსპერიმენტო საოპერაციო და სამკურნალო მაგიდა თავისი აღჭურვილობით. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით სრულდებოდა ექიმ-მკვლევართა მეცნიერული ექსპერიმენტები.

თავისი საქმიანობის მაღალკვალიფიციურად შესრულებისთვის გ. ფაღავა დაჯილდოებული იყო მედლებით, სიგელებით, მადლობებით.

ჭანტურია ნონა იურის ასული (1964)

კვათანის რვაწლიანი სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლობს ფოთის სამედიცინო სასწავლებელში, ყაზანის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტების პედიატრიულ ფაკულტეტებზე. 1989-1990 წლებში გაიარა ორდინატურა ქუთაისის ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე, ასევე სპეციალიზაციის ციკლი ენდოკრინოლოგიაში. 1999 წელს გაიარა მომზადების სრული კურსი ჩაჩავას სახელობის მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ენდოკრინოლოგიის სპეციალობით. 2000წ. სპეციალიზაციის სრული ციკლი გაიარა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის კათედრაზე. პარალელურად სწავლას განაგრძობს საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 2004 წ. წარჩინებით დაამთავრა და ამავე ინსტიტუტში მუშაობას იწყებს სამართალმცოდნეობის კათედრაზე სასამართლო ექსპერტიზის მიმართულებით.

ნ. ჭანტურიას სადისერტაციო ნაშრომმა „იპურბერტიტის პერიოდის თავისებურებანი შაქრიანი დიაბეტის ტიპი I-ის მქონე მოზარდ გოგონებში“ დადებითი შეფასება დაიმსახურა და ავტორს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 2007 წ. – ასოცირებული პროფესორის წოდება.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის ტუბდისპანსერში ექიმ-ფტიზიატრად, საქართველოს სამთავრობო სახელმწიფო რეზიდენციაში ექიმ-მკურნალად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, პროფილაქტიკის შემსწავლელ ჯგუფში უმცროს მეცნიერ-მუშაკად. თბილისის N1 საავადმყოფოს ენფოკრინოლოგია-მეტაბიოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრის ექიმ-ენდროკინოლოგის პარალელურად თსუ „მეტეხის“ სამკურნალო და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის კათედრაზე ლექტორ-პროფესორია.

გუგუშვილი პაატა ბესარიონის ძე (1905-1987.)

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტზე ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით. ლექციებს ისმენდა აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიის დარგებში, მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელთაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

1930 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს სახალხო მეურნეობის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის კურსებს. ავტორია მრავალი ათეული ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიის, სახალხო მეურნეობის განვითარების, დაგეგმვის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა საკითხებს.

1940 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

საქართველოს საგეგმო კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული დემოგრაფიის პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1958-1962წწ), საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრი, სსრკ ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1960-1968წწ) 1961 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წელს კი – აკადემიკოსად. 1973 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ სოციალურ ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო საბჭოს.

მკვლევარმა დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში,ეკონომიკურიწყაროებისმეცნიერულპუბლიკაციაში.მისიძალისხმევითჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც იგი სამ ათეულ წელზე (1944-76) მეტი ხნის განმავლობაში ედგა სათავეში. ინსიტუტმა არაერთხელ შეიცვალა სახელწოდება: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი; პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (1991), სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (2006), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (2011).

ამ ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში, მნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებაში, კვალიფიციური კადრების მომზადებაში. უნივერსიტეტი საქართველოში ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრია.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ეკონომიკური სექციის თავმჯდომარე, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის რჩეული ნაწერების თხზულებათა 12 ტომეულის, აგრეთვე ხუთტომეულის „ხელოსნობისა და შინამრეწველობის ისტორია საქართველოში“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის რჩეული ნაწერების ორტომეულის მთავარი რედაქტორი. იყო ასევე თავისივე ინიციატივით აღდგენილი ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი

(1958-1967), ავტორია მრავალი ნაშრომისა. მათ შორის 50 მონოგრაფიისა. პ. გუგუშვილის მეცნიერული ნაშრომები ეძღვნება პოლიტეკონომიის, სოციოლოგიის, სტატისტიკის, სახალხო მეურნეობის, ისტორიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკის განვითარების, ქართული ჟურნალისტიკის, დემოგრაფიის, გეგმიანობისა და პროგნოზირების, ბიბლიოლოგიის პრობლემებს. პ. გუგუშვილის ორასამდე ნაშრომი უმთავრესად შეეხება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების აქტუალურ საკითხებს.

ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს.“ (I-VII ტომი, 1949-84), რომლის სამი წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზეც (ამ ნაშრომს 2000 წელს ეკონომიკის მეცნიერების დარგში „XX საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსით ჟურნალ „მაკრო-მიკროეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიენიჭა პირველი პრემია).

მონოგრაფიები მევენახეობისა და მეღვინეობის ეკონომიკის საკითხებზე ღრმა მეცნიერული გამოკვლევებია. მათ არა მარტო საბჭოთა, არამედ საზღვარგარეთელ მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც დიდმნიშვნელოვნად მიუთითებდა საერთოდ ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე.

სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე იტალიაში (1959 წ.) პ. გუგუშვილის მოხსენება „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. გერმანელმა პროფესორმა ნიულონმა, რომელმაც შეაჯამა ამ კონგრესის მუშაობა, ქართველი მეცნიერის მოხსენება პრობლემის მეცნიერული შესწავლის მაღალი დონის ნიმუშად დაასახელა.

ასეთივე წარმატება ხვდა პ. გუგუშვილის მოხსენებას „ეკონომიკური განვითარების ფაქტებისა და ტემპების შესახებ ავსტრიაში (1962 წ.) ეკონომისტთა მეორე მსოფლიო კონგრესზე.

დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ეკონომისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პაატა გუგუშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 27 თებერვალს, 81 წლის ასაკში, ქალაქ თბილისში. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

გუგუშვილი მიტროფანე მეთოდის ძე (1914-1979.)

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს მოსკოვის სოფლის მეურნეობის ინჟინერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1938 წ. მონაწილეობდა ფინეთის ომში. 1939-1948 წ.წ. მუშაობდა კომბინატ ვორკუტა – ქვანახშირის სისტემაში სხვადასხვა სამუშაოზე. 1951 წ. დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1956-68 წ.წ. მუშაობდა საქართველოს სასოფლო მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ს/კ ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1968 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წლიდან იგი პროფესორია, იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა-იარაღების კათედრის გამგე. იგი ასამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ექვსი სახელმძღვანელოს და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ოცამდე ასპირანტი, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ბზიავა მელქისედეკ ლუკას ძე (1910-1999.)

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის საპატიო წევრი.

მ. ბზიავამ დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობათა ინსტიტუტი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ზამთრის სიდერატები ჩაის მეურნეობაში“. სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს თემაზე „სუბტროპიკულ კულტურათა სასუქები და სიდერაცია“ და მიენიჭა სუბტროპიკულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

მ. ბზიავა სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აგროქიმიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, აგროქიმიის განყოფილების ხელმძღვანელად.

გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო სტატია და სამი მონოგრაფია. მან ჩამოაყალიბა საქართველოში ჩაის კულტურის ნიადაგის განაყოფიერების სისტემა.

მ. ბზიავა ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით.

ბოკუჩავა მანანა გრიგოლის ასული

1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, შემდეგ – ამავე ინსტიტუტის ორდინატურა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქიატრიის ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში, მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ მედიცინის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მ. ბოკუჩავა ავტორია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, ისინი ეხება აფექტურ, მანიაკურ და დეპრესიულ აშლილობათა ეთიოლოგიის, თერაპიისა და პროფილაქტიკის, აგრეთვე შიზოფრენიის მკურნალობის საკითხებს

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, ამავე ინსტიტუტის გერიატრიული განყოფილების გამგე, პროფესორ-კონსულტანტი, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კურსის ასისტენტი, ფსიქიატრიის კურსის ხელმძღვანელი, სამედიცინო აკადემიის პედაგოგი, ფსიქიატრიის კათედრის პროფესორი. ასეთია მ. ბოკუჩავას შრომითი და სამეცნიერო ბიოგრაფია.

ბოკუჩავა მიხეილ ალექსის ძე (1910-1995.)

გამოჩენილი ქართველი ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ბოკუჩავა განეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც მოღვაწეობდნენ მოსკოვში, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებასა და აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მისი მოღვაწეობის არეალი იყო ტექნიკური ბიოქიმიის სფერო. იგი ცდილობდა არა მარტო შეეცნო ბიოქიმიური მოვლენები და პროცესები, არამედ მიღებული შედეგები პრაქტიკაში საწარმოო პროცესების სრულყოფის და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გამოეყენებინა. მან ფუნდამენტური გამოკვლევები ჩაატარა პოლიფენოლურ ნაერთებისა და დამჟანგველ ფერმენტებზე, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მცენარეთა ბიოქიმიაში და საფუძველი ჩაუყარა ახალ, სრულად ორიგინალურ მიმართულებას ჩაის ტექნოლოგიაში – შეიმუშავა შავი ჩაის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური მეთოდი, რომლის ძირითადი არსია ფერმენტული და თერმოქიმიური პროცესების რაციონალური შეხამება; ძირფესვიანად შეცვალა ლაოჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა. წარმოების ეს მეთოდი დაინერგა რესპუბლიკის ყველა ჩაის ფაბრიკაში, სადაც ჩაის ამ სახეობის პროდუქციის წარმოება ხდებოდა.

მ. ბოკუჩავა 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 40-მდე გამოგონების ავტორია, მათ შორის ბევრი თარგმნილია არაერთ უცხო ენაზე და რამდენიმეჯერ გამოიცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და უცხოეთის ქვეყნებში.

მკვლევარს მიღებული აქვს საკავშირო ალკკ ცკ-ის პრემია (ჩაის ფოთლის ფერმენტაციის გამოკვლევა, 1938), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრემია (ლაო ჩაისა და მწვანე აგურა ჩაის წარმოების ბიოქიმიური საფუძველი, 1955), ა. ბახის სახელობის პრემია (ჩაისა და ჩაის წარმოების ბიოქიმია, 1958).

გამოჩენილი ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ალექსის ძე ბოკუჩავა გარდაიცვალა 1995 წელს.

გოგიშვილი ბენიამინ გიორგის ძე (1925-1990.)

დაამთავრათბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისგეოლოგიისფაკულ-ტეტი და აკადემიკოსმა თვალჭრელიძემ მიიწვია სამუშაოდ მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა ტექნიკოსიდან განყოფილების გამგემდე. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ორი ახალი მეცნიერული მიმართულების – მეტასომატური ქანების პეტროლოგიის და ექსპერიმენტული მინერალოგიის შექმნა და განვითარება. მან შეისწავლა და გამოავლინა მინერალური ნედლეულის ბევრი ახალი სახე, რომელთაც წარმატებით იყენებენ სახალხო მეურნეობაში.

გუნია გარი სერგოს ძე

დაიბადა 1937 წლის 25 აგვისტოს აბაშაში. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის კურსდამთავრებული მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რადიოლოგიურ ლაბორატორიაში, სადაც ბირთვული ბომბების აფეთქების შედეგად გარემოს ნარჩენებით დაბინძურების პრობლემებს იკვლევდა, 1967 წელს სასწავლებლად მიავლინეს სანქტ-პეტერბურგის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, ეუფლებოდა ისეთ რთულ საკითხ-ებს, როგორიცაა ატმოსფეროს დაბინძურების ეკოლოგიური მონიტორინგი და პროგნოზირება, 1973 წ. იმავე ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატი-კის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და დაბრუნდა სამშობლოში. 1984 წ. გ. გუნია იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ატმოსფეროს დაბინძურების მონიტორინგის საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე“. მას მიენიჭა გეორგრაფიის მეცნიერ-ებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გ. გუნია 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორია. მათი უდიდესი ნაწი-ლი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომათა კრებულებში.

1974 წ. გ. გუნიას მონაწილეობით შეიქმნა ბუნებრივი გარემოს დაბინძურების კონტროლის სახელმწიფო სამსახური, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ატმოსფეროს დაბინძურების უწყვეტ, მეთოდურ და ფართო მასშტაბურ ეკოლოგიურ მონიტორინგს, რაც ასევე ითვალისწინებდა მისი ფილიალების დაარსებას საქართველოს მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში (ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი, ტყვარჩელი).

1977-1980 წ.წ. მკვლევარი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტზე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანელოგიის კათედრის პროფესორია. აღსანიშნავია მისი, როგორც სამეცნიერო დისერტაციების ხელმძღვანელის საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია რამდენიმე სადისერტაციო შრომა, მათ შორის – სადოქტორო.

1995 წ. გ. გუნია აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს მთავრობამ დააჯილდოვა „ღირსების ორდენით“.

კაჭარავა ივანე ბესარიონის ძე

დაიბადა 1894 წლის 5 სექტემბერს (ძვ. სტ. 24 აგვისტო).

ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ის აირჩიეს გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. 1933 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება.

ივ. კაჭარავამ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი მონოგრაფია „რაჭა-ლეჩხუმის აუზი და მოსაზღვრე რაიონები პალეოგენის დროს“, რომელიც წარმოადგენდა მის სადოქტორო თემას, 1944 წ. მიენიჭა გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მიიღო პროფესორის სამეცნიერო წოდება, არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ – წევრად. 1960 წელს გახდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ივ. კაჭარავას პირველი ნაშრომი, რომელიც 1926 წ. გამოქვეყნდა, შეეხებოდა სამეგრელოს გეოლოგიურ აგებულებას. მან იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მის მიერ დასავლეთ საქართველოს ნეოგენური ნალექების შესწავლამ შედეგი გამოიღო. კერძოდ, მან პირველად გამოყო ჩოკრაკული და კარაგანული ასაკის ნალექები სამეგრელოსა და რაჭაში, დაადგინა ჩოკრაკული და მეოტური ნალექების ტრანსგრესია აფხაზეთში. მოგვიანებით იგი შეუდგა საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული პალეოგენური ნალექების შესწავლას და მალე მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილ სპეციალისტად იქნა აღიარებული. მისი დამსახურებაა ახალციხის აუზის მესამეული ნალექების, აგრეთვე ლეჩხუმის ცარცეულის და მესამეულის მომიჯნავე ნალექების სტრატიგრაფიული სქემის დადგენა. მან პირველმა შეამჩნია ძველი ავტორების შეცდომა სტრატიგრაფიულ სქემაში და დაამტკიცა, რომ ლეჩხუმში გავრცელებულია ორი და არა ერთი აუზიანი ჰორიზონტი და ისინი გაყოფილია ორბიტოიდებიანი კირქვებით.

ივ. კაჭარავა ავტორი და თანარედაქტორია ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც საქართველოს გეოლოგიურ აღწერას შეეხება, ამ შრომისთვის ქართველ გეოლოგებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მოიპოვა. იგი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მისი ლექციები გამოირჩეოდა დიდი აკადემიურობით და მეცნიერების უახლესი მიღწევების გაშუქებით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული გეოლოგიური კადრების მომზადებაში. მის მოწაფეებს შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და აკადემიკოსები.

ივ.კაჭარავა ხელმძღვანელობდა მეცნიერული კადრების აღზრდას სომხეთისა და აზერბაიჯანშიც. არის 100-ზე მეტი შრომის ავტორი, მონაწილეობდა საკავშირო თუ საერთაშორისო თავყრილობებში.

ივანე კაჭარავას სახელობის ქუჩა მდებარეობს თბილისში გლდანის რაიონში, კერძოდ გლდანულაში.

გარდაიცვალა 1977 წლის 4 მაისს თბილისში.

გამოყენებული ლიტერატურა:

„აბაშა“, ენციკლოპედია 2010, აბაშა, გამომცემელი ალ. კუჭუხიძე.

მოამზადა ჟურნალისტმა
სვეტლანა ხოფერიამ

ლეო ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკისა და სახლ-მუზეუმის დაარსების ისტორიიდან

„საქვეყნო საქმე წმინდად და უანგაროდ უნდა კეთდებოდეს. პირადი, თვით სიყვარულიც რომ იყოს, შიგ არ უნდა გარიო.“
ლეო ქიაჩელი

I. ასე ეყრებოდა საძირკველი

სახელოვანი წარსულის მქონეა სოფელი ობუჯი, რომლის ცენტრში აგებულ ხის ეკლესიაში ჯერ კიდევ 1681 წლიდან დაბრძანებული იყო სასწაულმოქმედი და მადლმოსილი ქიაჩის ხატი. (1923 წლიდან ხატის მუდმივი ადგილსამყოფელი ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია) და მაინც სოფელი გამორჩეულია უწინარესად თავისი ღირსეული შვილებით. აბა, რომელ კუთხეს არ დაამშვენებდა ასეთი სახელები: ლეო ქიაჩელი, ნიკოლოზ შენგელაია, შოთა მესხია, დემნა შენგელაია, ოლია კაკაჩია-სოსელია, დავით ქებურია, ჯემალ მებონია, იაკობ მესხია, გრიგოლ საჯაია, ლეო ა. შენგელაია, დანიელ ფიფია, ნიკოლოზ კაკაჩია, ალექსანდრე მესხია, მარგო ფონიავა, ვახტანგ ხარჩილავა და სხვ.

სოფელში ტრადიციად იყო ქცეული შრომითი ზეიმი „ობუჯობა“, რომელსაც კოლექტიური შრომით აყვავებულ-გალაღებული, სტუმარმრავალი ობუჯი თავის შვილებთან ერთად ყოველ-თვის დიდი წარმატებებით ეგებებოდა, რამეთუ შრომას როგორც სოფელში, ასევე მთელ ქვეყანაში, სახელი და დიდება მოჰქონდა!

მსურს ჟურნალ „დისკუსიის“ მკითხველებს მოვუთხრო, თუ როგორ ეყრებოდა საძირკველი სოფლის ცენტრში სიმწვანეში ჩამჯდარ, ორნამენტებით დამშვენებულ კოხტა აივნებიან ქვითკი-რის შენობას – ბიბლიოთეკას, რომელიც ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლეო ქიაჩელის სახელს ატარებს, ასევე აუცილებელია მოგითხროთ მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით სახლ-მუზეუმის გახსნის ამბავზე...

ეს იყო შორეული 1954 წლის თებერვალში, მწერალ ლეო ქიაჩელის დაბადების 70 წლისთავის კვირაძალში. რაიონის ხელმძღანელობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დადგენილი, თუ როდის აღენიშნათ ცნობილი მწერლის იუბილე. ობუჯის საშუალო სკოლის მაშინდელმა დირექტორმა, ისტორიკოსმა აკაკი შანავამ, მასწავლებლებმა: ფილოსოფოსმა მამია კაკაჩიამ და ისტორიკოსმა არველოდ ლაგვილავამ გადაწყვიტეს მწერლის მშობლიურ სოფელში მოწვევა. ობუჯის მშრომელებმა მოიწონეს მათი ინიციატივა, რომელიც შეთანხმებულ იქნა პარტიის რაიონულ კომიტეტთან (რაიკომის პირველი მდივანი იყო ს. კვარაცხელია, მეორე მდივანი – გ. შონია, აღმასკომის თავმჯდომარე – ი. ზარანდია). შეთანხმების შემდეგ მამია კაკაჩია და არველოდ ლაგვილავა მწერალთან შესახვედრად თბილისს გაემგზავრნენ. მათ მიჰქონდათ საიუბილეოდ მოწვევის შესახებ სასოფლო საბჭოსა და პარტიის რაიკომის მიმართვა, ასევე მათ მიერ პიესად გადაკეთებული რომანი „ტარიელ გოლუა“.

მწერალს უსაზღვროდ გახარებია მოწვევა და ცრემლმორეულს უთქვამს: „ჩამოვალ, უსათუოდ ჩამოვალ!“ – მერე დაუმატებია – „ჩემთან ერთად რამდენიმე ჩემს კოლეგასაც ჩამოვიყვან“.

მწერალს მოსწონებია პიესა, შიგ მცირე შენიშვნები შეუტანია, მერე დაინტერესებულა მშობლიური სოფლის საქმიანობით, კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელით. სიხარულსა და გაოცებას ვერ ფარავდა, რომ სოფელში ერთი საშუალო და ორი რვაწლიანი სკოლა ფუნქციონირებდა. ასევე დაინტერესებულა ბიბლიოთე-კით და, როცა გაუგია, რომ მას ცალკე სათავსო არ გააჩნდა, ფიქრის შემდეგ ასე უთქვამს: „ბიბლიოთეკაში ჩემს სახელზე ჯერჯერობით რამდენიმე თარო მოაწყვეთ, წიგნებს მე მოგცემთ, ჩამოვალ და დანარჩენი მერე ვნახოთ...“

1954 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულებით ობუჯის სასოფლო ბიბლიოთეკას ლეო ქიაჩელის სახელი მიენიჭა. 1954 წლის 9 სექტემბერს მწერალი მშობლიურ ობუჯს ეწვია უაღრესად საპატიო სტუმრებთან ერთად. ისინი იყვნენ: გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, ხუტა ბერულავა, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ელიზბარ უბილავა, ისტორიკოსი შოთა მესხია, გაზეთ „სახალხო განათლების“ მთავარი რედაქტორი გრიგოლ საჯაია და სხვები.

მწერალს ობუჯელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ის დაუვიწყარი დღე ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა სოფელში, რაიონსა და ქვეყანაშიც. იმ დღეებშივე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მასშტაბურად აღინიშნა მწერლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. კომისიას ხელმძღვანელობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. კეცხოველი, მომხსენებელი გახლდათ პროფესორი გ. ჯიბლაძე, რომელმაც ფართოდ მიმოიხილა ქიაჩელის შემოქმედება. ობუჯელთა სახელით საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი ლეონტი (ჯაგა) კილავა.

ლეო ქიაჩელი თანასოფლელებს საკუთარი სახსრებით ბიბლიოთეკის აგებას შეჰპირდა. იმავე დღეს დაიწყო საძირკვლის ჩაყრა. მასში ლეოს თანასოფლელებთან ერთად ქართული სიტყვის ოსტატებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. მწერალმა აღნიშნული ბიბლიოთეკა საკუთარი დანაზოგით ააშენა, ათასობით ძვირფასი წიგნი გადასცა უსასყიდლოდ. ახალი ბიბლიოთეკის წიგნსაცავი 10 000-მდე წიგნს ითვლიდა. შენობის ნათელ, მაღალჭერიან სამკითხველო დარბაზს ლამაზად და მიმზიდველად გამოფენილი ახალი ცხოვრების ამსახველი პლაკატები, ლოზუნგები, ფოტოსურათები, დიაგრამები ამშვენებდა.

პირველი ბიბლიოთეკარი გახლდათ ფუფული ფიფია (დღეს ბიბლიოთეკარია ლალი ხვიჩავა). ერთ-ერთ თავის მოგონებაში ის აღნიშნავდა: „საგაზაფხულო სამუშაოების დროს დარბაზში მკითხველთა სიმცირეა, ამიტომ ჩვენ თვითონ მივდივართ მათთან მინდვრებსა და პლანტაციებში, სადაც უშუალოდ წყდება უხვი მოსავლის მოწევის ბედი. დღეს კომკავშირელმა ამხანაგებმა ნ. მზარულავამ, მ. ჭანტურიამ, თ. მესხიამ ათეულობით წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გაიტანეს მინდვრად. მოძრავი ბიბლიოთეკაც გვაქვს, რომელსაც მამია მესხია ხელმძღვანელობს. ბიბლიოთეკას ათასამდე მკითხველი ჰყავს. წელს 2000 წიგნზე მეტია გაცემული. აქტიური მკითხველები არიან სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები: მეჩაიეები – ა. სარია, ლ. მარღია, თ. მესხია, ი. კაკაჩია, გ. კაკაჩია და სხვები.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა თემატური გამოფენები, საღამოები, იკითხება ლექციამოხსენებები. სალექციო მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის გამგე მამია კაკაჩია.“

რაიონში გამართულ საზეიმო საღამოზე ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშით“ რედაქტორი შოთა პლატონის ძე ფიფია. რაიონისა და სოფლის მოსახლეობას გულთბილი სიტყვებით მიმართეს სტუმრებმა.

მწერალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლის მშრომელთა აღფრთოვანებით შეხვედრამ. რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი შოთა ისაკის ძე ფიფია მოგვიანებით იხსენებდა: „მწერალი ხშირ-ხშირად იწმენდდა ცრემლით დანამულ სათვალეს. ქიაჩელმა განაცხადა: იმის მიუხედავად, რომ იგი არ ეკუთვნის მდიდართა კატეგორიას, თავისი პატარა დანაზოგით თანასოფლელებს უგებს ბიბლიოთეკის შენობას...“

მეორე დილას, წინაღამინდელი ბანკეტის შემდეგ, შოთა ფიფიას ეზოში, ტოტებგაფარჩხული მაგნოლიის ქვეშ, შესანიშნავი სუფრა გაიშალა... მანამდე კი ლეო ქიაჩელი ყურადღებით ათვალიერებდა ეზოს და უბის პატარა წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა. გერონტი ქიქოძე სკურდილას პირას აგებული წისქვილით იყო აღფრთოვანებული, შალვა დადიანი კი პატარა ფოტოაპარატით სურათს უღებდა ულამაზეს კოლხურ ოდა-სახლს, სადაც დაიბადა ნიჭიერი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ბოლშევიკური ტირანიის მიერ რეპ-

რესირებული, „სამეგრელოს ვაჟად“ წოდებული დანიელ პავლეს ძე ფიფია.

1954 წლის 10 სექტემბერი ბიბლიოთეკის საძირკვლის ჩაყრის, ხოლო 1956 წლის 7 ივლისი – მისი გახსნის დღეა.

ამჯერადაც ლეო ქიაჩელმა თბილისიდან ჩამოიყვანა მწერალთა ერთი ჯგუფი: გერონტი ქიქოძე, იაკინთე ლისაშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, დავით სულიაშვილი, პროფესორი შოთა მესხია, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი გრიგოლ საჯაია, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, დრამატურგი აკაკი დევიძე.

რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ფილოსოფოსი მამია კაკაჩია იხსენებდა: „ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მაშინდელმა თავმჯდომარე ა. ქებურიამ, სოფლის მშრომელთა სახელით მან მადლობა უძღვნა საყვარელ მწერალს ასე უანგარო საჩუქრისათვის. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: სიმონ ჩიქოვანი, შოთა მესხია, გრიგოლ საჯაია, აკაკი დევიძე, ობუჯის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ყოფილი მოსწავლე გოგო მესხია (ამჟამად კულტურის განყოფილების გამგე), მწერალები დავით სულიაშვილი, შალვა დადიანი და კონსტანტინე

მამია კაკაჩია, ჟორჟიკ კაკაჩია, ბაგრატ კაკაჩია 1966 წ. მთაწმინდა

ლორთქიფანიძე, რაიონული გაზეთის რედაქტორი შოთა პ. ფიფია, წალენჯიხის საშუალო სკოლის მოსწავლეები: ი. ზარანდია და ი. ქელბაქიანი, სოციალისტური შრომის გმირი ლეონტი კილავა.

დასასრულს ლეო ქიაჩელმა გულითადი მადლობა გადაუხადა მშობლიური სოფლის მკვიდრთ და მოუწოდა უფრო მეტი წარმატებების მოპოვებისკენ. მან თქვა: „მე ჩემს მშობლიურ სოფელში ავაგე ბიბლიოთეკის შენობა. ეს ძალიან პატარა სახლია, მომავალ თაობას შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, ვინაიდან გაივლის წლები და აქ აშენდება დიდი შენობები, მასთან შედარებით ჩემი სახლი ბავშვის ხუხულასავით გამოჩნდება, მაგრამ რაც გაკეთდა, გულით გაკეთდა. და მჯერა, ჩემი თანასოფლელები ამ მცირედ წვლილს არ დამიწუნებენ.“

მისი სახელობის ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ ლეო ქიაჩელი არაერთხელ ეწვია ობუჯს. ხშირი კონტაქტი ჰქონდა ბიბლიოთეკის მუშაკებთან, ეხმარებოდა მისი სპეციფიკური ასპექტით მუშაობის წარმართვაში, მისი პირადი ნაწარმოებებით ბიბლიოთეკის ფონდის შევსებაში, რჩევას იძლეოდა, აღენიშნათ ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენები.

საქართველო მწერლის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავ სამზადისში იყო, როცა 1963 წლის 25 დეკემბერს ლეო ქიაჩელი გარდაიცვალა. გაზეთის რედაქტორი შოთა ფიფია წერდა: „უკვე მეოთხმოცე წელს წნავდა დაფნის გვირგვინს, ქართველი ხალხი კვლავ საყოველთაო მადლობისთვის ემზადებოდა... ველოდით 1964 წლის 19 თებერვალს... მისი დაფუძნებული ბიბლიოთეკის თაროებზე წიგნებიც კი კრთოდნენ... მაგრამ უდროო სიკვდილმა ორიოდე თვეც არ დააცალა, ზეიმზე მისატანი გვირგვინები ტრაურით შეიმოსა“...

ქართველი ხალხი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები დიდი გულისტკივილით გამოეთხოვნენ საყვარელ პროზაიკოსს. მწერალთა კავშირის სახლში სიტყვით გამოვიდა: კავშირის მდივანი ს. ჭილაია, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, მწერალი დ. შენგელაია, მწერალი ს. კლდიაშვილი, ზუგდიდის გაერთიანებული სასოფლო-სარაიონო სახლის სახელით – განათლების განყოფილების ყოფილი გამგე მ. ნარმანია.

მთაწმინდის პანთეონში სამგლოვიარო მი-

ტინგი გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, პროფესორი გ. ჯიბლაძე, წალენჯიხის რაიონის სახელით – დ. ფიფია, განსვენებულის საფლავს ობუჯის მიწა მოაყარა ობუჯელმა ბ. კაკაჩიამ, სამგლოვიარო დეპეშები წაიკითხა მწერალმა როდიონ ქორქიამ.

გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „დღეს ქართველი ხალხი ჭაღარა მთაწმინდის მიწას მიაბარებს მეოცე საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი სახელოვანი ოსტატის, დიდი ჰუმანისტისა და კეთილშობილი ადამიანის ლეო ქიაჩელის ცხედარს. ხალხის ჭეშმარიტმა მსახურმა და მწერალმა სამარადჟამო სამარე ჰპოვა იქ, სადაც მშვიდი ძილით განისვენებენ ჩვენი ლიტერატურის დიდი მოამაგენი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი.“

II. სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული ზეიმი წალენჯიხასა და ობუჯში

მწერლის მშობლიური რაიონი წალენჯიხა და ნააკვნარი, ადგილის დედა ობუჯი ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. ახლოვდებოდა 29 სექტემბერი. საზეიმო განწყობა სუფევდა წალენჯიხის ცენტრში. ქალაქი ელოდა სტუმრებს თბილისიდან, ქუთაისიდან, აფხაზეთიდან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან...

წალენჯიხის კინოთეატრის წინ ხალხმრავლობაა, დარბაზი კი დამსწრეთ ვერ იტევს. ტრიბუნაზე ადიან ქართული სიტყვის ოსტატები, რესპუბლიკის, რაიონის, მეზობელი რაიონების ხელმძღვანელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები...

საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა, რაიონის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე რაულ ჯახიამ. შემდეგ საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გიორგი ციციშვილი მიმოიხილავს მწერლის ცხოვრებას, ლიტერატურულ მოღვაწეობას, მის უდიდეს როლს ქართული პროზის განვითარებში. სიტყვით გამოდიან რაიონული გაზეთის რედაქტორი შოთა პ. ფიფია, მწერალი რევაზ ინანიშვილი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ობუჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ველოდ მებონია, პოეტი ხუტა ბერულავა, ოსი პოეტი რევაზ ასაევი, წალენჯიხის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი ვარო კვარაცხელია, პოეტი შოთა აკობია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია, მწერალი ილია რურუა.

I რიგში: ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, დავით სულიაშვილი, შოთა მესხია

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ ჯანბერიძე, მწერალი ვლადიმერ ალფენიძე, ლეო ქიაჩელის რძალი ეთერ ცაგარელი, შვილიშვილი ნანა შენგელაია...

გულვარდ კაკაჩია, ელდარ შენგელაია

დარბაზში მსხდომნი უსმენენ ფირზე ჩაწერილ ლეო ქიაჩელის სიტყვას, ის ჩვეული ხმით კითხულობს უკვდავ ქმნილებას „ალმასგირ კიბულან“. ასევე, დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს 30 წლის წინათ გადაღებული კინოსურათი, – ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მწერლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ცერემონიალი. მწერალს ესალმებიან ქართული სიტყვის დიდოსტატები: კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს წალენჯიხაში

კოკისპირულად წვიმდა, სტიქია მაინც ვერ ანელებდა სტუმარ-მასპინძლეთა საზეიმო განწყობას. წალენჯიხის ქუჩებში გამოსულ ძვირფას სტუმრებს აღფრთოვანებული ტაშითა და შეძახილებით, ყვავილებით ეგებებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდები, მთელი საზოგადოება...

ობუჯისაკენ მიმავალი ლეო ქიაჩელის სახელობის ქუჩის დასაწყისთან მწერლის დიდი პორტრეტი გამოეფინათ წარწერით: „ლეო ქიაჩელს უყვარდა ადამიანი და მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა კაცთმოყვარეობის ქადაგება იყო.“ ამ ქუჩაზე ყველა ოჯახის კარი ღია იყო და წალენჯიხელები ლაკადური მასპინძლობით ეპატიჟებოდნენ ძვირფას სტუმრებს ოჯახურ პურ-მარლიზე. საოცარ ზეიმს შესანიშნავი სადღეგრძელოები ამშვენებდა!..

ობუჯისაკენ მიმავალ სტუმრებს ქიაჩელის რომანებისა და მოთხრობების გმირები ეგებებ-ოდნენ – ტარიელები, ლევანები, გაიოზები, ბეჟანები, მაიები, ასმათები... ობუჯის დიდებული ცენ-ტრი საზეიმოდ მოერთოთ. კოლმეურნეობის კანტორის შენობის ფასადი მხატვრული ტილოებით იყო დამშვენებული – ეს იყო „სამცაცხვი“, „ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“, „ბროლია“ და სხვ.

წაბლის მასალისგან აგებული, ულამაზესი სახლ-მუზეუმი სიამაყითა და გულთბილად ეგებებოდა ძვირფას სტუმრებს. მუზეუმის წინ ტევა არ იყო. ხალხმრავალ მიტინგს ხსნის წალენ-ჯიხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კვარაცხელია, სიტყვით გამოდის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე გოგო მესხია. შემდეგ გამოდიან მწერლები და პოეტები: გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ხუტა ბერულავა, ელიზბარ უბილავა, გენო კალანდია, ვახტანგ ხარჩილავა და სხვ.

მწერლის სახლ-მუზეუმის საზეიმოდ გახსნის დღე დაუვიწყარი გამოდგა. იქვე, გვერდით, ბიბლიოთეკის ეზოში, ტაშის გრიალში ქიაჩელის ბიუსტს საბურველი აეხადა, ზეიმის მონაწილე-ებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლ-მუზეუმში გამოფენილი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მდიდარი მემორიალური ექსპონატები: ქიაჩელის ნაქონი თოფი, ნაბადი, ნარდი, საწერი მაგიდა, უნაგირი, პირადი ნივთები, საფრანგეთიდან ჩამოტანილი კაკლის ხისგან დამზადებული წიგნის კარადა, მეგობრებსა და ახლო ნათესავებთან გადაღებული სურათები...

მამია კაკაჩია

გულვარდ კაკაჩია



გოდერძი ფიფია

აკაკი შანავა, მამია კაკაჩია, იპოლიტე კაცია, ლეონტი კილავა, არველოდ ლაგვილავა და სხვანი იგონებდნენ მწერალთან შეხვედრის დაუვიწყარ, ბედნიერ წუთებს...

შთაბეჭდილებათა წიგნში ჩნდება პირველი ჩანაწერები. შემდეგ ზეიმი ობუჯის საშუალო სკოლის ეზოში გრძელდება. აქ მოეწყო საზეიმო მიტინგი სკოლისათვის ლეო ქიაჩელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. მიტინგი გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჟორჟ კაკაჩიამ... მწერლის სახლ-მუზეუმის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვით მუზეუმის პირველ დირექტორ მამია კაკაჩიას, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ველოდ მებონიას, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ფიფიას, მუზეუმის შემდგომ დირექტორ გულვარდ კაკაჩიას. ...იდგა დაუვიწყარი 29 სექტემბერი 1984 წლისა!..

III. ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმის დირექტორები

მამია კაკაჩია დაიბადა 1926 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა ობუჯის საშუალო სკოლა. 1945-1949 წლებში სწავლობდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. მუშაობდა წალენჯიხის, ობუჯის, ნაკიფუს, ფახულანის, ქალა-ღალის სკოლებში ლოგიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად. უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და განათლებული ინტელიგენტის ინიციატივითა და აქტი-ური მონაწილეობით ობუჯში შეიქმნა დრამატული დასი, რომლის მიერ გან-ხორციელებული სპექტაკლები დიდ მოწონებას იმსახურებდა რაიონებსა და სოფლებში.

ლეო ქიაჩელის 70 წლის იუბილის მოწყობის და მწერლის მშობლიურ სოფელში მოწვევის მოთავეც მამია კაკაჩია იყო. ამ მოწვევას მოჰყვა ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნა სოფლის ცენტრში, რომლის გამგედ მამია კაკაჩია 25 წელი მუშაობდა (1956-1981 წწ). 1967 წელს მამია კაკაჩიას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

ასევე მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო საკავშირო კულტურის სამინისტროდან. მამიას ინიციატივით 1977 წელს მამაპაპისეულ სოფელში მოიწვიეს მწერალი დემნა შენგელაია.

მამია კაკაჩია გახლდათ ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმის გახსნის მოთავე 1984 წელს, რომლის დირექტორადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა (მაისი, 1990 წ).

გულვარდ ალექსანდრეს ძე კაკაჩია დაიბადა 1940 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 1958 წელს დაამთავრა იქაური საშუალო სკოლა. 1958-1961 წლებში მუშაობდა ობუჯის „ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში, 1961-1962 წლებში – წალენჯიხის რაიკავშირის სოფლის კოოპერატივში, 1962-1963 წლებში – წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, 1963-1964 წლებში კი, წალენჯიხის სარემონტო კანტორაში.

1965-1969 წლებში სწავლობდა თსუ ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ისტორიას ასწავლიდა ჯერ წალენჯიხის პირველ, შემდგომ ობუჯის საშუალო სკოლებში. იგი მრავალი კეთილი საქმის წამომწყები, ბევრი კარგი იდეის განმახორციელებელი გახლდათ. გულვარდ კაკაჩიას ინიციატივით მის ულამაზეს კარ-მიდამოში გაიხსნა ლეგენდარული კინო-რეჟისორისა და დრამატურგის – ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმი. 1990-2007 წლებში გულვარდ კაკაჩია მუშაობდა ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმის დირექტორად.

კეთილსინდისიერი შრომისათვის დაჯილდოებული იყო სხვადასხვა საპატიო სიგელებით. გულვარდ კაკაჩია გარდაიცვალა 2007 წელს. ყველგან, სადაც იმუშავა პატიოსანი კაცის სახელი დატოვა.

გოდერძი ავთანდილის ძე ფიფია დაიბადა 1966 წლის 16 მაისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 1983 წელს დაამთავრა იქაური საშუალო სკოლა. სწავლობდა ჯვარის ტექნიკუმში, შემდეგ მსახურობდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. 1988-1993 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა წალენჯიხის სადაზღვევო კომპანიაში. 2007 წლიდან დღემდე ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმის დირექტორია.

გოდერძი ფიფია ძალისხმევას არ იშუ-რებს ახალ ექსპონატთა შესაძენად. იგი უფრთხილდება მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, რამეთუ კარგად ესმის, რომ მათ მოვლა-პატრონობა სჭირდებათ. რამდენიმე წლის წინათ გოდერძი ფიფიას მოწადინებით რაიონის საკრებულოსა და კულტურის ცენტრის მიერ გამოყოფილი სახსრები მოხმარდა სახლ-მუზეუმის რესტავრაციასა და სურათების აღდგენას.

IV. დაცემა

უნდა შევეხო მტკივნეულ საკითხს, რომელიც დღემდე მიჩქმალულია და მდუმარედ უვლიან გვერდს ან თითო-ოროლა სიტყვას თუ გაიმეტებენ ისინი, ვინაც გაცილებით მეტი იციან იმ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ეს ის პერიოდია, როცა უკვე ქარივით ჩაიქროლეს დიდებულმა და დაუვიწყარმა წლებმა და საქართველოს უღრუბლო ცაზე უცბად ავის მომასწავებელი ღრუბლები შეიკრიბნენ...

ვგულისხმობ იმ ბნელ „ბორჯს“ (დრო-ჟამს), რომელიც ობუჯს (კერძოდ) და სრულიად საქართველოს (ზოგადად) დაატყდა (თუ დაატეხეს) თავს...

შედეგად მივიღეთ ქვეყნის ნგრევა, ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკის სრული კოლაფსი, მოსახლეობის არნახული ძარცვა, სულიერების საოცარი დეგრადაცია.

თუმცა გასაკვირი არაფერია, სოფლად თუ ქალაქად ავტომატის ენით „ესაუბრებოდნენ“ ხალხს.

ყველა უბედურება სათავეს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრიდან იღებს. ეს ისტორიისათვის იმთავითვე იყო გასაგები, მაგრამ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ამდენი წლის მერეც „ვერ გაიგო“, სინამდვილეში თუ რა მოხდა ქვეყანაში. ამ ხალხმა აწ მაინც უნდა შეიძლოს გაცნობიერება იმისა, თუ რა მოვლენას გადავაწყდით საქართველოში:

„საერთო-სახალხო რევოლუციას“ (შევარდნაძის შეთხზულ ზღაპარს) თუ კრიმინალურ-მაფიოზურ-კომუნისტურ რევანშს მოჰყვა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი: ქვეყნიდან განდევნეს ლეგიტიმური პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და პარლამენტი!

„ბრძენთა ჩვენთა“ დუმილი დღემდე გრძელდება. მათ არ სურთ „მსოფლიო დემოკრატიის არქიტექტორის“ მხილება, რომელმაც სისხლის ზღვაში არწია საქართველო!.. მაგრამ დიდი მუხრანის არ იყოს:

კაცი, რომელსაც აქებს მრავალი!
ქვეყნის ჰგონიათ ვინც ფალავანი!
მე ერთმა ვიცი, არის რავარიც!
თვარა,- ა, მე და... ა, მომავალი!..

ფართომასშტაბიან მიზანმიმართულ ნგრევას ვერც წალენჯიხის რაიონი გადაურჩა.

„მხედრიონმა“ და ათასი ჯურის ბანდფორმირებებმა გადაბუგეს წალენჯიხა და სრულიად სამეგრელო!..

ყველაზე სამარცხვინო და აღმაშფოთებელი ფაქტი ფაქტად რჩება: წალენჯიხის ტრაგედიის დიდი „შემოქმედი“, ყველაზე ოდიოზური ფიგურა ჯ. იოსელიანი დიდუბის პანთეონში დიდი წალენჯიხელების – ტერენტი გრანელის, ნიკოლოზ შენგელაიას, კალისტრატე სალიას, დემნა შენგელაიასა და შოთა მესხიას გვერდით პატივით განისვენებს!..

წალენჯიხის გაუგონარი აოხრებისა და მოსახლეობის არნახული ძარცვისა და შეურაცხყოფისთვის დამნაშავეებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. ისინი დაუსჯელები დარჩნენ. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ობუჯიც „მხედრიონმა“ მოითარეშა, მაგრამ იმ საშინელი ქაოსის, განუკითხაობისა და ძალმომრეობის ჟამს კარგა გვარიანად მოითბეს ხელი სოფელში ახლომახლო ადგილებიდან შემოსულმა თუ ადგილობრივმა „კანონიერებმა“. გაჭირვებაში ჩავარდნილი, დამშეული, სიცივითა და შიშით გათოშილ-გათანგული მოსახლეობა თითქმის ყოველ ღამე „სტუმრებს“ მოელოდა. კალაშნიკოვის იარაღი თავის შავბნელ საქმეს აკეთებდა... წკვარამი ჩამოწვა სოფლის თავზე, დაისადგურა სრულმა უიმედობამ, თვალთა უპეები ცრემლით აივსო...

სამწუხაროა, მაგრამ უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ: ვერც ჩვენ და ვერც სოფლის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ ვივარგეთ, არადა ობუჯის სკოლის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი პედაგოგი (გარდაცვლილია, უფალმა აცხონოს!) რაიონის ხელმძღანელობას აფრთხილებდა მოახლოებულ საშიშროებაზე, თანაც სთავაზობდა, ბიბლიოთეკასა და მუზეუმში დაცული ნივთებისა და ექსპონატების უსაფრთხო ადგილას გახიზვნა-დაბინავებას.

სამწუხაროდ, ამ გონივრული შეთავაზებისგან ხელმძღვანელობამ თავი შორს დაიჭირა. შედეგად აი რა მივიღეთ: ბინძური ხელები შეეხნენ ლეო ქიაჩელის ბიბლიოთეკასა და სახლ-მუზეუმს. სოფლის ეს ორი მშვენება და ობუჯელთა სიამაყე გარეწართა მიერ უმოწყალოდ გაიძარცვა.

თითქოს ეს არ კმაროდა, სხვა სიავეც ზედ დაურთეს: მწერლის სახლ-მუზეუმისა და ბიბლიოთეკის კვალდაკვალ გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს საქვეყნოდ ცნობილი კინო-ხელოვნისა და დრამატურგის, ლეგენდარული ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმი. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ეს გაუგონარი დანაშაული დაიგეგმა თბილისში, ხოლო განახორციელეს ზუგდიდელმა და ადგილობრივმა ავაზაკებმა. ვაი, სირცხვილო! ამაზე უფრო დიდი დაცემა გაგონილა?!..

რა თქმა უნდა, მომავალი უკეთ განსჯის, ვის რა როლი მიუძღვის სოფლის, საერთოდ, მთელი მოსახლეობის ნაშრომ-ნაამაგარის ძარცვა-განიავებაში...

V. უკეთესი მერმისის იმედით!

უმძიმესმა წლებმა სოფლის მოსახლეობა სრულ უიმედობაში ჩააგდო, მაგრამ ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო და უფალმაც კეთილი თვალით გადმოხედა სოფელს... ჯერ კიდევ 2003 წლის გაზაფხულზე სათემო ორგანიზაცია „ქიაჩმა“ საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეას“ (GARE) მხარდაჭერითა და დაფინანსებით საშვილიშვილო საქმე გააკეთა. ობუჯის მოსახლეობის აზრის გამოკითხვის შედეგად დაისვა მწერლის სახელობის ბიბლიოთეკისა და სახლ-მუზეუმის აღდგენა-განახლების საკითხი. მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა და ენთუზიაზმი დიდი იყო...

მალე დადგა ზეიმის დღეც.

უმშვენიერესი იყო მაშინდელი ობუჯი. სოფელს დილიდანვე ეტყობოდა გამოცოცხლება. მთელი მოსახლეობა გამოეფინა გარეთ საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეას“ წარმომადგენლებთან შესახვედრად.

ობუჯის ლეო ქიაჩელის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ჩაატარეს ლამაზი ღონისძიება. ელავდა გაცისკროვნებული სახეები, ისმოდა სიმღერები, ცეკვავდნენ, თბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს, სამახსოვრო სურათებს იღებდნენ. მეგობრულ გრძნობებს საზღვარი არ ჰქონდა.

იმ დღეს ნოჯიხურის მაღლობიდან იმედის ნათელი შუქი შარავანდედივით ეფინებოდა ისტორიული წარსულის მქონე სოფელს...

უფალმა ნუ მოგვიშალოს რწმენა და იმედი უკეთესი მერმისისა!...

ვალერი ძაძამია,
პედაგოგი,
ლიტერატურულ გაზეთ
„ნოჯიხურის“ რედაქტორი

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ანაკლიაში

ლაშა ჯიქია,

ისტორიკოსი, არქეოლოგი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის
ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ანაკლია მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 3 მეტრის სიმაღლეზე; ადმინისტრაციული ცენტრიდან (ქ. ზუგდიდი) დაშორებულია 30 კმ.-ით და წარმოადგენს კლიმატურ კურორტს. მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავდა მის ისტორიულ მნიშვნელობას – ზღვასთან სიახლოვე, სამეურნეო-სამიწათმოქმედო-სახელოსნო და სხვ. ფაქტორები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აქ ადამიანების ინტენსიური საქმიანობისათვის.

ანაკლიის შესახებ ჩვენთვის დღემდე ცნობილი პირველი წერილობითი წყაროა 1615 წლით დათარიღებული ლუი გრანჟეს წერილი, სადაც ის ანაკლიას „ჰერაკლეას“ სახელით მოიხსენიებს (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 204 -205). პროფ. ნ. ლომოურის ვარაუდით, ქალაქი ნეაპოლისი, რომელსაც ასახელებს პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.) მდებარეობდა ენგურის შესართავთან, ამჟამინდელი ანაკლიის ტერიტორიაზე. შუა საუკუნეების ფრანგ და იტალიელ მისიონერთა თუ მოგზაურთა აზრით, ანაკლია ძველ დროში არსებულ ჰერაკ-ლეას წარმოადგენს (ჰერაკლეა – სტრაბონის აღწერით იყო ზღვისპირა ქალაქი პონტოს სამეფოში) (აბ. ტუღუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდიდი, 1991, გვ. 5-6.). ქართულ წერილობით წყაროებში ანაკლია პირველად XVII ს. დასაწყისში არის მოხსენიებული: ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნში მალაქია კათალიკოსი (1616 -1639 წ.წ.) ჩამოთვლის ოდიშის რამდენიმე სოფელს, მათ შორის „ანაკრიას“.

ანაკლიის მიმართ არქეოლოგიური ინტერესი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს არსებობდა. ამას განაპირობებდა ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან კი საფუძველი დაედო ანაკლიის არქეოლოგიური მემკვიდრეობის სერიოზულ კვლევა-ძიებას.

ანაკლია I დიხაგუძუბა – მდებარეობს სოფ. ანაკლიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, თიკორის მხარეს. ძეგლი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გათხარა ზუგდიდის „სამეგრელოს მუზეუმის“ (შემდგომში მუზეუმს ეწოდა „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი“) დირექტორმა აკაკი ჭანტურიამ. მისი მონაცემების საფუძველზე მასალა გამოაქვეყნა ბორის კუფტინმა.

ანაკლიის თიკორი 2016 წ.

შუხუზი მაქაცარიას ნაყანუ

შუხუზი მაქაცარიას ნაყანუ

ორსანტიას დიხაგუძუბა

ორსანტიას დიხაგუძუბა 2016



გამოვლინდა 4 კულტურული ფენა. პირველ ფენაში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი კერამიკა და მეტალურგიული წარმოების ნაშთები (ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ყალიბები, წიდა). ეს ფენა თარიღდება ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასასრულით (ძვ. წ. მესამე-მეორე ათასწლეულთა მიჯნა). მეორე-მესამე ფენები შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება (ძვ. წ. მეთვრამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეები). ამ ფენებში აღმოჩნდა ხის ძელურ ნაგებობათა ნაშთები, მდიდრულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი, მახასა და ფეტვის მარცვალი. მეოთხე ფენაში (გვიანი ბრინჯაოს ხანა) აღმოჩენილი კერამიკა ჩარხზეა დამზადებული და განსხვავდება ქვედა ფენის კერამიკისგან (Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды. Т.II Тб., 1950, с. 161-259; ნ. ხოშტარია, დიხაგუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეც-ნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. №2, თბ. 1944, გვ. 208-209).

ანაკლია II დიხაგუძუბა მდებარეობს სოფელ ანაკლიის უბან ჭითაწყარში. ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. ძეგლის გათხრები მიმდინარეობდა 1971–1978 წ.წ. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. აქ აღმოჩნდა ხის ძელური (ჯარგვალური) ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. ასევე აქ დაფიქსირდა ღომის დანახშირებული მარცვლები, ხელით ნაძერწი და ქსოვილიანი კერამიკა. ბრინჯაოს თოხის ჩამოსასხმელი ყალიბები. ადრეანტიკური – ძვ. წ. მეექვსე-მეხუთე საუკუნეების – პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალები (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა, თბ. 2005 წ. გვ. 24; ნ. ხოშტარია, დიხაგუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. №2, თბ. 1944, გვ. 208 -209).

გარდა კომპლექსური ძეგლებისა, სოფ. ანაკლიაში ფიქსირდება ცალკეული, შემთხვევითი აღმოჩენები, კერძოდ, ბრინჯაოს ზოდები, კოლხური ბრინჯაოს ცული, ბრინჯაოს თოხი – 1952 წელს აღმოჩნდა სოფ. ანაკლიაში, ანაკლია II დიხაგუძუბიდან 150–200 მ. დაშორებით, სიმინდის ყანაში (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა, თბ. 2005 წ. გვ. 31).

ამჟამად შევეხებით ახალ არქეოლოგიურ ძეგლს, რომელიც „შეხუზი მაქაცარიას ნა(ყ)ვანუს“ სახელითაა ცნობილი და მის მიმდებარედ ასევე აღმართულია ხელოვნური ბორცვი - დიხაგუძუბა (ზღვის დონიდან 3 მ. შემაღლება), რომელსაც მოსახლეობა „ორსანტიაშ ნაკარუს“ სახელით მოიხსენიებს (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ორსანტიიდან მესაქონლეებს აქ კარე, ანუ დროებითი სადგომი ქოხი, ჰქონიათ აშენებული და სახელიც ამიტომ ეწოდა ამ ადგილს).

აღნიშნული კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით 1,2 კმ.-ის დაშორებით. ამ ადგილას ზედაპირზე იკრიფებოდა წითლად გამომწვარი ბათქაშისა და კერამიკის სხვადასხვა ფრაგმენტები.

ამ ტერიტორიამ განსაკუთრებული ყურადღება იმ თვალსაზრისითაც მიიქცია, რომ იგი კოლხური დასახლების ორ მთავარ კომპონენტს, ხელოვნურად შექმნილ ბორცვს „დიხაგუძუბას“ და მის გარშემო ვაკეზე გამართულ ვრცელ ნამოსახლარს აერთიანებს. ძეგლებზე არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა 2016 წელს (ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა ძლიერი კულტურული ფენები, დაფიქსირდა ძელურ-ბათქაშიანი შენობის ნანგრევები და არტეფაქტები, მათ შორის, იმპორტული და

ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი. მაგ. ამფორის პირგვერდი და ძირგვერდი, კოლხური სასმისი, ვაზისებური ჭურჭელი, რომლებიც ფენას ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით ათარიღებს.

ბორცვის სტრატიგრაფიული სურათი, რომელიც პირველი თხრილის დადების დროს გამოიკვეთა, გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას უძველეს დროს რამდენიმე მცირე ზომის ბორცვი-ნამოსახლარი უნდა არსებულიყო. ისინი სპეციალურად გაკეთებულ მკვრივ ყვითელ თიხატკეპნილზე მოზვინულ ფენაზე იყო გამართული. ეს ნაგებობები გაურკვეველი მიზეზების გამო განადგურდა, გადაიწვა და დარჩა ბათქაშების გროვა. მოგვიანებით, მაგრამ არა დიდი ხნის შემდეგ (ამასაც აქ მოპოვებული არტეფაქტები გვაფიქრებინებს) მოსახლეობამ გადაასწორა ეს მცირე ზომის ბორცვები, შეავსო ახალი მონაზვინით და შექმნა დიდი მოედანი, რომელზეც გამართა ახალი ნაგებობა. ასე წარმოიშვა ზედა და ქვედა კულტურული ფენები.

ორსანტიას დიხაგუძუბა



ამრიგად, გუძუბაზე ქრონოლოგიურად ერთი, მაგრამ სტრატიგრაფიულად კი ორი კულტურული ფენა დაფიქსირდა. მათ შორის გამყოფი 0,7 მ. სისქის სტერილური ფენაა. მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით: ყურმილიანი ხელადა, კოლხური სასმისები, ბერძნული ამფორები, ორლულიანი ყური და ის ორიგინალური ჭურჭელი, კოლხეთშია დამზადებული, გაკეთებულია კოლხური თიხით და ბერძნულის მიბაძვით. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, აღნიშნული კულტურული ფენები ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღდეს.

შუხუზი მაქაცარიას ნაყანუ





დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახლად მიკვლეული ადრეანტიკური – კლასიკური ხანის (ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე – მეოთხე საუკუნეები) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 4 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. ეს დასახლება ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული არქეოლოგიური ობიექტია ენგურრიონის ორმდინარეთში; გამოკვეთილი „ციტადელით“, გარშემო თხრილით და მის მიღმა ვაკეზე გამართული საცხოვრებელი სახლებით, წარმოდგენილია 2500 წლის წინანდელი ერთი კოლხური სოფლის თუ ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც, ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ სამყაროსთან.

ისტორიული ფაქტის ავტორისეული ინტერპრეტაცია

(ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმის გამყიდველი“ და ლაშა ბუღაძის „საუკუნის მკვლელობა“)

ლელა კვირტია,
ლიტერატორი

პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსთა თანახმად, ისტორიის გაგებას, როგორც მოვლენების სწორხაზოვან განვითარებას წარსულიდან მომავალში, ჩაენაცვლა პრინციპულად არასწორხაზოვანი, ფრაგმენტული და მუდმივი აწმყო; პოსტმოდერნი – პოსტთანამედროვეობაა, რაღაც „დროის შემდგომი“. ამიტომ წარსული, აწმყო და მომავალი ჩართულნი არიან მუდმივ კონტინუუმში. პოსტმოდერნისტი ავტორები გარკვეულ ინტერესს იჩენენ წარსულის მიმართ, რაც, ერთი მხრივ, წარმოადგენს რეაქციას ტრადიციულ ისტორიოგრაფიაზე: მწერალი მიისწრაფვის, თავად გამოიკვლიოს წარსული, ისტორიული მოვლენების საკუთარი ვერსიები შემოგვთავაზოს. არაერთი ავტორი (რ. ბარტი, მ. ფუკო, ლ. ჰატჩენი...) მიიჩნევს, რომ არსებითად შეიცვალა წარსულის აღქმა. პოსტსტრუქტურალიზმისა და დეკონსტრუირების ეპოქაში წარსული აღარ აღიქმება, როგორც მთლიანობა. მ. ფუკოს ტერმონოლოგიით, ისტორიის „უწყვეტობის“ ხანა დასრულდა. ისტორიის ევოლუციური, წინმიმავალი მოძრაობიდან აქცენტმა გადაინაცვლა ცალკეულ ისტორიულ პერიოდებზე; „მსოფლიო ისტორია“ მცირე ისტორიებად დაიშალა. თანამედროვე პოლიფონიურ რომანში ერთი მეტანარატივის ნაცვლად სხვადასხვა ისტორიები, ვერსიები, ინტერპრეტირებებია წარმოდგენილი. „დიდი“ ისტორიების დისკრედიტაციის შემდგომ, მოხდა ისტორიის „პრივატიზება“ – გადამისამართება კერძო წარსულზე. თანამედროვე ისტორიული რომანების ავტორებიც ემხრობიან იმ პოზიციას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, გადაუხვიონ ისტორიის მაგისტრალიდან და გამოიკვლიონ ის, რაც ჩრდილში დარჩა, არ შევიდნენ ისტორიის სახელმძღვანელოებში; ახლებურად შეხედონ ამა თუ იმ ეპოქის გამორჩეულ მოვლენებს. ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებენ პოსტმოდერნისტული სულისკვეთებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია – დეცენტრალიზება, ინტერესი მარგინალური გამოვლინებების (თუმცა არა ყოველთვის) მიმართ. წინამდებარე ქვეთავში გავაანალიზებთ ორი ქართველი ავტორის – ჯემალ ქარჩხაძისა და ლაშა ბუღაძის – ნაწარმოებებს, რომლებშიც ავტორები განსხვავებულ პოსტმოდერნისტულ ხერხებს მიმართავენ ისტორიული ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის წარმოსაჩენად.

პოსტმოდერნიზმში თავისებურადაა გამოყენებული „ჩარჩოს ტექნიკა“. რევაზ ყარალაშვილი წერს: „ბევრი მწერალი ხელოვნურად ცდილობს მსგავსი ჩარჩო შექმნას, რომლითაც მხატვრული გამონაგონი უნდა შემოისაზღვროს გარემოსამყაროსგან. ხელოვნური ჩარჩოს შექმნა მკითხველს ემპირიული რეალობიდან გათიშვის და ნაწარმოებში შეტყუების მიზნით, გარკვეული აზრით, სრულიად ზედმეტია, ვინაიდან მკითხველის ცნობიერების გადართვა მხატვრულ ნაწარმოებზე ჩვეულებრივ ავტომატურად ხდება“ (ყარალაშვილი, 1977: 71). ყარალაშვილს მაგალითად მოჰყავს მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორებიცაა: გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, სტენდალის „წითელი და შავი“. რა თქმა უნდა, ამ დონის ნაწარმოებებში ყოველგვარი ხელოვნური ჩარჩოს მოუმარჯვებლად ხდება მხატვრულ რეალობაში გადართვა, მაგრამ თანამედროვე მწერალს საკმაოდ უჭირს თავი გაართვას ამ პრობლემას. მით უმეტეს, რომ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია: „სინამდვილის დავიწყება და ცნობიერების გადართვა მხატვრულ სინამდვილზე ლიტერატურული კომუნიკაციის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, მაგრამ მკითხველის ინტერესი, მისი კონტაქტი შეთხზულ სამყაროსთან ამ პირველი გადართვის შემდეგაც არ უნდა შენელდეს“ (ყარალაშვილი, 1977: 81).

ჩარჩოს ტექნიკას იყენებდნენ მოდერნისტებიც; უმცირესის პრიზმიდან უმნიშვნელოვანესის აღწერა მოდერნიზმში ეგრეთწოდებულ აისბერგის პრინციპთანაა დაკავშირშირებული; ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ ხშირად მოყავთ ლეონიდ ანდრეევის მოთხრობა „ბენტოვიტი“, რომელიც კბილატკიებულ ავტორს

1905 წელს დაუწერია. ნაწარმოები მოგვითხრობს ვინმე ებრაელ ვაჭარზე, რომელსაც ქრისტეს ჯვარცმა გამოეპარა, რადგან ზუსტად იმ დღეს გაუსაძლისად ასტკივდა კბილი. ამგვარად, მწერალი უმცირესის პრიზმიდან გველაპარაკება კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ და მკითხველს არწმუნებს, რომ მოთხრობაში აღწერილი ამბავი, სრულიად შესაძლებელია, მართლაც მომხდარიყო. თუმცა ზემოაღნიშნული მაგალითი ყველა ლიტერატურული ტექსტის წინაპირობაა და „ჩარჩოს ტექნიკის“ გამოყენების რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა როდია.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში „ჩარჩოს ტექნიკა“ მართლაცდა გენიალურად აქვს გამოყენებული ჯემალ ქარჩხაძეს მოთხრობაში **„რაჰათ-ლუხუმი“**. ჯემალ ქარჩხაძე თანამედროვე მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც ყოველგვარი ხელოვნურობისა და ეპატაჟის გარეშე მოიპოვა და შეინარჩუნა შემოქმედის ტიტული. „რაჰათ-ლუხუმში“ მკითხველთან კომუნიკაციის პირველი ეტაპი, ანუ „ტექსტის რეალობაში გადართვა“, პირველივე წინადადებიდან იწყება: „მოხუც სულეიმანს სტამბულის გარეუბანში გადავეყარე,“ – ასე იწყება თხრობა, ასე აღმოვჩნდებით სრულიად უცხო გარემოსა და რეალობაში და ველოდებით მოთხრობის სიუჟეტის აქვე, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს სტამბულის გარეუბანში, განვითარებას. თუმცა ასე როდი ხდება და ავტორი რამდენიმეჯერ გადაგვამისამართებს სხვადასხვა რეალობაში და რაც მთავარია, ნაწარმოების ბოლომდე ახერხებს, არ შეანელოს ინტერესი და კონტაქტი მის მიერ შეთხზული ტექსტის რეალობასთან.

მოთხრობის შესავალი აშკარად გაჭიანურებულია. ვფიქრობთ, ეს ერთგვარი ხერხია, რითაც მიიღწევა მკითხველის მონუსხვისა და მისი ტექსტის რეალობაში გადართვის მეორე ეტაპი: „ნამდვილობის ილუზია“ შექმნილია; წარსულში მომხდარ ამბავს მკითხველი ისე აღიქვამს, როგორც სწადია. რამდენიმე გადართვის გამო აქ ორი დრო-სივრცითი რეალობაა შექმნილი: ერთი – სტამბულია და ის საუკუნე, როდესაც ეგ ამბავი მოხდა; მეორე საქართველოა და ის საუკუნე, როდესაც ეს ამბავი ხდება.

მოთხრობის სათაურად გამოტანილია „რაჰათ-ლუხუმი“ და არა „რაჰათ-ლუხუმის გამყიდველი“ იმის მიუხედავად, რომ ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა და ძირითადი ამბის მთხრობელი სწორედ ტკბილეულის გამყიდველია. მოგზაური იყიდის ტკბილეულს და იმის მიუხედავად, რომ უგემური აღმოჩნდება, ვაჭრისგან ძალიან უცნაურ ამბავს მოისმენს. ვაჭარი საკუთარ თავს ათა სულეიმანად მოიხსენიებს და, მისი თქმით, ის ოსმალეთის ძველი მმართველის, ომან ფაშას, მრჩეველი იყო. მართალია, ამბის ნარატორი ვაჭარია, მაგრამ მკითხველი უშუალოდ მოგზაურს (ევროპელ ელჩს) არის მიჯაჭვული, მას მიჰყვება კვალდაკვალ სტამბულის ქუჩებში, რათა ელჩის მეშვეობით მოისმინოს ეს ამბავი. უვარგისი რაჰათ-ლუხუმის საზღაურად ყიდულობს უცხოელი ამ ამბავს მოხუცი სულეიმანისგან და ის არა მარტო პროფესიით არის ელჩი, არამედ ამ ტექსტის სამყაროშიც ერთგვარი ელჩის, მეგზურის ფუნქციას ასრულებს. ავტორს ის კითხვები უჩნდება, რასაც ნებისმიერი მკითხველი დაუსვამდა ამ უცნაურ გამყიდველს, რათა მთლიანობაში მოესმინა ეს ამბავი.

უცხოელი ელჩი იმთავითვე ინტერესდება რაჰათ-ლუხუმის გამყიდველის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, თუმცა რატომღაც მაშინვე არ გამოჰკითხავს, თუ რატომ შეიძულა მოხუცმა ეს ქვეყანა; რატომ წყევლის მას, რა მოხდა ისეთი ამ ქვეყანაში, რასაც სიკვდილს მიახლოებულიც ვერ ივიწყებს. ეს კითხვები აეკვიატება უცხოელს (მკითხველის მსგავსად) და მეორე დღეს კვლავ დაბრუნებდა რაჰათ-ლუხუმის გამყიდველთან.

ამბის ყოველ ეპიზოდს ერთგვარ რეფრენად გასდევს ფრაზა: „იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი! მთელი სტამბული რომ მოიაროთ, ასეთ გემრიელ რაჰათ-ლუხუმს ვერსად ნახავთ“ (ქარჩხაძე, 1987:163). სწორედ რაჰათ-ლუხუმის სანაცვლოდ ჰყვება სულეიმანი იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც „ტურფა მიწა-წყლით ამოქარგულ ცბიერებისა და მზაკვრობის ბუდეში“ მოხდა; ჰყვება, თუ როგორ იპოვა თავისი აღმზრდელი ომან ფაშა და როგორ მოჰკვეთეს მას თავი ერთ-ერთ ბრძოლაში სულეიმანის თვალწინ. ეს სიუჟეტის დასასრულია, შედეგია. გამოტოვებულია დასაწყისი, ანუ მიზეზი, რის გამოც მოხდა ეს ტრაგედია. „განა ის წყეული მღვდელი შენი ბედისწერა არ იყო?! ალაჰის ნება, ალაჰის რისხვა და ალაჰის მახვილი“ (ქარჩხაძე, 1987:172).

ამ ფრაზით ამთავრებს სულეიმანი ამბის ერთი ნაწილის მოყოლას და მეორე ნაწილის თხრობის საზღაურად ისევ რაჰათ-ლუხუმის ყიდვას ითხოვს: „იყიდეთ რაჰათ-ლუხუმი!“.

ქართველი მკითხველისთვის მთავარი სიუჟეტური ინტრიგა შემოთავაზებულია: სულეიმანს კარგად ახსოვს მრავალი წლის წინათ მომხდარი ტრაგედია; თუმცა არ ახსოვს, რა ერქვა იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა – „სოფელი, რომლის სახელი მაშინ ვიცოდი, მაგრამ მერე დამავიწყდა“ (ქარჩხაძე, 1987:180). მეხსიერების ეს „შერჩევითი ჩავარდნა“ დეტალის ხელოვნებაა, რომელიც ქართველ მკითხველს ინტერესს უმძაფრებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოზეა საუბარი, კერძოდ, მარტყოფის ბრძოლაზე; 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე გიორგი სააკაძემ დაძაბული ბრძოლისას ირანელთა ცნობილი სარდალი – ყორჩიხა-ხანი განგმირა, რამაც ქართველთა შთამბეჭდავი გამარჯვება განაპირობა. ამ ისტორიული ფაქტით ამაყი ქართველი მკითხველი, რა თქმა უნდა, სუბიექტურად რეაგირებს: მას აღიზიანებს სულეიმანის გულმავიწყობა და ევროპელი ელჩის დაუდევრობა.

ქართველი მკითხველი მზად არის, მთელი რაჰათ-ლუხუმი იყიდოს, რათა სულეიმანისაგან ეს ამბავი სრულად მოისმინოს, მაგრამ იძულებული ვართ ელჩს დავუცადოთ: „აქ პირველად გამკრა ეჭვმა, ეგებ, ეს ყველაფერი მხოლოდ სავაჭრო ხრიკია, რაჰათ-ლუხუმის გასასაღებლად მოგონილი, და, ვინ იცის, ცბიერი მოხუცი გულში ჩემს მიამიტობაზე იცინის მეთქი,“ – ამბობს უცხოელი და მკითხველი არა თუ დაინტერესდება, არამედ შეშინდება კიდეც – იქნებ, ელჩი საერთოდაც არ დაინტერესდეს ამბის გაგრძელებით და აღარ იყიდოს რაჰათ-ლუხუმი. მაგრამ ელჩი გაამართლებს მკითხველის მოლოდინს: „მაგრამ ტყუილი იყო თუ მართალი, ომან ფაშას თავგადასავალმა უკვე ისე გამიტაცა, რომ კიდევ ერთი ულუფა ვიყიდე“. (ქარჩხაძე, 1987:172). როგორც იქნა, „სიუჟეტის შემაფერხებელი“ საფრთხე გადალახულია და მეორე თავში სულეიმანი გაშიფრავს მღვდელს.

დარღვეულია პირველი და მეორე თავების თანმიმდევრობა, ფაბულური თხრობის პრინციპი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შემოქმედებით ხარვეზთან გვაქვს საქმე. ჯემალ ქარჩხაძე წრიული სიუჟეტის პრინციპით ამონტაჟებს ამ ისტორიულ ამბავს, ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ დასასრულს წარმოგვიდგენს ფრაგმენტულად და შემდგომ – დასაწყისს.

მეორე თავში მოთხრობილია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ამაღელვებელი ეპიზოდის შესახებ; კერძოდ, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული თევდორე მღვდლის გმირობის ამბავი. უნებლიეთ გახსენდება ჰორაციუსის მიერ „პოეტურ ხელოვნებაში“ გამოთქმული მოსაზრება საყოველთაოდ ცნობილი ამბების ლიტერატურული დამუშავების შესახებ; დიდი რომაელი შენიშნავს, რომ „საყოველთაოდ ცნობილი საგნის დაპატრონება საკუთარი ახალი თქმით მეტისმეტად ძნელი საქმეა“; რომ მწერალმა არ უნდა იწრიალოს ყველასათვის ცნობილ და გაცვეთილ წრეში; იგი უნდა შეეცადოს მასალისთვის საკუთარი ინტერპრეტაციის მიცემას, ცნობილი ამბის საშუალებით თავისი სათქმელის გამოხატვას (გაფრინდაშვილი... 2014: 26).

მართლაც, ჯ. ქარჩხაძე ამ ამბავს ტრადიციულად, ქართველი მემატიანის ან ავტორის პოზიციიდან კი არ გადმოგვცემს, არამედ მტრის, მუსლიმი სულეიმანის თვალთახედვით. მეორე უცხოელი მთხრობელიც კათოლიკე ევროპელია; ამით ჯ. ქარჩხაძემ ერთ საგულისხმო ნიუანსს გაუსვა ხაზი: ელჩი გარე მაყურებლის პოზიციიდან უყურებს ყოველივე ამას. რა თქმა უნდა, ნაწარმოები მის ცნობისმოყვარეობაზეა დაფუძნებული. მას დააინტერესებს, თუ რა მოხდა იმ მისთვის შორეულ და უცხო ქვეყანაში, თუმცა არ ჩანს, რა განცდას აღძრავს მასში სულეიმანის ნაამბობი; რას ფიქრობს იმ ერზე, ვის ასაოხრებლადაც გაილაშქრეს სულეიმანმა და მისმა აღზრდილმა? ვის ამართლებს ამ კონფლიქტში? რას ფიქრობს მართლმადიდებელ მღვდელზე, რომელმაც თავისი ერისთვის თავი გაწირა? ვის ამართლებს ამ კონფლიქტში? არ ჩანს არც ქართველის, ანუ ავტორის, პოზიცია; იგი თითქოს ნეიტრალურია და ობიექტურობის შესანარჩუნებლად გარედან, უცხოს პოზიციიდან, აფასებს და აანალიზებს მოვლენებს; გვიხატავს ქართველი ერის თვისებებს. მწერალი ქართველ მკითხველსაც აიძულებს, დროებით დაივიწყოს საკუთარი ეროვნება და ობიექტურად გააანალიზოს თავისი ერის მანკიერი თვისებები.

შევნიშნავთ, რომ ავტორი რეალურ ისტორიულ ფაქტებსა და პირებს, გამოგონილ ამბავსა და პერსონაჟებს ოსტატურად უხამებს ერთმანეთს და სავსებით ამართლებს – „არ არსებულა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყოს“ – არისტოტელისეულ პრინციპს. თევდორე მღვდელი და გიორგი სააკაძე ავთენტიკური, ისტორიული პირები არიან; მოთხრობაში ასახული ამბავიც ისტორიულია; რაც შეეხება სულეიმანსა და ევროპელ ელჩს – ისინი

არაავთენტიკური, მწერლის მიერ გამოგონილი პერსონაჟები არიან.

სულეიმანი მღვდლის გამოჩენას ასე იხსენებს: „ვაგლახ, გვიანღა მომაგონდა, რომ ხმა უცნაური მეჩვენა, მოგუდული, უცხო, შორეული, თითქოს, სადღაც ვიღაცის ვეება გული გამალებით სცემდა“ (ქარჩხაძე, 1987:179). ალბათ, მკითხველიც იფიქრებს, რომ ეს აჩქარებული გულისცემა მტერს შეფეთებული მღვდლის შიშითაა გამოწვეული. მაგრამ ასე არ არის; პირიქით, ეს ვეება გული ის უბედური გულია, რომელსაც ლადო ასათიანი „საქართველოს ცხელ გულს“ უწოდებს, რომელიც სვეტიცხოველში ასვენია და მტრის ცხრა მახვილს უძლებს. ეს გული უძგერს თავდადებულ თევდორე მღვდელს. მწარედ მოტყუვდა სულეიმანი ამ გულის შეფასებაში და საბოლოოდ სასოწარკვეთილს აღმოხდება: „იმ წყეული მღვდლის სული, რომელიც ვერ მოვკალით“ (ქარჩხაძე, 1987:186).

„აკი ყველანიო?!“ – სასოწარკვეთილი კითხულობს ალი-მირზაც. სრულად ეს კითხვა ასე ჟღერს: „აკი ყველა ქართველი მოღალატეაო?“.. „ვინ იცის, თავისი ქვეყნის ერთგული ერთადერთი გურჯი ბატონობდა მთელ არემარეზე და მაინცდამაინც ჩვენ გადავეყარეთ“ (ქარჩხაძე, 1987:185) – დაუფარავი ცინიზმია ამ სიტყვებში.

თევდორე მღვდელი ის გამონაკლისი აღმოჩნდა, ვინც თავისი ერის გადარჩენის მისია იტვირთა. სწორედ ამ „გამონაკლისებით“ მოაღწია ქართველმა ერმა დღემდე; სწორედ ეს ვერ გაითვალისწინეს ალი მირზამ და სულეიმანმა; ამიტომაც მათთვის უცხო და შორეულია მისი გულისცემა.

თავდაპირველად ავტორი წმინდანს საეკლესიო კანონებისგან სრულიად განსხვავებულად აღგვიწერს; სულეიმანის ნაამბობიდან გამომდინარე, თევდორე მღვდელი არის ოცდათხუთმეტ წლამდე, მრგვალი პირსახის, ლოყებღაჟღაჟა, ქერათმიანი. წამების შემდეგ კი, სრულიად განსხვავებული ხატებით გამოეცხადა სულეიმანს და მის ხალხს: „მუხლმოყრილი იდგა, თვალები მაღლა აეპყრო და ნეტარების უცხო ღიმილი ეფინა,“ – ასე ყალიბდება რამდენიმე საათში მეროჭიკე, ლაღი ბერისგან ტანჯული და ნეტარი წმიდანი.

და, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდეს, მღვდელი ერთგან შეყოვნდება, სულ რამდენიმე წამით; ესეც ყოყმანისა და შიშის გამო არ ხდება. „დიდრონი ყვავილები ჰქონდა, ერთი, სქელ-ფურცლიანი. მღვდელმა თავი აიღო, გადაიხარა, ერთი ყვავილი მოწყვიტა, ცოტა ხანს უცქირა და უბეში ჩაიდო. რა უნდოდა, არ ვიცი“ (ქარჩხაძე, 1987:182).

რა უნდოდა, მართლაცდა, ამით ეთქვა, ეს მკითხველმა უნდა განსაზღვროს. ალბათ ის, რომ თევდორე მღვდელმა გადაწყვეტილება მიიღო; მან იცის, რომ რამდენიმე საათში სიცოცხლეს უნდა გამოეთხოვოს; ამ ფორმით ეთხოვება იგი ამქვეყნიურ სილამაზეს.

გასაზიარებელია მარინე ტურავას მოსაზრება, რომ თეთრი ყვავილი, ამასთანავე, მოახლოებული მოწამებრივი სიკვდილის მაუწყებელიცაა, „როგორც სიმბოლო მის მიერ ჩაფიქრებულის კეთილად აღსრულებისა (,,კეთილი ნაყოფის გამოღებისა“) (ტურავა, 2014:360). მკვლევარს სხვა პარალელებიც მოჰყავს ჰაგიოგრაფიიდან და თევდორე მღვდლის მოწამებრივი აღსასრულისას ამობრწყინებულ ნათელს „აბოს წამების“ მოელვარე ვარსკვლავს უკავშირებს, როგორც წმინდანობის დასტურს.

მართლაც, „ყვავილი ჩემი დააჭკნო“, – ამბობს შუშანიკი თავის მტარვალ ვარსქენზე. თევდორე მღვდლის წამების სცენაში ალი-მირზაც ძალიან ჰგავს გამხეცებულ ვარსქენს: „იძახდა და ყიოდა ვითარცა ცოფი.“ ალი მირზაც გააფთრებული ნადირივით ღრიალებს და ძიძგნის თავის მსხვერპლს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოთხრობაში ჩარჩოს ტექნიკა თავისებურადაა გამოყენებული; ავტორი უდიდესზე უმცირესის პრიზმიდან კი არ გველაპარაკება, არამედ მთლიანად თხრობის რაკურსს ანაცვლებს და იმ მოვლენებს, რომლებზეც ქართველი ავტორი სუბიექტური პოზიციიდან უნდა გველაპარაკებოდეს, პირიქით, საწინააღმდეგო პოზიციიდან წარმოგვიდგენს.

ჩარჩოს ფუნქციას ევროპელი ელჩისა და არაბი სულეიმანის შეხვედრა და რაჰათლუხუმის ყიდვა-გაყიდვა ასრულებს, რომელიც მთავარ ამბავში გადაგვიტყუებს. წარსულში გადართვას ავტორი ორჯერ ახერხებს: თავიდან ამ შეხვედრის აღწერით სტამბულში აღმოვჩნდებით, სადაც ელჩი ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიის ნაშთების მოძიებას ცდილობს; შემდეგ კი ნახევარი საუკუნით უკან გადავინაცვლებთ და საქართველოში მარტყოფის ომის პერიპეტიებს გადავავლებთ თვალს.

მუსლიმი კაცის დაუოკებელი სიძულვილით აღსავსე შეფასებების გადმოცემით ჯემალ ქარჩხაძემ „კაცია-ადამიანის?!“, „ჯაყოს ხიზნე-

ბის“ კრიტიკული ხაზი გააგრძელა და უფრო მახვილგონივრული მხატვრული ხერხით გადაჭარბა კიდეც მათ. ილიას სარკაზმი, მიხეილ ჯავახიშვილის პირდაპირობა ქართველი კაცის თავმოყვარეობაზე თამაშობს. ჯემალ ქარჩხაძემ კი ერთგვარი მწერლური დიპლომატიით მოახერხა ეს. „მწერალი ხაზს უსვამს ჩვენს ეროვნულ თავისებურებას – ძნელად, მტკივნეულად მივიღოთ განსხვავებული აზრი, საქციელის, ჩანაფიქრის კრიტიკული შეფასება, თვითკრიტიკასა და თვითჩაღრმავებაზე, ღრმა რეფლექსიაზე რომ არაფერი ვთქვათ“ (ტურავა, 2014: 359).

ამგვარად, ჩარჩოს ტექნიკის თავისებური გამოყენებით, ისტორიული ფაქტის სხვა რაკურსის აღწერით, პოსტმოდერნისტული რეფლექსიით ჯემალ ქარჩხაძემ საოცრად ობიექტურად, მიუკერძოებლად შეაფასა თავისი ერი; არ შეუშინდა ქართულ საზოგადოებას, არამედ „მარადიული ქართლის ჭირი“ ამჯერად მტრის პოზიციიდან დაგვანახა და ამით აიძულა მკითხველი ობიექტურად შეეფასებინა საკუთარი თავი.

ლაშა ბუღაძის **„საუკუნის მკვლელობა“** 1999 წელს შექმნილი მეტაპროზულ მოთხრობათა კრებულია. რა თქმა უნდა, ჯემალ ქარჩახაძის ,,რაჰათ-ლუხუმში“ ჩარჩოს ტექნიკის გამოყენებით ისტორიული ფაქტის ავტორისეული რეკონსტრუქცია იმდენად მაღალმხტვრულ დონეზეა შესრულებული, რომ ლაშა ბუღაძის ისტორიოგრაფიულ მეტაპროზას ვერც კი შევადარებთ, მაგრამ ისტორიული ფაქტებისადმი მიდგომა, რომელიც ამ მოთხრობებში ფიქსირდება, წმინდა პოსტმოდერნისტული ხასიათისაა.

ერთგვარი „მხატვრული უკმარისობის გრძნობა“ ავტორებს ჯერ კიდევ ბიბლიის გარკვეულ ეპიზოდებში, არაკანონიკური ჩამატებებისა და აპოკრიფული ნაწარმოებების შექმნისაკენ უბიძგებდა. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ეს ე.წ. „თავისებური განვრცობა“ მხატვრულ შედევრებსაც შეეხო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფონზე პოსტმოდერნისტების მხრიდან არც ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქცია-გადასხვაფერება იყო მოულოდნელი. „მწერლები ახდენენ ბუნდოვანი და სადავო ეპიზოდების, „ისტორიის თეთრი ლაქების“ თავისებურ რეკონსტრუქციას შესაბამისი ისტორიული პერსონაჟებისა და კონსტექტის პაროდირებითა და კარნავალიზაციით“ (ელექტრული მისამართი).

სწორედ ამგვარ რეკონსტრუქციას გვთავაზობს ავტორი პირველსავე მოთხრობაში (თუ პიესაში), რომელშიც აკაკი წერეთლის სასამართლო პროცესია ასახული; თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ეს პროცესი ინსცენირებულია და აკაკის, მაჩაბლის ქვრივისა და სხვა მონაწილე პირების როლებს მსახიობები ასრულებენ.

ლაშა ბუღაძემ ივანე მაჩაბლის იდუმალებით მოცული გაუჩინარების ფაქტი და აკაკი წერეთლის მაჩაბლის ქვრივისადმი გამიჯნურების შესახებ აგორებული ჭორი შეუზავა ერთმანეთს და ისეთი სასამართლო პროცესის ინსცენირება შესთავაზა მკითხველს, რომელიც სინამდვილეში არასოდეს შემდგარა. თან ამ პაროდირებული და კარნავალიზებული სასამართლოს ბრალდებულის სკამზე მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აკაკი წერეთელი დასვა, რომელსაც თავის დასაცავად იესო ქრისტეს ცნობილი ფრაზის პერიფრაზი წარმოათქმევინა: „ლაყე კვერცხები მან მესროლოს, ვინც უცოდველია“ (ბუღაძე, 2000: 31).

მეორე მოთხრობა, მართლაცდა, საუკუნის მკვლელობად შერაცხულ წიწამურის ტრაგედიას ეძღვნება; ავტორისეული ირონიზების ობიექტს აქ ქართველი საზოგადოება წარმოადგენს და არა ერის მამად შერაცხული ილია ჭავჭავაძე. ლაშა ბუღაძე თავს უფლებას აძლევს, ილიას მკვლელ ერზე ირონიზებით ილაპარაკოს. „ქართული ზღაპარი“ არა მარტო ერთი კაცის, არამედ ყველა ჭეშმარიტი ქართველის სურვილს წარმოადგენს. მოთხრობის მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა არ მოხდება (ესეც პოსტმოდერნისტული ხერხია: წარსულში მომხდარი ფაქტის ერთი რგოლის ამოგდება ისტორიულ მოვლენათა ერთიანი ჯაჭვიდან). ეს მოთხრობა (და ზოგადად, ლაშა ბუღაძის სხვა ტექსტებიც) წარმოადგენს „ძველი ამბების“, წარსული მოვლენების თავიდან და ახლებურად წაკითხვის მცდელობას. ამ „ახლებურად წაკითხვისათვის“ და მომხდარი ფაქტის სასურველით რეკონსტრუქციისათვის ლაშა ბუღაძემ კინომატოგრაფიაში ცნობილი „კადრის გადახვევის“ ხერხი გამოიყენა. მოთხრობის პერსონაჟები წინასწარ გრძნობენ, ესიზმრებათ და ეცნობიან მკვლელობის შემდგომი დღეების პრესას და ამით თავიდან იცილებენ ამ გასროლის საბედისწერო წამს: „წიწამურთან... ავის მომლოდინე ოლღამ სახეზე ხელები აიფარა – ჩურჩული დაიწყო, ლოცულობდა, ალბათ.

ილია კი მკვლელს უყურებდა და თავისთვის, გუნებაში მარჩიელობდა. ასე კარგა ხანს იდგნენ, სროლის ხმა კი არა და არ ისმოდა. ილიამ კიდევ ერთხელ დაიხედა საათზე, ჩაფიქრდა, – უკვე სამი დაწყებულიყო... თითქოს თვალიც მოკრა, ან შეიძლება მოეჩვენა, რომ იმ კაცმა თოფი ჩამოუშვა... ეტლიც, ნელ-ნელა ჭრიალით დაიძრა საგურამოს სახლისკენ... ჩვენი ქვეყნის ბედიც იმ დღის შემდეგ სულ სხვაგვარად წარმართულა“ (ბუღაძე, 2000:45-46).

ამდენად, ლაშა ბუღაძის ისტორიულ მეტატექსტში თავად პერსონაჟები საქართველოს ისტორიის „უკუღმა დატრიალებულ ბორბალს“ წაღმა აბრუნებენ და ეს „ქართული ზღაპარიც“ კეთილად მთავრდება – „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქაო.“ ასეთია მოთხრობის ირონიული დასასრული; „ქართული ზღაპრით“ კი გულუბრყვილო ქართველი მკითხველი თავს იტყუებს, როგორც ყოველთვის.

აღსანიშნავია, რომ ლაშა ბუღაძის მეტაპროზული ფანტაზია საქართველოს ფარგლებს სცდება და მსოფლიო ისტორიისა და გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიაში არსებული „თეთრი ლაქების“ ამოვსებასაც ცდილობს. მაგ., ირონიზებითა და კარნავალიზებული სანახაობით წარმოგვიდგინა მწერალმა მარია ანტუანეტას მშობიარობა. მოთხრობის მიხედვით, ამ სანახაობისთვის მთავარი გმირის თანამედროვენი, სასახლის წარჩინებულები ფულს იხდიან; ზოგი კი, ვინც სანახაობით უკმაყოფილოა, ფულის უკან დაბრუნებას ითხოვს.

მესამე მოთხრობა მათთვისაა განკუთვნილი, „ვინც მოცარტის საფლავის პოვნითაა დაინტერესებული“. ავტორის თქმით, მოცარტი 30 ვერცხლად ნაყიდ უცხოელთა „სისხლიან მინდორში“ დაასაფლავეს. ავტორი შემდგომ ეპიზოდში ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოთა შესართავზე საუბრობს: „გიჩნდება ეჭვი, ეს შესართავი, მერე რა, რომ შენს სახლთან ასე ახლოს არსებული, სწორედ იუდასეული მინდორია“ (ბუღაძე,2000:57). ასოციაციური ჯაჭვი აქაც იცვლება; ვაკისა და საბურთალოს სასაფლაოდან საიდუმლო სერობის სუფრაზე გადაინაცვლებს: „არ გაეტეხა პური ქრისტეს შემდეგ და აღარც წელთააღრიცხვის ათვლით შეიწუხებდა თავს ადამიანი“ (ბუღაძე,2000:59).

ავტორის თქმით, იუდას რომ არ გაეცა ქრისტე, არ წარმოიშობოდა, თითქმის გენიალური, ინიციაციური აქტი, ბრწყინვალე სურათი, თითქოსდა, ულოგიკო კოცნით გაცემისა და, აქედან გამომდინარე, იუდა რომ არა, თავისი ფულითურთ, აღარც პილატეს სასამართლო და აღარც გოლოგოთა არ შედგებოდა, თავისი მრავალსაუკუნოვანი გაგრძელებებით, ინკვიზიციებით... არ დაიბადებოდა ის დეტექტიურ-მისტიური ასოციაციებიც, რომელიც მოცარტის არარსებულ საფლავთან არის დაკავშირებული“ (ბუღაძე, 2000:583). როგორც ვხედავთ, ბიბლიური ღალატის თემის ფამილარიზაციის შემდეგ ავტორი კვლავ მოცარტს უბრუნდება (რითაც ნარატიული რკალი, ერთგვარად, იკვრება): „კონსტანცა ვებერის მეორე ქმარი კი, მოცარტის, ანუ კონსტანტას, პირველი ქმრის – პირველი ბიოგრაფი იყო... რატომ ავიდა კონსტანცა ვებერი1801 წელს ქმრის საფლავზე, ანუ მხოლოდ 10 წლის მერე“ (ბუღაძე,2000:60). ავტორს პასუხი ამაზე არა აქვს და იქვე დაურთავს, არც ოჯახის წევრებს ჰქონდათ ამაზე პასუხიო. მტვერსასრუტით შეიარაღებული გაორებული მოღალატე ქალის – კონსტანცას სახიდან ავტორი გოეთესთან გადადის. ამ შემთხვევაში მხატვრული პარადოქსი ისაა, რომ გოეთე ქაღალდებში კი არა, ადამიანთა თავის ქალებში იქექება და შილერის თავის ქალის ამოცნობას ცდილობს; თვითონ კი, თავში სიტყვა „კომპიუტერი“ უტრიალებს.

როგორც ვხედავთ ორმა სრულიად განსხვავებული ხელწერის მქონე ქართველმა ავტორმა – ჯემალ ქარჩხაძემ და ლაშა ბუღაძემ – ისტორიული რეკონსტრუქციის პოსტმოდერნისტულ ხერხს მიმართეს; ისტორიული ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის წარმოსაჩენად თავს უფლება მისცეს გადაეხვიათ ისტორიული მაგისტრალიდან, გამოეკვლიათ ის, რაც ჩრდილში დარჩა და არ შევიდა ისტორიის სახელმძღვანელოებში. მწერლებმა ახლებურად შეხედეს ისტორიის გამორჩეულ მოვლენებს – ჯემალ ქარჩხაძემ ჩარჩოს ტექნიკით ეროვნული, კრიტიკული თვითრეფლექსია შეამოგვთავაზა; ლაშა ბუღძემ კი პოსტმოდერნისტული სარკაზმითა და ირონიით შეაფასა საქართველოს ისტორიის საბედისწერო მოვლენები. ორივე შემთხვევაში, ისინი მოქმედებდნენ პოსტმოდერნისტული სულისკვეთებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია – დეცენტრალიზება, ინტერესი მარგინალური გამოვლინებების (თუმცა, არა ყოველთვის) მიმართ.

„დო ვუჯინექ კირიბიშ შურიშ გოკურცხინაფას“

(გიორგი სიჭინავას მეგრული პოეზიის მიხედვით)

ზაალ ჯალაღონია,
ლიტერატორი

მეგრული სიტყვიერი კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა სპეციფიკური სიბრძნით; მოძრავი, სხარტი აზროვნებითა და მოვლენებისადმი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიდგომით. დღეისათვის თავისი მნიშვნელობით მეგრული ფოლკლორის გვერდით დგას და შეიძლება მასზე აღმატებულადაც წარმოვიდგინოთ. ყოველივე ამას ვამბობთ იმის ფონზე, რომ მეგრული ენა ლამისაა გადაშენდეს, რადგან ის სალაპარაკო თუ სააზროვნო ყალიბებს დღითი დღე კარგავს. ცნება „მეგრული პოეზია“, ასე ინდივიდუალურად და მყარად რომ გამოიყურება, დამსახურებაა იმ მეგრულენოვანი პოეტებისა, რომლებიც ამ ენაზე ქმნიან საინტერესო მხატვრულ სახეებს და სიღრმისეულ ტექსტებს. თამამად შეიძლება გავიმეოროთ, რომ მეგრული პოეზია უკეთეს დღეში იმყოფება, ვიდრე თავად მეგრული ენა. ბოლოდროინდელი მეგრული პოეზიის გამოცოცხლება უკავშირდება დიდი პოეტის, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული გიორგი სიჭინავას სახელს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან სულზე მოუსწრო ჩასაქრობად გამზადებულ კოლხური სიტყვიერების სანთელს.

გიორგი სიჭინავა, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე როდი ქმნის თავის პოეტურ შედევრებს. ის ღრმად და საფუძვლიანად ეცნობა მსოფლიო აზროვნების მიღწევებს, მაგრამ განსაკუთრებით ითავისებს ძველ კოლხურ მითოსს, გადმოცემებს, თქმულებებს, რომელთაც გადაამუშავებს და გვაძლევს დახვეწილ, ახალ პოეტურ ფორმას. ეს თვისება ხშირად ჩანს მის შემოქმედებაში, ის ვაჟასებური თავისთავადობით მიეახლება ამა თუ იმ თემას და იქიდან მხოლოდ მისეული ამოაქვს, ყველაფერს გიორგი სიჭინავასეულ ტვიფარს ადებს. მხატვრული ხერხებით, განუმეორებელი ლირიზმითა და ცხოვრებისეული, ფილოსოფიურ-მისტიკური სიბრძნით გაჯერებულ ახალ მეტატექსტს გვთავაზობს.

პოეტისთვის ორგანულია კოლხური წარსულის გაცოცხლება, მტვერწაყრილი ისტორიული ფაქტების თუ ლეგენდების რეალობაში შემოყვანა და დამკვიდრება, ოღონდ ეს თვითმიზანი კი არ არის, არამედ სისხლხორცეული, იმანენტური პროცესია.

გიორგი სიჭინავა უაღრესად ფართო დიაპაზონის, ღრმა ცხოვრებისეული განცდებისა და ფსიქოლოგიურად მიზანშეწონილი პასაჟების უბადლო ოსტატია. სრულიად ცალკე უნდა აღვნიშნოთ მისი მიმართება მეგრული ენისადმი. მშობლიური ენის წიაღში დაუვანია პოეტის სულს, ბოლომდე ჩაუღწევია და იქიდან ამოუზიდავს ის საოცარი ენობრივი ენერგია, ცინცხალი ლინგვისტური პროსოდიები და პოეტური ინტონაციები, რითაც გვატყვევებს თავის მშვენიერ შემოქმედებაში. პოეტის ამ დახვეწილ მედიტაციებში იშვიათია მეტაფორა, სახე, რომელიც აზრისგან არ გამომდინარეობდეს, რომელიც მხოლოდ ეფექტისთვის, ბრწყინვალებისთვის იყოს მოხმობილი და ხაზს უსვამდეს პოეტის გარეგნულ სტილს მსოფლხედვის გარეშე. ასეთი რამ გიორგი სიჭინავას შემოქმედებაში სანთლით საძებნია. ნააზრევი ემსახურება იდეას და პოეტურ სიმართლეს. მისი შემოქმედებისთვის არაა დამახასიათებელი სახეობრივი სისტემის რთული სტრუქტურა, პირიქით, პოეტი მუდამ სადა ფორმასა და ნათელ სტილს ირჩევს. სიტყვა, ფიქრი, უაღრესად გამჭვირვალეა. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ფილოსოფიური ნააზრევის მხატვრულ ესთეტიკური პერსონიფიცირება, რაც პირდაპირ ერწყმის ნაციონალურ სკეფსისს ან ამ სკეფსისიდან წარმოშობილ მუხტს, რომ წარსული დიდების დაბრუნება აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენაა, რადგან, პოეტის აზრით, „წყარი გეცუნს ნაწყარუს, შარა ნაშარუს“ ეს ძველი კოლხური სიბრძნე, რომ წყალი თავის კალაპოტს დაუბრუნდება, ერთ-ერთი წარმმართველი თეზაა არა მარტო გიორგი სიჭინავასა, არამედ თითქმის, ყველა მეგრულენოვანი პოეტისთვის, თუმცა გიორგი სიჭინავას წარმოსახვის მასშტაბები

განუზომლად ფართო და გლობალურია.

სიტყვის ფალავნის შემოქმედებაში ასევე ჩანს მძაფრი კრიტიკა საკუთარი მშობელი ხალხის უნიათობის გამო. დიდ სიყვარულთან ერთად ჩანს მოკრძალებაც მშობლიური ენისადმი. წარსულის დამცრობის გამო ტკივილიანია მისი ყოველი ფრაზა, თითქოს ამ უძველეს, მითაჟამინდელ სიტყვებში ჩაკირულა კოლხთა მეფე აიეტის გულისტკივილი, ლაზთა მეფე გუბაზის უკანასკნელი ამოოხვრა. ამდენად, გიორგი სიჭინავას ფილოსოფიურ აზროვნებას უმთავრესად რამდენიმე ხაზი გაჰყვება. ესაა, ზოგადასაკაცობრიო ტკივილი, ექსისტენციური სკეფსისი, ქრისტიანულ აზროვნებას შენივთებული, და ძველი წარმართული სიბრძნე, კოლხური მითოსის სინამდვილეში შემოყვანის მცდელობა, სიღრმისეულად გათავისებული მეგრული იდიომების დედააზრი, მათგან მომდინარე ახალი პოეტური ინტონაციები თუ სააზროვნო ლირკული პოსტულატები.

როდესაც პოეტის ღირსებებზეა საუბარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიკვეთოს მისი მსოფლხედვა. პატრიოტული თემატიკის გაშლა და მის ირგვლივ ტრიალი დიდ შემოქმედეს არ ახასიათებს, პოეტის უნივერსალობა სამყაროსეულ ახალ ხედვაში უნდა წარმოჩინდეს. ამ თვალსაზრისით, გიორგი სიჭინავა უაღრესად იმპერსონალური და ზოგადსაკაცობრიო მოაზროვნეა. ის არ არის მოქცეული მხოლოდ ნაციონალურ ნარატივ-ნააზრევის ჩარჩოებში. მისი ხედვა მთლიანად სამყაროსეულია. ის ყველას ეკუთვნის, მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ წერტილში. ამ ფართო სივრცული გაქანების გამო პოეტის შემოქმედება წარმოადგენს მეგრულენოვანი კულტურისა და აზროვნების ერთ-ერთ უიშვიათეს მაგალითს.

გიორგი სიჭინავას მრავალშრიანი, მრავალგანზომილებიანი შემოქმედებიდან ძნელია, რომელიმე ლექსის გამოყოფა, მაგრამ რამდენიმე შედევრის ცალკე დაყენება და გამოწვლილვითი ანალიზი მიზანშეწონილია და უპრიანიც. ასეთ ერთ-ერთ შედევრად მესახება, ლექსი ,,ა ცონება". მეგრულად ეს სიტყვა ნიშნავს – გაკვირვებას, გაშეშებას, გაოგნებას. ამ სემანტიკური მოცემულობით ავტორმა მიგვანიშნა უმთავრეს რამეზე, რომ ისიც გაოცებულია იმით, რაც ჩვენთვის საცანაური გახდა. ეს არის სამყაროსეული მოვლენების შეუცნობლობის იდეა, როდესაც ბუნებაში მიმდინარე პროცესებს არ აქვთ ლოგიკური ახსნა, რადგან რაციონალურად მათი გააზრება ადამიანურ ცნობიერებას არ ძალუძს:

პოპორც მუ არზენც ჭყანას,
წყარ ეშე ეთმოწენცგნი,
გვალა ქარწყენო გვალას,
ჭვემას ქუჩქუნო ჭვენცგნი.

ლექსის პირველივე სტროფში გატარებულია თეზა: სამყარო აუცილებლობისა და კანონზომიერებების არეალია, თუმცა აქ თავად ბუნებისმიერმა ატმოსფერულ მოვლენებმაც არ იციან, არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი მოქმედების საზრისი. „წვიმამ არ იცის, რომ ის ნამდვილად წვიმს". ქმედება ფაქტობრივად ჰაერში გამოკიდული დარჩა. ცოდნა უმეცრებამ შეცვალა, რადგან ვერავინ გეტყვის, საიდან მოდიხარ და სად მიხვალ". გაცხადება თვალით ხილულია, მოვლენებში ჩანს, თუმცა თავად განმცხადებელს არ ესმის გაცხადების ინიციაციური აქტისა. ეს უაღრესად დრამატული და ფილოსოფიური მოცემულობაა, რითაც პოეტი ჩვენ წინაშე ვლინდება:

რჩქინა ქოძგნო სოთინი,
მითინც ქუჩქუნო მუთუნი
მი მიწინც, სოლე მოფრთინი
დო ვარა სო მეურქუნი.

და მაინც, სამყაროში გამეფებული ამ ერთგვარი სრული „უმეცრებისა", რომ ვერავინ ახსნის თავისი ქმედების არსსა და მის ემპირიულ მნიშვნელობას, მკითხველს სჯერა, რომ გიორგი სიჭინავა ამ ლექსში გულისხმობს „უძრავი მამოძრავებლის" კონცეფციას, რომ ყველაფერი მისი კარნახით ხდება. თავად უძრავი იწვევს სხვათა მოძრაობას. ამიტომაც თუა, რომ წვიმამ არ იცის, რომ ის წვიმს; სამყაროსეულმა სუბსტანციამ კი იცის, აბსოლუტურმა გონმა იცის, თუ რატომ მოუვლინა სამყაროს წვიმა .ან რატომ მოვიდა ადამიანი და სად უნდა წავიდეს იგი. მარადიული კითხვების დასმით გიორგი სიჭინავა თავად არის გაოცებული. მას კანონზომიერება აკვირვებს და ის ქაოსიც, რომელიც ერთი შეხედვით სამყაროში გამეფებულა, თუმცა ის რაციონალურის მიღმა იმყოფება და ტრანსცენდენტულია. ჩემი აზრით, ეს ლექსი პოეტის ერთ-ერთი უძლიერესი ქმნილებაა, რომელიც ავტორის მაღალ მსოფლხედვასა და გამორჩეულ პოეტურ თვისებებზე მეტყველებს.

პოეტისთვის დროსივრცული განზომილება, მასშტაბები ნაძალადევად არასდროს ვლინდება. არც რიტორიკული ცნებებით აჭრელებულა მისი ნააზრევი. არასდროს შეუძენია ყალბი პათოსი და მშრალი დეკლამატური სტილი. ერთი კი ცხადია, გიორგი

გიორგი სიჭინავა

სიჭინავა საკუთარ ოდაბადეზე თავგადაგებული პოეტია, მას აწუხებს ის რეალობა, რაც თავს დასტყდომია უძველეს კოლხთა ნაშიერთ. საკუთარი უუნარობის გამო და რამდენიმე სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კოლხურ თავისთავადობას ჯერ შერყვნა, შემდეგში კი ნიველირება ემუქრება. ამიტომაც აგულიანებს პოეტი საკუთარ მშობელ ხალხს, რომ მან ერთიან ქართულ სივრცეში საკუთარი თავი შეინარჩუნოს იმ ფორმით, როგორიც ის ოდითგან იყო. ამიტომაც გაისმის მისი პოეზიის ხმა ოდნავ მკვახედ ერთ-ერთ შედევრში, რომელსაც ჰქვია ,,შურობუმუ“. ეს ლექსიც გამორჩეულია მის პოეზიაში, გამორჩეულია იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია, მისი სიტყვები დაგვავიწყდეს:

შურობუმუშ მინდორეფს
შურიშ შარეფ გაფუ ნალი,
მიქ მერკვათ ფსუალეფი
მურიცხებშა მაფურნალი.

ეს არის საკუთარი ოდაბადესადმი მიძღვნილი ლექსი – მოწოდება, ლექსი – საყვედური, ლექსი – შეგონება, რადგან მან იცის, რომ ჩვენ წარსული საამაყო გვქონდა. დღეს კი ჩვენი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა. ეს ტრაგიზმი მუდმივად ტრიალებს და ბრუნავს გიორგი სიჭინავას პოეზიაში.

მის შემოქმედებაში ერთდროულად ჩანს სკეფსისი და სასოება. კოლხური ნაციონალური ნარატივი უმაღლეს განზომილებას აღწევს:

მოსისმარ გოთანაშე
მა სისმარეფ პელაზგური,
ინგირი დო ცხენწყარ შქას
ქენიფხვილ დო ქელაბღური,
ფსუაშ გოფაჩუა მოკო,
რინა მოკო პელაზგური.

ერთმანეთს ასე ენაცვლებიან განწყობილებები, მინორული და მაჟორული ნოტები. სათქმელი კიდევ უფრო მძაფრი ხდება „შურობუმის“ მეორე სტროფში:

სქან ოცქვაფურ ისტორიას
ხეჭკურელო მუკურექ,
გოღანერი კოლხიშ სქუა
ამდღა ჭიჭე ძუკუ რექ.

ეს გაცნობიერებული ტრაგიზმია, ეს საკუთარი თავის რეალისტური დანახვაა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ გრიმს, შელამაზებას. ეს სამეგრელოს ხალხისა და ენის დღევანდელი გულისმომკვლელი სურათია. ასე იმიტომ იქცევა პოეტი, რომ მუდმივმა პანეგირიკულობამ ლეთარგიულ ძილში გადაისროლა ჩვენი აწმყო.

დოღურიდა, მუ გიწუა,
მეტის ვადოიბანძღუაქ,
გოცქვენ გვალო ქუდგარულ
ეგეგ მოირთას ლანძღუაქ.

ასე საუბარი მხოლოდ დიდ პოეტებს ძალუძთ ისეთებს, რომელთაც მშობელი ხალხისთვის სამსხვერპლოზე ტარიგად აქვთ მიტანილი თავიანთი მარად მშფოთვარე სული.

ჩემი ეს მოკლე წერილი თავად პოეტის სიტყვებით ოპტიმისტურ ნოტზე მინდა დავამთავრო:

დო ვუჯინექ კირიბიშ
შურიშ გოკურცხინაფას.

გუმოჭყუდურის სევდა და ოდაბადეს ნათელი – გვარს მოწყვეტილი ქალიშვილი შინ ბრუნდება

ნონა ქობალია,
ჟურნალისტი

…და არაფერია ისე თეთრი და ნათელი, როგორც ,,ოდაბადე", მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ლოცვას ყველანი თეთრად შემოსილნი ასრულებენ. ეს სინათლე და სითეთრე მთელი ცხოვრება სდევს გუმოჭყუდურს და ბავშვს (შესაძლოა, უფრო მეტადაც კი), რომელმაც პირველად შეიგრძნო დიდაშ ნერჩიშ – დედულეთის სითბო და სურნელი.

გუმოჭყუდური – გათხოვილი, ანუ მამისეულ ოჯახს, გვარს მოწყვეტილი ქალი – სრულიად განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოსილი მშობლიურ სოფელში სახლსა და საგვარეულოში. მის ურთიერთობას ბავშვობის სოფელთან და მშობლიურ ოჯახთან – ფანიასთან, რაც უნდა ბედნიერად ყოფილიყო გათხოვილი, მუდამ ახლდა განშორების სევდა, განსხვავებული სინაზე და მონატრება, რასაც ასეთივე სინაზითა და მოფერებით უპასუხებდა მონატრებული სამყარო.

გუმოჭყუდური უყვარდა სოფელს, ხარობდა მისი ბედნიერებით და უთქმელად ესმოდა მისი, მშობლიური ინსტინქტების წყალობით კითხულობდა მის თვალებში გამოთქმულსა და გამოუთქმელს.

გვარში გუმოჭყუდურის განსაკუთრებული სტატუსი ემყარებოდა მტკივნეულ მოლოდინს გარდაუვალი განშორებისა, რომელიც მისი დაბადებისთანავე ჩნდებოდა – გოგონა აქ სტუმარი იყო, ბუნების კანონი ითხოვდა მის გადაფრენას სხვა ოჯახში, რომლისთვისაც უნდა ეშვა და გაეზარდა გვარის გამგრძელებლები (შხვა გვარიშ მაღალარეფი), რაც, გარკვეული თვალსაზრისით, განუწესებდა თვითუარყოფას, თავისი გვარის უარყოფას.

გოგონას იმთავითვე ამზადებდნენ ახალ კვალში, მეუღლის კვალში ჩადგომისთვის, ქომონჯი-სა და ქომონჯერისთვის, ანუ ქმრისა და მის სახლეულთა (სამთილოს) მსახურებისთვის. ეს მსახურება, საუკეთესო შემთხვევაში, ბედნიერი სიყვარულით იყო განათებული და შემსუბუქებული, სხვა შემთხვევაში – დედობის, მეუღლეობის მაღალი მოვალეობის შეგნებით, ოღონდ ყველა შემთხვევაში გარკვეული ტკივილი თან ახლდა.

ქალი იყო გუმოჭყუდური მამის და ალმასქუ – ქმრის ოჯახის მიმართ. თუ ქმარი იყო მეუღლე, უღლის მთავარი გამწევი, მას ამ უღლის ღირსეულ ტარებაში სჭირდებოდა თანამდგომი – ალმასქუ, მის ტვირთს შეჭიდებული, მის უღელს შებმული, რასაც ნიშნავდა ალმასქუ – მეუღლე ქალი, ანუ, თუ მამაკაცისთვის ქორწინებას, უღლის დადგმას, უღუს სქუაფა – უღელში შებმა ერქვა, ქალს მიემართებოდა ალასქუაფა – თანაშებმა, მიუღლება.

სამეგრელოში ყოველთვის იყო (ან სად არ იყო) სათნო, ნაზი ქალის კულტი, მაგრამ ეს სათნოება და სინაზე არათუ გამორიცხავდა, თავის თავში გულისხმობდა უხილავ შინაგან ძალასა და მგზნებარებას, თუმცა იყვნენ ქალები, რომელთაც შინაგანი მოწყობა თუ ცხოვრების ტვირთი ალმასქუობას არ აჯერებდა და უღლის მთავარ გამწევ ძალად (კვალოშ ხოჯი, კვალოშ ოსური) აქცევდა.

სოფელს ორივე უყვარდა, ორივეს თანაუგრძნობდა, ორივეს იკრავდა გულში, ის ხომ არა მხოლოდ მამის, არამედ მთელი გვარის შვილი იყო – აქედან მოდიოდა ტრადიცია მის გამზითვებაში – გოჭყუდუაში – წილის დადებისა. ამას ემყარებოდა ტაბუ, რომელიც ედო ქორწინებას არათუ გვარის გუმოჭყუდურის შვილზე, არამედ მასზე ძვალგვარს, გვარმეტს შეკედლებული სხვა გვარის – ძვალჭიჭეშ შთამომავლობის ქორწინებასაც.

გუმოჭყუდურეფქ ქუმორთეს! – გათხოვილები მოვიდნენ! – გადაუვლიდა ჩურჩული ჭირსა თუ ლხინში შეკრებილ გვარს. გუმოჭყუდურებისგან, რომელთაც სიშორის, მოწყვეტილობის გამო მუდამ გამოარჩევდა

განსაკუთრებით მგრძნობიარე, სენტიმენტალური დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც მამულში ხდებოდა, გამორჩეულ რეაქციას ელოდნენ და სათანადო ფონსაც უქმნიდნენ – თუ ჭირი იყო, გულამოსკვნილ ტირილსა და ვაი-ვიშს იწყებდნენ, თუ ლხინი – მზესავით გაუნათდებოდათ სახეები და ერთმანეთს ასწრებდნენ ახლოურთა მოკითხვასა და გულში ჩახუტებას.

იყო რაღაც არტისტული, თეატრალური გუმოჭყუდურების ამგვარ დახვედრაში, ყველაზე გულდახურული ადამიანებიც კი მთელი ამ ქოროდან ცდილობდნენ ხაზგასმული სიყვარული გამოეხატათ მათ მიმართ, რადგან ესმოდათ, რომ გუმოჭყუდურობას, მშობლიური გარემოსგან მოწყვეტას, მოსდევდა დარცხვენა, რიდი, მოკრძალება და, გარკვეულწილად, გაუცხოების განცდა მისიანების (მუშია-ნეფიშ) მიმართ – ისინი ხომ უკვე სხვანი, სხვა გვარის, სხვა ოჯახის წევრები იყვნენ.

სწორედ ამ სხვისიანობის (შხვაშიანობაშ, შხვაშთურობაშ), გაუცხოების განცდას ებრძოდა მამისეული ოჯახიცა და გვარიც ამ, თუმცა დადგმული, მაგრამ უეშმაკო, ალალი ცერემონიებით.

თავის მხრივ, გუმოჭყუდურიც დიდხანს და გულის ფანცქალით ემზადებოდა შინ სტუმრობისთვის – აგროვებდა ძღვენს მამისთვის, თუნდაც სიმბოლურ საჩუქრებს დამხვედრებისთვის, მათ შორის გვარის მოხუცებისთვის – ეს იყო საია, ფერო და ფერაია – სადა, უფერო და ფერადი თავსაბურები უხუცესი ქალებისთვის, საკუთარი ხელით ნაქსოვი კურთალარები – ნიფხვის შესაკრავი ზორტები ბერიკაცებისთვის, როგორც სიმბოლო მამაშვილური სიახლოვისა (სხვათა შორის, ამიტომ იყო კურთალარი თითქმის სავალდებულო საჩუქარი პატარძლისაგან მამამთილისთვის, რადგან ასეთი ინტიმური საჩუქარი იყო ნიშანი იმისა, რომ გულით სურდა სწრაფად გადალახულიყო უცხოობის მიჯნა და მეუღლის მამას გასჩენოდა შეგრძნება, რომ უახლოესი ადამიანი, ქალიშვილი შეიძინა რძლის სახით).

გუმოჭყუდურის ხელბარგში უსათუოდ იყო საჩუქრები და-ძმისთვის, მათი შვილების, მეზობლების, სიყრმის მეგობრებისთვის. მის მიერ მოტანილი სანოვაგიდან უსათუოდ გადაუგზავნიდნენ წილს (თიაშ გინოჯღონა) ყველას, ვისაც ეკუთვნოდა, გუმოჭყუდური უსათუოდ მოინახულებდა მწოლიარე ავადმყოფებსა და მოხუცებს, ყველას უნდა ეგრძნო, რომ სოფელში გუმოჭყუდური მოვიდა.

ყველა სიკეთესთან ერთად ეს კრავდა გვარს, ახსენებდა გუმოჭყუდურებს, ვისი გვარისანი იყვნენ, ხოლო გვარს ახსენებდა, რომ თავისი ანასხლეტი, ნაგრამი სხვაგანაც ჰყავდა. რაც შეეხება დედასა და მამას, დიახ, ხშირად სიტყვაძუნწ, პირქუშ მამასაც კი სხვა სინათლე ჩაუდგებოდა თვალებში. სულ რომ არ დამდნარიყო, საქმეს შეუდგებოდა, მარნის კარს ააჭრიალებდა, თუ რამ ლოცვა ემართა, შვილებსა და ოჯახზე შესახელებული, ახლა გადაიხდიდა – საკლავს დაკლავდა, საუკეთესო ნაწილს სიძის ოჯახში გასაგზავნად ჩამოათლიდა.

ამ ლოცვებს შორის უპირველესი იყო გუმოჭყუდურზე შესახელებული საგანგებო ლოცვა ,,სადაბადო", რომელსაც ორსული ქალიშვილის დედა (და არა მამა) იხდიდა და მელოგინე შვილისთვის მშობიარობის შემსუბუქებას, ბედნიერ მოლოგინებას შესთხოვდა წმინდა მარიამს.

რაც შეეხება „ოდაბადეს", „ოდაბადე ხვამას", იგი თავად გუმოჭყუდურს ემართა მამისეულ სახლში გადასახდელად. ყოველი მშობიარობის შემდეგ ქალი ქმრის სახლიდან წამოვიდოდა, მეუღლის დახმარებითა და საკუთარი ხელით გაამზადებდა ოდაბადე საწირს და თან მოჰყავდა ბავშვი თუ ბავშვები (სიძე ამჯერად სახლში რჩებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქალის ოჯახის დღესასწაული, ქალის ოჯახის სალოცავი იყო, არამედ იმიტომ, რომ ქალი და მისი მამისეული ფანია (ოჯახი) მთელი სისავსით დაბრუნებოდა წარსულს, მის ბავშვობას).

სახლში ოდაბადეზე შესახელებულ ქვევრს მოხდიდნენ თავს და როგოზე (ქვის სახურავზე) მამის ჩამოქნილ სანთლებს დაანთებდნენ. ამ ლოცვის ადრესატი იყო ადამარია, დადამარია (მარიამ ღვთისმშობელი, დაი და დედაი), რომელსაც ყველაზე უკეთ ესმოდა დედაშვილობის არსი, მშობლის დარდი და სიხარული.

და არც ერთი ლოცვა არ არის ისე თეთრი და ნათელი, როგორც ოდაბადე, თუმცა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ლოცვას ყველანი თეთრად შემოსილნი ასრულებენ. ეს სინათლე და სითეთრე მთელი ცხოვრება სდევს გუმოჭყუდურს და ბავშვს (შესაძლოა, უფრო მეტადაც კი), რომელმაც პირველად შეიგრძნო დიდაშ ნერჩიშ – დედულეთის სითბო და სურნელი.

„გოჭკომური“ მეფეთა ძველი ჩვეულება და მეგრული პოეტური ფოლკლორი

ნანა აბულაძე
ფილოლოგიის დოქტორი

ყველა ერს თავისთავადი ტრადიცია აქვს, სიძველითა და ორიგინალობით გამორჩეული. წინაპართაგან მომდინარე წესი ყველგან სრულდება, რადგანაც ამით შთამომავლობა გამოხატავს პატივისცემას. ხშირად ახალ პირობებში ტრადიცია იდევნება და, ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული პოეტური ტექსტიც ქრება. „გოჭკომური“, ანუ სამასპინძლო, სწორედ იმ ტრადიციას განეკუთვნება, რომელიც დრომოჭმული ისტორიული პერიოდის საკუთრება გახდა.

წეს-ჩვეულება ისტორიულ კატეგორიას განეკუთვნება. იგი საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იჩენს თავს და ამნაირადვე გარკვეულ საფეხურზე ქრება, ისტორიის არქივს გადაეცემა. ამ ბედს იზიარებს თვითონ წეს-ჩვეულების ამსახველი ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი, მაგრამ არა მთლიანად. საწესჩვეულებო პოეზიის ეს გამძლე ნაწილი, დიდ ხანს განაგრძობს არსებობას (მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1975, გვ., 488).

ბუნებრივია, როცა არ არსებობს ის ისტორიული გარემო, რომლის ნიადაგზეც წარმოიშვა საწესჩვეულებო ნიმუშები, ეგ უკანასკნელი დავიწყებას ეძლევა, ისტორიის საკუთრება ხდება, ესე იგი, ეროვნულ საუნჯედ იქცევა.

„გოჭკომურის“ თავდაპირველი ფორმა იმდენად მძიმე არ იყო გლეხებისათვის. ასეთი ფაქტი დადასტურებულია იმერეთსა და გურიაში. 1804-1805 წლებში იმერეთ-გურიის მმართველად ნამყოფი ლიტვინოვი წერდა: „მთავრები და თავადები ერთთავად დადიოდნენ იქით-აქით,... რომელს სოფელსაც ჩაუდგებოდნენ, საჭმელ-სასმელს ის სოფელი აძლევდა, და აქედან წასვლა მანამდე არ მოაგონდებოდათ, სანამ, რაც რამ ებადათ გლეხებს, ყველაფერს არ შეუჭამდნენ“ (ბატონყმობა სამეგრელოში, 1927, გვ., 10).

უფრო მოგვიანებით კი ამ ტრადიციას გლეხთა ძარცვის ფორმა მიუღია. ამის თაობაზე კორნელი ბოროზდინი წერს: „ერთხელ და სამუდამოდ ავუკრძალეთ მებატონეებს თავიანთი ყმების სახლში სტუმრად მისვლა და მათთან ჭამა-სმა, რაიცა ამ გლეხებს კალიასებრ ანადგურებდა“ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წ. თბ., 2004, გვ., 144). მიუხედავად აკრძალვისა, ფაღავებს სოფ. ნახუნაოში მოუნდომებიათ ამ ჩვეულების აღდგენა, რასაც ყმა-გლეხების აჯანყება მოჰყოლია (ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, თბ., 1975, გვ.,443). აჯანყების ჩასახშობად მისულ კორნელი ბოროზდინს აჯანყების მეთაური ბასაია ასე ატყობინებს ყმა-გლეხების მდგომარეობას: „ამ სამის კვირის წინათ მაჭარი გამოჩნდა, მოვიდნენ ბატონები ძველებურად და გლეხებს საჭმელ-სასმელი მოსთხოვესო... ჯერ ვთხოვეთ, თავის თავად წასულიყვნენ პატიოსნად, მაგრამ წასვლის მაგიერ დაგვემუქრნენ, რუსებს მოვიყვანთ და თქვენთვის სულს ამოვართმევინებთო; გვითხრეს, ჩვენს ჭკუაზე უნდა მოგიყვანოთ, ყველაფერს უფროსს შევატყობინებთო. ვხედავდით, ცუდად იყო საქმე და ის იყო, უნდა დამორჩილებულიყავით, ამ დროს ერთმა მებატონეთაგანმა, თავადმა გიორგი ფაღავამ, რომელიც თავისი გლეხების სახლში სცხოვრობდა, ამ გლეხის ორს 9-10 წლის ქალს ჩუმად წითელი აბრეშუმის ნაჭერი შემოახვია კისერზე. ძველად ბატონი რომელ ქალსაც კისერზე წითელ აბრეშუმის ნაჭერს შემოახვევდა, ის ქალი მისი მოახლე ხდებოდა და შეეძლო მაშინათვე სახლში წაეყვანა. ქალების მამამ ეს ამბავი გაიგო თუ არა, სოფელში ყვირილი გააბა: „ძმებო! მიშველეთ, ბატონებს უნდათ ისევ ძველებურად მოგვექცნენო. ყველამ მოირბინა, მათს შორის მეც მივედი. ქალების კისერზე აბრეშუმის ნაჭერი რომ დავინახეთ, ვეღარ მოვითმინეთ და ფაღავებს ყველას გაურჩევლად დავუშინეთ. თავადი ფაღავები ამ საქმეში თავს დამნაშავედ არც კი სთვლიდნენ, მათის აზრით, ღმერთმა გლეხები ფაღავებისათვის გააჩინა ისე, როგორც ადამიანებისათვის – ძროხა, ცხენი და სხვა პირუტყვი შეჰქმნაო“, – წერს კ. ბოროზდინი (კ. ბოროზდინი, გვ., 286-287).

თავადის მიერ ყელზე წითელი ძაფშებმული გოგონა ან ვაჟი მის სახელდებულად ითვლებოდა და, როცა მოესურვებოდა, მაშინ წაიყვანდა სასახლეში შინამოსამსახურედ („მუარხედ“, ე. ი. მოახლედ), რომლის შემდეგ თვითნებურად მოექცეოდა: გაყიდდა, გაასაჩუქრებდა და ა. შ. ამიტომ ყმა გლეხებისათვის თავზარდამცემი იყო ასეთი „წვეულება“ (კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971, გვ., 11).

ამ აჯანყებით შეშინებული მთავრები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და საგადასახადო დებულებიდან გამორიცხულ იქნა „გოჭკომურისა“ და „მოახლის“ ვალდებულება (დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857, თბ., 1957, გვ., 187).

საინტერესოდ მიგვაჩნია გოჭკომურთან (სამასპინძლოსთან) დაკავშირებით აკად. ილია ვეკუას გადმოცემა, რომელიც მას ჭაბუკობის წლებში მოუსმენია სოფელში: ერთხელ დადიანების ამალა სამასპინძლოდ სწვევია გლეხის ოჯახს. ცხენები გარეთ დაუბამთ და თვითონ შუაცეცხლის ირგვლივ მოკალათებულან. გლეხს, შეძლებისამებრ, პატივი უცია ამალისათვის. ასე გაგრძელებულა რამდენიმე დღე. ბოლოს ოჯახს სარჩო გამოლევია, მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმრებს წასვლა მაინც არ უფიქრიათ.

თავგაბეზრებულ გლეხს აუღია ნიჩაბი, გამოუტანია შუაცეცხლიდან ნაღვერდალი და გარეთ დაბმულ ცხენებისათვის შეუყრია. გაცოფებულ ცხენებს საბმელები დაუწყვეტიათ და გაქცეულან. ამალის წევრები იძულებული გამხდარან ცხენებს დასდევნებოდნენ. გადმოცემის მიხედვით, ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონია XIX საუკუნის 70-იან წლებში (ა. ცანავა, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1971, გვ., 22-23).

ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულების ეს ფორმა აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი სახით დადასტურებული არ არის და ამიტომ იგი დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ჩვეულება აღწერილი აქვს შარდენს, ლიტვინოვს, ბოროზდინს, მურიესა და სხვებს (ა. ცანავა, თბ., 1971, გვ., 20-21).

ამ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს სამეგრელოში მეტად გავრცელებული ხალხური სასიმღერო ლექსი „ბურღა“. ეს სიმღერა ალეგორიულ ხასიათს ატარებს. მებატონე (ბურღა) ტურას, ხოლო მხლებლები ძაღლების სახით არიან წარმოდგენილი. მკათათვეში თოვლის მოსვლა გამოხატავს ბურღას მიერ გადასახადის ადრე მოთხოვნასა და „გოჭკომურზე“ (სამასპინძლოდ) წვევას (ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970, გვ., 89-90).

ალ. ცაგარელს ბურღა გამოქვეყნებული აქვს, როგორც სასიმღერო ნაწარმოები (ა. ცაგარელი,მეგრული ტექსტები, С-Петербургъ, 1880, გვ.,63). იოსებ ყიფშიძე იმეორებს ალექსანდრე ცაგარლის ჩანაწერს და მოაქვს აგრეთვე მეორე ვარიანტი „მასალათა კრებულის“ მე-18 ტომიდან (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ., 141-142). ა. ცაგარელმა ყურადღება არ მიაქცია ბურღას ალეგორიულ სახეს. ეს ალეგორია ნათლად იხსნება ბოლო სტიქონებში, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი ყოველივე ის, რაც ზემოთ ალეგორიულად და სალაღობო ფორმითაა გადმოცემული:

ასეჲან პატინემქ ოკონგდა გესურას
ოკონდა რსურებუდასია მოზგსხარე ნტერი:
ხოჯი დოუცვილი-ვოდა, ფუჯი გეუძგნი,
ბოგასჲ ქიგეღვარანცია უდიდოლი გინი.

ახლანდელი ბატონები თუ გესტუმრა,
გინდ გსტუმრებოდეს მოსისხლე მტერი,
ხარი დავუკალი ოდა, ფური დავუმატე
ბაგაზე ბღავის უდედო ხბო.

(ალ. ცაგარელი, გვ 64)

ამ სიმღერის სრული ვარიანტი 1931 წელს სოფელ კირცხში (ჩხოროწყუს რ-ნი) ჩაუწერია მეგრული ზეპირსიტყვიერების ცნობილ შემკრებ, მამანტი კვირტიას მომღერალ სოლომონ აბრამიასგან:

ვარა გებშვათია-ოდა,
ვარა ობჭკომათი
ვარა რხინი დო თოლი-ოდა
მოიბძირუათი.
რხინი სუმარსია-ოდა,
მუთი უჯგუში, უსქვამაში-
მანდილოსანეფსი.
ასეიან პატონენქ
კოს გესურასი,
გინდა რსურებუდასია
მოზისხარე ტერი...

ან დავლიოთ-ოდა,
ან შევჭამოთ,
ან ლხინი, თვალი-ოდა
წარმოვიდგინოთო.
ლხინი სტუმრებისა-ოდა,
რაც უკეთესია, ულამაზესი-
მანდილოსნებსო.
ახლანდელი ბატონები,
კაცს (რომ) გესტუმროსო,
გინდ სტუმრებოდეს
მოსისხლე მტერი...

ხოჯი დოუცვილი-ოდა,
ფუჯი გეუძინი,
კუნთხუშა კინომიღვარანს
უდიდოლი გინი.
ბაღგ გოტახესი-ოდა,
მარანი გოსოფესი,
ღვინი ვეეკითხესია-
ოხვამერი დო ბენი
დინახალენი ღუმუ-ოდა
ცხენიშა ქომიჩეცია,
გალენი ემიჭყვიდესია
ქობალი დო ქერი.
ჰა, ბურღა პატონი-ოდა,
ჩე ფრიმული რჩანსგ ;
დღასი მისი გაგონებუ
შქა გიმასგ თირი ?
ღუმუ ეკორთელსი-ოდა,
ღეჯი ქოჭკომუნსუ,
ცურძენს ქიმიოშხგნა
ჯოღორი დო ტურა...
ტურა აცა-ბაცა-ოდა,
სოიშა მოიბაცა,
სი მიქ მერჩუა
 თემი საზირალი
მა მუჭო ვამიღუნია
თემი საზირალი
ტკაცი იტკაცინსი- ოდა,
გილუოცაცა;
მარგალიში ოსურეფი
ქოთომს ივარანა,
აბა, მინმაშქვითია,-
ქობძირა დო ვარი
მინოთ იბრულა-ოდა,
გინოთ ვორულეო
შხუ-შხუ- შხუმე დადულეფი,
შეფაში კახილეო.
ნატარუა სქანი-ოდა
გემიტყვაჟინეო,
გეიფებრცხელია-ოდა.
გეიბჩილითეო.
ურუმია სქანი-ოდა
გემიწკაფინეი,
გადო- გას გივოსხაპი დო
გეიბჩილითეი.
ზუგიდური ტყასი-ოდა
ხოჯი ქოღვარანსი,
სი დადია, სი პატონი,
მუშენი ვენტყანქი...
გოთიინტყალესი-ოდა,
ჩხორო დოცვილესი,
ართი ქულა სქვერი-ოდა,

ხარი დაუკალი-ოდა,
ფური დაუმატე,
კუთხეშ მიბღავის
უდედო ხბო.
ბეღელი გატეხეს-ოდა,
მარანიც გაგლიჯესო,
ღვინო არ იკითხეს-
სალოცავი და სახმარი
სახლის ღომი-ოდა,
ცხენებს მიჭმიესო,
გარეთ გამიწყვიტეს-
პური და ქერი.
ჰა, ბურღა ბატონო-და,
თეთრი წვერი გაქვს (გასხია),
ოდესმე ვინმეს სმენია-
შუა ოქტომბერს თოვლი?
წაქცეულ ღომს-ოდა,
ღორი ჭამს,
ყურძენს შესევია
ძაღლები და ტურა.
ტურა აცა-ბაცა-ოდა
სად მიცუნცულებ,
შენ ვინ მოგცა
თემი საბოჭავად (სახარკოდ)
მე როგორ არა მაქვს
თემი საბოჭავად.
ყინულ-ყინულით-ოდა
დავცუნცულებ;
მეგრელის ქალები
ქათმებს მიმალავენ,
აბა, შემიშვითო,-
ვნახავ თუ არა.
შიგაც შევირბინო-ოდა,
გარეთ გამოვარბენინე
მსხვილ-მსხვილი დედლები,
სასეფე ბურვაკები.
შენი უტარო (თოფი)-ოდა
(კიდეც) მესროლეო,
გადავკოტრიალდი-ოდა,
ავიცდინე (მეო)
ურუმია შენი-ოდა
(ბევრი) აყეფეო,
გორაკებს გადავახტი,
გვერდი ვუქციეო.
ზუგდიდის ტყეში-ოდა
ხარი ბღავის (ერთი),
შენ დადიავ, შენ ბატონო,
რატომ არ ნადირობ?...
(მართლაც) ინადირეს-ოდა,
ცხრა (ცალი) მოკლესო,
ერთი კოჭლი შველი-ოდა,

მამაშიქ დოგვილუ,
დღასი უცვილუდასგნი –
იში გვარი შხვასი.
კიდუ, მაზაკვალიში სქუა,
ჯასი მიკიკაკუ.
– სი მიქი მერჩუა
ნახურანი სქანი?
– მა მუჭო ვამიღუნია
ნახურანი ჩქიმი, –
ჯამფას კურთა, დარაია –
ათიმორზინანსი.

მამაშს მოუკლავსო,
ოდესმე (ნეტავ) მოეკლა
ამის მსგავსი სხვასო.
კოდალა, მზაკვრის შვილი,
ხეზე აკაკუნებს.
– შენ ვინ მოგცაო
შენი ნაოსტატარი?
– მე როგორ არა მაქვს
ჩემი ნაოსტატარი,–
ანწლის საცვალი და დარაია –
მიზიმზიმებსო.

(მამაში – სახელია)
(ტ. გუდავა, ქართული ხალხური
სიტყვიერება, თბ., 1975, გვ., 444-445-446)

ეს ვარიანტი გამსჭვალულია იუმორით. უპირატოსობის დამტკიცების მიზნით, მოწინააღმდეგეს მთქმელი აბუჩად აგდების ტონით ახასიათებს. ასეთი ხერხი ცნობილია ხალხურ სატირაში და ამ შემთხვევაში იგი დიდი ტაქტითა და ზომიერების დაცვითაა გამოყენებული (ა. ცანავა, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1971, გვ., 23-24).

ნაწარმოებიდან ჩანს გლეხის ის ენით აღუწერელი მდგომარეობა, რომელიც თავს ატყდებოდა ,,გოჭკომურის“ (სამასპინძლოს) შემდეგ გლეხის ოჯახს. ჩვეულება, რომელმაც ყოველგვარი ზღვარი წაშლა, გაქრობისთვის იყო განწირული. ასეც დაემართა და დავიწყების ღრუბელმა შთანთქა.

საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ლექსის სასიმღერო ნაწილი, რომელსაც ხალხური მომღერლები ასრულებენ:

ვო, ბურღა დო ბურღა-ვო და,
ჩე ფრიმული რჩანც,
დღას მის გაუგონებუ
შქა გიმსგ თირი
ღუმუ ეკორთელი-ვოდა.
ღეჯი გაბურსანც,
ცურძენც ქიმიოშხგეს
ჯოღორი დო ტურა!
ტურა აცა-ბაცა-ოდა
სოიშა მიოცაცა?
სი მიქ მერჩ საზრეთ
მუში ოდა დო ფაცხა!
მარგალიში ოსურეფი
ქოთომც ივარანა,
დაბა მინმაშქვითია
ქობძირა დო ვარი!
გინოთიბრულია-ოდა,
გინოთვორულეე
შხუ-შხუ, შხუ-შხუ დადულეფი,
შეფაშ კახილეე,
სქანი ვურმაშია-ოდა
გემიწკაფინეე,
გადოგას გივოსხაპიდო
ქიდიფებრცხელია-ოდა
გეიფჩლითეე!
ასეიან პატენენქ
მუნოთ გესურას,

ჰაუ, ბურღა და ბურღა-ვოდა
თეთრი წვერი გაქვს (გასხია),
ოდესმე ვისმე სმენია
შუა ოქტომბერს თოვლი?
წაქცეული ღომი-ვოდა
ღორი ჭამს
ყურძენს შესევია
ძაღლები და ტურა!
ტურა აცა-ბაცა-ოდა
სად მიცუნცულებ?
შენ ვინ მოგცა საბოჭავად
თავის ოდა და ფაცხა!
-მეგრელის ქალები
ქათმებს მიმალავენ
აბა შემიშვითო,
ვნახავ თუ არა
შიგნით შევირბინე-ოდა,
გარეთ გამოვარბენინე
მსხვილ-მსხვილი დედლები,
სასეფე ბურვაკები
ვურუმაშია შენი-ოდა
(ბევრი) აყეფეო,
გორაკებს გადავახტი
გაიშხლართა-ოდა
გვერდი ვუქციე
ახლანდელი ბატონები
თუ გესტუმრა,

ოკონ რსურებუდასია
მოზისხირე ნტერი,
ხოჯი დოუცვილი-ოდა
ფუჯი გეუძინი,
ბოგას ქიგეღვარანდუა
უდიდოლ გინი!
პატიი პცინი მიჩქდგდო
დუდი მოპწონდნი,
გეღან ვაგიკითხესია
ღურელი დო თელი!

გინდ სტუმრებოდეს
მოსისხლე მტერი:
ხარ დაუკალი-ოდა,
ფური დაუმატე,
ბაგაზე ბღავის
უდიდო ხბო.
პატივი ვეცი, მეგონა (და)
თავი მომწონდა,
ზეგ არ მოგიკითხავს
მკვდარი და ცოცხალი!

(მ. კვირტია, კვიმატი, თბ., 2001, გვ., 96-97).

ვფიქრობთ, საველე მუშაობის დროს ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუში ამ ტრადიციის აღმნიშვნელია:

თი ჭვილ დროს თავადებს
უწესო წეს უღუდეს.
,,გოჭკომურს“ უძახუდეს დო
უდეს იფრელს დოქუნდეს,
ქვინჯს ქუძირუნდეს.
ესით ვებაღინუანდეს დო,
ჭუნტურია ძღაბის
ჭითა ლენტით ქიმირჩქინანდეს.

იმ დაწყვლილ დროს თავადებს
ცუდი ჩვეულება ჰქონდათ.
სამასპინძლოს ეძახოდნენ და
გლეხის სურსათ-სანოვაგეს
მუსრს ავლებდნენ.
ამასაც არ იკმარებდნენ და,
ქორფა (ნორჩ) გოგოს
წითელი ბაბთით თავისად მიიჩნევდნენ.

(მთქმელი ბიჭიკო ჭითანავა,
წალენჯიხა, 2015 წელი, 76 წლის.).

როგორც ვხედავთ, ამ ტრადიციამ ზეპირსიტყვიერებას თავისი კვალი დააჩნია. ეროვნულმა ფონდმა შემოგვინახა ტექსტობრივი მასალა, რომელიც კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს და გაგვახსენებს იმ ისტორიული პერიოდის ტკივილს, რომლის კვალი მოუნელებელ დაღად, ტკივილად დაეტყო ჩვენი წინაპრების ცხოვრებას.

დამოწმებული ლიტერატურა:

1.ა. ცანავა, ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1971.
2. ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970.
3. ა. ცაგარელი, მეგრული ტექსტები, С-Петербургъ, 1880.
4. ბატონყმობა სამეგრელოში, 1927.
5. დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857, თბ., 1957.
6. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
7. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, თბ., 2004.
8.კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.
9. მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტბ., 1975.
10. მ. კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.
11. პირადი არქივიდან (მთქმელი ბიჭიკო ჭითანავა , 76 წლის, 2015 წელი , წალენჯიხა).
12. ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, თბ., 1975.

მოძღვრება დანაშაულის შესახებ

ვახტანგ გაბედავა,
სამართლის დოქტორი

დანაშაულის ცნების განსაზღვრისას კანონმდებელი იყენებს ტერმინს „ქმედება“, რომელიც ორი მნიშვნელობითაა გაგებული. პირველი – ის გამოხატავს ადამიანის თავისუფალი ნებელობითი ქცევის აქტს მისი გარეგანი გამოვლინების ფორმების – მოქმედებისა და უმოქმედობის – სახით, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნავს ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობას.

ქმედება, როგორც ადამიანის თავისუფალი ნებელობითი აქტი, გარეგნულად ძირითადად მოქმედებით გამოიხატება. ადამიანის ნებელობითი მოქმედება არის ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული (მიზანსწრაფული) ზემოქმედება გარე სამყაროზე. ნებელობით ქმედებაში ორი მხარეა – ობიექტური და სუბიექტური. მოქმედების სუბიექტური მხარე ისაა, რომ მოქმედება განსაზღვრულ მიზანს ისახავს და განსაზღვრული მოტივებით არის წარმართული. მოქმედების ობიექტური მხარე კი ის არის, როცა მიზნის მისაღწევად ადამიანი ზემოქმედებას ახდენს გარესამყაროზე სხვადასხვა სახის აქტიური მოქმედებით.

ადამიანის ნებელობითი ქცევის გამოვლინების მეორე ფორმაა უმოქმედობა, ე.ი. განსაზღვრული მოქმედებისგან თავის შეკავება. განსაზღვრულ პირობებში უმოქმედობაც ისევე მიზანდასახული ზემოქმედება გარე სამყაროზე, როგორც – ქმედება.

ქმედება, როგორც ადამიანის თავისუფალი, შეგნებული და მიზანდასახული ქცევა, დანაშაულის ცნების ცენტრალური კომპონენტია, რადგან დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედებას, როგორც რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენას, პროცესს.

კრიმინალისტიკა აღნიშნულ საკითხს არ სწავლობს, არამედ მისი ამოცანაა დანაშაულებრივი ქმედების არა სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი დინამიურ ასპექტში შესწავლა, ე.ი. კვალთა წარმოქმნის მიზეზებისა და პროცესების შესწავლა, რომელიც ხდება დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში. აქ იგულისხმება ისეთი ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია პირის მოქმედებით, საგნების გადაადგილებით, ამოღებით, სახეცვლილებებით, დაზიანებით, ობიექტთა ურთიერთქმედების დროს ზედაპირის შეცვლით, მიკრონაწილაკების გადასვლით ერთი ობიექტიდან მეორეზე, საგანთა და კვალთა ყოველგვარი სხვა ცვლილება მექანიკური, სითბური თუ ქიმიური ზემოქმედების შედეგად. საქმის გამოძიებისას საინტერესოა დანაშაულის კვლების წარმოშობის მექანიზმი, მათი ლოკალიზაცია და საიდენტიფიკაციო ღირებულება.

დანაშაულის განხორციელების შედეგად ყოველთვის რჩება კვალი, რადგან დანაშაულის განხორციელების პროცესში ურთიერთმოქმედებს და ერთმანეთზე ზემოქმედებს ძირითადად ოთხი ელემენტი, კერძოდ:

1. დანაშაულის ხელყოფის საგანი;
2. შემთხვევის ადგილი;
3. დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტები;
4. დანაშაულის განხორციელების საშუალებები.

ამ ოთხი ელემენტის ურთიერთმოქმედების დროს იქმნება კვალთა სურათი, რაც საშუალებას გვაძლევს, ოთხი ელემენტის კვალი ვეძებოთ სამ დანარჩენ ელემენტში.

არ არსებობს უკვალო დანაშაული; ნებისმიერ დანაშაულთა შემთხვევის ადგილზე შესაძლებელია მათთვის დამახასიათებელი ტიპური კვლებისა და ობიექტების დაძებნა, აღმოჩენა და ამოღება. დათვალიერების პროცესში მხარე (პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი) კვლების შესწავლით ადგენს მისი წარმოშობის მიზეზს, რადგანაც კვალის მიმღებ და კვალის წარმომშობ ობიექტებს შორის არსებობს რეალური ლოგიკური დამოკიდებულება. დანაშაულის ადგილზე გარდაუვალია კვალის არარსებობა. მომხდარ შემთხვევაზე ინფორმაციის მიღების ყველაზე უტყუარი და ეფექტური საშუალებაა შემთხვევის ვითარების გულმოდგინედ გამოკვლევა. ამ მიზნით საჭიროა მისი ლოკალიზაციის ზუსტი განსაზღვრა, ე.ი. ცოდნა იმისა, თუ სად უნდა ვეძებოთ შემთხვევის ადგილზე ამა თუ იმ შემთხვევისათვის დამახასიათებელი ესა თუ

ის კვალი ან ობიექტი ამოღებისა და შემდგომი გამოკვლევის მიზნით.

დანაშაულის სტრუქტურა ოთხი ქმედებისაგან შედგება:

ა) დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტები. სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტია ადამიანი, სულერთია მცირეწლოვანი იქნება თუ სრულწლოვანი, შეურაცხადი თუ შერაცხადი. აუცილებელია დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტი უპასუხებდეს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მოთხოვნებს.

ბ) დანაშაულის განხორციელების საშუალებები დანაშაულის განხორციელების აუცილებელი პირობაა. ქმედების ჩადენის, ანუ დანაშაულის სუბიექტის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან დაზიანების საფრთხის შექმნის მისაღწევად, ხდება საშუალებების შერჩევა. ეს საშუალებები შეიძლება იყოს: სპეციალური, ქარხნული ან კუსტარული წესით დამზადებული ხელსაწყო – იარაღები, როგორიცაა გატეხვის იარაღები, ინსტრუმენტები და ხელსაწყოები, საყოფაცხოვრებო, ავტოგენური ელექტროშემდუღებელი აპარატი, ფეთქებადი ნივთიერება, შემთხვევითი საგნები (შემთხვევის ადგილზე არსებული ლითონის ნაჭერი, ჯოხი, ქვა, აგური და ა.შ). სპეციალურად მომარჯვებული (ავტომანქანა, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ძლიერმოქმედი, შხამიანი და ადვილადაალებადი ნივთიერებები; ფიზიკური და ბუნებრივი მოვლენები: ელექტროდენი, ცეცხლი, წყალი);

გ) დანაშაულის ხელყოფის საგანი. დანაშაულებრივი ხელყოფის საგნად იგულისხმება მატერიალური სამყაროს ნივთები, ასევე ინტელექტუალური ფასეულობა, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს დამნაშავე, ე.ი დამნაშავე თავისი ზემოქმედებით ზიანს აყენებს ან უქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, ანუ დაცვის ობიექტს. კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, დანაშაულებრივი ხელყოფის საგანია ადამიანი, ორგანული და არაორგანული წარმოშობის მკვრივი, ფხვიერი, თხევადი და გაზისებრ მგდომარეობაში მყოფი ობიექტები, რომლებზედაც ხდება ზემოქმედება და ამ ზემოქმედებით აისახება მათი კვლი.

დ) დანაშაულებრივი ქმედების კვალი. დანაშაულებრივი ქმედების კვლებია ყველა ისეთი კვალი, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით აღმოცენდება შემთხვევის ადგილზე (ფართო გაგებით), ხოლო კვალი ვიწრო გაგებით ნიშნავს ამა თუ იმ საგანსა ან ობიექტზე რაიმე საგნის ზემოქმედებით აღმოცენებულ ისეთ კვალს, რომელშიც აღიბეჭდა ამ კვალის წარმომქმნელი საგნის გარეგანი რელიეფური სახის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო ინდივიდუალური ნიშნები[1].

დანაშაულის კვალი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

I. ადამიანის კვალი (იდეალური და მატერიალური);

II. დანაშაულის ჩადენის საშუალებათა კვლები;

III. მატერიალურ საშუალებათა კვლები.

დანაშაულებრივი ქმედების კვლები შეიძლება იყოს ხილული და უხილავი, ობიექტმატარებლები და ა.შ. დანაშაულებრივი ქმედების სტრუქტურა არ ასახავს მის დინამიკას, ე.ი. ურთიერთქმედების მექანიზმს, კვალთა წარმოქმნას და შედეგის ასახვას. დანაშაულებრივი ქმედების ელემენტები მოქმედებენ რა ერთმანეთზე, ხდება მათი ნიშანთვისებათა ასახვა „ანაბეჭდების" სახით. ასეთი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება კვალი-ანასახი.

ურთიერთქმედების ასახვის პროცესი შეიძლება იყოს მარტივი – მატერიალური კვალი (ხელის, ფეხსაცმლის, საბურავის, გატეხის იარაღების, ტყვიისა და ა.შ.) და რთული – აზროვნებითი შემოქმედების ფსიქოფიზიოლოგიური პროცესი (მაგ. დაზარალებული იმახსოვრებს დამნაშავის გარეგნულ სახეს, მხარე – შემთხვევის ადგილს და ა.შ). იდეალური ასახვა ფიქსირდება საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებით, სქემებით, ნახაზებით, ჩანახატებით.

ასახვის პროცესში ორი ობიექტი მონაწილეობს – კვალთწარმომქმნელი (ის ობიექტი, რომლის ზემოქმედების შედეგად დატოვებულია კვალი) და კვალთმიმღები (ის ობიექტი, რომელზედაც კონტაქტის შედეგად რჩება კვალი).

დანაშაულის მექანიზმი წარმოადგენს ურთიერთქმედებისა და ასახვის თანმიმდევრულ ურთიერთობას, რომელსაც წარმოშობს სხვადასხვა სახის ენერგია. ობიექტების ურთიერთმოქმედების შედეგად იცვლება

1. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტომი I (დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგია და ტექნიკა), თბ., 2010.

ენერგია (მექანიკური, მაგნიტური, ქიმიური და ა.შ.), რომელიც აუცილებელია კვალთა წარმოქმნისათვის. ურთიერთმოქმედებაში მონაწილე მოძრაობები შეიძლება იყოს: მარტივი და რთული, შუალობითი და უშუალო, კონტაქტური და უკონტაქტო. უკონტაქტო კვალთა წყაროებია ფოტოგადაღება, ვიდეო ჩაწერა, ნახაზები, სქემები, ჩანახატები, სამედიცინო და სამსახურებრივი დოკუმენტები, კრიმინალისტიკური რეგისტრაცია (კვალთათეკა, მასროთეკა და ა.შ.)

ურთიერთმოქმედება მარტივია, თუ კვალის წარმოქმნას საფუძვლად უდევს ერთი სახის მოძრაობა. მაგ. მექანიკური, ქიმიური და ა.შ. რთულია ურთიერთმოქმედება, როცა კვალთა წარმოქმნაში მონაწილეობს რამდენიმე სახის მოძრაობა (ფსიქიკური, მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური).

კრიმინალისტიკური ასპექტით მოძრაობათა არსია:

ფსიქიკური მოძრაობა – ესაა ურთიერთმოქმედების უმაღლესი ფორმა, რომელიც წარმოიქმნება დანაშაულის განხორციელებისას სუბიექტსა და ორგანული და არაორგანული წარმოშობის მატერიალურ საშუალებებს შორის (მუქარა, ფსიქოლოგიური კონტაქტის შექმნა, ამოცნობა და ა.შ).

მექანიკური მოძრაობა ურთიერთმოქმედების ფორმაა, რომლის არსია ობიექტის სივრცითი განლაგება. მოძრაობის ამ ფორმაში მონაწილეობს მატერიალური სამყაროს ობიექტები. შემთხვევის ადგილზე ნებისმიერი საგნის გადაადგილება არის კვალი. საგნის გაქრობა ან ახლის გაჩენა ასევე წარმოადგენს კვალ-საგნებს. (შემთხვევის ადგილზე ტყვიის, მასრის, გატეხის იარაღის, ნიღბის, სუნის, მიკრონაწილაკებისა და მიკროობიექტების არსებობა);

ფიზიკური მოძრაობა – ეს არის მოძრაობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მოლეკულათა ან ატომთა დონეზე, ცვლის ნივთიერებათა შინაგან აგებულებას, სტრუქტურას. ასეთი კვლები უხილველია. შემთხვევის ადგილზე უფრო ხშირად გვხვდება თერმული, მაგნიტური და რადიოაქტიური კვლები.

ქიმიური მოძრაობის ფორმაც ხორციელდება მოლეკულათა დონეზე, რა დროსაც ხდება ობიექტთა ურთიერთმოქმედების შედეგად მესამე ახალი ნივთიერების წარმოქმნა. ქიმიური ურთიერთქმედება წარმოშობს ახალ კვალს ახალი ნიშან-თვისებებით. დენთის ან ფეთქებად ნივთიერებათა აფეთქების შედეგად წარმოიქმნება ჭვარტლი, რომლის მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ, თუ რა ფეთქებადი ნივთიერება იყო გამოყენებული ვაზნაში ან ასაფეთქებელ მოწყობილობაში.

ბიოლოგიური მოძრაობის საფუძველია ფიზიოლოგიური პროცესები, როლებიც მიმდინარეობს მცენარეებში, მიკროორგანიზმებში, ადამიანის ქსოვილებში და ა.შ. ბიოლოგიური მოძრაობის მექანიზმის გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კვალის წარმოშობისა და გაქრობის დრო. გვამური ლაქები სიკვდილის ჭეშმარიტი ნიშანია. მათი ცვლილებებისა და ხასიათის მიხედვით შესაძლებელია სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენა.

დანაშაულის დინამიკის შესწავლით ხდება ინფორმაციის მიღება. ინფორმაცია კი მიიღება შემთხვევის ადგილის დათვალიერებითა და გულმოდგინე შესწავლით. შემთხვევის ადგილი დაკვირვებისა და აღწერის ასპარეზია, ე.ი. კრიმინალისტიკური ობიექტების აქტიურ, მიზანმიმართული აღქმის, დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის ადგილია; შემთხვევის ადგილზე გარდაუვალია კვალის არსებობა და მისი დათვალიერებით შესაძლებელი ხდება დანაშაულებრივი ქმედების დინამიკის შესწავლა. ეს კი საშუალებას გვაძლევს აღმოჩენილ, დაფიქსირებულ და ამოღებულ იქნეს შემთხვევის ადგილზე რეალურად არსებული ყველა სახის კვალი, რაც დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების საუკეთესო წინაპირობაა.

ზუგდიდის ფეხბურთი 101 წლისაა (1919-2020)

როლანდ (მაქრო) მაქაცარია
ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტი

მეთვარმეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ზუგდიდი პატარა, ლამაზი და კოხტა სამაზრო ქალაქი იყო. ქალაქის „ბულვარში“ ხშირად იმართებოდა ბაზრობები, სადაც სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მილეთის ხალხი იყრიდა თავს. ტრადიციულ ბაზრობებსა და საეკლესიო დღესასწაულებს ამრავალფეროვნებდა სპორტული სანახაობები – ცხენოსნობა, გამონაკლისი არც „საჯილდაო ქვის“ აწევა და „ლელობურთი“ იყო, რამაც ზუგდიდის გიმნაზიის სტუდენტებს ფეხბურთისადმი დიდი ლტოლვა გაუჩინა.

1919 წელს გიმნაზიის სტუდენტმა ლეო ჭედიამ და პიერ კობახიძემ (კობახიამ) ითავეს ზუგდიდში ფეხბურთის დაფუძნება, ჩავიდნენ ბათუმში, დაესწრნენ ინგლისელებსა და ბათუმელებს შორის გამართულ ფეხბურთის მატჩს. ეს თამაში ინგლისელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს. ჩვენმა გიმნაზიელებმა ინგლისელებისგან შეიძინეს ბურთები, ფორმები, ჩაიწერეს წესები, ფეხბურთის მოედნის ზომები, გააკეთეს ნახაზი და იმავე დღეს სატვირთო მატარებლით სენაკამდე დაბრუნდნენ და იქიდან ფეხით ზუგდიდში ჩავიდნენ.

დიდი ენთუზიაზმით ანთებულმა ახალგაზრდებმა 1919 წელს წესების სრული დაცვით დააფუძნეს საფეხბურთო გუნდი „მერცხალი“. გუნდს ჰქონდა საკუთარი თეთრი „დროშა“, რომელზეც გამოსახული იყო ლოგო – დიდი ლურჯი წრე და შიგ მოლაჟვარდე მერცხალი. ლეო ჭედია და პიერ კობახიძე იმდენად თავმდაბლები აღმოჩნდნენ, რომ პრესტიჟულ ადგილზე, ანუ მწვრთნელად, აირჩიეს აბო კობახიძე (კობახია), ხოლო გუნდის თავად – ნიკოლოზ ჩხეიძე, მეკარედ – დავით ჭედია, მცველებად – კაკა ჟვანია, ორდე დგებუაძე, ნახევარმცველებად – ნიკოლოზ ჩხეიძე, შალვა კობახიძე, ცენტრფორვარდი იყო ივანე ჯიქია, ფორვარდები: სერგო ბუკია, ჯაბა კალანდია, პიერ კობახიძე და შალვა მაქაცარია. ზუგდიდის პირველი საფეხბურთო გუნდის – „მერცხლის“ ფეხბურთელები შემდგომში გახდნენ ცნობილი, წარმატებული პიროვნებები.

ისინი დიდი მონდომებით მოემზადნენ პირველი თამაშის ჩასატარებლად. ქალაქი ააჭრელეს აფიშებით, გუნდში საბრძოლო განწყობა სუფევდა. ისინი გრძნობდნენ დიდ პასუხისმგებლობას ისტორიის წინაშე, რადგან ქმნიდნენ ზუგდიდის ფეხბურთის ისტორიას. ზუგდიდის „მერცხალმა“ პირველი შეჯიბრი ამაღლებული საზეიმო განწყობით „მიურატის მოედანზე“ ჩაატარა. ასე ეწოდებოდა მაშინ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც შემდგომში აშენდა ზუგდიდის „იპოდრომი“ სტადიონი.

პირველი თამაში 1919 წლის 20 მაისს რუსეთის გარნიზონის ფეხბურთელთა გუნდთან „მერცხალმა“ 2:1 მოიგო, რომელიც ასევე იყო პირველი საერთაშორისო მატჩი. ამ მატჩით საფუძველი ჩაეყარა სპორტის იმ დროისათვის ახალ სახეობას. აქედან იწყება დროის ათვლა ზუგდიდში ფეხბურთის დაფუძნებისა. ამიტომ წელს ვიზეიმებთ 101-ე წლის იუბილეს, მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანას არც აქვს საუკუნოვანი ისტორია.

ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაცია ლეო ჭედიას მოგონებებზე დაყრდნობით გამოსაცემად ამზადებს ბროშურას „მერცხალი 1919“. ჯერჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნია პირველი გუნდის სურათები, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სანამ ბროშურას გამოვცემდეთ, მოვიძიებთ, თუკი არსებობდა პირველი გუნდის ფეხბურეთელთა გუნდური სურათები. ასევე, გვეიმედება ჩვენი მოქალაქეების გულისხმიერების, შეგვეხმიანებიან და გვათხოვებენ მათ ოჯახში შემონახულ სურათებს, იმ პერიოდის გაზეთებს, სადაც მოთავსებულია ინფორმაცია საფეხბურთო გუნდ „მერცხლისა“ და გუნდის წევრების შესახებ, მათი ან გუნდის შესახებ ხელნაწერებს. ამით ზუგდიდის ფეხბურთის ისტორიას სრულად წარმოვადგენთ.

მიუხედავად დროებითი ჩავარდნებისა, ზუგდიდს ყოველთვის ჰყავდა ანგარიშგასაწევი გუნდი.

1964 წელს ფეხბურთელთა გუნდი „ენგური“ პირველად ზუგდიდის ფეხბურთის ისტორია-

ში, გახდა საქართველოს ჩემპიონი. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: უფროსი მწვრთნელი ვალოდია (ვალო) ბულია, მწვრთნელები ალიოშა ჩიჩუა და შოთა კიტია, ფეხბურთელები: ანზორ (ტუი) თირქია, ემზარ გეგეჭკორი, გივი კუკავა, ოთარ ჯღარკავა, ნოდარ მიქაია, ლიმერ ტაბაღუა, ავთანდილ დანელია, ალეკო ხუჯაძე, გიორგი საფარიანი, ომარ აბრალავა, იდენ ყოლბაია, ვაჟა სილაგაძე, ზაურ ბულია, ვალერი შალამბერიძე.

ცხრა წლის შემდეგ, 1973 წელს, ისევ დიდი წარმატება და სიხარული იზეიმა ზუგდიდის ყველა დროის საუკეთესო გუნდმა „დინამომ“, რომელმაც მთელი სეზონი სტაბილური თამაშით განვლო და საქართველოს ჩემპიონი და თასის მლობელი გახდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო ჯუმბერ ჩუხუა, ადმინისტრატორი – ჯ. გოგია, მეკარეები – გოგი (ტანტა) წყაროზია, კოლია ვნუკოვი, ფეხბურთელები – ნოდარ ზვამბაია (ჯოლო), ფრიდონ ტაბაღუა (ევა), რევაზ პერტაია (პეტრო), როლანდ მაქაცარია (მაქრო), მერაბ ნიკოლაიშვილი (ციკლოპი), ალიკა მესხი, ამირან კემულარია (კემო), ბადრი თუთბერიძე, ვალერი გულორდავა (ბლოხა), გენადი ალმასია (ჩიმჩა), კარლო ჯოჯუა (ჯოჯი), ვალერი სიჭინავა (სიჭი), მალხაზ კეჟრიშვილი (კეჟერა). ამ გუნდიდან საქართველოს ჩემპიონი – 1964 და 1973 წლებში – ორჯერ გახდა ომარ აბრალავა (კიჭო).

დასაფასებელია აგრეთვე ის დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ვერ გახდნენ ჩემპიონები: ანტუშა ქარჩავა, ოთარ და საბა ხურაძეები, ზაზა ჯანაშია, სოსო ჭედია, მელორ ბიგვავა, გერონტი ნაჭყებია, ამირან კემულარია, გულია და პანტე თუთბერიძეები, ანზორ თირქია, გენო ბენდელიანი, ნოდარ მიქაია, გაგო ჩაჩავა, ჯუმბერ ჩუხუა, გივი კუკავა, ემზარ ნემსაძე, ჯონი მალანია, ნუგზარ ჩუხუა, რეზო ზარანდია, ზვიად ქაძანაია, მურმან ქანთარია, ანჩხუდა შულაია, ოთარ წიწავა, ჯემალ ქუხილავა, პავლუშა ქვარაია, ბიჭიკო ოდიშარია, გივი შედანია, ზაურ ცხოვრებაშვილი, ბუხუტი კემულარია, ბადრი და გული დარასელიები, ჟიული ჯიჭონაია, ბოჩია ჯანაშია, მიშა ჩიქოვანი, დურუ ჩიხლაძე, მურმან ქირია, ხუტა ხვიტია, ბადრი და კიმი ქებურია, კარლო მიქაია, მიშა ჯანჯღავა, სოსო ქირია, ლაუ შალამბერიძე, ხუტა გადელია, ბონდო ყუფუნია, ხოხოტია ჟღერია.

უნდა ვახსენოთ მწვრთნელები, რომლებიც დაუზარებლად და დაუღალავად წვრთნიდნენ ჩვენს ფეხბურთელებს: აბო კობახიძე, მიშა ჯოჯუა, ალიოშა დიდიშვილი, ...თოლორაია, გრიშა გაგუა, ანზორ თირქია, გენო ბენდელიანი, ავთანდილ დანელია, მურთაზ ხურცილავა, ნოდარ მიქაია, გერონტი ნაჭყებია, ალიოშა დიდიშვილი, ჯემალ ქუხილავა, ვლადიმერ ბარქაია, ბესო შეროზია, გიორგი კალანდია, გენადი ალმასია, ნუკრი გაბრავა, ოთარ ტალამიძე, ოთარ თუთბერიძე, კიჭო ქომეთიანი, ელგუჯა ქომეთიანი, ზური ჭანია, როინ ტიბუა, პავლუშა ქვარაია.

ღირსახსოვარნი არიან გამორჩეული მეკ-

ზუგდიდის „დინამო“ – საქართველოს 1973 წლის ფეხბურთის ჩემპიონატის თასის მფლობელი.
დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: 1. ნოდარ (ჯოლო) ზვამბაია, 2. ვალერი (ბალოხა) გულორდავა, 3. გოგი (ტანტა) წყაროზია, 4. უფროსი მწვრთნელი ჯუმბერ ჩუხუა, 5. ამირან (ამე) კემულარია, 6. როლანდ (მაქრო) მაქაცარია, 7. ბადრი თუთბერიძე. 8. კარლო (ჯოჯო) ჯოჯუა, 9. ვალერი (სიჭი) სიჭინავა: სსხედან მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: 10. კოლია ენუკოვი, 11. რამაზ (პეტრო) პერტაია, 12. ალიკა მესხი, 13. ომარ (კიჭო) აბრალავა, 14. გენადი (ჩიმჩა) ალასანია, 15. ... (ციკლობ) ნიკოლაიშვილი, 16. ფრიდონ (ევა) ტაბაღუა.

არეები, რომლებიც ზუგდიდის ფეხბურთელთა გუნდს მუდამ ჰყავდა: ლეო ჭედია, მიშურა სართანია, ოთარ გაბელია, შოთა კიტია, ანტუშა ქარჩავა, თენგო დადეშქელიანი, ჯუმბერ ჩუხუა, ოთარ (საბა) და ზაზა რუხაძეები, ომარ სხულუხია, რეზო და როლანდ გელენავეები, გენო ცაავა. ძმები აჩი და ადი მაქაცარიები და მრავალი სხვა.

საქართველოს ახალგაზრდული გუნდის კაპიტნები და წევრები: ნოდარ მიქაია, გაგო ჩაჩავა, სოსო ჭედია, ომარ კაკაჩია, ლიმერ ტაბაღუა, ომარ აბრალავა, ავთანდილ დანელია, კარლო ჯოჯუა, გოგი წყაროზია, თენგო დადეშქელიანი... მსაჯები: ...ნინუა, ჯემალ გოგია, თოლორაია, გივი სართანია, ვასო ბუკია, რაფო ფარცვანია, გიორგი კალანდია; ფიფას არბიტრები – სერგო და ლევან კვარაცხელიები, კახაბერ მესხი. შექების ღირსნი არიან ახალგაზრდა მსაჯები, ანუ მომავალი თაობა: ზვიად ერქვანია, კობა ჭაჭუა, მამუკა კვიტანძე, ლაშა ხუფაცარია, ფელიქს ჭაავა, ვახტანგ ბასილაია, დავით გაბისონია და იაგო მალიშავა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბადრი თუთბერიძე, რომელმაც ყველაზე მეტი ითამაშა ზუგდიდის გუნდში. ბადრი თუთბერიძის თავკაცობით 1984 წელს „დინამომ“ მეორედ მოიპოვა საქართველოს თასი. ზაურ ბულიასა და ბადრი თუთბერიძის მწვრთნელობისას ზუგდიდის „დინამომ“ მოიგო საბჭოთა კავშირის „მილიონთა“ თასი და ამით დამთავრდა ამ თაობის თამაში „დინამოში“. ისიც სასიამოვნო მოსაგონარია, თუ როგორ ავსებდნენ სტადიონს ჩვენი გულშემატკივრები როგორც ჩვენთან, ისე გასვლით მატჩებში. ისე ჩამთავრდა სეზონი ზუგდიდში, საკუთარ მოედანზე წაგება კი არა, ერთი ფრეც არ გვითამაშია.

შემდგომ ზუგდიდში, საფეხბურთო გუნდ „მექაღალდეში“, ჩამოვიდა თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ვაჩი ჯორბენაძე, რომლის პატივისცემითა და ხათრით გადავედით ი.ქ.კ-ს „მექაღალდეში“ და მიზნად დავისახეთ ყოველ წელს თითო ფეხბურთელი მიგვეცა „დინამოსთვის“. ეს მიზანი ზედმიწევნით შევასრულეთ და ზუგდიდისა და თბილისის „დინამოს“ ვაჩის ხელმძღვანელობით აღვუზარდეთ საუკეთესო ფეხბურთელები; მელორ ბიგვავა, ჯონი მალანია, ოთარ თუთბერიძე და სხვანი. აი, რა ფეხბურთელები გვყავდა! მათ მრავალჯერ გვასახელეს და დიდი სიყვარული დატოვეს თითოეული ჩვენგანის გულში. ასევე აღნიშვნის ღირსია საფეხბურთო კლუბი „ბაია“ და მისი პრეზიდენტი, შემდგომში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ზუგდიდის დიდი მოყვარული ზვიად სიჭინავა.

საქართველოს ფეხბურთის 17 და 19 წლიანთა ნაკრებში იყო „ბაიას“ ხუთი, ხოლო 21 წლიანთა ნაკრებში – სამი ფეხბურთელი.

ლევან კუტალია საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირია თბილისის „დინამოში“; საქართველოს ნაკრებში დღესაც თამაშობენ ვალერიანე (ვაკო) გვილია და ნიკა კვეკვესკირი.

საფეხბურთო კლუბ „მგლების“ პრეზიდენტი ლაშა დარასელია გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგა გუნდს და დააფინანსა იგი. გუნდის დირექტორი იყო რევაზ პერტაია, გუნდის უფროსი – როლანდ მაქაცარია, მწვრთნელი – ბესო შეროზია. ამის შემდგომ აღარავინ იტვირთა მძიმე ტვირთი.

მოვალენი ვართ ვიცოდეთ, არ დავივიწყოთ, ვიამაყოთ და დავაფასოთ ჩვენი წინაპარების ნამოღვაწარი, რათა ქვეყანასა და მომავალ თაობას დავუტოვოთ მათი სახელები. ამით პატივს მივაგებთ ჩვენი წინაპრების ხსოვნას, რამეთუ „...აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...“.

2004 წელს ზუგდიდის ფედერაციის წარდგინებით ოთხ წარჩინებულ სპორტსმენს

საქართველოს 1964 წლის ჩემპიონები ფეხბურთში – ზუგდიდის „ოდიშის“ გუნდი, დგანან პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ვაჟა სილაგაძე, ლიმერ ტაბაღუა, გივი კუკავა, ალოშა ჩიჩუა, ვლადიმერ ბულია, უფროსი მწვრთნელი ვალერი შალამბერიძე, ემზარ გეგეჭკორი, ანზორ თირქია, ალიჯა ხუჯაძე.
მეორე რიგში სხედან: ზაურ ბულია, ჟორა საფარიანი, ომარ აბრალავა, შოთა კიტია, ავთანდილ დანელია, ნოდარ მიქაია, ბესო ჯღარკავა, ... ყოლბაია.

კარლო ხორავას, ვაჟა ხაბეიშვილს, ანტონ ქარჩავასა და ნელი ფარცვანიას მიენიჭა ზუგდიდის საპატიო მოქალაქის წოდება.

ზუგდიდის რამდენიმე ქუჩას ჰქვია შოთა კიტიას, ვალო ბულიას, ბორის სიჭინავასა და ომარ სხულუხიას სახელები. უახლოეს მომავალში ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭება გივი ხოჭოლავას სახელი, რომელმაც პირველმა შეაღო თბილისის „დინამოს“ კარი და იქ ათი წელი ითამაშა.

ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციამ ოთარ გაბელია წარადგინა საპატიო ზუგდიდელის სტატუსზე, ხოლო გერონტი ნაჭყებია, როლანდ მაქაცარია, რევაზ პერტია, ამირან კემულარია, ავთანდილ დანელია ღირსების ორდენზე არიან წარდგენილი.

2020 წელს ზუგდიდში გაიხსნება ოთარ გაბელიას სახელობის III კატეგორიის სტადიონი და საფეხბურთო აკადემია. სტადიონის გახსნასთან ერთად აღინიშნება ზუგდიდში ფეხბურთის დაფუძნების 101 წლისთავი და სტადიონზე დაიგგება 1964-1993 წლების ყველა ჩემპიონების სახელობითი ფილა. ასევე, შეკეთდება ი.ქ.კ-ს ძველი სტადიონი და შეიქნება მთლიანი კომპლექსი. ახალი სტადიონი აშენდება რუხშიც. ამის გაცხადების შესაძლებლობას მაძლევს ჩემი ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომა.

ძველი სტადიონი 1951 წელს აშენდა ძველი და ჩვენს მშობლიურ ქალაქს 61 წელი ემსახურა. იმედია, ახალ სტადიონსაც ისე შევიყვარებთ, როგორც ძველს. რადგან წარსულის გადმონაშთის დაკარგვა და ახლის შეუყვარებლობა არ სჩვევიათ ზუგდიდელ მოქალაქეებს.

ავი დარი უდგას დღეს ზუგდიდის ფეხბურთს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. საფეხბურთო გუნდი „ოდიში 1919“ დაბალბიუჯეტიანია. მას ვუსურვებ მომავლის გუნდად ჩამოყალიბებას, რომ არ დავკარგოთ ახალგაზრდა თაობა. იმედია „ს.კ. ზუგდიდი“ (მფლობელი ზაზა ჯანაშია), ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდება და კარგი გუნდი გვეყოლება, რომელიც შეგვინარჩუნებს ღირსებასა და სახელს.

შენდება და მშვენდება „ბაიას“ სპორტული ბაზა. მწყობრში ჩადგა საცურაო აუზი.

დიდი იმედი გვაქვს ზვიად სიჭინავასი, რომელიც ცდილობს და ყველაფერს აკეთებს, რათა ჩავარდნებისგან დაიცვას ზუგდიდის ფეხბურთელთა გუნდი და შექმნას მომავლის გუნდი, ასევე ცდილობს აკადემიის ჩამოყალიბებას.

იმედია, ზუგდიდის მერიის თანადგომით, ოთარ გაბელიასა და ზვიად სიჭინავას მეგობრული დახმარებით, დაუღალავი შრომის ფასად დავძლევთ სიძნელეებს.

მეგობრებო, გილოცავთ ზუგდიდში ფეხბურთის დაფუძნების 101-ე წლისთავს. ალბათ, უახლოეს მომავალში გამოიცემა წიგნი ზუგდიდის ფეხბურთზე და იქ არავინ იქნება დავიწყებული.

უფალმა დალოცოს ზუგდიდი და სრულიად საქართველო!



დ ი ს კ უ ს ი ა

დ ი ს კ უ ს ი ა

დ ი ს კ უ ს ი ა

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა „დისკუსიის“ რედაქციაში.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჟიული შარტავას ქუჩა №179
ელ. მისამართი: gamomcemlobadiskusia@gmail.com
marinadamenia@mail.ru
ტელ.: 557 56 71 16; 571 19 83 85

UDC(უაკ)3+0013(051)
ს-175

ISSN 2667-9078
9 772667 907008

დისკუსია